

ISSN 0132-500 X

საქართველოს  
საზოგადოებრივი მეცნიერებების  
აქადემიის გამომცემი

# გნებობა



10

---

1984



# ენათმეცნიერება

ქვეყნის მწერთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უწყისი

წელიწადი 80-60

№ 10

ოქტომბერი, 1984 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერების აკადემიის ორგანო

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

ოთარ ჩხიკვაძე — მთაბრუნელი. რომანი. დისასრული	3
იოანე ქავთარაძე — ზემოურ-ქვემოური მოტივები. ლექსები	58
შარანაძე კიკვიძე — გამარჯობა, ლი! მოთხრობა	61
ჯაფარიანი შარანაძე — ლექსები	65
ივანე თათარაძე — ლექსები	67
ოთარ წარწერი — შურია. მოთხრობა	72
დავით აღმაშენებელი — ლექსები	86
შარანაძე სანაძე — გაუმარჯოს მზისათვის იმდენად ცაბრას. ჩანახატი	90
ოთარ დემეტრაშვილი — სულაშვილი. მოთხრობა	92
ზურაბ კალანდია — აბტიორი. მოთხრობა	99
ბრუნა სტარბუნი — ლექსები. თარგმანი გიორგი ნუნიაშვილი	105

### ნარკვევი

აბიანა აბიანა — დიდი მასპირები კატარა ქალაქში. გაგრძელება	111
---	-----

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გურამ გვირგვინი — დავითწერის სახელი და სამართალი	128
დემეტრაშვილი — ნიკოლოზ ოსტროვსკი	138
გურამ გვირგვინი — ისევ ზოგიერთი რუსთაველიანობის საკითხის ბაზო	143

### მეცნიერება

ილია ბერიძე — ზრინოვსკის ლიტერატურული მიმდინარეობის ბაზო	157
ვახუშტიანი — ქართველები მონღოლთა კარზე	162
გაბრიელაძე ნოდარ — დამატებითი	166

---

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედაქტორის მოადგილე),  
მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, ბ. დონანაშვილი, კ. კალაძე,  
მ. ლასური, მ. ლიზანიძე, ე. მალრაძე, ლ. მრეღაშვილი, ბ. ნატრო-  
შვილი, რ. პატარიძე, თ. პაპოკორია (პ/მგ. მდივანი), ჯ. ჩარკვიანი, ნ. წუ-  
ლუისკირი, თ. ზილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

---



## მთაბრეხილი

რომანი

XVI

ოლონდ ჯერ მაინც ეს უნდა მოთავდეს, არა?..

უნდა მოთავდეს.

რაღა თქმა უნდა.

და როგორც არ უნდა მოთავდეს ეს ამბავი, ირინემ ისევ წაიკრა ხილაბანდი, კაბა ისევ სადა ჩაიცვა, ისევ ჩუსტებში წაპყო ფეხი, სადარდელი რო მიეცა, საზრუნავი რო გაუჩნდა, აღარ ეცალა ფუნჯისათვისა, ანთუ როგორ რო თვითონვე იტყოდა, გულის ალაგი აღარა მაქვსო. და თუ მინც თუ გაეძევაოდა თვალი იქითა, ეგონებოდა, სხვას თუ დარჩაო, გაახსენდებოდა, მობრუნდებოდა და თან წაიღებოდა. ეს ირინეო. ფრიდონს არაფერი ეგონა, არც ეგონა და არც ახსოვდა არაფერი, უნდა დავუმატო, თითქოსაო, რადგან რო გაიხსენა ისევ ყველაფერი, ისევ გაეშურა თბილისისა, მიაკითხა ბაბულისაცა, ოლონდ მანამდე, გაეშურებოდა რო ვიდრე, მიაკითხავდა რო ვიდრე: თუ იწვა, ჰო იწვა და ისაა, ხოლო თუ იჭდა, იჭდა ისევე თვალმინაბული, ისევ იქავე, ისევ ძია გიგოს დარბაზშია, თუ იღგა, იღგა ისე-

ვე თვალმინაბული და თუ დაკვანჭილებდა, ანთუ იქავე, დარბაზშია, ანთუ ეზოში, დაკვანჭილებდა ისევ ისე თვალმინაბული. ამბარსაც ეგრევე მიატანა, თიხაც ეგრევე წამოჰკრიფა, ეგრევე ზეღავდა და ძერწავდა ეგრევე თვალმინაბული. თითქოს რო აღარც გაახელდა თვალსა, რადგან რო ჰხედავდა მშვენიერებასა, სჭვრეტდა ისევე. მეტი არც არაფერი უნდოდა, მშვენიერებასა სჭვრეტდა ისევე და აღბათ აღარც გაახელდა თვალსა. სჭვრეტდა და ძერწავდა, გამოჰხედავდა ოღნავი ჭრილიდანა, ოღნავად რო ასწევდა ქუთუთოთა, თითქოს რო უნდა შეამოწმოსო თუ როგორ იძერწება, როგორა ცხადდება ხილული იგი, როგორ ისხამს ხორცსა, როგორა მშვენიდება, — გამოჰხედავდა და მოსწურავდა უმაღვე, ჩაიჭყლებდა თვალთა, წამოიშობოდა წარბთა ღაწვებამდე, სინათლემ რო არ შეაღწიოსო, რადგან რო მხოლოდ შინაგანი შუქით განათებულიყო მშვენიერებაი იგი, გარეგანი გააქარწყლებდა. სიტყვაც გააქარწყლებდა. და არც ეკითხებოდა დედასა არაფერსა, არც უჩვენებდა, — თუ ძერწავდა ჰო ძერწავდა და არც შეიძლებოდა სხვა ვინმე ახლოსა ყოფილიყო, თუ ისვენებდა, ჰო ჰპურავდა

სველსველი ტილოებითა; ან არც ისეცნებდა, ჰქმნიდა ასე, თვალმინაბული შეპყურებდა და ჰქმნიდა, მერე უცებ მიეჭრებოდა, გადაადრობდა ტილოებსა და წელს ჩამოჰქნიდა, ანთუ ყელსა, ანთუ წვივსა, რაც შეიძლება არქარებთა, რადგან რო თიხა არ აცდიდა, ის უცნაური თიხაი, მალე რო აშრობდა სველ ტილოებსა, მალიმალ რო უნდა დანამულიყო, ფერიც ამითი რო დაედებოდა, სპილოს ძვლის ფერი, თუ უფრო ბაცი, — ჰო უფრო ბაცი სპილოს ძვალზედა სიმაგრეც ამითი რო მიეცემოდა, სიმაგრეი მარმარილოსი, მერე რო აღარ განირჩეოდა, თიხა იყო თუ მარმარილოი; მიეჭრებოდა და უკენსოდა წვივი, ლავიწის ძვალის უკენსოდა, ჯერ რო არც ისე გამომთელბულიყო და არც რო ის აცდიდა, ის მოჩვენება მშვენიერებისა, მოჩვენებაი წამიერი, განცხადებას რო მოითხოვდა, რო ესწრაფოდა გამარადისებასა. რაც იქნებოდა თუ როგორც იქნებოდა, სტკიოდა ამასა, და ეჩვეოდა ტკივილსა, ანთუ შესჩვეოდა, ანთუ სტკიოდა თავისი დღენია წვივიცა და ლავიწიცა, თავიცა და გულიცა, სტკიოდა ძვალი, სტკიოდა ხორცი და სული სტკიოდა, — რო მიიგნებოდა ძვალი თუ ხორცი, მალამო თავისი რო დაედებოდა, ხოლო სული რო არ მიიგნებოდა, რო არ დაედებოდა მალამოი, თავისი; გაუსაძლისი ის იყო, თორემ ეს ვითომ რაო, ხორცი ვითომ რაო, ძვალის ვითომ რაო, — შეხორცდებოდა ძვალისა, ხორციცა, სულის შეხორცება რო არა ხერხდებოდა, არა ცხადია, რო არ მიიგნებოდა თუ სად გადატეხილიყო სული, ანთუ მიიგნებოდა, რო არ უნდა მიეგნო, არა, არა რაღა თქმა უნდა; ანთუ ჯერ ის იარალი არც გამოგონილა, რო განჭვრიტოს წმინდა ხვეულები, უწვრილესი ხვეულები, უმკედესი ხვეულები სულისაო, არც გამოგონილა, არც გამოიგონება, არც არავინ არად ისურვებს, არც არავის არად არგიაო. სხვასაც იტყვიან, ვერ გავედევნები ყველა ნათქვამსა, ყბა მოუღლეღია და ენას ძვალი არა

აქსო. ხოლო აქ მხოლოდ იმას მოგახსენებ, სტკიოდა და ეჩვეოდა ტკივილსა. ჯერ ის ახსოვდა, სადაც რო სტკიოდა, — სადაც გადასტეხოდა, სადაც ამოვარდნოდა, მერე დაავიწყდა თითქოსაო, ისე გაეშალა ტკივილი, ისე მოედო მთელ სხეულსა, თხემით ტერფამდე ისე მოედო. ძილიც გაუტყდა, დეკარგა მადაცა, ეგ იყო მხოლოდ, რო თვლემდა და თვლემდა: იდგა და თვლემდა, იჯდა და თვლემდა, იწვა და თვლემდა, თვლემდა და უცებ წამოვარდებოდა, მიეჭრებოდა ქანდაკებასა და განაგრძობდა, ჰქმნიდა, ძერწავდა შთაგონებითა, ტკივილითა და შთაგონებითა. მერე ისევე თვლემდა: იდგა და თვლემდა, იჯდა და თვლემდა, იწვა და თვლემდა. მზე ამოდიოდა და მთვარე ჩადიოდა, მთვარე ამოდიოდა და მზე ჩადიოდა, ხან შეიყრებოდნენ მზე და მთვარეი, ხან დავიანშმებდა მთვარეი დიდხანსა, მოადგებოდა მერე სარკმელსა, იჭვრიტებოდა, იჭვრიტებოდა ტრფიალი იგი მშვენიერისა, მაგრამ ვერა და ვერ იხილავდა, რადგან რო ჰბურავდა სველი ტილოები. და მიდიოდა გულნაკლული და ჩადიოდა გულნაკლული, გულნაკლული და იმედოვანი, ხვალაც ამ თვისაა, ხვალაც ჩემიაო, — თუ დაიწახშმებდა რაღა თქმა უნდა. ფრიდონმა ფარდა ჩამოაფარა სარკმელსა, არც მთვარე უნდოდა, არც არავინ უნდოდა მხილველი, — ანთუ არასოდესა, ჯერ მაინც არა. მხოლოდ, სველ-სველი ტილოები შემოჰქონდა ირინესაცა, ფრიდონი უცვილიდა, ჩამოეფარებოდა და უცვილიდა ისე, ზურგთუკან აწოდებდა შემშრალ ტილოებსა, უცვილიდა ისევე თვალმინაბული, წამწამთაშუა თუ გამოიჭვრეტდა წამიერადა, მეტად არაო. მთვარე ოხრავდა გაჯაგულ ბუჩქებსა თუ გაუსხლავ ხეხილში, ოხრავდა და გადაიკარგებოდა, გაიჭრებოდა შმაგი მიჯნური, მობრუნდებოდა მერე მილეული, მიკურწული, რო აღარა ჰქონდა არაფრისა თავი, სული როღა ამოსდიოდა. რაღა თქმა უნდა ძველის-ძველი მეტაფორაა, ძველი, ძველის-ძველი, როცა ჯერ რო

ანაბანაც არ ესწავლა ადამიანსა, როცა ჯერ ისევ ზეპირად რო ჰქმნიდნენ და რო არც იცოდნენ თუ რასა ჰქმნიდნენ, ძველია-მეთქი ერთისიტყვიტა და მაშინაც იმასვე ნიშნავდა, რისი თქმაც რო ახლაც რო მინდა, — დრო გადიოდა, დრო გავიდა. მეტი არაფერი, არაფერს არა ვგულისხმობ მეტსა, გაჯაგული ბუჩქები თუ გაუსხლავი ხეხილი ჰო წელანაც გითხარი, — ახლა ეს არის, დრო გავიდა და მეტი არაფერი, ასე. შემთხვევით გამოვიდა ქალაქიდანა ანთუ ამოვარდა გაქვდილი ქალაქიდანა, ლოპოსავითა, ასე წაება მიზეზი მიზეზსა, ასე დაყოვნდა. და შეიცვალა, გამოიცვალა, თბილისს რო დაუბრუნდა, ვეღარ იცნო ბაბულიმა, ერთი წამითა, ერთითა, ერთითა, ოლონდ კმაროდა ესეცა რო თქმულიყო, გამოიცვალაო. მიჭვრიტანიდან არ გაუხედია ბაბულისა, არც რო ჰქონია იმის კარსა მიჭვრიტანი, ძველ კარსა. წინათ არ იცოდნენ ასეთი არაფერი, რალა თქმა უნდა, დაუკაუნებდნენ და გაალებდნენ კარსა. გაულო და შეიწვია; შეიწვია და გაეწია, გაუგანდა, გაუფართოვდა თვალები, ლამის ბუდიდან წამოსცივიდაო იტყოდნენ. მერე შებრუნდა პირით კედლისკენა, კედელს მიეკრა და ჟყო ეგრე, თრთოდა და კედელი იმაგრებდა. ეტრებოდა და კედელი ანუგეშებდა, ძველი კედელი, ცოტა შეშინებული, ანთუ ეგება შპალერი დამსკდარიყო, ძველი, ძველი ისიცა. მუხლი მოსჭროდა და კედელს აეყვანა. ეს ჰო დერეფანში ხდებოდა, — დიდი ოთახიდან ბავშვები გამოვიდნენ სათითაოდა, — მისწყულები, — ჩანთები ცალკე ეჭირათ, წიგნები ცალკე, ჩქარობდნენ გაესწროთ, კალშები სცივივოდათ თუ ფანქრები სცივივოდათ, თუ რვეულიცა, ჩქარობდნენ, ჩქარობდნენ; ფრიდონი ზღურბულზე ასვეტილიყო, ვეღარ მოახერხა რო გაეწია, — გაუძვრნენ აქედანა, იქიდანაც გაუძვრნენ, გაცივიდნენ, წაივინდნენ, მერეღა დიპირა ფრიდონი ცხადია, ნელა, ნელა, თითქოს ფეხი ეკვეთებო, მიუახლოვდა, ბაბულისა რალა

თქმა უნდა, ნელა, ნელა ასწია ხელი, ცალი ხელი, მარჯვენა ხელი, მარჯვენას ჯერკიდევ თამამად ვერ ასწევდა მცა მარჯვენაც ვერა თამამობდა, ასწია და დაუშვა, ნელა დაუშვა; ასწია ისეცა, უფრო ნელა და ოდნავადაც შეეხო მხარზედა. და შემობრუნდა ბაბული, ნელა ისიცა, ნელა ისედა, ხელიც რო არ მოსცილებია, — ნელნელა შემობრუნდა და ნელნელა მოექცა ვაეკაცის მკლავში, ცალ მკლავში მოექცა და აპხედა ეგრე, ცრემლით აღვსებული თვალებითა, შუქითა და ცრემლით აღვსებული თვალებითა.

— სად დაიკარგე?!

ისე აპხედა და ასე ჰკითხა, უსაყვედურა რალა თქმა უნდა, გამოვლილი შიშითა, ანთუ გადატანილი შიშითა, მოლოდინის სიხარულითა, წამიერი თავდავიწყებითა, უცებ რო შეკრთა, გაუსხლტა მკლავქვეშა, ოთახში შეიბინა.

— გაცივიდნენ...

მიადევნა ფრიდონმა ოდნავი ღიმილითა. მიადევნა.

— თვალს ვერ გადააცილებ...

ამჯერად არა რო საყვედურითა თუ სინანულითა.

ეს ბავშვების მიმართა.

ვერც რო ვერავის გადააცილებ თვალსაო, — ეს ამის მიმართა, თქმით რო არ უთქვამს, ეს ამან იგარძნო, ანთუ ამოიკითხა ოდნავ გაპობილ, ოდნავ წამიწვდილ ტუჩებზედა: ვერც რო ვერავის გადააცილებ თვალსაო, მარტოს რო არავინ დასტოვებს, რო არც დარჩება თვითონვე მარტოო, რო მარად ესწრაფის, რო მარად არავინ არ აკმაყოფილებს, რო მარად არაფერი არ აკმაყოფილებს, ცვლილება რო სწყურის და უცვლელობა რო ტრაგედიიაო. ისინი მაგიდის აქეთ-იქით იდგნენ, დაკმუჭვნილი თუ დაფხრეწილი ქალაღები რო ეყარა, რვეულიც ეგდო, გაგლეჯილი კალამიცა, წიგნიცა, ნაპირადა, კინკიბურადა, — ჩამოვარდეს თუ არა, ჩამოვარდეს თუ არაო. ბაბული მისწვდა, ჯერ წიგნს მისწვდა, მე-

რე ნაფხრეწებსა. ესეც წაეტანა მოკუმშულ ფურცელსა, გაშალა, გააბრტყელა, გასტყია, ნავი გამოიყვანა, ვიდრე ნაფხრეწებს გადაჰყრიდა ბაბული, ვიდრე შემობრუნდებოდა. ნავი გამოიყვანა და ნავს აწვალებდა ფრიდონი, შეუბერავდა სულსა, უწყიაურტებდა, მისცურავდა ნავი თითქოსა, აბობოქრებულ ზღვაში მისცურავდა. მისცურავდა და ვაღწია იქით ნაპირასა. იქიდან ბაბული უბერავდა, ურტყავდა წკიაურტსა. არც ელიმებოდათ, არც ერთობოდნენ, სიტყვა ვერ ეპოვნათ თუ სულს ითქვამდნენ, კარგახნის ლოდინისგან გაბეზრებულნი თუ გაოგნებულნი. თუმცა არა, მეტი მომივიდა, ეს მხოლოდ ბაბულოზე ითქმის, ბაბული ითქვამდა სულსა. მერე დაიჭირა ნავი, ალბათ რო მოითქვა სული. ჩამოჭდა. ჩამოჭდა ფრიდონიცა.

— რო არც ვიცოდი თუ სად მომეკითხე?!

გაიცინა ბაბულიმა, ცრემლგადავლილი სიცილითა თუ მშრალი ცრემლითა.

— ჰო... ო...

აჰყვა ფრიდონიცა.

— რო არც ვიცოდი თუ ვინ... ვინ მომეკითხა?!

უფრო გაიცინა ბაბულიმა. გაოცებითა. გაოცებითა.

დაიბნა ფრიდონი. ვერ აჰყვა ცხადია. ვერც ვერას მიუხვდა, არც რო არაფერი გახსენებია. თვალეზზეც არაფერი ემჩნეოდა ბაბულისა, თითქოს აღარც თქმას აპირებდა, გაეპო ბაგენი და იცინოდა, იცინოდა, რო ვიცოდი და რო არ ვიცოდიო, თურმე არაფერი ვიცოდითო, არაფერიო, არაფერიო.

— ვინა?!

იკითხა ფრიდონმაცა, რო დაიბნა, ისე იკითხა.

— ჰო... ვინა?! ვინა?! სახელი ჰო არც გითქვამს ჩემთვისა, არც გვარი, არაფერი, არაფერი, ჭანდაკების მეტი არაფერი გითქვამს, არა, არაფერი გითქვამს.

— ჭანდაკების მეტი?!

— არაფერი!.. ან მე ვერ გავიხსენე

მეტი ვერაფერი. ჩემი ბრალია. რა ვქნა, ვერ. გავიხსენე. ვერ გავიხსენე და მევე დავისაყე. არც ის ვიცოდი თუ ვისთვის მეკითხა, ვინ მეკითხა ჰო არ ვიცოდი. ჩემთვის ასე იყო: ამოდინოდა ზღვა ჭალაქიდანა და იკარგებოდა ზღვა ჭალაქშივე, მარტოდმარტო ამოდინოდა, მარტოდმარტო იკარგებოდა. ასე არ იყო?.. და მეც ვიკარგებოდი ამ ზღვა ჭალაქში. გავეკიდებოდი ავტობუსებსა, ტროლეიბუსიდან ტროლეიბუსში გადავკდებოდი, მეტროდან მეტროში, ტაქსიდან ტაქსში, ვილაყას შევნიშნავდი, ვილაყ მეგონებოდა, გვერდით მივყვებოდი, წინ ვუყვლებდი, ის მეგონებოდა და სხვა გამოდგებოდა. ერთხელ მოსკოველი ნაცნობიც მომეჩვენა, ბილეთი რო დამითმო. ისიც სხვა გამოდგა. ოღონდ მე მაინც გამიადვილდა, მერე ორს ვეძებდი, უკვე ორს ვეძებდი, ორი კიდევ რაღაც რიცხვია ამხელა ჭალაქში, ერთი მეტად მცირეა, მეტისმეტად მცირეა. უკვე ორს ვეძებდი და ლამის ორად გავიჭერი, ერთი აქეთ მომეჩვენებოდა, მეორე იქითა, ქუჩიდან ქუჩაში გადავიჭრებოდი, ტაქსიდან გადმოვხტებოდი, მეტროს ვაგონიდან ვაგონში ვჭრებოდი, ვილაყები მიწყურებოდნენ, რაღაცას მიშლიდნენ, მისტვენდნენ, მისტვენდნენ, აღარ გამეგებოდა აღარაფერი. მახლობლები ველარა მცნობდნენ. ინსტიტუტში საყვედურს საყვედურზე მიცხადებდნენ, ჩემზე მეტს სხვები აცდენდნენ, იმათ მაგივრადაც თუ მე მიცხადებდნენ, მაინც სათვალავი აღარა ჰქონდა, მაინც სულერთი იყო. ბავშვებიც ამომივარდნენ კალაპოტიდანა. უხაროდათ. მე ველარ ვუჭერდი თავსა. მეც ველარ ვიჭერდი თავსა. არ ვიცი რა მოხდა. ჭერი იმიტომ ვეძებდი, მჭირდებოდა, მერე შემეშინდა, რაღაცა უჭირსმეთქი, მარტამეთქი, ავიხირე, მე ვჭირდებიმეთქი, ავიხირე, ავიხირე რაღა თქმა უნდა, ამისგან მოხდა, ალბათ ამისგანა... თავს ვერ ვიკავებდი... რახან უჭირდა, ველარც წავაწყდებოდი ალაღებდადა რაღა თქმა უნდა, და ისღა მრჩებოდა, ის მოსკოველი ნაცნო-

ბი, მისაკვლევ ძაფადა. ისლა მრჩებო-  
და და აღარც მახსოვდა, სახეი იმისი  
აღარც მახსოვდა, ხმას თუ ვიცნობდი,  
ეგრეღა მეგონა და ვიდექი რიგებში,  
ვიდექი დუნდგოში ხალხისა, ვუსმენდი  
ყაყანსა, მოვხუჭავდი თვალთა და ვუს-  
მენდი ყაყანსა, ეგება რომელიმე გამო-  
ვარჩიო, ეგება რომელიმე მივამგავნო-  
მეთქი. ისევ მივეყვებოდი ავტობუსებსა  
თუ ტროლეიბუსებსა; ავდედვი და ჩავ-  
დედვი ესკალატორებსა, თვალდახუჭუ-  
ლი, თვალდახუჭული, ხმას რო ვეძებ-  
დი, ასე, ამგვარად ვეძებდი ხმასა. ხან  
გამახსენდებოდა თუ მივამგავანებდი,  
მაგრამ ველარ გამოვარჩევდი, ამეთქვი-  
ფებოდა სახეები ერთიმეორეში, თით-  
ქოს ერთი იყო სახეი, შეკოწიწებულ  
ნატეხ-ნატეხთაგანა, შეკოწიწებულნი, შე-  
წებებულნი, ხელი იყო უამრავი, ფეხიც  
უამრავი და ეკიდა ხელფეხი უამრავი  
ასე შეკოწიწებულ სახესა, ეკიდა და  
სავსავებდა. ასე ამებურდა ყველაფერი,  
ველარც რო ვჭვრეტდი, კვალიც ვერ  
მიმეგნო რალა თქმა უნდა. და ერთიც  
ენახოთ, გამიშუქდა თვალნი. დიდუბის  
ეკლესია მომავონდა. იქ რო იყავით...  
გამეხარდა, როგორ გამეხარდა!.. მერე  
და რაო, მოკლე გამოდგა ეს სიხარუ-  
ლიცა. ვიდექი და მივჩერებოდი მხატ-  
ვარსა. ის ხარაჩოზე იდგა. გადმომხე-  
დავდა. დამაჩერდებოდა. ასწევდა წარ-  
ბსა. მერე მეორესა. მიუბრუნდებოდა  
ისევ კედელსა. თავისი საქმე ჰქონდა.  
ჩემთვის არ ეცალა. მე ხელს ვუშლიდი.  
მივჩერებოდი და მივჩერებოდი. ვინ  
მეკითხა, რო არ ვიცოდი, მივჩერებოდი  
და მივჩერებოდი. იქ იმდენნი იყავით,  
ვინ მეკითხა, რომელიმე მეკითხა?.. და  
გადმომხედავდა თითქოს გაკვირვებუ-  
ლი. არა, არ მიწყრებოდა. მე ვიცოდი,  
რო ხელს ვუშლიდი, მაინც ფეხი ვერ  
მომეცვალა, აღარ შემეძლო ქუჩებში  
წრიალი, აღარც აღარაფერი მაიმედებ-  
და, ეს მაინც იყო რალაც ნუგეში, ხელ-  
მოსაკიდი რალაცა მაინცა, თუმცა ხავ-  
სი... ხავსი... ხავსივითა... და ვეჭიდე-  
ბოდი. ვიდექი, ვიდექი. ჩამოვშეშდებო-  
დი. წამოვიდოდი დაღლილი. ოღონდ

თითქოს ცოტა დამშვიდებულნი, რახან  
რალაცას ვეჭიდებოდი. გადმომხედა-  
და. გამომაყოლებდა თვალსა. არც არა-  
ფერს მეკითხებოდა, არც არაფერს მე-  
უბნებოდა. ოღონდ ერთ დღესა, მთლი-  
ანად შემობრუნდა, მანამდე რო ნახევ-  
რად თუ მოიხრებოდა, შემობრუნდა,  
გასწორდა, გაიჭიმა და მხედრულად მო-  
მესალმა, ანთუ გამომემშვიდობა, —  
გამომემშვიდობა რალა თქმა უნდა: მი-  
ვხვდი მოდელად რო მოვევლინე, რო  
გამომიყენა, რო აღარა ვჭირდებ-  
ბოდი, მადლობას რო მიხდიდა. ეს  
იყო თითქოს გულს მომეშვა, მე-  
ცინებოდა ჩემს თავზედა, აღარ  
დავეძებდი აღარავისა, აღარც გა-  
ვდიოდი შინიდანა, მეცინებოდა, მეცი-  
ნებოდა და რო რაიმე არ ამტეხოდა,  
აღარ ვეშვებოდი ბავშვებსა, ვუჩიჩი-  
ნებდი და ვუჩიჩინებდი, ვახუთ-  
ხებინებდი ყველაფერსა, იცი, რო-  
გორ გამოასწორეს ნიშნები... გა-  
ოცდები!.. ჰა, ჰა, ჰა... — და გაუგრ-  
ძელდა სიცოცი ბაბულისა. და თვალე-  
ბში უბზინავდა ცრემლი. და ეგრევე  
ჩაუშრა ცრემლი, და განუკრთა ბზინვა-  
ცა თვალისა: აღარც შეპლიმოდა ვეფი,  
მოლუშულიყო, შეწუხებულყო.

— როგორ მომივიდა?!

წარმოსთქვა ისე შეწუხებულმა.

— რა შენი ბრალია?!

ისევ უბზინავდა ცრემლი ბაბულისა.

— ვინ იცის?..

— მე ვიცი... არავისი ბრალი არაფე-  
რი არ არის, არავისი. მე ვიცი.

ჩაუშრა ცრემლი ბაბულისა. ახლა  
ისე ილიმოდა, უცრემლოდა. ისე უბზი-  
ნავდა თვალეხი. უცრემლოდა.

— ასე შეიძლება ყველა გამართლ-  
დეს.

— ყველა?!

შეეჭვდა ბაბული.

— ყველა...

დაუბეჭითა ფრიდონმა.

— არა... ყველა არა. არა.. ყველა-  
ფერი არა. ყველა არა.

— და არც მე.

მოუტრა ფრიდონმა.



— მაგრამ ჰო არ იცოდი თუ როგორ მიჭირდა?..

— არა...

— ანთუ ვინ იცის თუ რა შეგემთხვა?..

— ჰო... ო...

— შეგემთხვა რამე?..

— ჰო... ო... არა... არაფერი ისეთი. რაც უნდა იყოს, აგერ აქა ვარ. ჭანი მრთელი და გული მხიარულიო, ჩვენებური თამაღისა არ იყოს: ჭანი გქონდეს მრთელი და გული მხიარული, მეტი არაფერი არ გინდოდესო. ანთუ რაღა უნდა გვინდოდეს მეტი?

იკითხა ფრიდონმა.

— მართლაცა...

— ასეც მეგულეები.

— არა...

— რა მოხდა?!

მოიღუშა ფრიდონი.

— გეტყვი. მიძნელდებოდა. მაგრამ იმდენჯერ ვითხარი ჩემს გულში, იმდენჯერ შეგვედრე, იმდენჯერაც აღმითქვი, რო ახლა უკვე მიაღვილდება და ადვილად გეტყვი: დაბადებულა ჩემი დისწული, არავინა მშველელი მისი, ჩემს გარდა და მე უმწეო ვარ უმწეოზე, კრავზე უმწეო ვარ, კრავი რო მსხვერპლად მაინც შეიწირება, ჩემი მსხვერპლი რო არას არგია...

და ჩაქრა ბაბული, ანთუ გაქრაო, ანთუ მართლაც რო სახებად იქცა უმწეობისაო.

— რა დამართა?!.

იკითხა ფრიდონმა, ცოტა არ იყოს რო შიშით იკითხა, ისე შეიცვალა ბაბული უეცრად.

— როგორ ვითხრა...

— ნარკოტიკები?.. მოდაშია...

— არა.

— კაცი შემოაკვდა?

— არა.

— აბა ყველაფერს ეშველება, როგორც გამიგონია.

გამხნევდა ფრიდონი.

— პატრონი რო ჰყავდეს.

ვერ გამხნევდა ბაბული.

— ვუპატრონოთ.

გულიანად გამოსთქვა ფრიდონმა.

— ღმერთო ჩემო!..

შესახა ბაბულიმა. და იქცა ისევ ბაბულად, აუბინდა ისევ რო თვალეები, რო ამოიწია ჩამქრალმა თუ ჩაფუკულმა, ამოიწია, ამოჰყვა თვალეებსა, აბინებულ თვალეებსა. აღარ უნდა ჩამქრალიყო, არა, ცოდო იყო ბაბული, და ესეც მაშინვე მიაღვენა ფრიდონმა:

— რა უნდა ვიღონოთ?..

— საშვი... საშვი მინდა...

და შეწყდა კითხვანი. არა. შეიძლება კიდევაც ბეგრი რამ ეკითხა, ოღონდ მაინც აქ მივიღოდნენ. და შეწყდა კითხვანი. და ღუმელმაც ჩამოიარა. უნდა შეხვდეს. ნებართვა უნდა. ამ ნებართვისა არაფერი იცის. იუსტიციის საფებურებისა არაფერი იცის. სად რა წყდება არ იცის, სად როგორ რა ხერხდება არ იცის. რაღაც სირთულენი წარმოესახა, რაღაც აწეწა თვალთა წინა. თვალი გაეღო და ველარა ჰხედავდა ბაბულისა. მოჰხუჰავდა და ველარა ჰხედავდა, ვერა, ველარა — იწეწებოდა, მატყლისავით იწეწებოდა, მერე იბურდებოდა, ითელებოდა, მერე ისევ იწეწებოდა, იწეწებოდა და იწეწებოდა. აღბათ უფრო ადვილი იყო ყველაფერი, ხმალი რო კმაროდა. გმირობაც ეგება ადვილი გახლდა, იძრობდი ხმალსა და შეაკვდებოდი, თუ ვერა სძლევი შეაკვდებოდი. რამდენია ასეთი გმირი, — არის ასეთიცა, რო შეაკვდებოდა და მეტი არაფერი. ადვილი იყო, რას შეაკვდე, რო აღარ იცი, ცოტა ძნელია. არა და ბრძანებს, ისევე ბრძანებს, — თუმცა რო სთხოვს, მაგრამ ბრძანებაა, — ისევე ბრძანებს იგივე მბრძანებელი, ისევე უნდა გამოიჩინო თავი. ველად გაჭრა ემჯობინებოდა, ვეფხთან შეზამც ემჯობინებოდა. ველი ველი იყო, ტყე ტყე იყო, ქვაბი ქვაბი გახლდა, ვეფხი ვეფხსა ჰკავდა, ლომი ლომსა, მგელი, მგელსა, მელა მელასა. ჰკავდა. და აღარაა თუ აღარა ჰკავდა აღარაფერი აღარაფერსა; ანთუ ათქვეფილა, ერთქმნილია ერთსახედა, ერთხნედა, რო ვერაფერს ვერ გა-  
მოარჩევ, ვერცა რო მგლურსა,

ვერცა მელურსა, თუ გამოარჩევ-  
და ვაი დედასა!.. კიდევ კარგი რო ვერ  
გამოარჩევ: დაჟანგებია ხმალსა რო  
ფხაი, ჭერხოში გდია. აილებ და გადატ-  
ყდება ვადაში, ვერც რო მოიჭნევ, ანთუ  
მოიჭნევ, ისაა და ისა, ვერავის უწევ,  
ფეხიც რო წადგა, არც დაიზრიალებს,  
არც გაიწკრიალებს, ისევე დაეარდება,  
დარჩილული და დაძენძილი. ის თუ  
ეძენძება, ის თუ ეწეწება, — მატყლი  
არ იქნება, არა, ის იქნება: ხმალი და-  
ძენძილი, ხმალი გაწეწილი, შენ მხრებ-  
ჩამოყრილი თუ ყურებჩამოყრილი. ის  
მინც იქა ზის. ვითხრა ყველაფერი.  
ჯერი შენია. გელოდება. ნავს დააცუ-  
რებს, — ჰო, ჰო, ნავს დააცურებს, გა-  
დოწევს ძენძი, გამოჩნდება, ნავს დაა-  
ცურებს, იქავე, შენსკენ არ მოაცურებს.  
ტურფავ, ტურფავ, რას უყურებ, მოა-  
ცურე ჩემსკენ ნავიო, — თითქოს  
ასედაც წამოუკოკოტდა გული, თით-  
ქოს უნდა წამოიმღეროსო. და საიდან  
სადაო, მაგრამ მინც ამან თუ უშველა,  
თვალმა თვალად გამოიხედა, ძენძი მოს-  
ცილდა და — უშანგი შემოვიდა. შებ-  
რუნდა: მართლაც ასე ეგონა, გაილო  
კარი და უშანგი შემოვიდაო. ამოისუნ-  
თქა ერთი ღრმად, ცოტა შვებითაც  
ამოისუნთქა და ამოადევნა სიტყვაც ამ-  
დაგვარი, მომგვრელი შვებისა:

— ეიშოვნიო...

და წამოვიდა ნავი, წამოვიდა, მოცუ-  
რდა ნავი.

ერთად ვიყოთ და ვუცქიროთ, რო-  
გორ არწევს ზღვას ნიავიო.

იდილიაა.

— იმედი მქონდა...

ზღვა ირწეოდა და ირწეოდა ნავი,  
ირწეოდა ბაბული. იმედი მქონდა. აუხ-  
და იმედი. შფოთი მინელდა. და ირწე-  
ოდა ნავი. ირწეოდა.

— მეცა მაქვს იმედი.

სხვისიო, უშანგისაო, ეს აღარ მოუ-  
დევნებია ფრიდონსა, არა, ისე ირწეო-  
და ნავი, ისე მშვიდადა, ნებივრად ისე,  
სათუთადა ისე, შეაქანებდა უნებური  
ამგვრებაცა ასულის გულისა, ერთი, ერ-  
თი ამგვრებაცა, რო გაეგონა სხვისი

სახელი, როცა ამისი იმედი მქონდა,  
ვინ იცის, ვინ უწყის, როცა ზღვა არის  
გულიცა, გული ქალისა, ვინ იცის, ვინ  
უწყისო. წუთია ყველაფერი და გულიც  
წუთისააო. და მართლაც ვინ უწყის თუ  
როგორ განეცადა ბაბულისა, ზღვაზე,  
ზღვაზე, ნებიერი ლივლივის დროსა,  
ვინ იცის თუ ვით აჩქორობულიყო  
სული რომანტიკული, როცა ზღვაც  
ლურჯია, ცაც რო ლურჯია, რო უსაზ-  
ღვრობაა ასე წარმტაცი და სული უსა-  
ზღვრობის თანაზიარია, მართლაც ვინ  
უწყის, წამოჭრილიყო ქალი, გაუფრთ-  
ხილებლად რაღა თქმა უნდა, რო არც  
ესმოდა თუ რას სჩადიოდა, აყირავე-  
ბულიყო ნავი, და მიყოლოდა ქალი,  
მინებებოდა, რო არც დაეყვირა ისე,  
ზღვა რო ლურჯია, ლურჯი როა ცაცა,  
ნიავი რო ლურჯია, რო არწევს ზღვა-  
სა და უსაზღვრობაც რო ისევე ლურ-  
ჯია, სულიც რო ლურჯია, თანაზიარი  
უსაზღვრობისა. ეგება, რო ტყვიასავი-  
თაც წასულიყო ქალი ფსკერისკენა,  
ეგება ვაჟს მინც გადაერჩინა, რაც იქ-  
ნებოდა, იქნებოდა, ეცოდინებოდა თუ  
რას შეჰპოვოდა. მაგრამ აქ ნავი ქალა-  
ლისა გახლდა, და ისიც უკვე დაეკუწა  
ბაბულისა, დაეკუწა და აკოკოლავებდა  
ნაკუწებსა. და აღგება ვაჟი. და აღარ  
მინანაობს ნავი და აღარც არის  
ნავი და აღარც ზღვა აღარ არის და  
აღარც გადაბრუნდება ნავი და აღგება  
ვაჟი. ბაბული არ აღგება. გაერთობა  
თავისი ნაკუწებითა, გაერთობა. აკო-  
კოლავებს და მოალავებს, იქავე, მაგი-  
დაზედა რაღა თქმა უნდა, წრედ შემოავე-  
ლებს, მერე რო სხივებს შემოარტყავს  
წრესა, თითქოს რო მზეოა, ვარჯაა  
არა, ზაფხულისა არაო, შემოდგომისა  
თუ ზამთრის პირისაო, რო კანკალებს  
და რო უნდა გათბეს, რო უნდა და რო  
ვერა თბება, ვერც ესაო და თვითონ  
მზეც ვერა, მზეც რო გათოშილა, კან-  
კალებს მზეცა, თვითონ რო ვერავის მი-  
ეფიცება, მზეც ცხადია, არც რო იმე-  
დი არაფრისა აქვს იმა უსაზღვრო სამ-  
ყაროშია, მარტოღმარტოა, უპატრონო,  
მიუსაფარი. უიმედო და იმედი ყოველთა.

ეს ბაბულის მზეა. აურევს მზესა. უნდა რო უფრო ცხოვლად აქციოს, დავიწყებია თითქოს რო ვაჟი, ანთუ ჰგონია, რო უკვე წასულა, წასულა და ლამობს თავისასა, თუ ჰგონია, ცდილობს საცდელსა, იღვწის, რაც რო ძალუძს, იღვწის და ცდილობს, ეს შეეწევა აქედანა და შექქმნის კერპსა, კერპსა მზისასა, — კერპად ივარგებს, შექქმნის და ლოცულობს, შექქმნის და ევედრება; კერპად ყველაფერი ივარგებს, კერპად ყველაფერი ითქმის, ქვაცა, ხეცა და თურშე ნაქუწიცა ქალაღლისაი. თურშე არ ათბობს, ოღონდ კერპია მაინცა, კერპია და არც უნდა ათბობდეს, არა, ცხადია და რაღა თქმა უნდა, არც უნდა ათბობდეს, არც უნდა ირბეოდეს, შენ ისე უნდა ევედრებოდე, ევედრებოდე და გქონდეს იმედი, იმედი გქონდეს და ელოდე, ელოდე, მეტი არაფერი, ელოდე და ელოდე, გეშინოდეს და ელოდე, ელოდე და სთმობდე ყველაფერსა, რახან რო ელი, ოღონდ ელოდე, ელოდე და ელოდე. თითქოს რო უფრო უშნოც გამოვიდა. ველარც მოშალა. მოიქნია ხელი და გაუშეშდა. კერპია ძალოვანი. კერპი კერპია თუნდაც რო ნაქუწიო.

— სახელი მაინც დამიტოვე...

იტყვის ბაბული, ეგერ თითქოს რო გაშეშებული ხელითა, ანთუ თვითონაც რო აღარ ირხვევა, თითქოს რო თვითონა კერპი, მკაცრი, შეუვალი, მომთხოვნი, ვაჟაცს რო ინებებს მსხვერპლად, უბაღლო ვაჟაცსა, სხვა მსხვერპლი რო არ იცის და ყურადაც არ იღებს არა ვედრებასა, თითქოსაო რაღა თქმა უნდა.

— აღარ დავიკარგებნი.

დაამედა ფრიღონმა.

— მაინც?... იცი, რაღა არ დავარქვი, რაღა არა: „დაზმირი“ რო „დაზმირია“ ლამის ისიც დავარქვი, პა, პა. პა... ტარიელი და ავთანდილი ჰო...

— ფრიღონი არა?..

— არა!..

— არ შეცდებოდნი...

— რა დამემართა?!.

გაუკვირდა ბაბულისა. გაგულისდა

კიდევაცა, რო სულ ახსოვდა ტარიელი; ავთანდილიც ახსოვდა, გლანდებობდა ტარიელი, ავთანდილიც ელანდებობდა, ფრიღონი არა, ერთხელაც არ მოგვონებია, სახელადაც არა, მოლანდებით ჰო — არა და არა რაღა თქმა უნდა. ანთუ მაინც: რანაირი იქნებოდა ფრიღონი?... და მოხვეტა კერპი ბაბულითა, მოხვეტა, მოაგუნდავა. არც კერპი ყოფილა, არც ძალა ჰქონია, მართლა რო არ გაშეშებია ხელი. მოხვეტა მზეი, რო აღარ იყო მზეი, რო ნავი იყო და, რო აღარ იყო ნავი. ზღვა ჰო არცა ყოფილა. იყო ფრიღონი და ამოვიდა იმედი მზესავითა, ამოვიდა, ამოცურდა, ამოცურდა, ანთუ არა: ჭერ ამოატანა, მზემ ამოატანა. და იმედმა ამოატანა... სახეა, ხატოვნება, ხალხურია, ცოცხალია, დღესაც ცოცხალია. უნდა შეგახსენო, გრიგოლ ყიფშიძეს რო გამოუყენებია ერთ თარგმანშია, საუკუნის წინა, და ახლა, საუკუნის მერე, ვიღაცანი აპხირებიან, ეს რა არისო და სადაური რა არისო; უნდა შეგახსენო და უნდა მოგახსენო, რო ქართულია, რო ცოცხალია და მშვენიერია: მზემ ამოატანა, — მშვენიერია, დიდებულია, თუ ბიჭი ხარ და ბრძანე აბა უფრო ლამაზადა!..

## XVII

უშანგის გაუკვირდა: შენ რა გესაქმება მაგ ამბავთანაო, — თარგმანთან არა რაღა თქმა უნდა, — ხატების ძარცვისთან რა გესაქმებო. „მთხოვეს“. „ვინა?...“ „არის ერთი...“ „მანქანა რო დამიბრუნა?...“ „არა!...“ „არა?!...“ „არა!...“ „აბა?!...“ ფრიღონმა არ მიუგო. აღარც უშანგი ჩასციებია. დაპვიანებოდა. ეჩქარებოდა. მიეშურებოდა საიუბილეო საღამოზედა. მიეშურებოდა. წაიყოლია ფრიღონიცა, აიყოლია, წაიყოლია. მოთავებულიყო რო მისალმებანიცა, კონცერტიცა, ვახშამზედა მიეშურებოდა. იქ მაინც აღარ დავგავგვიანდესო. მიეშურებოდა. ფრიღონი უარობდა: არ დავუპატივივარ არავისაო. სირცხვილიაო. მე გაპატივობო, არწმუნებდა უშანგი: მე ისეთი სუფრა შევარც-

ზენე, სტუმარმა სტუმარი რო ვერ მი-  
იყოლოსო. არწმუნებდა. არ დაუჭერე-  
ბდა ფრიდონი ადვილად: შაშ ის რა-  
ლდაა ნათქვამიო, დაუბატიყებელი  
სტუმარი თათარზე უარესიაო. ჩვენი  
ნათქვამი ეგ არ არისო, ედავებოდა თუ  
უხსნიდა უშანგი, თარგმანია, ოლონდ  
თითქოს რო ჩვენიცა გვგონია, ეს იმი-  
ტომო, რო თარგმნილია უთუოდ იშთ-  
განა, ვისაც რო ჩვენზე ნაკლები შავი  
დღე არ დასთენებია თათართაგანაო;  
მერე რამდენგვარნი ყოფილან ეს თათ-  
რებო, ჩვენთვის მაინცაო, ჩვენი მტერი  
ყველა თათარია, ასე გვგონია, თათარიც  
რო არ იყოს, მაინც თათარიაო. მტერი  
მტერია და სტუმარი სტუმარო, არ  
აირევა ერთმანეთშიო. ზოგჯერ სტუმ-  
რობა მხოლოდ ფანდიაო, არ დაიშლი-  
და ფრიდონი თავისასა, ვაჭეჯილებული  
სტუმარი მტერზე მტერია, დუშმანზე  
დუშმანია და ის მაინც აღარ უნდა გა-  
მოაცხადო თარგმანადა, ნათქვამი როა:  
სტუმარს სტუმარი სძულდა, მასპინძელს  
ორთავენიო. თარგმანიაო, არ დაიშლი-  
და არც რო უშანგი თავისასა, ისიც  
თარგმანია, ესეც თარგმანია და ისიცაო:  
დილით ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს  
ვერცხლად იქცევი, თუ ცოტა კიდევ  
დახანდი, სპილენძად გადაიქცევი. თარ-  
გმანიაო, აბა რააო, ანდაზა თუ მეტა-  
ლურგიაო. უძველესი მეტალურგები  
გაბლავართო, შეახსენებდა ფრიდონი.  
მეტალურგია მეტალურგიადა და სტუ-  
მარი სტუმარადაო, არა სთმობდა უშან-  
გი, სტუმარი ლეთისააო, აი ეს არის  
ჩვენებური, ჩვენი ნათქვამი მხოლოდ  
ეს არისო. და რო პასუხი აღარც და-  
ცადა, სხვა რამ საბუთიც მოადევნა  
უშანგიმა: ეს ისეთი იუბილეა, ყველა  
რო იქ იქნება, ვინც სანახავია, იქ იქ-  
ნებაო, და ვახშობისას უფრო ადვილი  
დასაყოლებელია კაცი, ვიდრე კაბინე-  
ტშიო. ანდაზასავით გაისმოდა ესეცა,  
ისედაც გამოსთქვა უშანგიმა, ანდაზა-  
სავითა, ხმას აუწია, ხმოვნები გააგრძე-  
ლა, მახვილები განალაგა ისე იმგვარა-  
და, ლექსად რო მიიჩნევდნენ ვერლი-  
ბრისტები, ლექსადა, სიბრძნედა და ან-

დაზადა: ვახშობისას უფრო ადვილი  
დასაყოლებელია კაცი, ვიდრე კაბინე-  
ტშიო. მაგრამ: სუფრაზე პირობა ადვი-  
ლია, ოლონდ ესაა, სანდო არ არისო,  
— ეს აღარ დააცადა უშანგიმა ფრი-  
დონსა, ახიარა და თავისი გაიტანა, მი-  
დიოდა და წავიდა, წავიდა და წაიყო-  
ლია. დაავიანდათ. სადღაც ბოლოში  
ჩაიჭედნენ ძლივძლივობისასა, ჩაიჭედ-  
ნენ უხერხულადაცა თუ სახიფათოდა-  
ცა, კიბე სწორედ რო იქიდან ჩაიღოდა  
და თუ დაიძრებოდა ის იმოდენი ხალ-  
ხი, ერთბაშადა თუ დაიძრებოდა, ზედ  
გადაუქვიდა, ამათაცა და იქვე მსხლო-  
მთაცა, ალბათ აგრეთვე დაგვიანებულ-  
თა რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა.  
ნუ გეფიქრებო, ამშვიდებდა უშანგი,  
გამოცდილიყო და ამშვიდებდა, არ აიშ-  
ლებიან ერთბაშადო, ნელნელა გავლენ,  
ნელნელა აუწყობენ პირსაო, ერთი წყე-  
ბა რო მაშინვე გალავდება, გამოძლები-  
ან თუ არაო, ჩვენც გადავიწაცვლებთ  
და მერე თუნდაც ყველა წამოცვიდეს  
ერთბაშადა, ველარაფერს ვერ დაგვაკ-  
ლებენ, უკვე წინ ვიქნებით, იქვე საღმე  
თამადასთანაო. გამოცდილიყო. ჯერ მა-  
გრად ისხდნენ. ისხდნენ. გაძეძგილიყო  
ვეება დარბაზი, აივნებიც გაძეძგილი-  
ყო, ვეებაი აივნებიცა. ნემსი რო არ  
ჩავარდებოდა. გაძეძგილიყო. გაჰედი-  
ლიყო. არ გაისმოდა შრიალი ვერხვისა.  
შრიალებდა. არ გაიგონებოდა არც რო  
ჯახანი, თუნდაც ქარი რო ამოვარდნი-  
ლიყო, ისე გუგუნებდა გაძეძგილი დარ-  
ბაზები, აივნებიცა გაძეძგილი, ისე გუ-  
გუნებდა და ისე ჩაფლულიყო საქმეში,  
პირველთაგანში, ყველა ერთბაშადა,  
ყველა ერთდროულადა და გაფაციცე-  
ბულადა, ისე ჭამდა, ისე ლაპარაკობდა  
— ყველაი, ყველაი, ერთდროულადა და  
ერთბაშადა, გაფაციცებითა ერთნაირი-  
თა, არ გაიგონებოდა არც რო ჯახანი,  
მეხისტეხვაც არ გაიგონებოდა. თამადა  
უკვე დაესახებლებინათ. არჩევნების თა-  
ვიც აღარა ჰქონდათ. დაესახებლებინათ  
და აღარც ახსოვდათ, რო უნდა ედღე-  
გრძელებინათ თამადაი. აღარ ახსოვ-  
დათ, ბევრი აღარაფერი აღარ ახსოვ-

დათ, აღარად დაგიდევდნენ სუფრის ლაზათსა, რო უნდა ედღეგრძელებინათ თამადაი პურობის წინა, დამთავრებისასაც უნდა ედღეგრძელებინათ, აღარ ახსოვდათ, რო ეს გახლდა თავი და ბოლოი ქართული სუფრისა, თავი და ბოლოი, თავი და ბოლოი თავისი დიდი შინაარსითა და რო ეს იყო სწორედ რო ეპოსი, ქართული სუფრა რო ეპოსი იყო. აღარ ახსოვდათ. არც რო უშანგისა, სხვებს რო არა ვლიოთ, — იყალყებოდა, მონინშნავდა, საღ ადგებთან, რო გადავიანაცვლო. თამადაც ლანგარში ჩაფლულიყო, რაღაცას მიითრევედა დანაჩანგლითა, თვითონაც უნდა დანაყრებულიყო, რო აცილიდა, რო დანაყრებულიყვენ ყველანი, ერთი ფენა ჩაეღავებინათ, ცოტა მაინც რო მიწყნარებულიყვენ, რო მოესმინათ, საღღეგრძელო რო მოესმინათ. ვერხვს მაინც არავინ მიუგდებდა ყურსა, არავინ, ვერხვსა, ვერხვებსა, რო აჭრილიყვენ სახურავამდე, რო შემორტყმოდნენ რესტორანსა ირგვლივა, არავინ მიუგდებდა ყურსა, არც რო ვერხვებსა, არცა მტკვარსა, ისიც იქავე რო ღუღუნებდა თუ ჩიოდა რაღაცასა, თუ ღუღუნებდა, თუ ჩიოდა, არა არავინ მიუგდებდა ყურსა, არცა გრიალსა მანქანებისა, გრიალსა, გუგუნსა, გრუხუნსა, არა, არა, მტკვარსა და ვერხვების შუა რო მიჭროდნენ მიჭროდნენ და მიჭროდნენ შეუწყვეტლად, შეუჩერებლად. აღარ ესმოდათ. აღარ აღშფოთებდათ, ანთუ აღშფოთებდა რა მოსატანია, როცა არ ესმოდათ, — რა მოსატანია... ვერხვები თრთოდა, ესაა მხოლოდა, თრთოდა, ცახცახებდა, არა თუ ნიავისგანა, არა, საღ იყო ნიავი, — იქით კაცთა ჟრია-მულისგანა, აქეთ ამა გრიალისგანა, აღამიანი რო შესჩვეოდა. თრთოდა ვერხვარი. ვერხვები თრთოდა. ვერ ისვენებდა ვერც რო უშანგი, ყელყელაობდა ისევ ისევ, ესალმებოდა ნაცნობებსა აქა თუ იქა, იქითა და იქითა, შორსა და შორსა, ოღონდ მოეჭიდა თვალი როგორმე, ჩააცივდებოდა, თვალითა, თვალითა, აახედებდა უსათუოდა თუნ-

დაც რო ცხვირდახრილსა თავის თვფ-შხედა, აახედებდა, დაუკრავდა თავისა აათამაშებდა ხელსაცა ისე, რაც რო გენება იგულისხმებდი, ოღონდ რო კარგსა, მხოლოდ რო კარგსა, აათამაშებდა, აიყოლებდა და თან ფრიდონსაც ეტრამახებოდა, ჰო გითხარო, ყველანი აქ არიან, ჰო გითხარო, ეტრამახებოდა და ნიშნაც მოუგებდა. უთხრა და იყვენ, თვალში უცვივოდნენ იუბილარსა, იმ წინებზეცა, იქაც რო კარგად გაეღვა ფეხი, აქაც გაეჭვილებინა. მოესწრო. მოესწრო. გაეჭვილებინა. დანაგრულად მოჰქონდა თავი, იმ წინებზედა რაღა თქმა უნდა, პირში თქმისათვისა, სიმართლისათვისა იმ წინებზედა რაღა თქმა უნდა. თავი მოჰქონდა, ასე მოჰქონდა. რა წამებული, რომელი წამებული, ასე ვერავინ გამოიდებდა თავსა. ვერა, ვერა, ორი იუბილე რო უკვე გადაეხადა, ყველა ხარისხი რო მიენიჭებინა, რო აღესებულიყო ნიშითა, — მართლა ნიჭი რო არ გეგონათ, ზედწოდებანიც ჰო ნიჭად ითქმის: მიენიჭო, — დიახ, ნიჭითა ყოველივეთი, აღვსილიყო თუ რო აღევსო, გამოიყურებოდა მაინც დანაგრულად, რო ძლივს ეღირსა, ვითომა, ვითომა, რო ამოესუნთქა, რო აეხილა თვალი. გამოიყურებოდა ისე. ირწმუნებოდა ისე. ამოესუნთქებდა ისე, ამოესუნთქებდა ისე, თქმაც აღარ უნდოდა, ამოესუნთქეო. და ეხვივნენ გარსა ქვეშევრდომნი თუ მოწაფენიო, იმ წინებზეცა და ამ მოსწრებაზეცა, ეხვივნენ და სწავლობდნენ სუნთქვასა, იმ გვარსა, იმ დარსა, სიტყვაც რო აღარ დასჭირებოდა, ისე გაგვგოთ თუ როგორ იბრძოდნენ და თუ როგორ იჩაგრებოდნენ, და მაინც როგორ თუ არ ეპუებოდნენ არავისა და არაფერსა, არა, არავითარ შემხვევაში, თუშცა განიცდიდნენ დევნასა ისეთსა, რო არ მოჰკლებიათ რბილი სავარძლები, აღმატებითა და აღმატებითა, არც რო წოდებანი არ მოჰკლებოდათ, არც რო ჭილდოები არ მოჰკლებოდათ, ლიპებიც ასხდათ კაი გვარიანი, ლოყებიც ისე ჩაბუებუებოდათ,

უკრიალებდათ თუ უსხიოდათ ღაწვის თაგები ისე, ისე, იმდაგვარადა, რო ვერ მოიშორებდნენ იერსა თვითმკაყოფილებსა, როგორც არ უნდა შეეერთ კოპები, ვერა, ვერა, ვერ მოიცილებდნენ, ვერ დაჰფარავდა ღრუბლები შუბლისა, ვერ დაჰფარავდა. ესაა თუ თავს ჩაჰკიდებდნენ, თუმცა და რაო, მიინც ასდოდათ აღმური სიამისა. და თუ მაინც თავს ჩაჰკიდებდნენ, ალბათ თუ ითვლიდნენ, თვითონ თუ როდის მოუწევდათ იუბილეი, თვითონა, თვითონა, იგივე ხალხი თუ როდის მოიყარდა თავსა, იმავე დარბაზებში, იმავე გრიადითა, იმავე როხროხითა, მხოლოდ თვითონ რა იჭდებოდა თავში, იქ არა, არა, ახლა სადაც იჭდა, იქა — თავშია, სადაც რო ის დაბრძანებულიყო, ისა, იგი, ხელოვანი სწორუბოვარი, რომლის თუნდაც რო ერთი ამოსუნთქვა, ამოიხვრაც არა, ამოსუნთქვაი თავისებური, ერთი, ერთი ამოსუნთქვაი, ყველაზედ ტრაგიკულ მონოლოგს რო უღრიდა. უღრიდა მიინცა თუ არა სჰარბობდა. თუმცა რო კმარა უღრიდაცა. კმარა. ზოგს კიდევ მოესწრო იუბილეი, კიდევ ელოდა, ანთუ იმას რო აღარად ღვდებდა, შესტრფოდა მომავალსა, ზოგი ესაა, პირველად ელოდა, ზოგი სულ მალეო, ზოგი ცოტა გვიანა, ზოგს ეტყობოდა, დაავიანდებოდა კიდევ დიდხანსა და აკრაქუნებდა კბილებსა, მუშტს მუშტზე ურტყამდა, თავის მუშტსა თავის მუშტზედა, წლები რა არის, რა მოსაგონია, როცა გენიოსებს გენიოსობა თავიდანვე თან დაგეყოლიაო, მადლობა ღმერთსა, კიდევ ეს წლებიო, მადლობა ღმერთსა, თორემ ვილა აუვიდოდა ამდენ იუბილესა, ანთუ იმდენ იუბილესა, ჭერ ამდენსა და მერე იმდენსა, — ვილა აუვიდოდა. მოდებულიყო „ტანჯულის კომპლექსი“ და მკურნალობდნენ იუბილეებითა. „კომპლექსი!“ ჩაიკისკისა ქალმა ფრიდონის გვერდითა, მომალლომა თუ მაღალ-მაღალმა, ყარყარამა, ყელყარყარამი, მერე ხმელხმელი პოეტი იჭდა, იმან არაფერიო, ვითომც არაფერიო, მერე ქა-

ლი რო მოჰყვებოდა, ჩაიკისკისა იმანცა, გაიმეორა, კომპლექსიო და ჩაიკისკისა, აგრეთვე მაღალმა თუ მომალლომა, რო ჩაჰარგულიყო ხმელხმელი პოეტი ამათს შორისა, თავიც ჩაელუნა, ვითომ რო არც ესმის და ვითომც რო არაფერ შუაში არისო; ჩაელუნა და ასწევდა ფრთხილად, ოდნავა, შემპარავდა, არა თუ ისე, უშანგვივითა, გამომწვევადა, არა, ფრთხილად და აუკვირვლადა, ასწევდა და წაასწრებდა რო ვილაცასა, ჩაელუნავდა ისევ ილავე, ვითომც ფიქრებში ჩაძირულაო და იტყოდა მწვავედა, დამცინავდა, მოსწრებულადა, ოღონდ ხმადაბლადა და ამოიჭრებოდა კისკისი იგი, ანთუ ცალცალკე, ანთუ ერთდროულად, ამოიჭრებოდა და მოედებოდა, მოედებოდა და ჩამოივლიდა, ეგრე ღობურადა, აქეთაცა და იქითაცა, ჩურჩულადა და ქიჩქილადა, ჩურჩულადა და სისინადა, ჩურჩულადა და როხროხადა, ისევ კისკისადა თუ ისევ ქიჩქილადა, ვისაც როგორ ეხრახებოდა, ჩამოივლიდა, შემოივლიდა, მოედებოდა. ის ვითომდა არაფერიო, ხმელხმელი პოეტი, ქადი აელო და ეფერებოდა, ისეთი კარგია, დაგენანება რო გატეხიო. ფრიდონიც ვითომ არაფერიო, ანთუ მართლაც რო არაფერიო, გადმოიხრებოდა კისკისა ქალი, ეტყოდა და გადაეციო, — გადასცემდა და მეტი არაფერი, არც გაეგებოდა, არც ეციებოდა, ვისა გულისხმობდა, რასა გულისხმობდა, არცა კითხულობდა, არც უკვირდებოდა, უშანგვიც ასევე, — მიიღებდა და გადასცემდა, არ ენალვებოდა, ვის თუ დასციონდნენ, ოღონდ არავინ გამოჰპარებოდა, ყველა შეენიშნა, ეძღვნა სალაში ნაცნობთათვისა, უცნობთათვისაცა, თუ ეგონებოდათ, ემანდ ჩვენ პო არ გვესალმებო, არ ენალვებოდა და არც ეცაო, წამოიჭრებოდა კიდევცა, ეახლებოდა, თუ მიუღებოდა რაღა თქმა უნდა, გაიჭედებოდა სკამებს შორისა, გადააწოდებდა ხელსა, ჩამოართმევდა, იჭვე მსხდომებსაცა, ჩამოართმევდა, ხელს ჩამოართმევდა, ჩამოჰყვებოდა

ლამის რო მთელ რიგსა, მერე ფრიდონს ანუგეშებდა, შენ ფიქრი ნუ გაქვს, აქვე გაგარკვევთ ყველაფერსაო. აქ ისევ ისე კისკისებდა ქალი, და ისევ ისე უჩურჩულებდა, რაღაცას ისეთსა, ყველა სიტყვა რო მკაფიოდ ესმოდა, აზრი რო მაინც ვერ გამოეტანა და იცინოდა ფრიდონიცა ზრდილობისათვისა და უხაროდა ხმელხმელ პოეტსაცა, ეს უცნობიც რო აიყოლია. წამოეწოდებოდნენ წინიდან ვილაცანი, წაეწოდებოდნენ კისკისისა ქალებიცა, ერთი სიტყვითაც ესმოდათ ერთმანეთისა, თვალის ჩაკვრითაცა, ერთი თავის გადაქნევითაცა, უცხოოდ იჯდა მხოლოდ ფრიდონი, რო არც აპირებდა მოშინაურებასა. შენ ფიქრი ნუ გაქვსო, ამხნევებდა უშანგი, აგერ ისაო, ისიცაო, კიდევ ისაო, შენ არხეინად ბრძანდებოდეო. და ბრძანდებოდა და ეტყოდნენ და იცინოდა უგულოდ და უაზროდა. ვილაცა დაობდა შეერთებულ იშტატების პრეზიდენტის არჩევნებზედა, ანთუ გამოსთქვამდა პროგნოზებსა და რატომღაც ფრიდონის დამოწმება უნდოდა, ალბათ იმიტომა, პირდაპირ რო იჯდა ფრიდონისა, ანთუ იმიტომა, მაინც რო ნაკლებად იცინოდა, სხვებზე ნაკლებად, სხვებზე მოჭრილად, ნაძალადევადა ერთისიტყვითა. საერთაშორისო მიმომხილველიაო. გააცნო ქალმა, კისკისა ქალმა, ტელევიზიისაააო, დასძინა ესეცა, ხმელხმელმა პოეტმა რო დასწია თავისკენა, რო არც იმისი გაშვება უნდოდა და ესეც რო უნდოდა დაემთავრებინა. კარგი რამას რო მიმომხილველს არ გაუგონია, ითაკილებდა რალა თქმა უნდა. ფრიდონს რო რაო, — ესეც ისევე გადასცა უშანგისა. მოხარულს ვიცნობო, ჩაიჭინია ხელი უშანგიძა.

და ის იყო, რო თამადამაც იდროვა ალბათაო, ადგა ალბათაო, რიგთა იქითა, წყებათა იქითა და ჩაპუგუნა მიკროფონსა; ეს აქედანა, ფრიდონისაგანა, თორემ ის პო თავად ითქმოდა, სუფრის თავადა რალა თქმა უნდა; და ჩაპუგუნა მიკროფონსა, ჩაპუგუნა და ჩაეხეოდა ალაგალაგა გუგუნა ხმაი, ან-

თუ უფრო ბუხუნა ხმაი, ჩაეხეოდა და ჩაეფხრიწებოდა: მე ვაღღაგრძელებ სახელოვან იუბილარსაო, კაცსა, ხელოვანსა, ხელოვანთა ხელოვანსა, მებრძოლთა მებრძოლსა, მხოლოდ ზრუნვაში რო დასთენებია, ზრუნვასა და ბრძოლაში რო დასთენებია, და რო ასევე დაჰლამებია ყოველი დღეო. „დედა, დედა, დედა, დედა...“ შეაქრიალა ხმელხმელ პოეტსა. ზღაპრული ნიჭი და საარაკო ძალონე მხოლოდ ხალხის სამსახურისათვის რო გადაუღვია და თავის თავი არასოდეს გახსენებიაო, იუბილარსაო რალა თქმა უნდა, თამადა ბრძანებდა რალა თქმა უნდა და მიადევნებდა ხმელხმელი პოეტი: „დედა, დედა, დედა, დედა...“ მიადევნებდა, მაგრამ იზზობოდა, მიკროფონი რო გადადიოდა ზედა, რო გადადიოდა ბუხუნი იგი ჩაეხეულიო თუ ჩაეფხრეულიო: გადაულახავს დაბრკოლება უამრავიო, წინააღმდეგობა აურაცხელიო, გამოუვლია ტანჯვა-წამება ერთი უთქმელიო, მაგრამ წარბიც არ შეუხრია, არ დაუთმია ერთი წუთითაცა უმაღლესი იდეალებიო. „დედა, დედა, დედა, დედა...“ ასდევდა უფრო აწეულადა და გუგუნებდა მიკროფონიცა უფრო და უფრო: და მე ვამაყობ, თამადის სიტყვებია რალა თქმა უნდა, რო ჩვენ ერთად ვიყავით იმ დიდ ბრძოლებშია, დევნა ჩვენ ერთად გადაგვიტანიაო. ვამაყობო. „აჰაუ!..“ აუწია ხმელხმელმა პოეტმა, თითქოს მიკროფონი რო ჩააჩუმაო, და:

— აჰაუ!..

იგრგვინა ბურთა პოეტმა სადღაც იქითა, მოშორებითა, იგრგვინა და ზეწამოიჭრა, ანთუ აბტაო, — აბტა სჯობიან, ბურთა რო გახლდა, აბტა სჯობიან, აბტა და ყველა აიყოლია: აბტენ თუ აიჭრნენ და დასცხეს ტაში და დაიგუგუნა მრავალყამიერმა და დასცხეს ტაში და იმღერეს ესტრადის ბიჭებმა და დასცხეს ტაში და იმღერეს ესტრადის გოგონებმა და დასცხეს ტაში და იმღერა მეფანდღურმა და დასცხეს ტაში და მესტერიემა და იმღერა და დასცხეს ტაში და ბტოდა ბურთა პოეტი და

ხტოდა და ხტოდა და დაიგუგუნა მრავალამიერმა ერთხელ კიდევა და დასცხეს ტაში ერთხელ კიდევა, ჭერჭერობითა რაღა თქმა უნდა. ვადიგრიხა ტირიფნარიო. ვადიქცაო. ამწეებით წამოაყენესო. რაღას არ იტყვიან, ისეთი რა ტაში იქნებოდა, — გაზვიადებაა რაღა თქმა უნდა. შემატიანე არ გამოსტოვებდა, იყოს აქაცა და ისიც იყო, რო ამტყიცებდნენ, ჭერი ჩამოიქცა, ამობრუნდა იატაკიკაო, ტაშისაგანაო, ტაშისაგანაო, იყოს, რა უჭირს, ვინც უნდა დაიჭეროს, ვინც უნდა არა, ისეც პო არა სჯერათ ყველაფერი, მართალიც არა სჯერა ყველასა. მართალიც არა. მაინც თუ რაც იყო თუ როგორც იყო, სიტყვა ინება ბურთა პოეტმა, ბურთამა თუ გოდორამაო, ინება და ვერ გააგონა, მიკროფონთანაო, შეუძახეს და შეუძახეს. იქიდან იცოცხლე რო გაავონა: მე ვამაყობო, იუბილარი რო ჩემი პირველი მეგობარიაო, სხვა ტყუილად დაიტრიაბახებსო, ვგმობდით სიაეესა, სიკეთესა ვთესდით, მსხვერპლად გადაგველო ჩვენი თავიო. „დედა, დედა, დედა, დედა...“ აქ უკვე გაისმა ერთხანტილიანადა, დარბაზს მოედო, ისე გაისმა, მაგრამ დაძვარა ბურთა პოეტმა, ვაშაო, ვაშაო, ღრიალებდა რო მიკროფონშია, მერე ყანწი რო მოიყუდა, მერე „კინტაური“ რო ბრძანა და რო ბუქნიდა. ბუქნიდა, რო აღარ ახსოვდათ, ისეცა ბუქნიდა, ბუქნიდა და შეჰკიეინებდა, შეჰხაროდა ასე თავის თავსა. ბურთა პოეტი. შეჰხაროდა. აღარ ახსოვდათ თუ აღარ ეცალათ, რო გამართულიყო რიგი მიკროფონთანა, რო ზოგი ურიგოდაც მიიწევდა, რო დაესწრო სხვებისთვისა, რო ეჭო იუბილარი, ეჭო და ეჭო და რო ემტყიცებინა, ჩვენ ერთად ვიბრძოდითო, არც რო არავის ედავებოდა იუბილარიო, რაღა თქმა უნდა, ყველას თავს უქნევდა, ჰკოცნიდა ყველასა. რიგმა უწია ამბროსისაცა, ურიგოდ არ წასულა — ამბროსი, პროფესორი ფრიდონისაი, ყოფილი ცხადია, ამისი ყოფილი, თორემ პროფესორი ისევა და ისევა, გენადისაცა უწია რიგმა, ნესტო-

რსაცა, ერთად უწიათ, ფრიდონი დიბნა. არც თვალს უჭერიდა, არც ყურს უჭერიდა. ფრიდონი გაამევეს, არც თვალს უჭერიდა, არც ყურს უჭერიდა ფრიდონი ცხადია. უნდოდა ეკითხა ყარყარა ქალისთვისა, ნეტავი ესენი ვილანი ბრძანდებიანო, მაგრამ არ ეცალა ყარყარა ქალსა, პოეტს უსმენდა, არ ეცალა, მერე ალბათ ამოიკისკისებდა, მერე ალბათ გადმოიხრებოდა ამისკენა, გადმოიხრებოდა და უჩურჩულებდა, უჩურჩულებდა და ველარაფერს გაიგებდა ფრიდონი, სიტყვებსაც ვერა, სიტყვებსაც ველარ გაიგონებდა, რო აღარც ესმოდა იმა მრისხანე სამეფლისაი, ამისთვის მრისხანესი, რო ჩამოკიდებოდნენ კისერზე იუბილარსა, ლამის სამივენი რო ერთადაო. მოეთაგებინათ სათქმელი სათქმელადა, კოცნა კოცნად უნდა მიეძღვნათ. მიკროფონი მიერეკებოდა თავისასა. რიგი რიგს მისდევდა თუ მიიწევდა ზოგი ურიგოდაო, როგორც რო იყო, აღარა კისკისებდნენ ყარყარა ქალები, აღარც ხმელხმელი პოეტი ქირქილებდა, ხალისი მიუწყდა თუ გაბეზრდა ისიცა, გაიბუსხა, გაიბუსხა, აღარც ტაშს უკრავდა, აღარც ფეხზე დგებოდა, რო წამოიჭრებოდნენ ყველანი, მერე დანა-ჩანგალს დაავლო ხელი, ჭერა ლესავდა, მერე ურტყავდა ერთიმეორესა ეს მოეწონა და ურტყავდა და ურტყამდა, როცა ლაპარაკობდნენ, მაშინაც ურტყამდა ერთიმეორესა, ხან ბოთლებს ურტყამდა, რიტმს ეძებდა თუ მელოდიას ეძებდა შესაფერისსა ორატორისა, ეძებდა და ჰპოებდა, აადევნებდა, ააყოლებდა, და ერთობოდა, ახლა ამითილა ერთობოდა. მოიწყინეს ყარყარა ქალებმა აღარა კისკისებდნენ, მხოლოდ ტაშს უკრავდნენ, უკრავდნენ და უკრავდნენ.

და ამასობაში სადღაცა მაინც მოახელა ადგილი უშანგიმა. ვადინაცვლა. დაითრია ფრიდონიცა რაღა თქმა უნდა, ოლონდ ესაა, რო მერე ისეც აღარ ეცალა ფრიდონისათვისა, რო მოიკითხავდა და ეგულთიადებოდა ახალ მეზობელთა, რო ანიშნებდა მოშორებუ-



ლთაცა, მალე მანდ ვიქნები, ნუ გეფიქრებათო. და ისევ მარტო დარჩა ფრიდონი, მართალია ისევ ქალებში, ლამაზ ქალებში, მაგრამ ისინი გართულიყვნენ თავიანთთვისა, ცოტა დაელიათ, წამოგზნებულყვნენ ცოტა და ტყესა ნატრობდნენ. ტყესა. ახსენებდნენ „ჰელენ მირენსა“, შოტლანდიაში ტყე რო შეეძინა ერთ კინო ფილმში მონაწილეობის საფასურითა. ტყე. „ტყე!“ და ნაბადნენ თვალებსა ფრიდონის ახალი მეზობლები, ცოტა რო დაელიათ, ცოტა რო წამოგზნებულყვნენ, მსახიობები თვითონაცა, მსახიობისა რო შურდათ, როგორც რო მიუხვდა ფრიდონი თუ სწორად მიუხვდა, თითოთოროლა როლი რო მიეღოთ არტისტული კარიერის გარიერაზედა, თითოთოროლა უხვირო რეცენზია რო ჩაეკრათ ალბომებში, სქელ-სქელ ალბომებში, დანარჩენი ფურცლები რო ელოდა და ელოდა ახალ ჩასაკრებსა, ესენიც რო ელოდნენ და ჰქნებოდნენ მოლოდინში, როლების მოლოდინში, ჰქნებოდნენ და ჰქნებოდნენ, გზადაგზა წოდებებს მაინც მიიღებდნენ და ჰქნებოდნენ მაინცა მოლოდინში ისევ და ისევე, წვრილმალ ინტრიგებში და მოლოდინში ისევე და ისევე. ახლა ეს ტყეო. მაინც დამაინც ტყე რატომო, ამდენი ვეღარა გაიგო ფრიდონმა. „ტყე...“, „ტყე...“, „ირბინე შიშველი...“, „ევა...“, „ჰა ჰა ჰა ჰა...“, „ეზის ფოთოლი...“, „ჰა, ჰა ჰა ჰა...“, „ტბა შუაგულ ტყეში...“, „ისეუბნენ...“, „ჰა ჰა ჰა ჰა...“ ცოტა დაელიათ, ცოტა ასე წამოგზნებულყვნენ. თითქოს რო დაადგეს ვაზის ფოთოლი, თითქოს რო მართლაც გადაეშენენ ტბაშიო. და უნებლიედ დაბუჭა თვალეზი ფრიდონმა და საიდან სადო და თითქოს აი: უნდა დაეცესო და გამოკრბის შიშველი ქალი და მოსდევს მწვერვალეზი თოვლიანი და ცაც მოსდევს ლურჯი და მორბის და მოსდევენ, მივუსწოთ როო, რო არ დაეცესო. ეს მოჩვენებაშიო, ხოლო სინამდვილეში ისევ უშანგი გაიტაცებს ფრიდონსა, გადაინაცვლებს და გაიტაცებს.

კიდევ და კიდევ გადაინაცვლებს, მოხვდება რო მწერლებშიცა, მკითხველებშიცა, ექიმებშიცა, აგრონომებშიცა, პარტიულ თუ სამეურნეო მუშაკებშიცა, ვაჭრობისა და მრეწველობის მუშაკებშიცა, პრესისა და ტელევიზიისა აგრეთვე, მეცნიერებშიცა სხვადასხვა დარგისა, ძლივას რო ერკვევა თუ ვერც ერკვევა, ფრიდონი, ადვილად რო უშინაურდება უშანგი, ზოგს რო მანამდეც დაშინაურებია, დანარჩენს უმალვე მიიხუტებს გულზედა და მიიწევს, მიიწევს ცენტრისკენა, იურისტებიც იქით მოიწვევენ, ისინი იმ შორეული ნაპირებიდანა და იქ შევხვდებითო, ცენტრში შევხვდებითო, შესცინის ფრიდონსა, შესცინის და მიიწევს, მიიწევს და მიათრევს. თხელდება სუფრები, იქ არა, ცენტრშია, იქ ისევ ჰვდება, იქ ისევ რიგია, მიკროფონთანა, აქეთა და აქეთა, იქითა და იქითა, თხელდება და მრგვალდება, ნაწილდება, ცალკალკედება, ყველა თავის თამადას ირჩევს, საკუთარ თამადასა, ყველას თავისი სადღეგრძელო მონებებია და საკუთარი თამადაც იმითამ უნდა, ახლოს უნდა, რო ვერ მოსწვდება იგი შორეული, ჯერ იუბილარსაც რო ვერ მორჩენილა. ვერ მოსწვდება; ვერ გასწვდება. დანაწილებულა. გამოყოფილა. და შეეგებებოდნენ უფრო თამადად უშანგისა.

და სთავაზობდნენ შემოსწრებისასა.

და სემდა ისიცა, ვინ უწყის მერამდენე შემოსწრებისასა.

და შეზაროდნენ ისევე ფრიდონსაცა, სთავაზობდნენ რო შემოსწრებისასა იმასაცა რალა თქმა უნდა.

და უარობდა ფრიდონი.

და უხსნიდა ფრიდონი, უკვე დავლიეო.

და ვერ არწმუნებდა ფრიდონი, რადგან რო ასე გამოყოფილყვნენ და სხვაგან დალოცა სხვაგან ვერ გასკრიდა.

და ურჩევდა უშანგი, დალიე, ნუ ჯანჯლობ, მაინც ჰო არ მოგეშვებია.

და არც მოეშვებოდნენ და უფრო  
 ჭირვეულობდნენ ურჩი თამადები, ურ-  
 ჩი ფეოდალები, უფრო მოკლე გახლდა  
 მათი სადღეგრძელოები, უფრო სწრა-  
 ფი, უფრო ცოცხალი და მზიარული. იქ  
 რო ისევ იღგა რიგი მიკროფონთანა,  
 რო არ იშლიდნენ თავიანთსასა მეზოტ-  
 ბენი და თავის მაჭებარნი, რო არ იშ-  
 ლიდნენ და არც დაიშლიდნენ, ჭვეყანა  
 რო გადატრიალებულიყო. არ დაიშლი-  
 დნენ. ჰოოო... ეს ალბათ თუ ძალიან  
 ძველია, ჭვეყნის ტრილი რო სასწაუ-  
 ლი ეგონათ, — ძველია ალბათა, ძალიან  
 ძველია, ახლა მხოლოდ რო მეტაფორაა  
 და სუფრაცა იგი ასევე რო გამოიხა-  
 ტოს, მეტაფორულადა, ითქმის: რო  
 ფეტქდება, ირღვევა, იშლება კიდურე-  
 ბი თუ წვეროები, მწვერვალები თუ  
 მთაგრეხილები იშლება და იკვრის,  
 იკუმშება, მჭიდროვდება, მკვრივდება  
 ცენტრისკენა, როგორც რო ვითომ დე-  
 დამიწო, როგორც რო გული დედამი-  
 წისა, როგორც რო ზოგი სწავლული  
 გვიხსნის, მკვრივდება და მკვრივდება,  
 ქერქი რო იშლება, ირღვევა ქერქი,  
 ჭერ უკიდურესი ნაწილებიდანა, მწვე-  
 რვალებიდანა, მთაგრეხილებიდანა, ალ-  
 პებიდანა, ჰამირიდანა, ანდებიდანა,  
 კლიმინჯაროდანა, კავკასიონიდანა, იშ-  
 ლება და სწორდება, სწორდება და  
 ტრამალდება, ვითომ რო ტრამალდება,  
 ანთუ როგორც რო სხვანი კიდევ სხვა-  
 გვარად გვიხსნიან, თითქოს რო ვარვარ-  
 რებს გული დედამიწისა, თითქოს რო  
 ვარვარმა ამოზიდა ქერქი, მთაგრეხი-  
 ლები, მწვერვალები ამოზიდა ვარვარ-  
 მა, ამოზიდა და კვლავაც ამოზიდავს,  
 აღარ იქნება თითქოს რო ბარი, ტრა-  
 მალები აღარ იქნება, იქნება მთები,  
 მთაგრეხილები და წყალი იქნება, —  
 წყალი, წყალი, წყალი; იყოს ასე მე-  
 ტაფორადა, აქაც რო ასე იკუმშებოდა  
 ცენტრი სუფრისა, გული სუფრისა, იკუ-  
 მშებოდა და ვარვარებდა. იშლებოდა  
 კიდევაცა იქით იკუმშებოდა, აქეთ იშ-  
 ლებოდა. იყოს რაც არის. და გუგუნე-  
 ბდა მიკროფონი, ზუოდა, ბზუოდა მი-  
 კროფონი, ხაოდა, ჭყაოდა, ჭიჭყინებდა

მიკროფონი, ბუებუყებდა, ტიტინებ-  
 და, ლიკლიკებდა მიკროფონი, წუწუ-  
 ნებდა, ტრამახობდა, ნანობდა, იქაღი-  
 და მიკროფონი, როგორც რო ენება,  
 ანთუ ვინ თუ როგორ მიღებოდა მიკ-  
 როფონთანა, როგორი რიხითა, ხმითა  
 როგორითა, განზრახვითა როგორითა  
 თუ ჭკუითა როგორითა, მიკროფონი  
 რაო, — ჭვევრი რაო და მიკროფონი  
 რაო, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებ-  
 სო. ხოლო აქეთ ჰო ყველა თავისთვის  
 ჩაბუდებულყო, ზეიმობდა ყველა თა-  
 ვისასა, ოჯახი ოჯახის სიხარულსა, მე-  
 გობრები მეგობრობის სიხარულსა, და-  
 ჭილღობული ჭილღოს სიხარულსა,  
 ვილაცა ძეობასაც იხდიდა იქვე, ვილაცა  
 თავის იუბილესა, ისიც რო იმავე  
 ხნისა ყოფილიყო, იმა ნამდვილი იუბი-  
 ლარისა, რო იმაზე ნაკლებადაც არ  
 მიაჩნდა თავი და რო კმაყოფილდებო-  
 და ამითაცა, ამ თვითმარქვია თამადის  
 სადღეგრძელოთიცა, ამ მიჭახუნებითა-  
 ცა ჭიჭებისა, გარეშემონი რო უჭახუ-  
 ნებდნენ, თავს უკრავდნენ და უჭახუ-  
 ნებდნენ; ვილაცა ცოლს შერიგებოდა,  
 იქ ულოცავდნენ შერიგებასა, ვილაცა  
 გაპყროდა და გაყრას ულოცავდნენ,  
 ცოლთან გაყრასა, მოჰხვდნენ იმათში-  
 ცა უშანგი და ფრიდონი, იმათაც მიუ-  
 ლოცეს, და მიულოცეს მექორწინეთა-  
 ცა, იქაც რო მოჰხვდნენ, ოლონდ ესაა  
 რო ვერ გაარჩიეს, მართალი იყო თუ  
 ხუმრობა იყო, ჭიჭები მაინც გამოაც-  
 ლევინეს, ისე არ გაუშვეს რალა თქმა  
 უნდა. მართალიც იქნებოდა, ვარაუდო-  
 ბდა ფრიდონი. და როგორცა სჩანს, აქ  
 ყველაფერი მართალია იუბილესი გა-  
 რდო. ამასაც ფრიდონი ვარაუდობდა,  
 ოლონდ თუ სწორე ვარაუდობდა, სა-  
 კითხავი იე ეს არის. თვითონ მაინც  
 ისე დაიბნა, ვილაცის სკამზე აღმოჩნდა  
 უცება, ის ისაა რო წამომდგარიყო, ან-  
 თუ წინ რო გადაწოდებულყო, ალბათ  
 ჭიჭას რო უჭახუნებდა, მიუჭახუნა და  
 დაჭდა ისევე, დაჭდა და დაჭდა ვილაცის  
 მუხლებზე, — ფრიდონის მუხლე-  
 ბზე რალა თქმა უნდა, მაგრამ ის ჰო  
 ამას არ ელოდა, არც რო ფრიდონსა

და არც იმის მუხლებსა რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა. ისე დაიბნა, ფრიდონი დაიბნა, ველარც მოასწრო მოებოდიშა, სკამი მოეცალა ველარ მოასწრო, თვითონ ის გაეარდა ბურტყუნითა, ვერ წამოდგებოდა ერთი წამითაცა, მაშინვე სკამს გამოგაცლიანო. ვილაცა ურჩევდა წელზე შეიბო. ვილაც არ ურჩევდა, ანთუ ურჩევდა, შენ კიდევ სხვას გამოაცალეო. ეტყობა, რო ჭკუაში უჯდებოდა რჩევაი ესე, ეს ბოლო რჩევაი, ახამხამებდა თვალებსა ისე, დაატარებდა თვალებსა ისე. ფრიდონმა მაინც ველარ გაიგო, იმან თუ ვილას გამოაცალა სკამი, გამოაცალა თუ ვერც გამოაცალა, ველარ გაიგო, ისევე უშანგიმ რო გაიტაცა, ამოიტაცა და გაიტაცა, გაიტაცა და გაიტაცა და ერთიცა უნახოთ, მოხვდნენ ისეთებშიცა, შემოსწრებისაც რო არ შესთავაზეს, აზამბარიც რო არ დააძალეს, ზედაც არ შეჰხედეს და თუ მალე არ გაეცლებოდნენ, ესენი ცხადია, თვითონ ადგებოდნენ და გაიკრიფებოდნენ, ისინი ცხადია. აღეწილიყვნენ. დაობდნენ. ცხარობდნენ. ერთმანეთს შეჰბმოდნენ თუ ერთზე დაობდნენ, ერთ ვილაცაზე თუ ერთ რაღაცაზე, ამით ვერც მიუსწრეს, მოსხიპეს მაშინვე, მიუახლოვდნენ თუ არა ესენი, დადუმდნენ, გაქვავდნენ, ჩაჰკიდეს ცხვირი, — ზოგმა კაი მოსწრებული ცხვირი, ზოგმა სოთი ცხვირი, ზოგმა გაფახული, ზოგმა ჩაჰყლელი თითქოსაო, ზოგმა კეხიანი, ზოგმა უქეხი, ვისაც როგორი რა წამოზრდოდა. არც შეჰხედეს თუ არც შესთავაზეს შემოსწრებისაი რაღა თქმა უნდა — უშანგის მაინც არად ჩაუგდია, ვილაცის ნახმარი ჭიქა აიტაცა, დაწურა მწვენილზედა, ღვინო გამოავლო, იქავე ჩაღვარა, დაისხა, დაილოცა, სახელი გამოჰკითხა სათითაოდ, იმა ირგვლივ, ალბათ რო სამი მკლავის გამოლაზნდა თუ ოთხისა არა, სიკეთე უსურვა სათითაოდ, სულ სიხარული და სიხარული უსურვა სათითაოდ; მარჯვნივ შემოჰყვა და შემოათავა, მერე მარცხნივ, აბა სახელი თუ ამერევაო.

არ არევიან. დამთვრალიყო უშანგი. ფრიდონმა იცოდა. ადგა, წავიდეთო. გარეთ ეწეოდა ფრიდონი, შინისკენ ეწეოდა რაღა თქმა უნდა. უშანგის უკვირდა, აქ თუ რად მოვსულვართ, დაგვიწყებიაო, ეგერ ევე ისა, იქამდის უნდა მივატანოთო. «ეგერ ევე ისა» ფრიდონმა მაინც ვერ მოინიშნა, ალბათ იქ, გულში თუ ჩამკვრივებულიყო, ჩამტკიცებულიყო, ჩაკვრილიყო. იქაც ირღვეოდა, თითქოს ირღვეოდა, — ოღონდ ვილაცა ჩაიჭედებოდა, უშანგი, მაშინვე, უშანგიც რო ველარ მოასწრებდა, ცდილობდა, მაგრამ ვერა, ველარა, სჯობდნენ სხვანი, მჯობნის მჯობნები, უფრო მარდნი, უფრო მოსხებილნი, მოუსვენარნი თუ მოუთმინარნი უფრო მეტადა, — სჯობნიდნენ და ეჯობნათ, წაუშარდამშარდა უშანგი მაინცა, ვინც რო ენება. დაუნახვა. ანიშნა. ანთუ გაესაუბრა სახითა, ხელებითა, და რო ვერ იქმარა, რო ვერც ჩაიჭედებოდა იმის გვერდითა, სკამი წაიღო და ზურგთუკან ამოუჭდა. სკამი წაიღო, ანთუ გამოიბა, ოღონდ ადგილი ველარ გამოიბა. მიიწმომიწიეს — ფაფუ, ადგილი აღარსად იყო. უშანგის ეს არც უნალღია, იქავე დარჩა. გულიც იქ იყო და სულიცა, იქ იყო, იქა, — თვალწარბში შეჰყურებდა იუბილარსა, თამადასაც თვალწარბში შეჰყურებდა; თუმცა ეს უფრო ფერაობასა ნიშნავს — თვალწარბში შეჰყურებდაო, ოღონდ აქ მაინც იმ აზრით ითქვა, მიუახლოვდა ისე იმდენზეო, იმ აზრითაცა და შერჩა ის აზრითაცა: ახლოსაც მივიდა და კიდევაც მიეფერა, ისე კარგადა თუ მოხდენილადა, რო მიკროფონის რიგი შეაყოვნა თამადამა, იუბილარის შეამდგომლობითაცა, თავისი სურვილითაცა, — მიკროფონის რიგი შეაყოვნა და უშანგის დაუთმო სიტყვაი. უშანგიმ ყანწი მოითხოვა. უშანგიმ სადღეგრძელო ბრძანა. იტვრინეს. იტვრინეს და მოისმინეს უშანგის სიტყვაი. მიკროფონი მობეზრებოდათ. ცოცხალი სიტყვა მონატრებოდათ. იტვრინეს. იტვრინეს. უშანგი იუბილარს ადიდებდა

რალა თქმა უნდა. მე ლექსის დაწერა ვერ მომიხერხებია, ლექსის დამახსოვრებაც ვერ მომიხერხებია, სხვა ყველაფერი მომიხერხებია, ლექსისა ვერაფერი მომიხერხებია, ძნელი საქმე მგონია, ღმერთის საქმე მგონია და პოეტის ღმერთი მგონიაო. მოუწონეს. ტაში დაუკრეს. სხვა ყველა პო თავს იქებდა. ეს არ იქებდა თავსა. არც წამებულად მოჰქონდა თავი, არც იხვეწებოდა, გადამიხადეთ იუბილეო. პოეტის ღმერთი მგონიაო. აქ ვინც პოეტია ყველა ღმერთი მგონია და აქ ვინც არ არის ისინიც ღმერთები მგონიაო. ნაღები აქაო, ვიღაცამ მიაშველა. ხმელხმელმა პოეტმა. ისევ იქ რო იჯდა. არ წამოეჩოჩა. ის ორი ქალიც შეენარჩუნებინა, რამდენიმე კაციცა. აქეთაც მოცილილიყო სუფრათი. იქითაცა. კუნძულივით შერჩენილიყვნენ. ნაღებსაც გაუმარჯოს და შრატსაცაო. თავანკარასაცაო და თხლესაცაო. ყველა კარგია თავის ადგილასაო. დათვრა უშანგიო, ფიქრობდა ფრიდონი. მოიყუდებდა ყანწსა, უშანგი ცხადია, მოიცილებდა და განაგრძობდა ლაპარაკსა. ისევ მოიყუდებდა ისევ მოიწყვეტდა, დამაფიწყდა მეთქვაო. დათვრა უშანგიო. ხოლო თვითონ, მართლა იხილა, მოეხვენა თუ წასთვლიმა თუ რაი მოხდა: იუბილარიც სპილოთ წაბმოუდგა. თამადაცა: შეიკუნტრუშეს, შეტლინკდნენ სპილონი. წაიგრძელეს და წაიგრძელეს ხორთუმი. ამოხაპეს და ამოხაპეს სადაც თუ რა შერჩენილიყო, — ღვინოი, ღვინოათი, ბორჯომი, ბოთლებიდანაცა, ჰიქებიდანაცა, ნაწუწიცა, წილან რო თევშზე დაპლვარა უშანგშია, რო დაეღვართ აგრეთვე სხვებსაცა, — ამოხაპეს და ამოხაპეს, შეკუნტრუშდნენ და შეკუნტრუშდნენ, ერთადა და ერთდროულადა, ხორთუმები ამოიბრუნეს, დაკიდეს ჰერზედა და დაუშვეს და დაუშვეს შხაპი და აკურეს ყოველთა, ასხურეს ყოველთა, ამოაღეს, ამოლუმპეს, ამოწუწეს, ამოლორთხეს. თავი გაიჭნია ფრიდონმა, შეიბერტყა მოლან-

დებანი, არაფერი ეშველა, არაფერი მომუჭა, მომუწა თვალები და მორბოდა იგი მშვენიერი, ლაქვარდში მორბოდა, მწვერვალები რო ეყარა ფერთხითთა, გადმოიჭროლა და ეყარა ფერთხითთა. ეყარა. არეულიყო. გაბრუვდა ფრიდონი, გაბრუვდა. ცოტას გამოერქვა. მიხვდა, აშლილიყვნენ. ის ერთილა იჯდა. მარტოდმარტოდა. სხვები იდგნენ ერთმანეთის პირისპირა, რალაცასა დაობდნენ, რალაცაზე თანხმდებოდნენ, გადაეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ ერთმანეთსა. გადაეხვეოდნენ და იყვნენ ეგრე. აღარ ეთმობოდათ ერთიმეორეი. წაქცეულიყო ჰიქები. ღვინო იღვრებოდა. ხელიდანაც უვარდებოდათ ჰიქები. იმსხვრეოდა ჰიქები.

რაც იყო,

იყო,

ბოლოს ყველაფერი იშლებოა.

და დაიშალნენ ისინიცა.

უშანგიმ იქვე დასტოვა თავი სამქანაი, რესტორნის ეზოსა, ტირიფების ქვეშა. ფრიდონი სხვებს გააყოლა, თვითონ სხვებს ჩაუჭდა. დათვრა უშანგიო. იმეორებდა ფრიდონი, იმეორებდა და იმეორებდა.

### XVIII

მეც დავთვერიო.

რატომ დავთვერიო.

უკვირდა თუ

სწყინდა თუ

ნანობდა თუ

რა იყო, რა აწუხებდა, ვერავინ გაუგებდა, ვერც თვითონ გაეგო. იმეორებდა და იმეორებდა.

მიკუნტულიყო მანქანაშია. ჯერ თაღხნად იჯდა. შემომმატა მერე ორი, ჩაიწია. კიდევ ერთიც შემომმატა. მიიკუნტა. მიიკუნტა და მიიკუნტა. მერე გადავიდნენ სამივენი, რო არც დაძრულიყვნენ, ისევე გადავიდნენ. გადაჰყვა თამადაცა. თამადის მანქანაში მოხვედრილიყო ფრიდონი. თამადისაო. დამთავრებულყოფი რო სუფრათი, აღარც თამადა ეთქმოდა ცხადია, თორემ ასე თუ იქნებოდა, ერთილა სახელო დარჩებოდა საქართველოში: ყველა თამა-

დად მოიხსენებოდა. თამაღობა ჰო ყვე-  
ლის დაჰყოლოდა დაბადებითა. ეს ერ-  
თი ხელობა ჰო ყველამ იცოდა. და ამ  
ხელობით, მარტო ამ ხელობითა, პურს  
ვერაინა სჰამდა ჩვენშია. ერთხელ კი-  
დევე ჰო, ანთუ რამდენჯერმე, მთელ  
ცხოვრებას ჰო ამით ვერ მოსჰამდა, ან-  
თუ ცხოვრება ვის მოუჰამაიო. ყველამ  
იცოდა. სხვა ხელობას იძენდა. სხვა სა-  
ხელოს ეძებდა. და დიდ სახელოს თუ  
ჩაიგდებდა, სუფრაც აგროთვე დიდი  
ერგებოდა სათამაღოდა, დიდი და დი-  
დი. საწყალი სუფრაც არ ერგებოდა  
საწყალ კაცსა სათამაღოდა. იქაც გამა-  
რთულ კაცს მიიწვევდნენ. თან დაყო-  
ლილი თან ჩაჰყვებოდა სამარეშია სა-  
წყალ კაცსა, მოუხმარებლად, დარდად  
ჩაჰყვებოდა. ნატვრად დარჩებოდა. ყვე-  
ლაფერს დასთმობდა, ოღონდ თამაღა  
ყოფილიყო ერთხელ მაინცა, ერთხელა,  
ერთხელა, ერთხელ მაინცაო  
ანთუ რას დასთმობდა, — რამე რო  
ჰქონოდა, ჰო ერგებოდა თამაღობაცა  
ერთხელ მაინცა, ერთხელ მაინცა, ერ-  
თხელ მაინცა, — ერგებოდა. ერგებო-  
და რაღა თქმა უნდა. და წავიღოდა მო-  
ნატრული. რა ჩაგვრაც არ უნდა გადა-  
ეტანა, რა სატანჯველიც არ უნდა გა-  
მოეგლო, ოღონდ თამაღა ყოფილიყო,  
ერთხელა, ერთხელა, ერთხელა ყოფი-  
ლიყო, თან რო დაჰყოლოდა ხელობაი  
ესე, პირველ ხელობად ეს რო დაჰყო-  
ლოდა. და შეჰნატროდა გამართულ კა-  
ცსა კაცი საწყალი, საწყალი ლექსითა,  
საწყალი სიმღერითა, შეჰნატროდა: გა-  
მართული კაცოოო... აჰვაი რა კარგი  
ხაააროოო, სადაც რო წახვავაალ, სუფ-  
რის თავში ზიხაააროოო... — შეჰნატ-  
როდა და შეჰნატროდა, ეს არ შეჰნატ-  
როდა, სუფრის თავში იჯდა, — ბოლოში  
იჯდა, მაშინ შეჰნატროდა — სუფრის თა-  
ვში იჯდა და წინ იჯდა იქაცა, მანქანა-  
შია რაღა თქმა უნდა, მძღოლის გვერ-  
დითა. მიმედ იჯდა და მიმედ ირჯე-  
ბოდა, მიმედ-მიმედვაც ამოიღებდა ხმა-  
სა. ანთუ არც აციდინენ, — თამაღო-  
ბას უქმდნენ, საღლეგრძელოებს უქმე-  
ბდნენ, ჯერ რო ის ორნი, რო ჩაუსხდ-

ნენ, ფრიდონის გარდა რაღა თქმა უნ-  
და, მერე მესამეცა, რუჩაგმატყე ფრი-  
დონის გარდა რაღა თქმა უნდა, ერთ-  
მანეთს უსწრებდნენ, ერთმანეთს აჩუ-  
მებდნენ, არა მე ვიტყვი, არა მეო: ასე-  
თი თამაღა საქართველოს არ მოსწრე-  
ბიაო. მაშ მსოფლიოსაც არ მოსწრე-  
ბიაო. ეს ისედაც იგულისხმებოდა. მე-  
რე ჰო გადავიდნენ. შეჯგუფდნენ იქა-  
ვე. შეჯგუფდნენ. დატრიალდნენ. წავი-  
დნენ ეგრე ტრიალ-ტრიალითა, ჯგუფა-  
და და ტრიალ-ტრიალითა. იმატეს.  
იმატეს. მობრუნდნენ მერე მომატებუ-  
ლნი, გაბეგრებულნი, შევსებულნი თუ  
შესრულებულნი, ისევე ისე, ტრიალ-  
ტრიალითა. გაბრუნდნენ ისევე. მობ-  
რუნდნენ ისევე, ისევე და ისევე ისევე:  
ტრიალ-ტრიალითა, რო იმატებდნენ და  
იკლებდნენ, იმატებდნენ და იკლებდ-  
ნენ, ხან ოთხნიც აღარ იყვნენ, ხან ვე-  
ლარც დაითვლიდი; ხან ერთილა მოკა-  
კავებდა, გამოაღებდა მანქანის კარსა,  
გამოაღებდა და მიაჯახებდა, თითქოს  
ბრაზითაო, თითქოსაო თუ მართლა  
ბრაზითაო, ესაა, რო არ მოიცილიდა,  
გავარდებოდა გამოცეხული, მიაგნებდა  
ისევე იმათა, ისევე ისევე თან მოჰყე-  
ბოდა, თან მოჰყევიდა იმავე ტრიალ-  
სა, ბრუნვასა იმავესა. მიღროდა ამასო-  
ბაში სხვა მანქანები. მიდიოდა და მიდი-  
ოდა. მიადგებოდა იმა ტრიალსა, მიაწ-  
ვებოდა ცალი ცხვირითა, დაბზრიალე-  
ბდა თუ გააღავებდა. იქიდან სხვას შე-  
მოაგროვებდა. მიდიოდა და მიდიოდა.  
გადასახებდნენ. ხელებს იქნევდნენ.  
ემშვიდობებოდნენ. ხელებს ხელეში  
ჩახლართავდნენ, სარკმლებიდან, მანქა-  
ნისაი რაღა თქმა უნდა, გამოწვილ ხე-  
ლებსა, ჩახლართავდნენ და მისდევდ-  
ნენ ეგრე, თითქოს აღარც რო გამოეხ-  
სნებიაო. ესენიცა. სხვანიცა. სხვანიცა  
და სხვანიცა. მიდიოდნენ. მიდიოდნენ.  
და ველარც მიდიოდნენ. მიინც მიდი-  
ოდნენ. უფრო მიდიოდნენ. უშანგაც  
გაჰყვებოდა, თორემ აქამდის მოაკით-  
ხავდა; რო სცოდნოდა, რო ეს ისევე აქ  
იყო, მობრუნდებოდა, იტრიალებდა  
ისიც ამათშია, იბრუნებდა, იბროწია-

ლებდა. უშანგი დათვრა. მეც დავთვე-  
რიო. იქა, სუფრაზე რო გაბრუვდა,  
იმას იხსენებდა. ახლა იმდენი აღარაფე-  
რიო. თავს იმხნეებდა თუ ინუგეშებ-  
და. მიკუნჭულიყო. ბლიტავდა თვალეზ-  
სა. თუ შეჭხედავდა იმა ტრიალსა, ანა-  
თუ ზურგსა მძლოლისასა. იზნიქებოდა  
ზურგი მძლოლისაი, იგრიხებოდა, იმტ-  
ვრეოდა. შემობრუნდებოდა, თითქოს  
უნდა, რალაც უთხრასო. გადაიფიქრებ-  
და. ანთუ ეგება, რო არც ენდობოდა.  
მიკუნჭულიყო და ბლიტავდა თვალეზ-  
სა, რო გაახელდა, თითქოს ისე, რო  
ამასა ზეერავსო. მიკუნჭულიყო. და  
შემოვარდებოდა სამივეი ერთადა, ერთ-  
ბაშადა, თითქოს ერთმანეთს უნდა და-  
ასწრონო, ანთუ თითქოსაო, ანთუ მარ-  
თლაო, როგორც რო ყველგანა, — ჩვე-  
ულება რჯულზე უმტიციესიაო. ეგება  
კიდევაც მიკყლტდენ ერთბაშადა. ნე-  
ტავი ამდენიც აღარ დეცადა. ანდა გა-  
დავიდეს. გვიანია. იყოს. მანქანას წააწ-  
ყდება. ტაქსი ნუ იქნება. ყველა ტაქსია  
ასე გვიანა. მიაწვა კარსა. „იყავით...“  
— მოესმა მძლოლისაგანა, მოესმა თი-  
თქოს ვედრებასავითა. „ვერ დავტე-  
ვით...“ — თავი იმართლა. „ის ჭაღე  
ჩაეა...“ აღბათ მესამეს თუ გულისხმობ-  
და, მძლოლი ცხადია, სამნი რო უკან  
იქედებოდნენ, ფრიდონის გარდა, სამნი  
კიდევა. რადიოც ჩართო, მძლოლმა  
ცხადია, მანქანისაი, ჩართო და გამოო-  
თო. პატარა რადიომიმღები გაჭხსნა.  
იქავე ეგდო. გაჭხსნა. მომართა. აღმო-  
სავლეთი მღეროდა გაბმითა. როკავდა  
დასავლეთი. ჯაზი გრიალებდა. როკავდა  
დასავლეთი. ხმები აღარ ისმოდა, გაა-  
ვებული და შებმული ხმები. გვიანი გა-  
ხლდა. დალილიყვენ. ელანძლათ ერ-  
თმანეთი. ეთათხნათ ერთმანეთი. ებილ-  
წათ ერთმანეთი. დალილიყვენ. გაშ-  
ველუბულოყვენ. თუ სულს მოითქვამ-  
დნენ. ძალას მოიკრებდნენ. ისევ შეიბ-  
მოდნენ. მანამდე მღეროდა აღმოსა-  
ვლეთი გაბმითა. გაბმითა. გულის  
გამაწვრილებლად. როკავდა დასა-  
ვლეთი, როკავდა და იმხვრეოდა,  
იმტვრეოდა, ილუწებოდა. ეზო მო-

კლილიყო. უშანგის მანქანაღა მოსჩა-  
ნდა. დათვრა უშანგი. დათვრა იქე  
მანქანას არ მიატოვებდა. ესენიცღა შე-  
რჩენილიყვენ. ეხვეოდნენ ერთმანეთ-  
სა, ეხვეოდნენ და ვერ ეხსნებოდნენ,  
თითქოს და რაო, შორს მიდიანო, შო-  
რსა და შორსა, სხვადასხვა მხრითაო:  
ერთი იქითა, — აღმოსავლეთითა, სა-  
დაც რო მღერიან გრძლად, გრძლად,  
უსასრულოდა, მეორე იქითა, — დასა-  
ვლეთითა, სადაც რო როკავენ უსასრუ-  
ლოდა, მესამე იქითა, — მეოთხე იქი-  
თა, — მაგრამ საითა?... ზღაპრებში  
ოთხი მხარე ჰქონდა ქვეყნიერებასა,  
მოთავდა ზღაპრები, ორიღა შერჩა, —  
აღმოსავლეთი და დასავლეთი, ხოლო  
ის ორნი თუ საითღა წავლენ, ველარ გა-  
უგიათ; ამას თუ იკვლევენ, ამისათვის  
თუ დაყოვნებულანო. „ეგება ასედაც  
დაათენდეთ...“ — მძლოლმა თქვა.  
„იყავით!... იყავით!...“ — მძლოლმავე  
დაურთო, თითქოსა შიშობს, არ გამექ-  
ცესო. მოჯერდნენ ისინიცა. კარი გამო-  
აღეს: პირველად უფროსმა, რო ბრძა-  
ნდებოდა თამადადა, — გამოალო და  
ჩაბრძანდა წინა. — მერე ზელქვეითა,  
ერთი სუფრაზეც რო მოადგილეობდა,  
გამოაღეს და ჩაბრძანდნენ სწრაფადა,  
თითქოს მართლაც რო ერთმანეთს ასწ-  
რებენო; თანაც ფრიდონს მოებოდიშ-  
ნენ, ერთნაირადა, ერთნაირადა, ერთ-  
ნაირ ხმაზედა, რო არაფრად ები-  
ტნავებოდათ, ეწვდმეტებოდათ ერ-  
თისიტყვითა, იმნაირ ხმაზედა. მა-  
ლე თითქოს გადაივიწყეს ფრი-  
დონიცა და იმისი ზედმეტობაცა. ვი-  
ლაცას აგინებდნენ ოთხივენი. იგინებო-  
დნენ, ილანძლებოდნენ, ბილწსიტყვა-  
ობდნენ ერთიმეორეზე უკეთესადა, თავ-  
მომწონეობდნენ ერთიმეორეზე მომე-  
ტებულადა. ოლონდ იმდენი ვერ გაერ-  
კვია თუ ვის ამკობდნენ ასეთი ეშხითა.  
ის არაფერი. ანთუ ბოლოს თუ გამოე-  
შვიდობნენ. მაინც არაფერი. ოლონდ  
მერე რო ის გადავიდა, მალე ვინც უნ-  
და გადასულიყო, ჯერ იყო და ველარ  
გადავიდა: მოეხვია და ძლივძლივობი-  
სას გამოჰხსნეს უფროსსა, ესენიც გა-



დოდა. ამასაც მიხვედრა აღარ უნდოდა. გადავიდოდაო და გადადიოდა. გადადიოდა და ვერ გადადიოდა, კარი გველო ვეა ჩაედგა ცალი ფეხი. ეგრე ჩაელბუჯა ბეჭები უფროსისა, მოხვეოდა, ემშვიდობებოზოდა, არა, ეთმობოდა. არ ეთმობოდა, არა, არ ეთმობოდა\* გახვეთქოდა ბუშტი სიყვარულისა. მერე გვერდით მჯდომს გადაესკვნა, ლამის რო მართლა გადაესკვნა. გახვეთქოდა ბუშტი სიყვარულისა. კიდევ კარგი, რო ნალველი რო არ გახვეთქოდა. გადაესკვნა და აღარ ეთმობოდა. არც ამას ეთმობოდა. თითქოს რო უფრო ამას არაო, — ის რო მოეხსნა, როგორც იქნა რო გამოეხსნა, რო ვაიტანა ტანი ვარეთა, ამან ისევე შემოითრია, ისევე გადაესკვნა. გამეორდა ასე რამდენჯერმე, ასე და მაინც სხვადასხვა გვარადა. ღირს აღწერადა. მაგრამ მოვეშვები. რაც უნდა იყოს, საკმარისია, თვალსაჩინოა ამითაცა თუ როგორ უმტკიცებდნენ სიყვარულსა ერთიმეორესა, თუ როგორ რო არ ეთმობოდათ, თუ როგორ რო არ მიუწევდათ გული შინისკენა, თუ როგორ რო ვერა ძლებოდნენ ერთად ყოფნითა, — თვალსაჩინოა ამითაცა რაღა თქმა უნდა, თორემ კარგია აღსაწერადა თუნდ ის სურათი, ამას რო ვასცილდა, როგორც რო იქნა, როგორ გადაუძვრა უფროსსა სარკმლიდანა, მერე ცხადია ამას რო ვასცილდა. მაგრამ მოვეშვები. საკმარისია. ოღონდ იმას ვერ გამოვტოვებ თუ რა ითქვა მანქანაშია. გზა რო განაგრძეს, უიმისოდა რაღა თქმა უნდა, რო შემობრუნდნენ შეღმართებულნი, რო დაღამართდნენ, დათავებდნენ, — ვერ გამოვტოვებ, თუნდაც მეგონოს, რო მიხვედებოდი აქამდისაცა, — ვერ გამოვტოვებ:

— ოოოოო... დიიიიდი ქვებუღანი ვინმეა!.. — ჯერ ასე ითქვა, თითქოს და რაო, მოწონებიათო. ცოტა ჭირჭილთაცა. ცოტა ხითხითითაცა. უკანამ წამოიწყო.

— დიიიიდი!.. დიიიიდი!.. — წინამ გააგრძელა.

— ის ამასთან ანგელოზია...

— ჰოო?!.

— ეშმაკებიც ჰო ანგელოზები ყოფილან ოდესლაცა?..

— ჰოოო?!.

— ეს მაინც ეშმაკის ეშმაკია.

— იყოს.

— ჰგონია, ვერავინ ვერაფერს მიუხვედბა...

— ეგონოს... ეგონოს და კისერსაც მოიტეხს, — იწინასწარმეტყველა უფროსმა.

— დროზე, თორემ...

— დროზე მოიტეხს... — აჩქარდა უფროსი.

— ...თორემ ბოლოს ჰო ყველა მოიტეხს კისერსა. — ველარ მოზომა ხელქვეითმა, ვაიტანა ენამა თავისი, ვაიტანა რაც წამოიწყო, ან მოსწყდა ისე, ველარ რო ჩასლაბა.

— დროზე მოიტეხს... — არ აპყვა უფროსი. მიძღები ჩართო. ჯაზი გრიალებდა. ვადართო. ჯაზი ვახლდა. ვადართო. ვადართო. ვადართო. მერე და აგლო, — უკრავდა ჯაზი.

— გვიანდება...

— გვიან არ არის არასოდესა.

— თანამშრომელნი ველარ იტანენ. სძულთ. პირში მაინც ეფლიდებიან. ვერაგია. ეშინიათ. ცოდოა ხალხი. ცოდოა!.. — შეიბრაღა ხალხი, შეიბრაღა.

— ხალხი... — უფროსმა თქვა, მეტი აღარაფერი მოადევნა უფროსმა.

ჯაზი თავისას მიერეკებოდა, ვადმოვარდნილიყო საიდანლაცა, შეჭრილიყო მანქანის სალონში, შეჭრილიყო, დაუფლებოდა, დაუფლებოდა და ლაღობდა, ტკებოდა, ის თავისთავისა, ესენი კიდევ თავიანთთვისა, — ტკებობისა რა ვითხრა, ანთუ სილაღისა, ოღონდ აღბათ თუ სიამოვნებდნენ, აუგს რო ამბობდნენ, რო ჰკილავენდნენ, რო იმედოვნებდნენ, მალე მარცხი მოეწევათო, — თუ სიამოვნებდნენ, მშვიდდებოდნენ, ანთუ ვინ უწყის ტკებოდნენ კიდევაცა, ვინ იცის, ვინ უწყის, ბინდისფერია სოფელიო. ჰოოოო... ბინდისფერია სოფელიო, — ეს უკვე ჩვენი



ჯაზისა გახლავს, ანთუ მიითვისა ჯაზმა, მიითვისა და ააცუნცრუკა, ააცეტა, აატინგცა. ბინდისფერია სოფელიო ხალხურია რაღა თქმა უნდა: ბინდისფერია სოფელი, თანდათან უფრო ბინდდებო, — ხალხურია და ბრძნულია ცხადია, — რა არის ჩვენი ცხოვრება, ჩიტივით გაგვიფრინდებო, — ბრძნულია, ბრძნული? ჯაზური სხვაა, — ამდაგვარია: ბინდისფერია სოფელი, თანდათან უფრო ბრწყინდებო, რაც უფრო მეტი დრო გადის, უფრო და უფრო ბრწყინდებო, — ამდაგვარია, ჯაზურია, სიბრძნე ასე გაჯაზებულა, ხალხური ასე გაჯაზებულა. გაჯაზებულა შექსპირიცა. თეატრში. თეატრში. გაჯაზებულა თუ გადაჯაზებულა. გადაჯაზებულა თუ გადაუჯაზებიათ, — დამუქრებიან რუსთაველსაცა: რუსთაველსაც გადააჯაზებენ, გრიგოლ ხანძთელსაც გადააჯაზებენ, შუშანიცი ჰო... შუშანიცი, აბო თბილელსაც გადააჯაზებენ, კოლაელთაც გადააჯაზებენ, გადააჯაზებენ დიდგორსაცა, წიწამურსაცა გადააჯაზებენ, კრწანისსაცა... ღმერთმა ნუ ჰქნასო. მაგრამ ვინ უწყის კიდევ როდისღა გაგვიგონებს ღმერთი, ასე რო შემოგაფწყრა, ასე რო არა გეწამს და რო ველარც ვიწამებთ ველარასოდესა. ვფხიზლდები თუ სიმთვრალემ შემებრუნაო. ადგილი მოცლილიყო, მაინც მიკუნჭულიყო ფრიდონი. ადგილი მოცლილიყო, ოღონდ ის იწევდა, ის ერთი, ვინც როღა დარჩენილიყო, იწევდა, ფარფაშებდა, აწვეებოდა, რაზან რო თითქოს კისერი გაშეშებოდა უფროსსა, ხოლო ამას რო მობეზრებოდა კეფაი იმისი, რო ენება რო ცალ თვალში მაინც როგორმე ჩაეხედა. ჩაეხედა. დამტკპარაიყო. არა წუხდებოდა ფრიდონი. მიკუნჭულიყო. მიკუნჭულიყო. და ველარ გაერკვია: ფხიზლდებოდა თუ შეიბრუნა სიმთვრალემა, თუ არც დამთვრალა, ანთუ აღარც გამოფხიზლდებოდა, — ველარ გაერკვია და უნდოდა გაერკვია, უნდოდა მიმხედარაიყო იმასაცა როგორცა: მთვრალი გადმოვიდოდა ხანძთელი ჯაზში თუ ფხიზელი გადმოვიდოდა, ანთუ გადმოყვანი

როგორ იქნებოდა, — მთვრალი თუ ფხიზელი, რუსთაველს როგორცა იქნებოდა, თუ მოასწრებდნენ გადაჯაზებასაცა იმასაცა. მოასწრებდნენ, მოასწრებდნენ თუ ვერ მოასწრებდნენ. უნდოდა მიმხედარაიყო თუ აღარც უნდოდა. გამოეპარა ყველაფერი თუ რას ამბობდნენ, თუ საით შეუხვიეს, გამოემშვიდობნენ თუ როგორაო, გამოეპარა, ოღონდ ის მაინც არ გამოჰპარებია, დათავკვევებულზე რო ისიც ჩავიდა, ის მესამეი, და მანქანაც ისევე მოწყდა, თითქოს მუხრუჭები მოეშალაო, ანთუ აქამდის დამძიმებულიყო, ტვირთი მოცილა შემსუბუქდაო, მოწყდა ისე, გავარდა ისე, თითქოს საჭეც მოეშალაო, თითქოს მიაწყდება სადმე კედელსა, მიაწყდება და მიეგლისება, მიეკედება და ზედ შერჩებო, შერჩება და შეუნივთდებო. თითქოსაო და თითქოსაო. და მძლოლმა იმარჯვა თუ ისაჯა საჭემა, შეტრიალდა მანქანაი, ასცდა კედელსა, შეტრიალდა, შებრუნდა ხრჭილ-ხრჭი-ალითა, შებრუნდა ლამის რო ცალ ბორბალზედა; შებრუნდა და გასწორდა, გასწორდა და გაეშვა, გაფრინდა, გაიწურა, ბარელამ დაეძვრა, ისარივითაო, თუმცა ძველია ეს შედარებაცა, — იყოს, რა უჭირს, ახალს აბა რას შევადარო, — ძრავი თვითონაა და მანქანა თვითონაა, ჯაზიც თან ახლავს და მართლაც თუ ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულა ფრიდონი, შეუძლიან, გაშალოს ფხეები, გაჭიმოს, გატყორცნოს, აცმუკდეს, აროკდეს, შეუძლიან, შეუძლიან, მარტოღა დარჩენილა, მოცლილა სავარძელი მისი, უკანა სავარძელი, მოცლილა; ოღონდ არაო, — მიკუნჭულა ისევე, თითქოს დაიტანეს, ჩაიტანეს, ჩაპრესეს ერთხელა და სამუდამოდაო. იყო ასე და ასე მოესმოდა:

მე მაგისი ასე და ისეო — ეგეც მაგათი წიბოსია. რა ერთი, რა მეორე და რა მესამეო. ერთი შეწვი და მეორე შეაცხეო. მესამესი რა გითხრა, მესამეც შეაცხეო. ეგ კიდევაც უსტაბაშად გამოადგებათ. ვიცი. ვიცი. — ასე მოესმოდა ჯაზის ხმაზედა, რო ჩართო მან-

ქანის რადიომიმლებიცა, უფროსმა ცხადია, რო გადმოსცემდა ისიც რო ჯახსა, სხვასა და მსგავსსა, მსგავსის მსგავსსა, რო აპყოლოდა იმ ორმაგ ჯახსა, სხვასა და სხვასა, მსგავსსა და მსგავსსა, მსგავსისა მსგავსსა, რო აპყოლოდა ასე ორმაგ აკომპანიმენტსა, უფროსი ცხადია, არა ამისი, იმათი უფროსი. — ჩემთანა კარკაცობს. იკარკაცოს, იკარკაცოს. მე ჰო ვიცი თუ რა შვილიცა ბრძანდებო?.. ვიცი. ვიცი. მამას არ დაინდობს და არც დაუნდვია. ცოლშვილს არ დაინდობს და არც დაუნდვია. — მე მაგისი ასე და ისეო, მე მაგისი მამის სულიცაო. ცოლშვილიც ჰო პირზე ეკერა. — ვიცი, რაც არის. მოხარშულს ვიცნობ, შემწვარს ვიცნობ, ჩახრაკულს ვიცნობ, გამოწყწულს ვიცნობ. სხვები ვერ იცნობენ. ატყუებს და მინცა ტყუვდებიან. თავი მოაქვს პატროსან აცადა და ყველა სიგლახეში ფეხი უდგია. ყველა წუმპედან ამოდის და სხვისი ეშმაკობა უკვირს. ორი წიგნი ერთად არა სკერია ხელში და პირველი გვერდის მეტი არც ერთ წიგნში არ წაუკითხავს. ხარისხები არ მოუკლია, მაჭებარნი არ მოუკლია, — მე მაგისი ასე და ისეო, მე მაგისი ხარისხებიცაო, მე მაგისი მაჭებარნიცაო. — ჩემი ხარისხები უკვირს და ხმას ისეთს მიყრის, თითქოს იოლი ნაშოვირიაო. — მე მაგისი ასე და ისეო, მე მაგისი ხმის სიმებიცა და მე მაგისი გამგონებისაო. — ნამცეცი ჰქუა თავში არ უდევს და ჰკვიანი ხალხი რიგში დგანან მაგის კარებთანა. არავის არას არგია, თვალში ნაცარს აყრის ყველასა და მინც ისევ იჭავე დგანან, ისევ ნაცარს იყრიან და ისევე მოდიან, ისევ ნაცარი რო ჩაიყარონ თვალებში. — მე მაგისი ასე და ისეო, მე იმათიც ასე და ისეო, მაგის კარებს ვინც მისდგომიან და მაგის იმედი ვისაცა აქვსო. — რაცა მჭირს მაგისგანა მჭირს, ვიცი. ვიცი. რაც მომეწევა, მაგისგან მომეწევა. ვიცი. ვიცი. ყველაფერი ვიცი. ვიცი რო არაფერი მომეწევა. ვიცი, რო ჩემს ადგილს უმიზნებს, ფეხქვეშ მეგება და უნდა რო ზურგში ხანჯალი გამირტოს,

ვიცი, ვიცი, ვიცი და ეგდოს, ეგდოს, ეგდოს: ჩემს ფეხებს ჰვეშა, ხანჯალს უფრო მსმინწვდენს, ეგდოს ეგრე და ლოკოს ეგრე ნეხეიანი ჩექმები... ჰე, ჰე, ჰე... — მე მაგისი ასე და ისეო, მაგისი ხანჯლისაცა, მაგისი ფანდებისაცა, ასე და ისეო, ასე და ისეო, — ჰე, ჰე, ჰე... — მაგისი ასე და მაგისი ისეო, იმისიცა და იმისიცაო.

და იწევდა ჯაზი მალლა და მალლა, იწევდა და იწევდა, მალლდებოდა ხმაცა, მალლდებოდა და მალლდებოდა, თითქოს ესაა და გაჯიბრებულანო, გაჯიბრებულან და სჯაბნის ხმაო, — უფრო მაშინა, რეფერენს როცა მოადვენებდა: მე მაგისიო, სჯობნიდა, სჯაბნიდა ჯახებესა სჯაბნიდა. ეს იმათა სჯაბნიდა და ისიც თავიანთთვის გაჯიბრებულიყვენ. ალბათ რო ერთი აღმოსავლეთისა, ალბათ რო მეორე დასავლეთისა. შეჯიბრებულიყვენ. გაჯიბრებულიყვენ. დაჯიბრებულიყვენ. ყური წაიღეს. გაუწყდა სმენათ თუ ყური ამოევსო, — ფრიდონზე ვამბობ, — აღარ მოესმოდა აღარც რო ჯაზი, აღარცა ბოზინი, აღარც ძრავის ხმა აღარ მოესმოდა; ხოლო თბილისი მიყუჩებულოყო, გამტყანარებულოყო უცნაურადა, რო არ შეეფერებოდა დიდ ქალაქსა, არც შეეფერებოდა და ალბათ რო არც თუ მართლაც გამტყანარდებოდა, ალბათ ფრიდონი თუ გამტყანარებულოყო, ჩაძირულოყო ბურანშია, ალბათ თუ წუთითა, ანთუ მეტი ხნითა, ეს სულერთია, — რო ამოტივიცედა, მანქანა იდგა, ძრავი რო მართლა მიყუჩებულოყო, მიყუჩებულოყო რადიოებიცა. უფროსი შინ მიბრძანებულოყო. გადადიოდა მანქანიდანა. ეშვილობებოდა ამსაცა, — ფრიდონსა, მძლოლსაცა, სტოვებდა უკანასკნელ განკარგულებასა, იმა დღისათვისა რალა თქმა უნდა, — შინ მიაბრძანე ჩვენი სტუმარიო, ფრიდონიო. და მომახსენე, რო მიაბრძანებო. ფრიდონსაო. უეჭველადო, მიუგებდა მძლოლი ფიცხლადა. რადიომიმლებსაცა მიაწოდებდა, პატარასა, მოხდენილსა, ძლიერსა გასაოცრადა,

ინებთო, გრჩებათო, მიაწოდებდა, მიაჩეჩებდა. შენი იყოსო. აღარც რო შემობრუნებულა უფროსი. თქვა მიმავალმა. ხელიც რო ეგრე გამოიქნია ზურგთუქნიდანა, შენი იყოსო.

აღარც მძლოლი აპხირებია, უფროსს აღარა, ოღონდ ესაა, რო ფრიდონს აუბირდა:

როგორ მოგეწონა ეს ხალხიო.

— რა უჭირთ... — ამოთქვა ფრიდონმა, რო არც თქმა უნდოდა და, რო ინატრებდა, ნეტავი მეტი აღარაფერი მკითხოსო.

— რა უნდა უჭირდეთ?! — გაუკვირდა მძლოლსა.

მიჰქროდნენ ცხადია. დაეშენენ. დადამართდნენ. გასწორდნენ. გარეკეს.

ფრიდონმა არ იცოდა, რა უნდა გასჭირებოდათ.

— აბა რა გითხრა... — მიუგო ფრიდონმა, ანუ რო არაფერი მიუგო.

— მერე?! — არ ეშვებოდა მძლოლი.

— მერე...

— ასე შეიძლება?! — აქეზებდა მძლოლი.

ნაკში რო იჯდე, მენავეს არ წაეჩხუბოთ, ვიღაცა ჩასძახოდა. ანთუ რა ჰქონდა საჩხუბარი ფრიდონსა, —

— იცის ლეინომა...

— არაფერიც არ იცის. — მენავე არ იშლიდა, მძლოლი იყო თუ მენავე იყო, არ იშლიდა თავისასა.

— ლეინო ქვევრსა ჰხეთქავსო.

— უნდა გადაილო, გადაილო, გადაილო და გადაილო... უნდა დაწმინდო.

— ჰოოო... — ყაბულდებოდა ფრიდონი.

— რის მთვრალი, რა ფხიზელიო, რაც გულში უდევთ, ენაზე აწერიათ... მე ეგრეთი არაფერი გამიგონია, არ გამიგონია, სიყმეს გეფიცები, არ გამიგონია. გინება ვინ არ იცის, მაგრამ ეგრეთი?! „ატეკაშიც“ არ გამიგონია..

— ჰოოო... — დაჰყვა ფრიდონი, დაჰყვა და დაჰყვა.

სანაპიროზე გასულიყვნენ. წინ აღი მოჰქროდა, მოესწრაფოდა ცისფერი აღი, ავარდნილი, აბურბურებული. მო-

ესწრაფოდა და მოუნელს. გვერდით ჩაიარა ინსპექციის მანქანაზე. ჩაიარა და ჩაჰბერეს მიკროფონსა. მეტი არაფერი. ჩაჰბერეს. მძლოლს არაფერი უთქვამს. ისინი იტყოდნენ. მაგრამ იქ აღარ უსხდნენ ისინი. ისინი აღარ უსხდნენ, ოღონდ ეს ახლა მოშლილიყო, მორღვეულიყო, — ეთმინა, ეთმინა და მორღვეულიყო, ლამის რო სატეც ეშლებოდა გამოცდილ მძლოლსა, — ლამისაო თუ არც ლამისაო; რაც იყო თუ როგორც რა იყო, მანქანა შეაჩერა, შემობრუნდა და შესჩივლა ფრიდონსა, ამ უცხოთა თუ უცნობ კაცსა: მეტი აღარ შემიძლიანო, ასე შესჩივლა, — ამათ რო ვუსმენ, ესე მგონია, მეც რო სულ მტრები მახვევია გარსა, პირში მიციანიან, თვალს მიხვევენ და ორმოს მითხრიან, ეგრე მგონია და აღარავისი აღარაფერი აღარა მჭერა. მესალმებიან და აღარა მჭერა. მადლეგრძელებენ და აღარა მჭერა. მადლობას მიხდიან და აღარა მჭერა. მეც მეშინიან, რო კაცი ვადლეგრძელო, რო მწამს, რო ვაფასებ, რო მიყვარს, მეშინიან, რო ვადლეგრძელო, მგონია, რო არ დამიჯერებს, არ დამიჯერებენ სხვებიც არა, რაღა თქმა უნდა, მგონია და მეშინიან. მადლობის სიტყვა ველარ ამომსვლია პირიდანა. კარგი ვერავისზე ვერავისთან მითქვამს, ვიცი ეწყინება; ეწყინება და თანაც გადაჰყოლია, მაგრამ მაწუხებს, რო არც დამიჯერებს, ფლიდობას შემწამებს, მაცდურობას შემწამებს, ეს მაწუხებს და ენა მიშეშდება. კირიტი ველარ დამიძრავს. მტერი და მოყვარე ველარ გამირჩევია. ჩემიანი ჩემიანი აღარა მგონია. უცხოთა არ ვენდობი, როგორი რა თეთრი კბილიც არ უნდა მიჩვენოს. არც უნდა ვენდო, არა, არა, არ უნდა ვენდო, მაგრამ რო ველარც გამირჩევია, შინაურია თუ გარეული?... ანთუ ამრევია, ვინ ჩემიანია, ვინ უცხოთა, ვინ რა არის თუ ვინ როგორია; ყველა მაეჭვებს, ყველა ყველას მტერი მგონია, ყველა ჩემი მტერი მგონია. გარეთა ვბრაზდები და შინ ვიოხებ გულსა, ვმიზეზიანობ ყველაფერზედა, ღვთის წყა-

ლობა, ლეთის რისხვად მეჩვენება, ცოლს ვეჩხუბები, ბავშვებს ცეცხლს ვაყრი თავზედა, ლუკმა მეჩხირება ყელშია და ლამის არის დავიხრჩო. აღარ შემძლიან. უნდა წავიდე, უნდა გადავიდე სადმე... განა რო პატივისცემა მაკლია?.. აჰა შენს თვალწინ მიმღები მაჩუქა. ამათებური არ გეგონოს, იაპონურია. არ მინდა. სამოთხის გასაღებიც იყოს, არ მინდა. არ მინდა. როგორც რომ ვიყავი, ის მინდა ვიყვე: კაცისა მწამდეს, კაცისა კაცობა მწამდეს და ქალისა ქალობა მწამდეს. მეტი არაფერი... — და მოანათა ცისფერმა ალმა ახლა ზურგიდანა, მოანათა და მოაბრიალა. ნელა მოადგა ბურბურ-ბურბურითა. ნელა ჩაიბერა. მიკროფონს ჩაჰბერეს. ორჯერ ჩაჰბერეს.

— ე!... — ხელი ჩაიქნია მძლოლმა, მოსწავა სათქმელი, საქვს მიუბრუნდა, — წავიდეთ...

— წავიდეთ!... — გაეხარდა ფრიდონსა, — ვიაროთ... — დაატანა...

— ვიაროთ და ვიაროთ... — აჰყვა მძლოლიცა.

აჰყვა ისე, რომ თითქოს და რაო, უსასრულოდ უნდა იარონო, მიეცნუნ სრბოლასა უდასასრულოსაო, თითქოსაო რაღა თქმა უნდა, რადგან რა მალე ფრიდონმაცა თქვა: აჰ უნდა ჩავიდეო. და გამოეთიშნენ უდასასრულობასა, უდასაბამობასა, გამოეთიშნენ. შედგა მანქანაი. მძლოლმა გადაასწრო. მძლოლმა გაუღო კარი ფრიდონსა, ხელიც ჭერ თვითონ გაუწოდა გამოსამშვიდობებლად და მიაჩეჩა რადიომიმღებიცა, შენი იყოსო.

— შენ გისახსოვრა... — ეუარა ფრიდონი.

— კიდევაც მისახსოვრებს. ბარე ორი შინაცა მაქვს. თვითონაც უყრია, რამდენი, არც იცის. მიუტანენ და მიაგლებს. მიუტანენ და აჩუქებს ესეცა წალმა-უტუღმა.

— მახლობელს მისცემდი...

— მამაჩემსაც ჩავუტანე... კახეთში... ნეტავი ერთი შენცაო, თქვა... ეგრეთი არაფერი უთქვია.

— მოიმალიერებ მეზობელსა...

— მტრად მომეკიდება... გამოშრთვი თუ კაცობა გწამს!... ძლივას ჩემი დარდი ვითხარი. მგონი... მგონი, მომეშვას... — ხელი მოიჭდო გულზედა, — გამომართვი, რა!..

მიაჩეჩა და გაჰქრა. გაჰქრა, თვალიც რომ ვეღარ მიადევნა ფრიდონმა; თვალი და ყური თითებმა მოსტაცა, რომ უქერდა თითებსა, რადიომიმღებსა რაღა თქმა უნდა, რომ ჰყიოდა რადიომიმღები, თითქოს ათასი გოჭი ჰყივისო, ათასი თუ ათას ერთიო, სულერთია რაღა თქმა უნდა, თითქოს ამის თითებში ჰყივის, ჰყივის და სხმარტალებს, სხმარტალებს და გასხლტომასა ლამობსო. ისევე ჯაზი გახლდა ცხადია, გოჭი თუ გოჭები ისევე ძველი შედარებაა, — არის და იყოს, შედარება თუ მოძველებულა, გოჭი ჰო მანც ყოველთვის ახალია, ჭორფაა ჰო გოჭი ყოველთვისა, — იყოს, იყოს. მთავარი ისაა, ხელთ ემყრა ჯაზი, იდგა ქუჩაში და ეხვია ჯაზი, ეხვია და თავს გადასდიოდა, ტვინს უღრღნიდა და გულმუცელს უნგრევედა, მეტი არაფერი, მეტი არაფერი. რა ეჯაზებოდა?.. იმან მოიშორა და ამას მიუგდო, დიდი თავი გაქვს და იტირეო. თუმცა არაო, ასე არ უთქვამს, არც რომ ამგვარად გაუფიქრებია და არც ჯაზია სატირალი რაღა თქმა უნდა, — სალალობოა რაღა თქმა უნდა, ოლონდ ესაა, რომ არ ელალობოდა ფრიდონსა, არ ეცმუტებოდა, არ ეროკებოდა და მანც ჯაზი ეხვია ირგვლევა, თავზედაც ჯაზი გადასდიოდა, ჯაზი უჭდა ხელის გულზედა, — არა, თითებს აღარ უქერდა, ეღო ეგრე, ეღო და დასცქეროდა, დასცქეროდა და უქვირდა: ნეტავი ე რაღაა, რა დარღუბალაა, რას ამეკვიატა, რას დაეცქერივარ, რას ვუსმენ, ანთუ რა მოვუხერხოო. რას მოუხერხებო, — ისაა, ვერაფერს რომ ვერ მოუხერხებო, ვერ მოიშორებო, შენ არ გინდა და ის არ გეხსნება, შენ გაუბრძობარ და ის წინ გიყელებს, ისაა, ისაა, რაღაც ისეთია, რომ არ გინდა და ხელში ავიყვანია, არ წაიქცეს და არაფერი იტკინოსო.

და გაუელვა, — ხელს გაუშვებო. კიდევაც გაუშვა. არ დაუვარდა. არ დაეცა. თასმით დაეკიდა მაჯაზედა. მიინც დაევიდა ასფალტამდისა. და ახლა იქიდან შემოსძახოდა. ემანჭებოდა. ელრიგებოდა. დგაფუნობდა და ტლინკაობდა. წიოდა. ჭყვიროდა. აღარ დავეითელი თურამდენი გოჭვიეთა.

## XIX

ისევ დაპყარვა, როგორც რომ იპოვნა, — რადიომიმღებზე ვამბობ: ქარის მოტანის, ქარივე წაიღებსო, ნათქვამიც არისო; სხვაც არის ნათქვამი, ღოღონდ აქ მაინც უფრო ის ითქმის, რომ არ დაქნებებია ფრიდონსა და ის ისევე, როგორც რომ პოვნა არც გაპხარებია, — არა, არა, არად ჩაუგდია, მხოლოდ ხელს გააყვა, ჩარგალს რომ მიდიოდნენ, ისიც უშანგიმ ჩააგდო მანქანაში, უშანგიმვე გაასაჩუქრა და მერე ნანობდა, უშანგივე ნანობდა, ტყუილად აეცტლი, ტყუილად მივეციო. უშანგივე ნანობდა. ოღონდ მანამდე: ჩარგალს მიდიოდნენ-მეთქი, რომ მოგახსენე, ბაბულიც გაიყოლეს. ბაბული მიზეზი გახლდა. იმის ნებართვას რომ ეძიებდნენ, პატიმართან შეხვედრის ნებართვასა. ფრიდონი შუაყაცი. საქმე უშანგის უნდა გაეჩარხა. გაჩარხავდა უამათოდაცა, ანთუ გაეჩარხა, ანთუ მიეტანა ყუამდისა, — იქ შეჭვდებოდა, ჩარგალში შეჭვდებოდა, იქ მიიღებდა საბოლოო პასუხსა. მიიღებდა უამათოდაცა რაღა თქმა უნდა, მაგრამ ინება თან რომ ჰხლებოდნენ, ანთუ დროზე რომ ეხარებინა, თანაც ეზეიმათ, გარეუღიყვენ ვაჟას დღეობაში, ვეაობაში გარეუღიყვენ. აგვიანდებოდათ და მიჰქროდა უშანგი, მიჰქროდა, მიჰქროდა, მიჰქროლებდა. გზაც უჭერებდა, არაგვისპირების დაგრეხილი გზაი, არაგვის ჭალებში ვახლართული გზაი, უჭერებდა, რომ აღარ დაგრეხილიყო, რომ აღარ გადახლართულიყო; ალაგ-ალაგა, ეგვეც არაფერი, გასწორდებოდა, ალბათ რომ ისიცა, რომ გასწორდებოდა ყველაფერი; ბარათაშვილიც ველარ შემღერებდა, არაგვო,

მაგ შენ ატეხილ ჭალებსა, ბარათაშვილიც აღარ იქნებოდა, რომ გასწორდებოდა ალბათ ყველაფერი, ვაჟა-ფშაველაც აღარ იქნებოდა, რომ გასწორდებოდა ალბათ ყველაფერი, გასწორდებოდა, ჩაიძირებოდა, ჩაიძირებოდა. ჭერ მხოლოდ გზა გასწორებულყო, ანთუ სწორდებოდა: სწორდებოდა და სწორდებოდა, გამოითლებოდა ისარივითა, მცხეთიდან რომ ორჯონიკიძემდე, გაეყრებოდა ისარივითა, კაკასიონისა, კუბილონის ისარივითა, გაეყრებოდა და გასრილდებოდა ელვის უსწრაფესადა, თვალის უსწრაფესადა. უშანგის უხაროდა, მალე მივალთო. არც რომ სიჩქარის გამოცვლა უნდოდა, ისე მალი-მალა, არც საჭეს ადგა ისეთი ძალი, — უხაროდა უშანგისა. უშანგი ჩქარობდა. შეჩერება აღარ შეეძლო, დაყონება აღარ შეეძლო უშანგისა. უშანგი ბარათაშვილი ვერ იქნებოდა, ვერ განიცდიდა მშვენიერებასა არაგვისასა, ვერც შესძახებდა ქართველურადა, არაგვო მაგ შენს ამწვანებულ მთებსო, ვერც შესძახებდა, გზა რომ მთებზე გადადიოდა, არაგვი ეგდო საღაცა ჰე, ძირსა, და მალე რომ აღარც ეგდებოდა ქინჯალის მერე, აღარც ეგდებოდა, — დაგუბდებოდა, დაგუბდებოდა... უშანგი მიჰქროდა ისევ ისევე, ეწეოდა და უსწრებდა, ვერავინ მიჰყოლოდა, ეწეოდა და უსწრებდა, თავის მარჯის მანქანებსაცა, თვით ანძებიან მანქანებსაცა, ეიგულე-ბი ჰო ფრთხებოდნენ და ცვივოდნენ აქეთ-იქითა, თითქოსა ცვივოდნენ რაღა თქმა უნდა, გაეცლებოდნენ და გაეცლებოდნენ ვივავლაბითა, ჩაუქროლებდა და გაინავრდებდა, ახლა სხვები რომ დაეფრთხო ისევე, საყვირიც ისეთი დაეყენებინა, აფრთხოდა და იციონოდა, იციონოდა და უკვირდა, რატომ ფრიდონიც არ ამყვებო, ისე მაინცა, ხათრისთვისაო. არ ასდევდა, — ფრიდონზე ვამბობ: იჭდა უქანა სავარძელზედა, ხანდახან გადაჰხდავდა ბაბულისა, ის რომ გადმოჰხდავდა, მთებს რომ გაყურებდა არაგვისასა — „მთანი ტყიანი“ — და გადმოჰხდავდა აფო-

ფინებულო, სახეგახსნილო, ქარი რო უწეწავდა თმასა, ქარი არაგვისა, მანქანაში შეგვარდნილი ქარი. ქარსაც ჩასძირავდა, აქეთ მაინცა, არაგვი რო აღარ იქნებოდა, — რალა გამოიტანდა ქარსა, ქარსა მთებისასა, ქარსა კავკასიონისასა, — აქეთ მაინცა, არაგვი რო აღარ იქნებოდა: მომძლავრდებოდა მერე ქვენაქარი, ცხელი, შემხუთავი, მწველი, დამდაგავი: „ჰოი, ადგილნო, არაგვის პირნო, მობობინენო, შვეებით მომზირნო...“ რალა დამართა უშანგისა, — გაგულისდა: მიჰქროდა, მიჰქროდა, წამოეწია ბატების გუნდსა, აუყაყანდნენ, შეფრთხილდნენ და აუყაყანდნენ, დაამუხრუჟა, ერთის წამითა, თუნდაც რო მეტითა, ცოტა მეტითა, შეუყურთხა რო ბატებსაცა, პატრონსაცა ბატებისასა, მომგონსაცა ბატებისასა, მკამელსაცა ბატებისასა და თავის მიმდებნსაცა გერმის ბალიშზედა და ამასობაში ვილაცამ, გაასწრო, ჩაუქროლა და მიჰფარდა თვალსა; და გაგულისდა, გაგულისდა უშანგი, გაგულისდა და აიწყვიტა. რა გეჩქარებაო, ფრიდონმა შეახსენა. არც გაუგონია უშანგისა. ბაბულისაც არ გაუგონია, ბაბულიც წამოენთო.

— ის იყო . — შესძახა ბაბულიმა.

ის იყო, დარილის კარი რო გაიტაცა თერგმა და ვინ იყო, რა იყო, ვერაფერი გაიგო ფრიდონმა. უშანგის რო არც გაუგონია ბაბულის ნათქვამი, ეს ახელებდა, ვინ გამასწორო, ახელებდა და გაჰკიდებოდა; ბაბულის ეგონა, მე ამყოლიაო და მიჰქროდნენ ეს ორნი, მიჰქროდნენ და არცა ჰყოფნიდათ სისწრაფეი იგი, მხოლოდ ფრიდონი არ მიჰქროდა, არც ეშურებოდა და არც მიჰქროდა, ეს ორნი მიჰქროდნენ, მიჰქროდა მანქანაი რალა თქმა უნდა, მიჰქროდა, ოღონდ ვერღა ასდევდა სწრაფვასა ამათსა, არა ჰყოფნიდა; ფრიდონი არ მიჰქროდა, ფრიდონს უკვირდა, რა ეჩქარებათო, — ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს, რას ეშურებიან, რა ეჩქარებათო. ხმამალლა ვერც იკითხა, ანთუ ვერც მოას-

წრო, ისე გაუსხლტნენ ორივენი, უშანგი და ბაბული რალა თქმა უნდა, გაუსხლტნენ, ანთუ ბაბული გაუსხლტა: აი აგერო, შესძახა და გაიწია, გაიწია და დაეკარგა თვალთავანა; უშანგი მანამდის, გამოეცალა, აქ იყავით, მე მოვებნისო, გამოეცალა და ჩაიყლაპა, ხალხშია ცხადია; მიტინგი უკვე დაწყებულიყო, ანთუ ისაა, რო იწყებოდა დღეობაი, დღეობა იწყებოდა, ვაჟის დღეობაი, ვაჟაობაი, მიტინგითა, მიტინგით იწყებოდა: აღმართათ რო ფიცარნაგი, მიკროფონებიც გაემართათ, წამომდგარიყვნენ რო სტუმარნიცა და უფროსნიცა რაიონისა, სტუმარნიც უფროსნი რალა თქმა უნდა, შემოწყობოდნენ რეპორტიორნიცა, აპარატებითა, ნაირნაირითა, მალღაცა, — ბანხედვე, — დაბლაცა, — მიწიდანა, — შემოწყობოდნენ: მეჯახენიცა, ყმაწვილებიცა ხევისტურული ტალავართა, ყმაწვილებიცა და გოგონებიცა, ადგილობრივი, ფილარმონიის მეჯახენიცა, ფილარმონიის სოლისტებიცა, მერე რო ფიცარნაგს დაეუფლებოდნენ, ჯერ მოლზე ელოდნენ და შეჰყურებდნენ ზევით შეხროვილ ორატორებსა, ლექსის მთქმელებსა თუ სხვათა და სხვათა, ალბათ ძალიან რო გაჰკვიანურებდნენ, ისე რო ვაჟაც რო დაავიწყდებოდათ, — ჯერ აგერ ამას დაჰვიწყებოდა, მიტინგი რო უნდა გაეხსნა, ჯერ ერთი ფურცელიც რო არ ჩაეთავებინა და ბლუჟა რო ეკირა ფურცლებისა, ეკირა და მისდევდა, მირეკავდა, მიჰქროდა თითქოსა, ესეც მიჰქონდაო, ანთუ ფიცარნაგი მიჰქროდა და ველარ გაეგო ფრიდონსა, თვითონაც მისდევდა თუ გაჰყურებდა შორიდანა, — ველარ გაეგო: გეგმები წარმატებითა სრულდება, — ყველა მაჩვენებლის მიხედვითა“-ო. ბრძანებდა იგი მიკროფონთან რო მიმდგარიყო, — ამდენი ხორცი, ამდენი ყველიო, ამდენი მატყლიო, ამდენი პროცენტი შარშანდელთან შედარებითაო... გადაჭარბებითაო... რიცხვები უქრებოდა მაშინვე ფრიდონსა, მერე მატყლიც გაუქრა, ხორციცა, ყველიცა,

ენერგეტიკის პრობლემებიცა, გაზიფიკაცია იქნებოდა თუ ელექტროფიკაციაო, ახალი დარგებიცა იმიტომაც, რომ დამავარდნის... დამავარდნის... ახალგაზრდობა... ახალგაზრდობა, — გაუქრა თუ აერია ერთმანეთშია, რაკეტული დანადგარებიც ამათში აერია, გამანთავისუფლებელი მოძრაობებიცა, მხოლოდ მიკროფონი ხმაურობდა, ხმაურობდა, მხოლოდლა ხმაურობდა ფრიდონისათვისა და ვგონებ, რომ სხვათათვისაცა, ერთმანეთში რომ საუბრობდნენ, რომ მოიკითხავდნენ ერთმანეთსა, მოიკითხავდნენ და საუბრობდნენ თავთავიანთისა, მიკროფონი ზევითა ხმაურობდა, ზევითა, გუგუნებდა თუ გრიანებდა სულერთია, ზევითა, მალა, ფიცარანაგაც ზევით აღიოდა, ზევითა და ზევითა, — მიჰქროდა თუ აღიოდა, ახლა ესეც ვერ გაერჩია ფრიდონსა. უშანგაც არა სჩანდა, ბაბულიც არა; ვილაც ამოსდგომოდა თუ ვილაცანი ამოსდგომოდნენ: ერთი ჰყვებოდა, მეორე აცნობდა, ვაჟას შვილიაო, ამასაც აცნობდა, სხვებსაც აცნობდა, გროვდებოდნენ ფრიდონის გარშემო, ვაჟას შვილიაო, და ისა ჰყვებოდა, — შვილი ვაჟასი: ერთი ოჯახი იყო მაგრანეთში ბეწუკლიშვილებისა, იმდენი ცხვარი ჰყავდათ, იმდენი, ჰყვებოდა შვილი ვაჟასი, რამდენიც რომ ახლა შეუგროვდებათ ღუშეთისა, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებსაო, იმდენი ჰყავდათო, კიდევ ოთხი ოჯახიც გამიგონია უფრო მეტადაც რომ გამოიდებდნენ თავსო, ოღონდ ამათი მიანც უფრო მომაგონდება, ბეწუკლიშვილებისა, ვნათესაობდით, ჩვენი ქალი ჰყავდათო, ჰყვებოდა შვილი ვაჟასი, ხშირადაც ეწვეოდა ხოლმე ვაჟაი, ბეწუკლიშვილებსა, დაბრუნდებოდა და ვაი ჩვენი ბრალიცა, წამოგვრეკავდა დილაღამიანა, ადევით და საქმეს დაადევით, ადევით და ხელი განამრითო, ჰაი დედასა, ბეწუკლიშვილებისა უნდა იყვნეთ, ისინი გასწავლიდნენ ჰქუასაო; ჰყვებოდა და ჰყვებოდა შვილი ვაჟასი, მიკროფონი მალაყს გადადიოდა ზევითა, გადადიოდა

და გადადიოდა. ვაჟას შვილიაო: ახლა სხვები აცნობდნენ სხვებსაც, მატულობდნენ და მატულობდნენ, აცნობდნენ და აცნობდნენ, მიკროფონი ზევით გადადიოდა მალაყსა, ჰყვებოდა და ჰყვებოდა შვილი ვაჟასი: ერთხელ ძალიან გაგვიჭირდაო, რაღა ერთხელაო, ოღონდ იმ ერთისა უნდა ვითხრაოთო, ომი იყო თუ ომის წინა თუ ომის მერეო, კარგადაც არ მახსოვს, გაგვიჭირდა და რომ გაგვიჭირდა, ვუთხარი ვასილ ბარნოვის შვილსა, ყველა რაღაცასა ცდილობს, ყველა ეწია რაღაცასა, მოდი და ე ჩვენც მივდგეთ და მოვდგეთ, სხვა არა იყოს რა მამები გვეყვანდნენ სახელოვანი, უსახელო მამის შვილები იოლად გადინან ფონსა, ჩვენ რაღა ღმერთი გაგვიწყრებამეთქი; ვუთხარი და მითხრა, მივდგეთ და მოვდგეთო. არ მეგონა თუ დამთანხმდებოდა. მორიდება მორიდება, მაგრამ რიდი რომ აღარ იცის გაჭირვებაა?.. მივდგეთ და მოვდგეთო, და მივდევით და მოვდევით და მერე რაო, — ვერაფერს გავხდით, ვერას ვეწიეთ, სხვები ეწიენ, ყველამ გადაგვისწრო და ყველამ გაიტანა თავისი, ჩვენ გამოვბრუნდით ყურჩამოყრილები, გამოვბრუნდით; იმას ხმის ამოღების თავიც აღარა ჰქონდა, მეღა ვბურტყუნებდი, ორი გენიოსის შვილი და ორივე ასე უხეირო რამ გავაჩინა მეთქი. ჰყვებოდა და ჰყვებოდა შვილი ვაჟასი, ჩაჰკიდებოდა ფრიდონის მკლავსა, მაინცდამაინც ფრიდონის მკლავსა, და ეგრე ჰყვებოდა; ჩაჰკიდებოდა და აეყოლიებინა ფრიდონიცა, გუნდიცა, რომ იმატებდა და რომ იკლებდა, გვიშლებოდა და შემოგუფუნებოდა, სხვებს შეერეოდა და სხვები წამოეტანებოდნენ, — ვაჟას შვილიაო, ეკითხებოდნენ ფრიდონსა, — ვაჟას შვილიაო, უდასტურებდა ფრიდონი. და მისცურავდა ფიცარანაგი, მართლა მისცურავდა თუ რა იყო, მისცურავდა თუ ბრუნავდა, ბრუნავდა თუ რა იყო, — უკან მოექცნენ ფიცარანაგსა, ზურგით მოექცნენ ფიცარანაგზე შემადლებულთა, მოჯახეთაცა, ადგილობრივთა თუ ფილარმო-

ნიისათა, მხოლოდ მიკროფონი ისევ გადადიოდა მაღაყსა, აქეთაცა და იქითაცა, გადადიოდა და გადადიოდა. ჰყვებოდა და ჰყვებოდა შვილი ვაჟასი: ბოლოს მაინც გავედი ფონსა, მარტო ვიარე და მარტო ვავედი, — მეგვიდრეობის უფლება აღმიდგინეს, აბა, აღმიდგინეს და გამიგრძელეს. ვაჟასაც არგო, აღარ ვეშვები, ლამის ლოგინი ვავიშალო გამომცემლობებშია და გამოდის და გამოდის წიგნები ვაჟასი, ვაჟასაც არგო; აგერ ამ ქოხსაც მუზეუმი დაგვირქვეს და მეც გამომამწესეს ღირებურობადა. ვაჟასაც არგო. მუზეუმი იყო და მოდიან და მოდიან. ვაჟასაც არგო, არგო აბა რაო.. ის ისევ ტაძრებზე დაიფორთხება, ვასილის შვილზე მოგახსენებთო, კითხულობს და ძლივსა კითხულობს ძველ წარწერებსა, დაკაწრულებსა და დათოფილებსა, კითხულობს და ვერცა კითხულობს, ზოგი უჭერის და ზოგი არც უჭერის. ის მაინც კედლებზე დაიფორთხება. მეც რო მეფორთხა, ჩემი საქმეც ეგრე იქნებოდა; ორი უხეიროდანა ერთმა მაინც ვიხეირეო, ხე, ხე, ხე, ხე... ხე, ხე, ხე, ხე... ხე, ხე, ხე, ხე... ხე, ხე, ხე, ხე... იცინოდა და ჰყვებოდა შვილი ვაჟასი, ჰყვებოდა და იცინოდა. ვაჟას შვილიაო, დაასწრებდნენ ფრიდონსა, ან ისევ ფრიდონი დაასწრებდა, ვაჟას შვილიაო. ეგეც რო შვილიაო, გამოუჩნდებოდა გამკილავეცა, გამოუჩნდებოდა. შვილი ის იყო, ძეი პირველიო, არეულობაში რო მოჰყვა, აი ის იყო, შვილი ის იყოო. ესენი ბრუნავდნენ თუ რა იყო, ანთუ ფიცარნაგი ბრუნავდა უკვე წამომდგარი ორატორებიანადა თუ წამოსადგომი ორატორებიანადა, რა იყო თუ როგორც რა იყო, ისევ ისევ პირისპირ მოექცნენ, იმათაცა, მოჯაზეთაცა, ხევისურულ ტალავრიან მოცადობაცა და ერთიც ვნახოთ, ციმბირის გოგონათა ანსამბლსაცა, — მოსულეყვნენ ისინიცა თუ წელან გამორჩათ, როგორც თუ რა იყო,

იქ გახლდნენ ისინიცა, ნიშნად ურყევი მეგობრობისა; იქ გახლდნენ ესენიცა ერთი სიტყვითა, ისინიცა და ესენიცა თუ ელოდა მოწესრიგე ფიცარნაგისა, აივლავებოდა ისე იმგვარად, გაიციქრებოდა ისე იმგვარად, — ჩარგულურას დასწვრივ გაიციქრებოდა, არაგვისაკენა, ჩარგულურა რო მიექანებოდა იქითა, გზა რო იქიდან შემოდიოდა. აქ თითქოს ისევ ბრუნავდა ფიცარნაგი თუ ესენი ბრუნავდნენ, — ჰყვებოდა და ჰყვებოდა შვილი ვაჟასი, თავისასა ჰყვებოდა; და გადმოდგა შვილიშვილიცა ვაჟასი, ფიცარნაგზედა მიკროფონთანა, იმასაც თავისი უნდოდა ეთქვა, ლექსის თქმა უნდოდა და ლექსი უნდა გითხრათო, აფრთხილებდა წინასწარა, აფრთხილებდა თუ ფრთხილობდა, — სულერთია, ხითხითებდა შვილი ვაჟასი: ხე, ხე, ხე, ხე, ხე, ხე, ხე, ხე, ხე, ხე, ხე, ხეო, — ხითხითებდა შვილი ვაჟასი და შვილიშვილი თავისას არ იშლიდა, შვილიშვილი ვაჟასი ლექსი უნდა წაგკითხოთო, ჩემი ლექსიო; ვაჟასნაირი ვერ იქნებაო; ვაჟასნაირი ველარავის ველარ წარმოუთქვამს რაზიკანთში, მეც ვერ წარმოუთქვამ და ველარც ველარავინ ველარ წარმოსთქვამს ჩვენთავანაო; ველარ წარმოსთქვამს და იმიტომო, რაც რო ნაღები მოგვეპოვებოდა ამ რაზიკანათა, ვაჟამ მოგვხადა და შრატინდა დავრჩითო; შრატინდა დავრჩით და შრატისას გეტყვით და ნუ ხე, ხე, ხე, ხეო, — ხითხითებდა შვილი ვაჟასი, — ხე, ხე, ხე, ხე, ხე, ხე, ხე, ხეო, ეტყობოდა, რო ყურსა სჭრიდა შვილიშვილსა, ეცნობოდა თუ სჭრიდა ყურსა, თვალით დაემებდა, თვალი თვალში თუ უნდა გაეყარა, ბრაზის თვალი თუ უნდა გაეყარა დამცინავ თვალშია. ის მაინც თავისას გაიძახოდა, შვილი ვაჟასი: რის რაზიკანი, რა რაზიკანიო, მთლად ამ მთებს მოჰხადა ნაღები ვაჟამა, მთლად კავკასიონსაო, ამერ და იმერო. და კითხულობდა შვილიშვილი, კითხულობდა და კითხულობდა, ნაღებმოხდილ ლექსებსა კითხულობდა. და ტაშს უქრავდნენ პოეტები, სტუმარნი



თბილისელი, წამაჭებულადა, მფარველურადა, ვითომ თვითონაც ნაღებმოხდილი ლექსებით არ წამოჩენილიყვნენ, — ვითომო რაღა თქმა უნდა. და უცებ მოსწყდა თუ დაშორდა ხითხითი ფრიდონსა, სხვა ტალღამ წაიღო შვილი ვაჟასი თუ ეს ამოიტაცა თხელმა თითებმა, თხელმა და ძლიერმა, ასულისამა, იმა ტალღიდანა, ამოიტაცა, შემორტყმონდა მაჯაზე მჭიდროდა, რო აღარ გაუშვებდა, — აღარა, აღარა.

— მეგონა, მორჩა, ველარ გიპოვნოდი!..

ბაბულის ხმა გახლდა, თითებიც ბაბულისა რაღა თქმა უნდა, სუნთქვა რო ისე მოჰხშირებოდა, რო აღეწილიყო, მოჰკიდებოდა მზეი ფშავისა, მზეი მთებისა ქალაქის ფერს რო მოჰკიდებოდა, თბილისის ფერსა.

— რატომა მკარგავდი?!

იხუმრა ფრიდონმა, ვითომ კიდევაც უსაყვედურაო.

— არა!..

შეკრთა ბაბული, ანთუ შეშინდა, ვინ იცის, ისე მოჰკიდებოდა მზეი.

— მჭერა!..

დაატანა ფრიდონმა, შეეცოდა და მსწრაფლ დაატანა.

— მეგონა მომყვებოდი... მეგონა... გაიმეორა ბაბულიმა, საყვედურად არ ჩამომართვასო.

— რო ველარ მოგიდღე თვალი?..

გაიციანა ფრიდონმა.

— ველარც მოვიხედე, ისიც მიეფარა ხალხსა...

— ვინ ისა?..

— ბილეთი რო დამითმო.

— არა მგონია...

— მე მგონია... ის იყო... ის იყო...

— გამოჩნდებ... თუ მართლა ის იყო...

გაუიოლა თუ დაამშვიდა ფრიდონმა.

— ამოდონ ხალხში...

ვერ დაიჭერა ბაბულიმა.

— მეც არ დამკარგო...

გაეხუმრა ფრიდონი.

— არ მომძებნი?!

გაიბუსხა ბაბული, ოდნავა, ოდნავა

ცხადია და რაღა თქმა უნდა...  
— ქვეყანას გადავებრუნებ...  
ხმას აუწია ფრიდონმა, სიცილითა და საიმედოდა. საიმედოდა.

და გაუღვივდა იმედი ბაბულისა. გაუღვივდა. ხელს ჰო არ უშვებდა, რახან ჩაჰკიდა, კიდევაც უფრო მოუჭირა თითები, თვალეზი დაჰხარა და ისე მოუჭირა. ასე მიადგნენ ქოხსა ვაჟასი. მიადგნენ და ვერც რო მიადგნენ. ხალხი დიოდა. მიკროფონი ისევ გადადიოდა მალაყსა. თუმცა თხელდებოდა ხალხი ფიცარნაგის ირგვლივა. მაინც ეხვია საკმარისი. მაინც გადადიოდა მალაყსა, მიკროფონი რაღა თქმა უნდა, ფერდობებზე გადადიოდა, მთიდან მთაზე გადადიოდა, შორს გასწვდენოდა ხეობასა, ისე შორს ხალხი ვერც წაუვიდოდა, არც წაუვიდოდა, ვაჟას ქოხს ეხვია, ბზუოდა, ბუტბუტებდა, შედიოდა და ვერ შედიოდა, შევიდოდა და ვერ გამოდიოდა, — ხალხი, ხალხი, პატარა ქოხშია. ან ქოხს რაღა „პატარა“ უნდა?.. შესვლაც არ უნდოდა, ზედ მიხლაც არ უნდოდა, შორიდანვე მოსჩანდა უბრალო ცხოვრებაი, ღარიბული არა, როგორც რო გვარწმუნებენ ვაჟას მკვლევარები, გვარწმუნებენ თუ ჩაგვიჩინებენ, — ღარიბული არა, უბრალო ცხოვრებაი, ბუნებრივი ცხოვრებაი, ბუნებრივი, ბუნების შვილისა, დიადი სულისა, ბუნების სულს რო შესთვისებოდა, შეზელილიყო, შენივთებოდა, ანთუ არ გაჰყროდა, არა, არა, არ გაჰყროდა, არა, იყო ბუნებისა, ბუნება გახლდა და თალხნად გახლდა ამ პატარა ქოხშიცა, ბუნება რახან დიადი გახლდათ, დიადი გახლდათ პატარაშიცა, ანთუ პატარა არას დაერქმოდა, არცა ქოხსა, არა, არაფერსა, ბუნება რახან დიადი გახლდა, მცირეც ყოველი გახლდა დიადი. ჰო, ჰო ბრძანე ისე, როგორც გენებოს, სიტყვა, სიტყვა, შესვლით მაინც ვერ შედიოდნენ, წაიწვედნენ და ისევ უკან იყვნენ, უფრო უკანა და უკანა. უკვირდა ბაბულისა. ფრიდონს აღარ უკვირდა. ისევე მიიწვედა ხალხი, ფიცარნაგის ირგვლივ

რო მიიწე-მოიწევედა, ისევე ერქობოდა თუ ეჩხირებოდა ერთიმეორის წინა, უსათუოდ ერთიმეორის წინა, უსათუოდა, უსათუოდა, ეჩხირებოდა და ეჩხირებოდა, და იხევდნენ ესენი უკანა, წინ მიიწევედნენ და უკან იხევდნენ, იქ მანცა ბრუნავდნენ, ფიცარანავის გარშემო, ის ისე იღვა, რომ ბრუნავდნენ გარშემო, აქ უკან იხევდნენ, იხევდნენ და იხევდნენ, ლამის რომ ფეხი გადასცდნოდათ, გადაცვენილიყვნენ ლამის ჩარგლურაში. უფრო ეჭიდებოდა ბაბული, ეჭიდებოდა და ეჭიდებოდა ფრიდონსა, მეორე ხელითაცა, ეჭიდებოდა და ეკვროდა, უფრო იმაგრებდა ფეხსა ფრიდონი, მარტო ჰო აღარ იყო, ვთქვათ თვითონ თუ გადავარდნილიყო წყალში, სხვასაც ჰო არ გადაიყოლებდა, — არა, სხვას მანც არ გადაიყოლებდა. და მოსჭიდებოდა ბაბული. და იმაგრებდა ფრიდონი თავსა. წინ მიიწევედა. მიიწევედა. აღარ დავუმატებ, — მაგრამ უკანა რჩებოდამეთქი, აღარ დავუმატებ. რაც უნდა იყოს, ვერ მიალწევედნენ იქამდისა, იმ დღეს ვერა, მერე ჰო იმათი ნება იქნებოდა, — შესულიყვნენ და გასულიყვნენ, ჩამომსხდარიყვნენ და ყოფილიყვნენ, აღარავინ გადაუსწრებდა, აღარავინ ჩაეჩხირებოდა, აღარავინ გაიჭაპანებდა იქა მერმის ამ დღემდისა, აღარავინა, — იქნებოდა, მათ ნებისად იქნებოდა, მერე ესენიც რომ აღარ იქნებოდნენ. ოღონდ ეს უკვე სხვა საუბარია, ხოლო იმავე დღეს რაც შეეხება: რომ მიიწევედნენ და რომ რჩებოდნენ უკან-უკანა, თან რომ უშანგისაც ელოდებოდნენ, ბოლოს უშანგიც გამოჩნდა ცხადია, გამოჩნდა და გაუძღვა წინა, გაუძღვა და გაიყოლია, გაიყოლია და გაიყვანა, თითქოს რომ გააპო ხალხი ხელახლა, გააპო და მიჰყარ-მოჰყარა, მიჰყარ-მოჰყარა და ზურგთუკან მოიქცია ყველანი ერთბაშად, ზურგთუკან მოიქცია და ამოჰყო თავი ვაჟის ქოხშია, ამათთან ერთად რაღა თქმა უნდა; მიიხედა, მოიხედა, მიახედა, მოახედა, მეტი რა იყო, — წუთისა გახლდა თვალისათვისა და წუთის მერე გა-

ბრუნება რომ მოინდომა, შეატყუო, კარით ვერ გავიდოდა, ისე მთავყდნენ, ყუსუდ გულდაგულა, სწორედ უკანანი, თან რომ გამოჰყვნენ. შეატყუო და არც უფიქრია, მაშინვე ფანჯრიდან იშვირა ფეხი. ფრიდონს მოერიდა. დააყოვნა ფრიდონმა. ბაბულის მით უფრო, — ალბათ ჩარჩებოდა თუ ჩარჩებოდნენ, ამოიჭეჭყებოდნენ იმა ჯგველეთაშია, მაგრამ უშანგი გადმოსწევდა ფრიდონსა, ჯერ რომ ფრიდონსა და გადაითრია, მერე ისევე შიგნით მოექცა, შიგნით მოექცა და ბაბული ხელში აიყვანა, აიყვანა და გადააწოდა ფრიდონსა. ვერც რომ უარი მოასწრო ბაბულიმა, ანთუ რა უარი გაუვიდოდა, ისე აიტაცა ისე მსუბუქადა, აქეთ რომ ვერ მოასწრო, კინტი რომ დაეძრა, იქით გაიციანა, გაიციანა თუ შეიკისკისა, ფრიდონის მკლავებშია, თვითონაც რომ მოჰხვია ხელი კისერზედა, ორივე ხელი რომ მოჰხვია კისერზედა; წამით დაავიწყდა თითქოს ყველაფერი, წამიდან წამზე ისევე გონს მოეგო და რომ არ იცოდა, სად გამჭრალიყო, როგორ გამჭრალიყო, ისევე თვალები მოხუჭა, მოწურა და გაიტრუნა ისევე ისევე, ისევე მკლავებში, ისევე მხარზედა; გაიტრუნა და ნატრობდა გატრობასა, ისე გაისმა კისკისი იმისი, ანთუ თვითონვე მოესმა ისე, რომ გაინაბა თითქოს ყველაფერი, ყველა და ყველაფერი, სული გაიკმინა თითქოს ყველაფერმა, ყველამ და ყველაფერმა, ტყიდან ტყემდე, მთებიდან მთებამდე, ფიცარანავიდან ვაჟის ქოხამდე, თვით მიკროფონიც რომ გაისუსა, თითქოს ამ კისკისის რომ დალოდებოდნენ, თითქოს ესეც რომ პროგრამაში ჰქონდათ, სწორედ ასე და სწორედ ამ დროსაო. თითქოსაო თუ რაც უნდა იყოს, ბაბული ნატრობდა, რომ გამჭრალიყო, ანთუ გამჭრალიყო, აღსრულებოდა ნატრია თითქოსა, ისე უსასოდ ისევნა მკლავებზე, ფრიდონის მკლავებზე რაღა თქმა უნდა და იმასაც ისე მიჰყავდა თუ მიარბენინებდა მანქანისკენა. და იქაც, მანქანაშიც ვერ გაეხედა გახელი თვალისა ბაბულისა, ვერ გაეხედა,

ეგონა ყველა მე შემომცქერის გაკვირ-  
ვებულნი და პირდაღებულნი. არა, არა-  
ვინ არ შესცქეროდა რაღა თქმა უნდა,  
არც გაკვირვებითა, არც თანაგრძნო-  
ბითა, პირდაღებულნი არა ცხადია,  
და რაღა თქმა უნდა, ყველა რო თავის  
თავს აპყობოდა, ყველა ბრუნავდა თა-  
ვის გარშემო, მიკროფონი რო თავს გა-  
დასდიოდა. უშანგი უქცევდა ხალხსა,  
მანქანებსაც უქცევდა, უქცევდა, მიძე-  
რებოდა, ანთუ მიაძვრენდა მანქანასა  
იმ სიციწროვეში და თუ რამ იყო გა-  
საკვირველი, ეს თუ იქნებოდა, ოღონდ  
ესაა, რო არც ეს უკვირდით, ზედაც  
არავინ არ უცქეროდა, არავინა, თვით  
ისინიც არა, ვისაც ისე ვერ ჩაუვლიდა,  
ზედ არ მივლესოდა, არ გახახუნებოდა,  
— თვით ისინიც არა.

ჩარგლურა ეგრე ჩამოიარეს.

არაგვზე გაახილა თვალი ბაბულიმა.

— რა დამემართა?!

აღმოთქვა ბაბულიმა, თვალი რო გა-  
ახილა არაგვზედა.

— რა დამემართათ?!

შეიციხადა უშანგიმა.

— რა?! რა?!

აპყვა ფრიდონიცა.

— არ ვიცი...

ჩაიღუღუნა ბაბულიმა.

— არა?!

გაიკვირვა უშანგიმა.

— არაააა?!

ფრიდონმაც გაიკვირვა, უფრო გაი-  
კვირვა. უფრო.

— ერთობით?..

მიუხვდა ბაბული, იწყინა თითქოსაო.

— დღეობაა...

აუხხნა უშანგიმა.

— დღეობაა...

დაუდასტურა ფრიდონმა.

და მიჰქროდნენ,

ანთუ —

გაუბროდნენ; დღეობა ახლა იწყებო-  
და, მორჩებოდა რო ლაპარაკი, დაიწყ-  
ებოდა დღეობაი: სუფრები იშლებო-  
და, ჭრელ-ჭრელი სუფრები, ხურჩინე-  
ბი იცლებოდა, კიდევ რო შერჩენო-  
დათ ხურჩინები მთებშია, ცოტაიდა

ხურჩინები, უფრო ჩანთები იცლებო-  
და, ყუთები მუყაოსი, ტომრები ცე-  
ლოფანისა, ქალაქური და ქალაქელთაი,  
ძველთაიცა და ახალთაიცა: ნაფშავლარ-  
თაიცა, ნახევსურალთაიცა, ნამთიულეთა-  
რცა, ნამოხევეართაიცა, ნაგუდამაყრელ-  
თაიცა, იცლებოდა და იცლებოდა,  
იშლებოდა და იშლებოდა, ჩრდილებ-  
ში, ფერდობებზედა, ანთუ იქავე, მან-  
ქანათა შორისა, ნაირგვართა და ნაირ-  
ფერთა, იცლებოდა და იცლებოდა;  
დგაფუნობდა ღვინოი, ჩქაფუნობდა  
ღვინოი, ვადაიცლებოდა ერთი ჭურჭ-  
ლიდანა რამდენიმეშია, რამდენიმეშია,  
ჩაიცილებოდა, ჩარაკრაცებოდა, ჩაიმ-  
ღერებდა და აიყვანდა მერე იმ ჭურ-  
ჭელთა, აიყვანდა და დააბზრიალებდა.  
რაც იქნებოდა, იქნებოდა, მიჰქროდნენ  
ესენი. მიჰქროდნენ. არაგვს გადავიდ-  
ნენ. და შებრუნდა უშანგი. ზევით შე-  
ბრუნდა. ის დამავიწყდა, უფრო დიდი  
სუფრა რო გაიშლებოდა არაგვის პირა-  
სა, დიდი, დიდი სუფრაი, საერთო სუ-  
ფრაი, სამასპინძლოი, რო მოუსხდე-  
ბოდნენ უამრავნი, უზრუნველნი და  
ნებიერნი; მანამდე წყაროსაც რო დაე-  
სეოდნენ, ვაჟას წყაროსა, დაეწაფებო-  
დნენ ხარბადა, შმაგადა, თითქოს ერთ-  
ბაშად უნდა ამოხაპონო, ფესვებიანად  
უნდა ამოხაპონო, — აჰა და გამხსენე-  
ბია, აჰა და მითქვამს ესეცა. ხოლო  
რო შებრუნდნენ, ფრიდონმა იკითხა,  
ეს საითაო.

— ფასანაურსა...

— ფასანაურსა?!

— პური არა ვჭამოთ?!

— თუ გვინდოდა...

— იქ აღარ მინდოდა... შენი მიმღე-  
ბიც ტყუილად მივაქცელიტე.

გაგულისებულყო თურმე უშანგი.

— ეგ გენაღვლება?!

— არა... ავჩქარდი... ეს არ მომწონს.  
თურმე იმათ უფრო ვჭირდებით. ავ-  
ჩქარდი.

— შენ ის თქვი...

— ის... ჰო!..

— აბა რა გადარდებს?!

— ჰო ვითხარდი...

— ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო. არაგვს თავისი ქარი მოსდევდა. ქარს მიაპობდნენ ეგრე ზეგზევითა, რო ჩაემუხლათ, პური გაეტეხათ. თვალს მოატყუებს და ცხენს მოაძოვებსო, — ამისი რა გოთხრა... მიჰქროდნენ, მიჰქროდნენ, ქარს მიაპობდნენ არაგვისასა.

## X X

ქარი ქარადა და ნებართვა ნებართვადა... ქარი აქ აღარც აღარაფერ შუაშია რალა თქმა უნდა. ჰქროდა ქარი, არაგვის ქარი და მეტი არაფერი, მიჰქროდნენ და ჰქროდა, მიაპობდნენ და ეგაა, მეტი არაფერი. მივიდნენ. დაპურდნენ. ხინკალი ეგემათ. ჩაიკოკლოზინეს ყელი. აქ თულა იგემებ ნამდვილ ხინკალსაო, უშანგიმა თქვა. თბილისში იცოდნენ კარგი ხინკალიო, მოიგონა ფრიდონმა, მოიგონა სინანულითა. აჰუ, რა სახინკლები იყო თბილისშიო, შესძახა უშანგიმა, აიქნია და აიქნია ხელი, შესძახა და შესძახა. ნეტავი რად მოშალეს, ვის რას უშლიდაო, მოადევნა ფრიდონმა ისევე, ისევე სინანულითა, ნაღვლიანადცა. კიდევ იქნებო, ანუგეშა უშანგიმა, ყველაფერი იქნებო, თბილისი თბილისია, ყველაფერი იქნებო, ანუგეშა და ანუგეშა, გადაუძახა და გადაუძახა მთელმთელი ხინკალი, გადაუძახა და გადაუძახა. ეგეც არაფერი რალა თქმა უნდა, ანთუ დანარჩენი, რაც ითქვა თუ როგორც რა ითქვა, როგორ ჩავიდნენ თუ როგორ დაბრუნდნენ, იმ დღეს გადაპყვა ის ყველაფერი, გარდა ერთისა: ნებართვისა, პატიმართან შეხვედრის ნებართვისა. ეს არ ასევედნება ბაბულისა, ფრიდონსაც აღარ ასევედნება ესა და არ ამშვიდებდა არცერთსა დაარბენებულსი პასუხი უშანგისა: იქნება, იქნება, ჩვენ უფრო ვჭირდებით მაგათაო. აფსუს მიძღები რად მივაფშვინტო. ეს უკვე სინანულით მოჰყვებოდა რალა თქმა უნდა. და ისევე მიუგებდა ფრიდონი: ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო. ესეც ქარიო. და მიჰქროდნენ მერე უკვე სანაპიროზე, მტკერი სანაპიროზე, ესენი მიჰქროდ-

ნენ, ქარი რო არ მიჰყვებოდნენ მტკერისაი, დაარტახებული მდინარის ქარი ვერ მიჰყვებოდნენ რალა თქმა უნდა, ესენი მიჰქროდნენ უშანგის მანქანითა, — ფრიდონი და ბაბული, ნებართვაც რო გადასცა და მანქანაც რო დაუთმო. მიჰქროდნენ და მიატანეს. მანქანა შეჩერდა: ფრიდონმა შეაჩერა. აგერ იქ შეხვალთ. მიუთითა. ბაბულისა რალა თქმა უნდა. არ გაუხედია ბაბულისა. მილულა თვალები, რალაც ემართებოდა ამ ბოლო დროსა, — ეს დავიდარაბა აღარ უნდოდა. არც არასოდეს ენდომებოდა რალა თქმა უნდა, ოღონდ აძრწუნებდა ახლა მეტადა, ბევრად მეტადა, ვიდრე სხვა დროს რო შეაწუხებდა. მოუსვენრობდა ამიტომაცა, უფრო მეტადა, უფრო მეტადა. ხან ჩაიქნევდა ხელსა, შემოიფანტავდა, უდარდლობდა, — აღარ უნდოდა დარდი, აღარ უნდოდა, აღარ უნდოდა. და მილულა თვალებიო. აღარც რო შესვლა უნდოდა, აღარც შეხვედრა უნდოდა. ასე უნდოდა. ასე მჭადრიყო. ასე ეჭროლათ. ახლა ალბათ მტკერის დაჰყვებოდნენ. რასაც უნდა დაჰყოლოდნენ, რასაც უნდა დაჰყოლოდნენ, ოღონდ ეჭროლათ. სხვა არ უნდოდა. არც შესვლა უნდოდა, არც შეხვედრა უნდოდა. აღარაფერი უნდოდა, არაფერი. აღარაფერი აწუხებდა. აღარაფერი. თრთოდა. ფოფინებდა. დაუფლებოდა რალაც განცდაი, რალაც ისეთი, უამურობას რო არ მიიკარებდა. იქ უამურობა ელოდა. ანთუ რა ელოდა, — მინელებოდა თითქოსაო, ვინ ელოდა, — მივიწყებოდა თითქოსაო. ანთუ ენება, არ შემთხვეოდა ასეთი არაფერი, ირგვლივ სიკეთე რო ყოფილიყო, ასე ენება. არა ტყნოდა გული არაფრითა, საწუხი არაფერი არ შეჰხვედროდა, ასე ენება, ასე სურდა, ასე ინატრებდა. და მიელულნა თვალნი, მიელულნა, თითქოს გაჰქრებოდა კარი იგი, იქ რაც ელოდა, გაჰქრებოდა იგი, ანთუ არ იყო, არცა ყოფილიყო, არც იქნებოდა, თუ ყოფილიყო — გაჰქრებოდა, თუ იყო — გაჰქრებოდა, თუ იქნებოდა — გაჰქრე-

ბოდა, უამისოდა, უამისოდა, ისე მიე-  
ლულნა თვალნი, ისე ელოდა სხვა რამ  
სიტყვისა სწორედ ამისგანა, ფრიდონ-  
ნისგანა, სწორედ ამისგანა, ასე უღმობ-  
ლად რო განაგრძობდა:

— კიდევაც შეგახვედრებენ.

— ბატონო?!

— მერეც შეგახვედრებენ.

— ჰო...

— ოღონდ უნდა დაარწმუნო, რო  
იკისროს...

— ბატონო?!

— არა, ეს უშანგის გამოთქმა...

გთხოვენ დაარწმუნო, რო გამოტყდეს...

— რას უნდა გამოტყდეს?..

ხელები ჩამოუშვა ბაბულიმა. თვა-  
ლიც გაახილა. ოღონდ ესაა, არ მიუხე-  
დობ ფრიდონისაკენა. გაიცქირებოდა  
ისე, პირდაპირა, და იქაც არაფერი ეჩ-  
ვენებოდა, შენობებიც არა, მანქანებიც  
არა, პორტიზონტიც არა, არაფერი, არა-  
ფერი, სულ არაფერი.

— მე რა უნდა ვითხრა?!

აისუსა ფრიდონი.

— ტყუილია.

ჩაიდუღუნა ბაბულიმა ძლივს გასა-  
გონადა, დარწმუნებულადა და ძლივს  
გასაგონადა.

— საშველი მაინც ეს არისო, უშანგი  
ამბობს, რალაცას ჩაუთვლიან, რალაცას  
მიუყენებენ, რალაცას შეუფარდებენ და  
მალე გამოვარო.

ფრიდონიც სადღაც გაიცქირებოდა,  
თუმცა რო ჰხედავდა შენობებსაცა, მა-  
ნქანებსაცა, შუქებსაცა, შეგუბებულ-  
თაცა შუქებისაგანა, ხალხსაცა და მან-  
ქანებსაცა, ჰხედავდა და უნდოდა, რო  
გადაეცილებინა თვალი. თითქოს ეს გა-  
ხლდა ხსნი ამჟერადა, რო აღარ ჰყოფ-  
ნიდა სიტყვაი ფრიდონისა და უშანგისაც  
რო არ დაუბარებია მეტი არაფერი.  
დანარჩენი უნდა სცოდნოდა ბაბულისა,  
მასზე იყო დამოკიდებული სხვა დანა-  
რჩენი, ფრიდონზე აღარა, მოიყვან და  
მორჩა, ანთუ მოაბრძანა და მორჩა, და-  
ელოდებოდა და წააბრძანებდა, სხვა  
არაფერი ეკითხებოდა ფრიდონისა, არც  
არაფერი იცოდა მეტი ამ შემთხვევაში

რალა თქმა უნდა. და გაიცქირებოდა.  
გაიცქირებოდა. გაიცქირებოდა... ბა-  
ბულიცა. პირდაპირა. პირდაპირა. პირ-  
დაპირა. თვალეზი მათი არ შეჰხე-  
დებოდა ერთმანეთსა თუ არ მიიღე-  
რებდნენ თავსა ცხადია. უნდა გადა-  
სულიყო ბაბული, უნდოდა თუ არა,  
უნდა გადასულიყო. ამდენი ხანია ამ  
წუთებს ელოდა, უნდა გადასულიყო, —  
აგერა კარი, იქ სად იცქირება, აგერა,  
მარჯვნივა, უნდა შეეღო, შეეველო, შე-  
სულიყო. ბაბული. ბაბული. ფრიდონი  
რო ვერ შეენაცვლებოდა. უნდა შესუ-  
ლიყო. უნდა შესულიყო. და შევიდა,  
კანკალითათ თუ ცახცახითათ, რაც იყო,  
შევიდა. შევიდა შოშოთა და შეშინდა  
უფრო, რო შეჰხედა ჭუნაშერსა, ანთუ  
რო ჩამოუდგა ვილაცაი წინა, მე ვარო,  
რო უთხრა. შეშინდა. შეშინდა. ვერ იც-  
ნო. ვერ მოეგო გონსა. თმაი აბურძგ-  
ნული, ისე, იმგვარადა, და სახეი ისე  
გაჭაგული აძრწუნებდა მერეცა, სიზმა-  
რშიცა. აღარც თვალეზი მოუჩანდა, ჩა-  
ნავლებოდა თუ დაჰკარგოდა, ისე წა-  
მოჰხუროდა წარბები, ისე მოსდებოდა  
ბეწვი ლაწვისთავებსა, მოსდებოდა და  
აქენჩრილიყო. მხრები მხრებს აღარ  
მიემგვანებოდა, სხეული სხეულს აღა-  
რა, არა, მოშლილიყო, მოფუტქნული-  
ყო. თუ ის იყო რალა თქმა უნდა. ექ-  
ვობდა. ექვობდა. ანთუ აღარც რო  
აღარასა ექვობდა, ბაბული ცხადია, გა-  
იცქირებოდა იმას იქითა, ჭუნაშერს  
ელოდა, ნამდვილ ჭუნაშერსა, ეს რო  
არ იყო ჭუნაშერი, არც რო მინამგვანი,  
ტყუილიც არ იყო, ტყუილი ჭუნაშე-  
რიც არა, ნამდვილს ელოდა და ხელ-  
საც იქნევდა, ჩამომეცალეო. ხმა მაინც  
ნამდვილს მიემგვანებოდა, ჭუნაშერი-  
სასა, ნამდვილი ჭუნაშერისა, ცოტა ხი-  
წვი რო შეჰპარებოდა, ოღონდ მაინც  
იმისი გახლდა, იმისი, ნამდვილი. და  
არიდებდა თვალსა ბაბული, უფრო  
არიდებდა, ვითომ რო ხმა შორიდან  
მოღისო, ვითომ რო აი გამოჩნდებოდა  
კიდევაცა, მოესწრაფოდა და შემოიჭ-  
რებოდა მოხდენილი ჰაბუცი, მოსხეპი-  
ლი ჰაბუცი, — რო ისევ წამოიძარა

ტანი ქართული, სხელი ქართული ამ ბოლო ხანებშია, წამოიშართა, აიყარა, აიშართა, — შემოიჭრებოდა ხალისით საესე, დაუდგარი, რო არ შეეძლო ენა მოესვენებინა, რო არ შეეძლო ხელი მოესვენებინა და ხელი და ენა ერთად რო მოუბნობდა ათასჯვარ ამბავსა, სხვადასხვასაო და გადახლართულსა ერთიმეორეზედაო, ათასგან რო გაეგონა და ათასგანაც რო უკვე მოეთხრო, შემოიჭრებოდა, შემოვარდებოდა, გადაეხვეოდა ამ პატარა, პატარა დეიდისა, ის რო ისე აშოლტილიყო, გადაეხვეოდა სხვასაც ისევე, უცბოსაც ისევე, ვინც უნდა ყოფილიყო, როგორადაც რო თავისიანსა. გადაეხვეოდა. ყოველთვის მთვრალიც გეგონებოდა, კეთილი მთვრალი, სიცოცხლე რო უყვარს, ქვეყანა რო უყვარს და უფრო უყვარს, რაც უფრო მთვრალია და უფროც რო ვერ რო დაუფარავს, რაც უფრო მთვრალია. შემოიჭრებოდა. შემოვარდებოდა. მაგრამ არაო, ჩამოვარებოდა ეს ვილაც იყო, არც მოუშვებდა შორიახლოსა, არც მოუშვებდა, ეს ვილაც ავი, ვილაც უკეთური, იმისი სახელით რო წამომდგარიყო, ხმა რო იმის რო მიეთვისებინა და რო ამბობდა იმის საჩივარსა, თითქოს როგორღაც დაუღაგებოდა, თითქოს როგორღაც შეშლილივითა, საყვედურითა, მუჭარითა, უფრო მუჭარითა, თავს არ ვიცოცხლებო. სხვას არ ემუჭრებოდა არავისა. გამწირეთ და გამწირეთო. ჩავარდნილი კაცი აღარავის უნდა, გაჭირვებული აღარავის უნდა და მეც აღარ გინდივართო, არც მიკვირს და არც უცნაურად არ მეჩვენებო. დაუჭერებელი აქ არაფერია, არც არაფერი შეშლილისაა, ოღონდ ამის უნდა მიხვედროდი, უამრავსა და აღრეულ სიტყვებში, მოგონებებში რაღაც რაღაცისა, მშობლებსაც რო დაეშავებინათ, მახლობლებსაც რო დაეშავებინათ, მეგობრებსაცა, ვითომ ამისთვისა, სხვა ღროს სხვაგვარად რო მოგონებდა, ახლა სხვაგვარად რო წარედგინა. სკოლასა სძრაახავდა, მასწავ-

ვლებლებსა სძრაახავდა, ღირებუროს აგინებდა სიტყვისა და სიტყვეს, შუაში, ღირებუროსა სკოლისა, როგორც წინა სოდეს ახსენებდა მანამდისა, არც რო კარგადა, არც რო ავადა, ანთუ ახლა რას აბრალებდა, რო ვერ გაიგებდი, ამას მართლაც რო ვერ გაიგებდი. აგინებდა პროფესორებსა აკადემიისა, სამხატვრო აკადემიისა; რატომ არ მიმიღესო, კონსერვატორიის პროფესორებსაც აგინებდა, თუმცა იქ შესვლა არც უცდია, აგინებდა ისე, ერთ ქუჩაზე რო გახლავს ეს ორივე სასწავლებელი. ავად იხსენიებდა კიდევ ვილაცათა, ავად და უწმინწურადა, ისინი რო არც გაეგონა ბაბულისა. ჰკილაავდა დედასაც. დედასა თავისასა რაღა თქმა უნდა, რად გამაჩინაო თუ გამაჩინა და თვითონ რაღა კვდებოდა ისე მალეო, და თუ ისე მალე უნდა მომკვდარიყო, რაღა ასეთ კაცთან გამაჩინა, რო არაფერი სწამს თავის გარდაო, თავისი კარიერის გარდაო, მამა რო მამა თავისი მამაო, ისიც რო არ დაუნდვია და არ ინდობს შეილსაცაო, ე. ი. მეო, ერთხელაცაო რო წამწარდება ყველაფერი, გამოაბანლურებენ და იმასაც ვნახავთ, რილათი იტრაბახებს, რო აღარაფერი შერჩება წყალწალღებული ოჯახის გარდაო. აქ ველარ მოითმინა ბაბულიმა, დედის გაილღვა აღარ დაუთმო, მაგრამ იმან არად ჩაავდო, ყურს იქით გაუშვა, ვაჰქენა ისევ თავისი, ისევ ისევე ჭუნაშერის ხმითა, რო არცა ჰგავდა ჭუნაშერისა, ნათქვამიც რო იმისი არ ვახლდა, არა, არა, ანთუ ბაბულის არ გაეგონა და არც ეგონა თუ ამას იტყოდა მართალი ჭუნაშერი, რო შემოიჭრებოდა, აი აგერ, რო შემოიჭრებოდა. და ისევ ესა ჰვარავდა ყოველაფერსა, ეს ვილაც უცნაური, საშინელი თუ შემხარავი, სახითაცა და სიტყვებითაცა. თუმცა მამისადმი ეგება რო მართალიც იყოსო, ერთხელ რა არის, ერთხელ მაინც მოეკითხაო. უშანგი ვინაა, — ის უნდა დარბოღდეს ამის საქმეზე, ფრიდონი ვინაა?.. ის იქ იცდის, ეს აქ იკურთხება და რო წამომცდეს იმისი სახელი, აღ-

ბათ იმასაც შეაგინებსო. „არ უნდა წამოცდეს“. თქვა ბაბულიმა. ხმამალა თქვა. არც გაუგონია იმასა, მიერეკებოდა რთ თავისასა. ბიძებიც მიაწყო სათითაოდა, მერე ერთადა და მერე ისევ სათითაოდა. უნდა ითქვას, რომ ძალებს მაინც არ შეჰხებია, არც დენინაცვალსა, აქო ოლონდა დები, ნახევარდები თავისი, იარონ ეგრე, მაგ გზაზე იარონ, მაგისი ღირსია მამაჩემო, აქო ამგვარადა თუ ესეც ქებაა რაღა თქმა უნდა. ცოტა დაახანა და მოსდგა თავის თავსა, ახია ჩემზეო, ჭკუა რო მენებარა, რო არ მეფლანგა უთავბოლოდა, ჩემი ცხოვრება რო ამეწყო აწყობითა, სხვები რო აწყობენ, ისე რო ამეწყო, მაგათვისაც რო მიმეყარა ზოგჯერ საჩუქრები, იცოცხლე ქებას არ მომაცლებდნენ ახალი საჩუქრების მოლოდინშიო. ასეა ასე, უყვართ ვისგანაც რო გამოელიან, სძულთ, ვისგანაც არ გამოელიან, ასეა, ასე, რაღა მაგათგან გამოიკვირდესო. მე ჭკუა ვერ ვიხმარე, ვის რას ვაბრალო, ახია ჩემზე ყველაფერიო. მერე ისევ სკოლის დირექტორს აგინებდა, ეს ჰო სიტყვასა და სიტყვას შუა, და კიდევ ვილაცას, რაღაც უცნაური სახელის პატრონსა, რომ არც გაეგონა, რომ ვერც დაიხსომა ბაბულიმა, აღარც აღარავის მოელოდა, ხმამა მაინც იძალა, იმტლაგრა და დაიჭრა თანდათანობითა, ჭუანჭერი რომ გამოსცხადებოდა, მართალი ჭუანჭერი, ოლონდ ნილაბითა, უცნაური ნილაბითა, ამაზრზენი ნილაბითა და სთხოვდა, მოიხსენიო, და არ გაეგებოდა ჭუანჭერსა, რა მოვიხსნათო და აღარც ახსოვდა ბაბულისა თუ რა მოიხსნასო. ფრიდონი უცდიდა. უშანგის დაებარებინა, ანთუ უშანგისათვის ეთხოვათ, ბაბულის უნდა ეთქვა ამისთვისა. ფრიდონი იცდიდა. ვილაცაც იცდიდა. ბაბულის უნდა ეთქვა. ანთუ ჭერ ამას უნდა ეთქვა, ეს იბარებდა და ამას უნდა ეთქვა. ამბობდა კიდევაცა, არც გაჩერებულა, ილანძლებოდა და ილანძლებოდა, არც გაჩერებულა, ამბობდა, ამბობდა. ბაბულის უნდა ეთქვა. ფრი-

დონი იცდიდა. ვილაცაც იცდიდა, ამას ხსნა უნდოდა. ხსნა. ხსნა. ჩამოეხსნებოდა ეს შემზარავი ნილაბი. ეს იქნებოდა, მართალი ჭუანჭერი, ის იქნებოდა, ახლა რო მხოლოდ ხმა რო მიუგავდა, სხვა არაფერი, სხვა არაფერი, აღარც რო სახეი და აღარც რო ხასიათი, აღარაფერი, აღარაფერი. ანთუ მართალი როგორილა იქნებოდა, ანთუ მართალი აღარც იქნებოდა, როცა ასე გარდასახულიყო, გარდაქმნილიყო, გადამდარიყო თითქოს ქურაზედა, როგორც რამ ლითონი, შენადულარი სხვადასხვა რამ მინარევებთან. ის მღვდელი რომ მომეკლა, აღარამ ვინაღვლედი ამა ქვეყნადო, მაგრამ ხელიდან გამოგლიჯეს, ველარც ველარსად წავეწყლომევიარ, ველარც წავეწყდები და ისევ მამაჩემს თუ გავიძლოლებ საიქიოსაო. „რას ამბობ?!“ ამოიკენესა ბაბულიმა. მიაჩერდა ახლა ისე დაკვირვებითა, თითქოს რომ ჭუანჭერი ჰო აღარა ჰგონია, აღარც რომ კაცი ჰგონია, ცოცხალი კაცი, ადამიანი, თითქოს ფიტულია და ხმაი ესე ჩადგმულია, მინამგვანი ჭუანჭერისა, ჩადგმულია, ასე ცივადაც იმიტომ ამბობს: „მომეკლა...“ „გავიძლოლებ...“ ცივად და უგრძობებულადო, — იმიტომაცაო, იმიტომაცაო. ნუ გეშინიოთ, მე გარეთ გასვლა არ მომიხერხდება, ის ჩემთან არ მოვა, ნუ გეშინიანო. ისევ თავი უნდა მოვიკლა, სხვა აღარაფერი დამრჩენიო. აღარ ამოუძახნია ბაბულისა აღარაფერი, მოეჩვენა რომ რაღაც ახივლდა, ფირფიტა რომ ახივლდება ხოლმე, რომ გადაიხეხება, ანთუ ჩანაწერი წუნი რომა ხოლმე თავიდანვე. ეტყობა, ეს ფირი არც ვათავებდებო. გარეთ ფრიდონი იცდის. რომ იცოდეს თუ ვის ელაპარაკება ბაბული, რომ იცოდეს თუ რას ისმენს ბაბული, — შემოვარდება, რომ იხსნას ბაბული თუ გაიქცევა, რომ იხსნას თავი, თუ?... თუ?... თუ?... ეს მესამე „თუ“ საიდან გაჩნდა, ანთუ რა უნდა ყოფილიყო, ველარც გაიგო ბაბულიმა, აღარც დაფიქრდა, აღარც დააცადა, ხმასა, ხმასა ჭუანჭერისა, აღარც და

აცადა, თვითონ მიეყარა: რაღაცას ჩაუთვლიან, რაღაცას მიუყენებენ, რაღაცას შეუფარდებენ და ეშვებობაო, ოღონდღო იკისროსო... არა, არაო, აღიაროსო, უშანგიმეო. და შეძობდინდა ხმაი ჭუანშერისა, სახეზე რო არაფერი შეეტყობოდა, შეიძრა სხეული, შეძობდინდა: „უშანგი ვილა?!“ იკითხა ისე, აღარც რო ის მღვდელი აღარ ებლანდებოდა თვალეშია, აღარც რო მამა ებლანდებოდა, აღარც რო თავის თავს აუტეხდა ავსა, აი ეგაა, მაგას მოგვლავ, ეგ ვილაცაა და ხსნაც ეგ არისო, ისე იკითხა. ბაბუღიმ არ იცოდა, ვინ იყო უშანგი. ფრიდონისა რო დეიდაშვილი იყო, ამდენიც არ იცოდა, გამორჩა თუ ყურადღებაც არ მიუქცევია, ფრიდონი ახსენებდა, იმედით ახსენებდა ყოველთვისა, ამასაც გამოადგა, მეტი არაფერი გაეგო და არც პასუხი მოუხერხდებოდა. არ მოუხერხდებოდა. ის პასუხს ითხოვდა, ითხოვდა მკაცრად. ეს მხოლოდ გულში იმეორებდა: ფრიდონს მაინც აღარ ვახსენებო. იმეორებდა. იმეორებდა. ფრიდონი იციღდა. უშანგი არა. მანქანაც დაუტოვა და დარიგებაც დაუტოვა. სახიფათო დარიგება დაუტოვა. ალბათ წუთიცაო და გამძვინვარდებოდა ხმაი ჭუანშერისა, ისე დაახანა, ისე ჩასციებოდა, უშანგი ვინ არისო, — იმეორებდა, იმეორებდა. ფრიდონს მაინც აღარ ვახსენებო, იმეორებდა ბაბუღიცა. ის რო ხმამალლა, ეს გულში, ჩუმად იმეორებდა.

— შენც გაიჩინე?! სა-ყვარ-ლე-ბიიიი...

— რას მიჰქარავ!!!...

ვითომ ჭუანშერიო და ბაბუღიმ დაასწრო, გამძვინვარდა ბაბუღი, ისე ამოძახა, ისე, ამოიცალა თითქოსაო, სულიან-ზორციანად ამოიცალაო, ტყავილა ეგდო, ნაძენძი ტყავი, რო აღარაფრად გამოდგებოდაო, თითქოსაო რაღა თქმა უნდა, ბაბუღის რო მართლა ეგონა, ხელს რო იჭიდებდა და ვერ იჭიდებდა, თქმა უნდოდა და ველარაფერი ეთქვა. ის იცინოდა, გამძვინვარდებდა ვითომო, დაეღო პირი

და იცინოდა, წეღან რო ტუჩებზეც არ მოუჩანდა, ისე ამბობდა, დაეღო, ახლა, ხითხითებდა და ხითხითებდა, აღარც რო მუწავდა პირსა, ამოისროდა სიტყვებსა ისე, პირდაპირ ყელიდან: განა არა რო გამოშიშვებულხარო, თმაც შეგიღებია, ცხოვრების გემო შენც გაგიგია და ბედნიერებას დასწავებიხარო; გაიხარეო ქალბატონოო, შენც გაიხარეო, იმათაცაო, ყველამაო, ყველამაო, დასტკბით თქვენი ბედნიერებითა, დასტკბით, რახან რო ტკობაა ყველაფერი და სხვა არაფერი არაფერიო; დაეღო პირი და ხითხითებდა, ჭაგი ხითხითებდა თუ მღვიმე ჭაგმოდებული, მღვიმე თუ ჭაგი, ანთუ ჭაგიო, ჭაგი, გადახლეჩილი, რო აღარ ეტყობოდა კაცისაი აღარაფერი, აღარც რო შუბლიო, არც რო თვალეზიო, არც რო არაფერიო, გარდა რო ცხვირის წვეტიანი და ხახისაი, რო ხითხითებდა და ხითხითებდა. კანკალმა დარია ხელი ბაბუღისა, კრიჟაც ისევე უკანკალებდა, გამომტვრევდა თუშკა მაინცა: „ტყუილია!.. ტყუილია!.. ტყუილია!..“ გამომტვრევდა, მაგრამ იხშობოდა იმა ხითხითშია, გამაყრუებელშია, შთანთქმელშია. და აღარც ახსოვს, კიდევ რამდენხანს იმეორებდა, ანთუ ვის თუ რას უმტკიცებდა, ანთუ ვინ თუ რას მიუგებდა, ანთუ სად თუ ხელი მოუწერეს, ანთუ სად თუ ბეჭედი დაუსვეს, ანთუ სად თუ გამოისტუმრეს, არა, აღარ ახსოვს აღარაფერი. რო გამოფხიზლდა, ფრიდონი ამშვიდებდა, ფრიდონი, იმის გვერდით იჯდა, მანქანაშია. დანარჩენმა ისე ჩაიარა, ყრუდ ჩაიარა, იმა დიდებული ხახის მერე, იმა შემზარავი ხითხითის მერე, იქამდე, ვიდრე ფრიდონს შენიშნავდა, იქამდე, ვიდრე ფრიდონს უმტკიცებდა, არ შემიღებიაო. არც შეუღებია, გადაეცალა ისე სითეთრე ნელნელაობითა, თანდათანობითა, შეუშინეველად თუ ძლივს შესამჩნევად, გადაეცალა ის თეთრი ლარტყაი, შეეხამა თმის ფერსა თითქმისა, თმის ფერსა, წაბლისფერსა, შეეხამა და ქარწყლდე-



ბოდა. თვითონ თითქოს რო ვერც ამხნევდა, დაშორებული თვალი შეამჩნევდა. უცებ შეამჩნევდა და შეამჩნია უცებაცა, რო გამქრალიყო თეთრი სარტყელი, თუმცა სულმთლადაც არ გამქრალიყო, ანთუ გააქრებოდა, ანთუ ისევე გადათეთრდებოდა, მოედებოდა ანთუ მთლიანადა, ანთუ ვინ იცის რა მოხდებოდა, ჯერ ასე რო შემუქებულიყო, რო შეჭხამებოდა თუ ეხამებოდა საერთო ფერსა, ფერსა თმისასა ჭილა-რა ბლუჯი, თეთრი ბლუჯი, მაშინ ისე რო გამოსჩრბოდა ხილაბანდიდანა, მოხუცი ქალი რო ეგონა ფრიდონსა, იმასაცა, ალბათ იმასაცა, ბილეთი რო დაუთმო და ერთბაშად გადაჭრა თავისი საკითხი: დარჩენილიყო თუ დაბრუნებულიყო. და ბლუჯი იგი მერე ყოველთვის გადასდევდა თავის ადგილსა, გადავარცხნილი, ოდნავ დატალღული, გადასდევდა და გადასდევს ისევე, ოღონდ ისე მკვეთრად აღარა, ფრიდონის თვალსაც რო გამოეპარა, თურმე ისე მკვეთრად აღარა. ჰო ისევე მეტყობაო, ასე უმტკიცებდა ფრიდონსა, რო შემეღება, ჰო ერთიანი იქნებოდა ფერიო. ასე უმტკიცებდა ფრიდონსა, ეძებდა სარკესაცა, დაფათურებდა ხელსა ჩანთაში, ეძებდა, ეძებდა და ავიწყდებოდა თუ რას ეძებდა, თითებს წაივლებდა მაღიმალ თმაზედა, თითქოს თითებიცა გრძნობდა ფერსაო, ანთუ მაინც თუ ანსხვავებდაო, თითებიცა, თითებიცა, ანსხვავებდა და უჩვენებდა, უღარებდა და უჩვენებდა, უჩვენებდა და უმტკიცებდა, მაინც ჰო სხვა არის, სხვადასხვა ფერიო. ემოწმებოდა ფრიდონიცა, უყოყმანოდ ემოწმებოდა. და მაინც ვერ დამშვიდებულიყო ბაბული, ჩართავდა რო ძრავსა ფრიდონი, მოიკაო, სთხოვდა, წავიდეთო, იტყოდა მერე, მოიკაო, ისევე შესთხოვდა, ჩამოიშლიდა თმასა, წინ ჩამოიშლიდა, და სჩხრეკდა ასე, გადაიწევდა და გაპყოფდა თითებიცა, მერე შემოირტყამდა ხელსა, თითქოს და უნდა დამალოს როგორმეო, ავთვალს დაუშალოს, შართვალს დაუშალოს, მზე-

საც დაუშალოს, კაცთაც დაუშალოსო. იდგნენ იქვე და ისევე ისტახავდა, მოიკადეო, წავიდეთო, მოიკადეო. და აღარ გაუგონა ფრიდონმა: უნდა წავიდეთო, უნდა გავცილდეთ აქაობასაო. და წავიდა, გავარდა, გაეშვა პირდაპირა, რო არც უკითხავს, საით წავიდეთო, რო არც იცოდა თუ სად მიდიოდა. რუსთავამდე იარა ასე, მანქანასა თუ ანდეს მინდობილმა, იარა და ჰყვებოდა თანა წიქარასა და ამნიირ ზღაპრებსა, ბავშვობის მერე რო აღარ გავგონა და რო იგონებდა, რო იმეორებდა, ისევე სწორედა, დედა როგორც რო მოუთხრობდა, რის თმაო, რა თმაო, ანთუ ის რაო, სად ვიყავითო თუ რად ვიყავითო, აღარც გახსენებია, აღარც უხსენებია, გადაკვრიტაც აღარა. იარა ეგრე რუსთავამდისა, შევიდა ქალაქში. მოედანზე შემობრუნდა. შემობრუნდა და გამობრუნდა, გამობრუნდა და წამოვიდა, ისევე ისევე, ისეთივე ქროლვითა და ზღაპრებითა ისეთივეთი, რო ჰყვებოდა და რო უხაროდა, ეს რა კარგად დამხსომებია ყველაფერიო. ბაბული უსმენდა. ასდევდა ბაბული. ხან მაინც გადაისვამდა ხელსა თმაზედა. ხან აიფარებდა თვალებზედა, ხელსა, ხელსა, აღარ ჩამოიშლიდა თმასა, აიფარებდა და მიეცემოდა ხილვებსა იმისა, რასაც ზღაპრები რო უხატავდა. მერე თვითონაც მოინდომა, რო ზღაპარი ეთქვა და სიტყვა ჩამოართვა ფრიდონსა, ჩამოართვა თუ შეაწყვეტინა, — შეაწყვეტინა, შეაწყვეტინა სადღაც შუაგზაზედა ასფურცელას ამბავი და ეთერის ზღაპარი წამოეწყო, ეთერისა, ლამაზი გოგონასი, საცოდავი გოგონასი, დედინაცვალი რო გაატანდა ნახევარ კუტსა სამწყემსურშია და რო დაუბარებდა: ამვლელსაც აქამე, ჩამვლელსაც აქამე, შენცა ჰამე და შინაც მოიყოლო, დაუბარებდა და ცდილობდა ისიცა, შეესრულებინა დანაბარები, ყველასთვის გაეწვდინა ნახევარი კუტი, ყველასთვისა, თვითონაცა ჰყოფნოდა და შინისთვისაც გადაერჩინა. ცდილობდა. ცდილობდა. იყო ლა-

მაზი, როგორც რომ სიკეთეი. იყო კეთილი, როგორც რომ სილამაზეი. და გააწვდენდა სიკეთესა, ყველას გააწვდენდა. სიკეთე ისაა, ყველას უწილადო, უწილადო და გასწვდეს ყველასა, კუტი დაარქვი, რაც გინდა დაარქვი, რახან მაღლიან ზელში მოქცეულა. სიკეთეა და გასწვდება ყველასა. სიკეთეა და სიწრფოებაა. და არ გაუგება სიივეი დედინაცვლისა, კუდიანობა არა სჯერა კუდიანებისა და არც არა იცის მურმანისა. არა იცის რა, არც დაუნახავს, არც გაუგონია, ვერც დაინახავს და ვერც გაიგონებს. სილამაზეა და სიკეთეა. სიყვარულია. ერთია. ერთადერთი. და ერთხელ არის. მანამდის არ არის არაფერი. არც აღარაფერი იმის შემდეგა. განათლება და დაბნელება. მორჩა, მეორედ აღარ განათლება. სიყვარულია. ერთი ნათებაა. ერთი ანთებაა. დაბნელება. და დაბნელება. ჰყვებოდა ბაბული, ასე ჰყვებოდა, ასეთი გახლდა ეთერი ბაბულისა. გულიკოსი სხვაგვარი გახლდა. ეთერი იყო. და სხვა ეთერი. არა. იგივე. ნახევარი კუტი: ამელესაც აჰამე, ჩამელესაც აჰამე, შენცა ჰამე და შინაც მოიყოლო. ნახევარი კუტი. იგივე გახლდა. სხვა იყო. სხვა იყო. იგივე იყო და სულ სხვა გახლდა. ჰყვებოდა ბაბული, დანამდე მივიდა, აი ის დანა შენ რომ მაჩუქეთ... და აღარ უთქვამს რომ დანარჩენი, — დანარჩენი ჰო უკვე თქმულიყო: ერთია და მერე ბნელდებაო. მიჰქროდნენ. მიჰქროდნენ. ქარი არა ჰქროდა. არა.

## XXI

არა ჰქროდა. და მანქანას მისდევდა თუ ანდეს მისდევდა, ეგრევე გადავიდა ვერის ხიდზედა, გადავიდა და დაუყვა ჰვევითა, ჰვევითა დაუყვა. ჰვევითა. ეს ისაა, რომ ჰვევით ჩასვლა, ნელი ჩასვლა, ზევიდან ჰვევითა, ცოტა ბუქნითა, ცოტა თამაშითა, ხალისხალისითა. ჰვევითა. დაუხვია. დაუყვა. მაშინვე. რომ შემობრუნდა რუსთავიდანა, ზღაპრების მერე. ხანი არ გასულა. მანამდე გავიდა

ხანი, იმა ადრიანი გაზაფხულის მერე, გავიდა ცხადია, თუმცა რომ არ მითქვამს თუ რამდენი ხანიო... გავიდა გაზაფხულიცა, ზაფხულიც გავიდა, ავდრებითა, სიცხეებითა, ყველაფრითა, რაც რომ თან ახლავს; ენაცვლებოდა ერთიმეორესა, როგორც რომ წესია, გვალვები ავდრებსა, ავდრები გვალვებსა, მოაბეზრებდათ რომ თავსა გვალვით, ავდარსა ნატრობდნენ, მოაბეზრებდათ რომ თავსა ავდარი, ნატრობდნენ გვალვასა, ადამიანები, როგორც რომ წესია, რომ ვერ იტანენ თავმოებურებასა, ადამიანები, როგორც რომ წესია, გავიდა ასე ის გაზაფხულიცა, ის ზაფხულიცა, ის შემოდგომაც თავის გზას ადგა და მოთავდებოდა ყველაფერი ზამთრის პირამდისა. გაზაფხულიდან დაზამთრებამდე. მოთავდებოდა. აჰა და მითქვამს, რაღა ცალცალკე ჩამოვყოლოდი, როდის რომ დარობდა თუ როდის რომ ავდრობდა, რომ არც იქნებოდა უამისოდა, არცა ყოფილა და არც იქნებოდა. ეს მაინც აღარ გადაიდებოდა. არაო. ანდეს მისდევდა თუ მანქანასა, რომ დაუხვია, რომ დაუყვა, იარა ნელა, ნაპირნაპირა, ჩუმადა, ჩუმადა, აღარც რომ ბაბული აღარას ამბობდა, აღარც რომ ფრიდონი აღარას ამბობდა, ანთუ ზღაპრებში დარჩენილიყვნენ თავთავიანთისა, ტყეში თუ ღრეში, საღლაც მარტოდა, ანთუ ბნელში დარჩენილიყვნენ და უხმობდნენ ვილაცასა, მშველელს უხმობდნენ, გზას მიიკვლევდნენ ხელისცეცებითა, მიიკვლევდნენ და ვერ მიდიოდნენ, უხმობდნენ და ხმა არ მოსდევდათ. და მოსწყდა მანქანაი უეცრად. და აიკრიფა უეცრად. შედგა. შეჩერდა. შექანდა ბაბული. მკლავს ჩაეჭიდა ფრიდონისასა. თითქოს მაინც რომ გამოარღვია ხელის ცეცებითაო. შეერთა ფრიდონიცა, არც გაჭროლება რომ მონებებია, ისე უეცრად, არც შეჩერება რომ მოჰფიქრებია, ისევე უეცრად, შეერთა და ის იყო, მოეჭიდა რომ ბაბული მკლავზედა, შეაშველა იმანაც ხელი. მანქანა იდგა. მანქანა არაფერი. ისინიც ასე შერჩნენ ერთხანსა, მარჯვ-

ნივ რო მტკვარი მიედინებოდა, მარცხნივ მანქანები, აღმა და დაღმა, მტკვარი სულ დაღმა, დაღმა და დაღმა, ხოლო მანქანები აღმაცა და დაღმაცა, მიედინებოდა, მიედინებოდა. მტკვარი სულ დაღმა მიედინებოდა. ძალიან მღვრიე მიედინებოდა. მღვრიეც არ ითქვოდა, მღვრიე მღვრიეა, წყალი წყალია, მღვრიეც წყალია, დაწნება და წმინდა იქნება, ამას წყლის ფერი აღარცა ჰქონდა, არც დაწნებოდა, არა, აღარა, სულ სხვაგვარად ამღვრეულიყო, აღარ დაწნებოდა, ვეღარ დაწნებოდა... მიედინებოდა ისევ ქვევითა. ის თავისთვისა, მანქანები თავისთვისა, მიედინებოდა და მიაქანებდა თავსა უამრავსა, თავსა, თავებსა, სხვა არაფერი რო არ მოსჩანდა, მიაქანებდა, მიაქანებდა აღმა და დაღმა. შემეშინდაო, ბაბულომა თქვა. მეც შემეშინდაო, ფრიდონმაცა თქვა. მეგონა, შეკრთა, შეშინებია. თქვა, თვითონვე გამოტყდა. მანქანამ თუ წაართვა თავი, მართლაც მანქანას თუ მიჰყვებოდა, ანდესა და მანქანასა, ორივემ ერთად წაართვა თავი. ბაბულის ხელი არ გაუშვია. ჰო თქვა, რო შემეშინდაო. მაშ გაიარა შიშმა, მაშ უნდა გაეშვა ხელი, მაინც არ გაუშვია ხელი. ფრიდონს უნდოდა, გადასულიყო. მაშ, უნდა გაეშვა ხელი. მანქანა გააჩერა და უნდა გადასულიყო, მაშ, უნდა გაეშვა ხელი. უცებ აკრიფა, უცებ შეაჩერა, უცებ რო შეასწრო თვალი. მაშინ არ იცოდა თუ რად დაუხვია ვერის ხიდიდანა, მაშინ რო მართლაც ანდეს მიჰყავდა, მანქანას მიჰყავდა ვითომცაო, თვალი რო შეასწრო, მაშინლა მიხვდა, ანთუ მაშინლა მიუხვდა ანდესა, ის იყო გააქანა და ის იყო, მიუხვდა, გააქანა და აკრიფა უცებ, შექანდა მანქანაი. შემეშინდაო. ჰო მოეკიდა. ფრიდონი უნდა გადასულიყო. და თქვა, უნდა გადავიდყო. ხელი შეუშვა ბაბულომა. არც ეთმობოდა. შეუშვა და მიეტანა. გაიციანა. მოეშვა. გასწორდა. თითქოს რაო, და გავწითოთო, აღმათ თუ ხელი შეგიშალოო. გაეწითოთო. მაგრამ ფრიდონმა თქვა,

უნდა გადავიდყო. მაგრამ არ გადადიოდა ფრიდონი. ხელი აღარ ვერცა ბაბულისა. არ გადადიოდა. ანთუ რად უნდა გადასულიყო, — აგერ ჯებირია, ჯებირის იქით მტკვარი. არ მოსჩანს მტკვარი. არ მოსჩანს ასე ავტომანქანის სარკმელიდანა. ნუ მოსჩანს, ჰო იცის რო მტკვარია, — იცის. მღვრიეა მტკვარი, იცის. არაფერი სანახავი არა აქვს მტკვარსა. აქეთ ჯებირები. იქით ჯებირები. მანქანები. მანქანები. და შესცქერის, ნეტავი თუ რად გადასდისო, ანთუ რატომ არ გადადისო, ანთუ რატომაო, ანთუ რადაო, ასე შესცქერის. შესცქერის ისე, რო ეკითხება. ისიც ეკითხება. ეკითხება. თვალითა. თვალითა. და შესცქერიან ერთმანეთსა და ეკიხებიან და მიუგებენ და თანხმდებიან: გადავიდყო. ნება შენიაო. გადავალო. რას აპირებო. უნდა ვიკითხოო. რა უნდა იკითხოო. რა როგორაო და როგორ და რაო. რა რა როგორაო და როგორ და რაო. „უმ!“ „ჰო?!“. ეგერ, ე ის ჰო ქორწინების სახლიაო. „ბატონო!..“ ქორწინების სახლიაო. „ჰა ჰა ჰა ჰა ჰა...“ გადავიდვარო. „ჰა ჰა ჰა ჰა ჰა...“ და გადავიდა. გადაირბინა. ჰხედავდა ბაბულო: გადაირბინა, გადაირბინა, გაძვრა, გამოძვრა მანქანათა შორისა, მსუბუქთა თუ სატვირთოთა შორისა, შორისაც რო არ იყო შექნიშნები, ადვილადც რო გადავიდოდა, მაინც ეს არჩია, დინებაში რო გასულიყო, ანთუ ის თუ არც მოაგონდა, ანთუ მიზანი რო პირდაპირია, აქცევა საქმეს გაამრუდებსო. გადაირბინა ერთისიტყვითა. გადაირბინა და გადმოირბინა, იკითხა, გაარკვია, რაც რო ენება, გადმოირბინა ისევ ისევე, იმა დინებაში, დინებაში მანქანებისა, და რო გამოალო მანქანის კარი, თავისი მანქანისა, ანთუ უშანგისა რალა თქმა უნდა, პირკატა ეცა: ფაფუ ბაბულოო.. ეს ასე მოჰხდა. აქ არაფერია გამოგონილი. არც თუ რთული რამ მოვლენებია სავარაუდებელი. არა. ხოლო მაინც თუ მტკვარს გადაექანა ფრიდონის თვალი, გადაექანა სულ ამოდა, რადგან ამიტომ

მტკვარში არავენ გადავარდნილა, არც არასოდესა, არა, არავენა. გადავარდნილან, როგორ არა, ოღონდ ამიტომა, — წარმოუდგენელია. არც გაქცეულიყო არც რომ არსაითა რაღა თქმა უნდა, ესაა ჭებირს გადაპყუდებოდა სანაპიროსი, მაინც ამღვრეულ მდინარეს თუ დაპყურებდა, მიადევნებდა მაინც თუ ფიქრთა. არაო, უთხრა, ფრიდონი რომ მიუახლოვდა, უცებ რომ ვერ შენიშნა, ცოტა მოშორებით რომ წამდგარიყო: მთაწმინდას შევეცქერიო. მთაწმინდასა. ასე დაბლა რომ ჩამოწეულიყო, ზედ რომ გადადიოდა საბაგირო გზაცა, ტრამვაიც ზედ რომ გადადიოდა, ლამის შენობები რომ ჩამოჭდარებოდა, მაღალი შენობები, ჭერ ლამისაო და მალე ალბათ რომ ჩამოფეარებოდა, ჩამოწეულიყო, ჩამობრძანებულყო, ხელს გაუწოდებდი და გამოგვიწოდებდა ხელსა, ესაა, რომ ვერა კადრებდი, თორემ მიწვდომით პო მიწვდებოდი, რომ აწეულიყო ჭებირები მდინარისა, აწეულიყო, აწეულიყო, ამაღლებულიყო ყველაფერი თბილისში, მთაწმინდის გარდა ყველაფერი რომ ამაღლებულიყო. ხოლო რაც შეეხება ხელის გაწოდებასა, ხელი ამან გაუწოდა, ფრიდონმა, ბაბულისა, ამანაც გაუწოდა და იმანაც ჩუღო ხელი ხელშია, ერთი შეპხედა, როგორღაც ისე, თითქოს სულში ჩაანათაო, და უბოძა ხელი, მიანდო, მიენდო.

— სხვაგვარად მეგონა...

ბაბულიმა თქვა.

— მაინც რომ როგორა?..

— არ ვიცი... ოღონდ სხვაგვარად მეგონა. თითქოს რაღაც რომ უნდა მომხდარიყო.

სახე გაბრწყინებოდა ბაბულისა, უცინოდა, უცინოდა მხრებიცა, მკლავებიცა, მთლად მთელი სხეული უცინოდა.

— და ყველაფერი ისევ ისეა.

— ისევ ისეა!..

დაუდასტურა ბაბულიმა, რომ თითქოს მაინც რაღაცას ეძებსო.

— ისევე იქნება. ყველაფერი თავის-

თვისაა, ყველა თავისთვისაა, ჩვენ ჩვენთვისა. მე ასე მირჩევენია.

— მეც ასე. მაგრამ მაინც შეგონა... დაეშურა ბაბული. ესეც მიადევნა.

— რაღაც უნდა მომხდარიყო!..

— რაღაც უნდა მომხდარიყო.

თითქოს რომ სინანულმა გადაჰკრა ბაბულისაო, როგორღაც ლაღმა სინანულმაო თუ ასეთი რამეც არსებობს; ეს მაინც აღარ გამოიგონია, მაგტვებს კიდევაცა, სწორია თუ არა, არც უნდა იყოს, იმის თქმა მინდა, რომ უხაროდა ბაბულისა და რომ ენება, გახარებულყოყნენ სხვანიცა, აგერ ის თავებიცა, რომ ეწყო მანქანებში და რომ მიაქანებდა მანქანები აღმა და დაღმაო, მიაქანებდა. და უცებ ტაში შემოჰკრა ბაბულიმა, ის იყოო, შესძახა, ბილეთი რომ დაუთმო ბაბულისა, ის იყოო, დავეწიოთო, შესძახა და ჩახტა მანქანაში. აფრიდონიცა, ადვილად აპყვა, უხაროდა პო იმასაცა, — უხაროდა, ჩახტა ისიცა, დავეწიოთო. დავეწიოთო და მოსწყვიტა მანქანაო. ვერ დავეწივენ. თუ მართლა ის იყო, თუ არ მოეჩვენა. ვერ დავეწივენ, რომ ვერც გაიგეს თუ საით წავიდა. რატომღაც პირდაპირი აიღეს გეში, ანთუ რატომ რატომღაცაო, — ქროლვა პო ესაა, პირდაპირია: აიწყვიტეს და მიაჭროლებდნენ, მაგრამ დაბრკოლდნენ, დაეხურათ რომ მეტეხის გვირაბი. დაბრკოლდნენ. გამობრუნდნენ. იბორიალეს, იბორიალეს, საით წასულიყვენ რომ ვეღარ გაეგათ. იქნევა და ხელსა ბაბული უსასოდა, ხან აქეთაო, ხან იქითაო, იქნევა და ხელსა მართლაც უსასოდა, რომ არ იცოდა თუ რა გზას დასდგომოდა. და ბრუნავდა ფრიდონიცა, მიაბრუნებდა და მიაბრუნებდა მანქანასა, უკან დაიხევდა და წინ გავარდებოდა, აღმა შეპყვებოდა და დაღმა დაეშვებოდა, იქავე იქვე, აღმართიც რომ იყო, დაღმართიც რომ იყო, სწორიც რომ იყო, პირდაპირიცა, ოღონდ ამათ რომ ვერ აერჩიათ, რა უჯობდათ თუ როგორ უჯობდათ. ისევე აეროდრომზე ირჩიეს. შემოირბინეს. გამობრუნდნენ. აღარ გამო-

ქედლიყო აეროსადგური ისე, იმგვარადა, მალე მიათვალმოათვალა იერეს. გამობრუნდნენ. გაცვივდნენ მერე კახეთის გზაზედა. ლოჭინი მაინც აღარ გადალახეს. შეჩერდნენ. იცინეს. იცინეს. იცინეს. მიხვდნენ, რომ დაჰქროდნენ რომ უაზროდა და რომ ეს იყო სიხარული და რომ მეტი არაფერი არ მოხდებოდა, სიხარულის მეტი, არაფერი, არაფერი, მეტი რომ არაფერია ამ ქვეყანადა, სიხარულის მეტი. და იცინოდნენ, იცინოდნენ, იცინოდნენ და იცინოდნენ და გადაეხვივნენ ერთმანეთსა და გადააჰკოცნეს ერთმანეთი, დღისითა, მზისითა, შარა გზაზედა, რომ უხაროდნენ და რომ აღარ ახსოვდათ აღარაფერი. ვილაყებმა დაუსტვინეს, ჩაიქროლეს და დაუსტვინეს. სტვენა სტვენადან, წავიდა, ჩაიარა, მაგრამ მოვარდა ხარხარი უეცრად, ხარხარი იგი, იგი შემზარათ, მოვარდა და შეაზრიალა ბაბულის ცხადა, შეაზრიალა, და დახუჭა თვალები, დახუჭა თვალები და ყურებიც დაიხშო, — მაინცა ჰხედავდა, მაინც ესმოდა, მაინცა ერიალებდა და შეევედრა ფრიდონსა, მიშველე რამეთუ. და ისევ ხელი წაუვიდა ფრიდონსა, მოსახვევად წაუვიდა ხელი. იუარა, იუარა, შეიცხადა ბაბულისა. მაშინ მობრუნდა ფრიდონი, მობრუნდა და ქალაქში გლიჯა მანქანაი, აქ უფრო დიდი ხმაური გახლდა, დიდი ალიაქოთი, ერთი ხარხარი ვერას დააკლებდა, თუნდაც სატანისა რომ ყოფილიყო. ველარც დააკლო, აღარც გაიხსენა, თუ გაიხსენა და არად ჩაავდო, ზრუნვამ რომ მოიცივა ქორწილისამა. ესეც უნდა ითქვას: არ მოინდომეს დიდი ქორწილი, რომ არც მიაჩნდათ საჭიროდა, რომ არც რომ ძალია რომ არ შესწევდათ და მწერდნენ რომ წერდნენ გაზეთებში, წერდნენ გაზეთებულნი, კარგახანია რომ აღარაფერიც აღარ დაეწერათ, წერდნენ და წერდნენ, არამცდარამც არ მოვიწვიოთ ბევრი ხალხიო. არ მოვიწვიოთო, შეთანხმდნენ ესენიცა, შეთანხმდნენ უცბადა, უყოყმანოდა და კარგადაც ინიშნეს, ასეც შევთანხმდებით

ყველაფერზეო, დავიღარაბა: არა გვექნებაო. კარგადაც ინიშნეს: ამანუც შეთანხმდნენ, რახან ქორწილია, არც მკირე ხალხი არ ივარგებსო, ქორწილი მაინც ქორწილიაო, ამაზეც შეთანხმდნენ, ამაზეც ისევე უყოყმანოდა, ესეც გაეხარდათ, ანთუ ბაბულის უფრო გაეხარდა, გადაიწია და აკოცა ფრიდონსა, ნაზადა, ოდნავა, ლოყაზედა, შმაგად არათ რაღა თქმა უნდა, არც რომ ფრიდონი არ გაიკარა, მოთმინება იქონიეთ. ასე რომ შეთანხმდნენ. და ისიც ისე თქვეს, ლამის რომ ერთად თუ ერთდროულად, აუცილებელნი მოვიწვიოთო. აუცილებელნიო. კარგა შეგროვდნენ ეს აუცილებელნიცა. წერდა ბაბული. უამისოდ არ იქნებაო. წერდა და წერდა. არც უამისოდ არ იქნებაო. წერდა და წერდა. არც უამისოდ. ეს რომ თავისებო, ფრიდონისების წერითაც დაილალა, — „თითქოს“ არ ეუმატებ, იგულისხმება რომ თითქოს დაილალა, ანთუ გააკვირდა, დასდო კალამი და მიაჩერდა, ასე მიაჩერდა, გაკვირვებული: რომ ეგონა რომ მართო კაცი გამოეცხადა, ზღვიდან მოსულიყო თუ მღვიმეებიდან მოსულიყო, მიეტოვებინა ყველაფერი მღვიმისეული თუ მთებისეული, გადმოეგლო მთაგრეხილები, თუ ზღვისა გახლდა, ზღვისეული მიეტოვებინა, გადმოეგაბა ჭურღმულები ზღვისეული, მოსტანებოდა ამა ცხოვრებასა, სიმართლევს რომ გამოჰქცეოდა და მაინც მართო დარჩენილიყო, ეს ქვეყანაც რომ ვერ გაეგო, მაინც მართო ეხეტებოდა და ეხეტებოდა ეგერ მართლსა, ეხეტებოდა, ეხეტებოდა, რომ ეგონა, ბაბულისა რაღა თქმა უნდა, ჯერ ის უშანგაც ძლივს დაიჭერა, მერე ეს ამდენი დეიდა თუ დეიდაშვილი? — და დასდო კალამი და მიაჩერდა და აკვირდებოდა, თითქოს პირველად დაინახაო, თითქოს ესაა და ახლადა უნდა გაიგოს როგორმე, ვინაა ეს კაცი, მართლა ვინაა, ანთუ ისე თუ რატომ ეგონა, ან თუ ეგონა, მართლა თუ ეგონა, მიზეზი რა უნდა

ყოფილიყო. და მიაჩერდა და მიაჩერდა და ვერაფერს მიუხედა და ვერც მიუხედელობდა და ვერც აპხსნიდა ეგრე ადვილად და არც თუ მოვლენები დააცილდა, იმდენხანს ეფიქრა ერთ რაიმეზე, რამდენიც რო დასჭირდებოდა. არ დააყლიდა. ქორწილი მაინც ჩაიშალა: აღარც დიდიო, აღარც შუათანაო, აღარც პატარაო, ტყუილა მსჯელობდნენ თურმე, თურმე ტყუილა შეთანხმებულებიყვენ. მებებს თურმე ჩამოსვლა არ მოუხერხდებოდათ და აღარ ინება ქორწილი ბაბულია, პატარაც აღარა, სულ აღარა. იწყინა, შეწყობდა, ეს პირველად თავის ცხოვრებაში, ყოველთვის რო ამართლებდა მებებსა. იწყინა. იწყინა. თუმცა მართალნი უნდა ყოფილიყვნენ მებები: ერთი სიმპოზიუმზე მიეშურებოდა გერმანიაში, დელეგაციასა მეთაურობდა, — მეთაურობდა, მეორე ობიექტს აბარებდა სწორედ იმ დღეებში, — აბარებდა, მესამე კომისიას ელოდა, — ელოდა, მართალნი უნდა ყოფილიყვნენ რალა თქმა უნდა, ცამდის მართალნი. ველარ განსაჯა ბაბულია, ველარც ეს განსაჯა. იწყინა და შორჩა, აღარც აღარავინ მოიწვია, დაძახა სიები, დაფხრიწა, დაკუწა, გადაწყარა და კალამიც მიაყოლა თანა. აღარც აღარავინ მოიწვია, აღარც საქორწინო კაბის ჩაცმა უნდოდა, ასე ეგონა, გამხდინაო, გამომეცილებიან და ქუჩაშივე გამხდინაო. მაინც ჩაიკცა, დრომ რო მოაწია, ფრიდონი ახალი კოსტუმით ეახლა. უშანგია. ეს როგორც მძლოლი, ფეხით მისვლა რო არ ეკადრებოდა ნეფე-დედოფალსა ქორწინების სახლშია, როგორც მოწამეცა, მოწამეც უნდოდათ, ასე რო უშანგი მაინც ჩაერთო. ეს იყო და ესა. არც აღარავისთვის შეუტყობინებია, არც რო არავინ გამოსცხადებია. ვულიკომ ყვავილები აახლა ბავშვების ხელითა, — დიდი, დიდი თაიგული აახლა. უშანგიმ შამპანური მოიტანა, ვეება ტორტიცა, გარეშემო რო მოვლებოდა ვარაყადა: ბაბული + ფრიდონი = ბაბული-ფრიდონსა. — გერბიეთა. მეტი მათე-

მატიც არც იცოდა უშანგია და ამტკიცებდა კიდევაცა, მეტი არც ვერც საჭიროო. ამისი შექმა არც შეიძლებათ, იცინოდა ფრიდონი. ოლონდ ეს მერე, რო დაბრუნდნენ, რო დალოცა უშანგია, ბედნიერება რო უსურვა და გაცალა. თუმცა არა, ისიც სათქმელია, მანქანის გასაღებიც რო იქვე დასტოვა, დაგჭირდებათო, სათქმელია რალა თქმა უნდა, მალე რო დასჭირდათ და მალეც გამოადგათ. ოლონდ ჯერ იდგნენ, ჭიჭით ხელშია, უშანგი გავიდა, იდგნენ, ვერ ამბობდნენ, ვერც დაელიათ, ველარც დაედგათ, იდგნენ, შეპყურებდნენ ერთიმეორესა რალაც გამუთქმელი გრძნობითა, უსათუოდ რო გამოუთქმელითა, რადგან ყველაფერი გააუხეშებდა, რაც არ უნდა თქმულიყო, როგორც არ უნდა გამოთქმულიყო. გააუხეშებდა. იდგნენ. შეპყურებდნენ. არის წუთები, რო ზედმეტიც ყველაფერი, სიტყვიც ზედმეტიცა, ეს ის წუთები გახლდა. მერე გავიდა ბაბული აივანზედა, გაიხედა და გავიდა. გაპყვა ფრიდონიცა რალა თქმა უნდა, ჭიჭით ხელშია, ბაბულიც ჭიჭითა, და ის დრო რო იყო, დღე და ღამე რო იყრებოდა, უცებ იფეთქა თბილის ქალაქმა, აენთო უცემა, ერთბაშად, ავარდა მთები, ფერიდომები, ტაფომებიცა, დიდუბეი თუ ორთაქალაო, სანაპიროცა, ავარდა, ავიდა, მთები გადმოიფრქვა, ცაში ატანილი შენობებიდანა, ტაფომები ამოიყალყა, განათდა, გაბრწყინდა, გეგონებოდა, რო მიესალმა ნეფე-დედოფლის გამობრძანებასო, თბილის ქალაქი მიესალმაო. შეკრთენ თითქოსა, აღბათ თუ მართლა ასე ეგონათ თუ როგორცა ასე გამოიხატა, სადღაც შუშუხუნებმაც რო იფეთქა, ხოლო სულ იქვე ვილაცას ჩაერთო ფალიაშვილი, — საზეიმო გამობრძანება მართლა რო ნეფე-დედოფლისაო. შეკრთენ თითქოსაო, აღარც განრიდება შეიძლებოდა და ასწიეს ჭიჭა, დალოცეს თბილისი, დედათბილისი, დედაქალაქი, ბუდეს რო მატებდნენ, კიდევ ერთ ბუდესა, და შეევედრნენ, შენ დაგვიფარეო, ჩვენა და ჩვენი

შვილაშვილები, მისხითმისხი შენ და-  
გვიფარეო. და ენთო თბილისი და  
ქათქათებდა თბილისი და არად იმჩ-  
ნევდა თუ რაც რო გადაეტანა, სულ  
რო გამოხსნა დაპბედებოდა, სულა და  
სულა და არად იმჩნევდა და უხაროდა და  
აღვსილიყო იმედითა და აიმედებდა და  
ქათქათებდა და ქათქათებდა და შეჭხა-  
როდა ნეფე-დედოფალსა. დასცალეს  
ქიქაი. და იღვნენ. იღვნენ. თითქოს რო  
ისმენდნენ საღვგერძელსაო, მერე  
თითქოს რო მრავალყამიერს ისმენდნენ,  
მერე თითქოს რო მოსვენებისასა, რო  
მიაცილებდა მყარიონი ნეფე-დედოფა-  
ლსა, მიაცილებდა მოსასვენებლადა,  
ხოლო ღრეობა გრძელდებოდა, სუფრა  
შეჯიბრად გადაიქცეოდა სმისა და სი-  
ტყვა-მიგებისაი. მერე თუ რაო, ესენი  
შებრუნდნენ. და კარი რო არც მიუ-  
ხურიათ, მდადეს რო უნდა მიეხურა  
კარი, ეგრე აიყვანა ბაბული ფრიდონ-  
მა, დედოფალი ნეფემა, ეგრევე შემო-  
ესკვნა ფრიდონსა ბაბული, ნეფესა დე-  
დოფალი, ეგრევე გააქანა ბაბული  
ფრიდონმა, დედოფალი ნეფემა, იმა  
პატარა ოთახისაგენა, დედოფლის სა-  
წოლი სადაც რო იღვა, გააქანა  
და შეფერხდა კართანა. შეფერხ-  
და ნეფეი, რო არა ჰქონდა ხელი  
ხელთაო, რო ხელთ რო ეპურა დედო-  
ფალიო, ფეხითლა გამოსწია კარი, და  
ფეხივე მიბაჭინა კარსა დედოფალმაცა,  
რო არა ჰქონდა ხელი ხელთაო აგრე-  
თვე იმასაცა, რო შემოსკვნოდა ნეფე-  
საო, — ფეხი მიბაჭინა:

— შენთან...

თქვა დედოფალმა, ისე არც რო გა-  
იგონებდა, ოლონდ ბაგენი ყურთან მი-  
ეტანა, ნეფის ყურთანა რალა თქმა უნ-  
და.

— ჩემთან?...  
თითქოს ვერ მიუხვდა ნეფეი.

— შენთანა...

გაიმეორა დედოფალმა.

და მიუხვდა ნეფეი და ჩაარბენინა  
ეგრევე, ხელში აყვანილი, ჩაარბენინა  
ეზოშია და მანქანაში ჩასვა. და მიჰქ-  
როდა მერე მანქანაი, აწყვეტილი მიჰ-

ქროდა. და გადაგლიჯა ქუჩებო თბილი-  
სისაი და აურია შუქნიშნებში დაა-  
ფეთა ხაიმი მძლოლები და მიეცა ქარსა  
დიდმისასა და გაფლითა ქარი წიწამუ-  
რისა და მიეცა ველებსა ქართლისასა,  
ვიდრე მღვიმეში შემიტაცებდესო, ამას  
ბაბული მიაღვენებდა, არც რო კრთე-  
ბოდა, არც რო შიშობდა, შემიტაცოსო  
და შემიტაცოსო, თუმცა რო შორიდან  
თუ დაენახა მღვიმეები, შიგ არასოდეს  
მოხვედრილიყო, არც მოესურვა, არც  
ასდევნებოდა კლდეებსა თუ ღრეებში  
მოხეტიალე ახალგაზრდობას, რო მო-  
ედებოდნენ კავკასიონის მთაგრეხილსა  
ზაფხულობითა, ვინ იცის სადთუ წააწ-  
ყდებოდნენ ნაადვილარსა ადამიანთა,  
სულ უძველეს ადამიანთა, ანთუ ნა-  
ტორალსა, გარდაგებული ცხოველისა  
თუ ფრინველისა, სულ უძველესისა,  
უძველესისა, არ აპყოლია, რო არცა  
სურდა და რო არც ურჩევდნენ რძლე-  
ბი თავისი, ეწეოდნენ თავთავიანთგენა,  
სადაც თუ უნდა დაესვენათ, ეწეოდნენ  
და ამჯობინებდნენ თავთავიანთსასა,  
ბავშვები რო ისევ ამისათვის მიეყარათ.  
ისევ ემამიდა, ისევ ეძიძავა, ასე რო  
უყვარდათ ბავშვებსაცა, უამისობა რო  
არ შეეძლოთ. შესჩვეოდან თუ უარი  
უჭირდა, რაც იყო, იყო, მობეზრებო-  
და ერთიდაიგივე და ერთიდაიგივე  
დროსა, რადიოსი არ იყოს, ტელევიზი-  
ისა არ იყოს, მობეზრებოდა მამილო-  
ბაცა, დეიდობაცა, მოთავებული დისე-  
რტაციაცა, თითქმისაო თუ მოთავებუ-  
ლიცაო, ეს სულერთია, მთავარია რო  
მობეზრებოდა ერთიდაიგივეი, მტკი-  
ცედ აწყობილი ერთიდაიგივე დროსა,  
მობეზრებოდა, თურმე, თურმე, აქამ-  
დის რო არ გაეგებოდა თურმე, და გა-  
იგო ახლა, აი ესაა, რო გამოიცივდნენ  
ქართლის ველებზედა და თავს რო შე-  
რგავდნენ საღმე ხეობაში. საღლაც  
ფრილოს მიაღგებოდნენ, აიბობლებო-  
და მერე ფრიდონი, გაღმოაგდებდა თო-  
კის კიბესა, ანთუ თოკი თუ საღ იქნე-  
ბოდა, — ქერქის კიბესა, და აპყვებო-  
და ბაბული კიბესა, ხის ქერქის კიბე-  
სა, გრძელი კაბითა, ამა ქათქათა სა-

ქორწილს კაბითა, რო მოედებოდა ფეხებშია, რო შემოიხევედა, ანთუ შემოეხეოდა თავისთავადა. რო გაშიშვლდებოდა თავისთავადა იმა ფხოწილშია და ეგრე გადავიდოდა მღვიმეშია, გადაითრევედა ღონიერი ხელები, ფრიდონის ხელები, შიშველი ხელები. თურმე ღონიერი ხელები, საჭე რო საჭეა, იქაც ეტყობოდა, ანთუ ამგვარად შეატყო ბაბულისა. ხელები ხელებადა, ღონე ღონედა, ოღონდ ხეობებს არ აპყოლიან, არ მისდგომიან არცა ფრიდონისა, მღვიმესაც არა, მხოლოდ შუკები ჩაიქროლა მანქანამა, სოფლის შუკები და შეჩერდა ძველებურ ჭიშკართან, ხის ჭიშკართან, რკინისა არა. შეჩერდა. ერთი ფანჯრიდან გამოდიოდა შუკი, ირინეს ფანჯრიდანა. ღვიძავს დედაჩემსაო, ფრიდონმა თქვა. უცებ ანთო სხვა ფანჯრებიცა. ჭიშკარში განათდა. ირინეც გადმოდგა აივანზედა. გადმოდგა. ჭიშკარი შემოვლო ნეფედედოფალმა. ეტყობოდათ. ყვაველები მიეხუტებინა გულზე დედოფალსა. კაბა ედებოდა ფეხებშია, გრძელი, გრძელი, სადედოფლოი. ეტყობოდათ. როგორაც უჩვეულოდა ბრწყინავდა ფრიდონი. თითქოს რაღაცას შესძახოდა დედასა, ისე, ისე, რო არც ამბობდა. ეტყობოდათ. და ჯამი გადმოიღო ირინეშია, პაპისეული, კარებთან დაამხო. ორი ფეხი შედგა ზედა, ნეფისაი და დედოფლისაი. ჩატეხა ორივე ფეხმა, ერთდროულად ჩატეხა. მოიფანტა ნატეხები ჭამისაი. გატყდა თვალი ავი, დაიმსხტა თვალი ბოროტი, შინ ველარ შეჰყვებოდა ნეფედოდაფალსა. გადაიარეს ნატეხებზედა. შინ ველარ შეჰყვებოდა.

XXII

არც შეჰყოლია, არა, არა, არ შეჰყოლია, კეთილი გულით რო შევიდა რძალი, კეთილი გულით რო დაჰხვდა დედამთილი. გულია წინამძღვარი სიკეთისა, სიავის წინამძღვარიც გულიაო. წუხდა დედამთილი: ვერ შეგვეგებე წესსა და რიგზედაო, ებოდიშებოდა და

წუხდა. არც მე გზლებივარ წესსა და რიგზეო, იცინოდა რძალი, ბარე, ბარე შიო, იცინოდა და უხარფად ყველაფერი, რასაც რო თვალი მოეკიდებოდა, ანთუ რასაც რო მიუთითებდა დედამთილი. მიუთითებდა და ებოდიშებოდა, სირცხვილიაო, ასე არ იყო აქაობაო, ველარ მოვუყარე, ველარ შევეცილი თუ თუ გული ავიყარე, სირცხვილიაო. რძალს ასეც მოსწონდა, რო არ იცოდა თუ როგორი უნდა ყოფილიყო უკეთესადა, არ იცოდა. ხილი თურმე არც დაბარულოყო, არ იცოდა, ვერც შეატყობდა, არც გასხლულოყო, ვერც შეატყობდა, ვაზი თურმე არ გარჩეულიყო, დაბარვით თურმე დაბარულოყო, გაჩერკვნით აღარ გაჩერკვნილიყო, არც შევეცილიყო, არც გარჩეულიყო, აღარა თურმე, ვერც შეატყობდა, ასეც მოსწონდა, ჩახლართულიყო ყლორტები ყლორტებში, ვაზები ვაზებს გადაჰხვეოდა, ჩახუტებულყო მთელი ვენახი, ასეც მოსწონდა; ბოსტანი თურმე ბალახში იჭდა, კიტრი ჩამწვარიყო, პომიდორი ჩამპალიყო, თუმცა წელს სხვებსაც გაუფუჭდათო, აღარც ეტყობოდა, კართოფილი თუ სად ეთესა, ანთუ დავთესე, აღარც მახსოვსო, ვგონებ რო ნაგერალმა ამოიყარა და იმასაც ბალახმა გადაუარაო, ებოდიშებოდა და ებოდიშებოდა; სად თუ ბარი ეგდო, სად თუ თოხიო, სად თუ ნამგალიო თუ სამითითითო, ეგდო, ეყარა უთავბოლოდა, წალდი თუ ნაჭახი, გოდორი თუ კალათი, ესეც მოსწონდა, და მოეწონა მერე ისიცა, რძალსა ცხადია, ცელს რო წაეხალა, მსხალზე ვადაყიდულსა, რო დიზრიალა ცელმა, რო ამოტრიალდა და რო ჩაერჭო მიწაშია იქვე, სულ ახლოსა, ისიც მოეწონა, რადგან რო მოსწონდა ყველაფერი, ისიც მოეწონა, არ გაჰკარებია შიში შიშადა, ავი რამ ფიჭრად არ მოლანდებია. ირინეს ფერი აემღვრა სახეზედა. ბაბულის გაუკვირდა, ნუთუ ცუდი რამ მოხდებოდაო. არა, არაო, სჯეროდა დედამთილსა, ცუდი არაფერი არ მოხდებოდაო, ის ფერი ისე, ისე აემღვრა, გუ-



ლი რო მაინც ცუდს არ უთქვამდა. ეს იქა, ბაღშია, გიხარა სახელოსნოშიცა, ატრიალებდა ციბრუტებსა, იჭვრიტებოდა ქურაშია შიგნით-შიგნითა, თითქოს კიდევ რო რაღაცას ეძებდა, რაღაც იღუმალსა, ეფერებოდა ნაკეთობებსა, თაროებზე რო შერჩენილიყო, ზოგი უძველესიცა, სახელიც რო აღარ ახსოვდათ, ეფერებოდა ყელყელა სურებსა, მეც ამოვიყვან ასეთებსაო. სცადე კიდევაცა. მოინდომა. ვერ ამოიყვანა. ვერა. თუმცა რო შველოდა ირინეი, ასწავლიდა და შველოდა, თიხაც რო თვითონ გადაუზილა, რო ატრიალებდა ციბრუტსაცა თვითონა, წაახმარდა ხელსაცა, მაინც ვერაო, ვერ ამოიყვანა. ვისწავლიო, იმედოვნებდა მაინცა ბაბული. უდასტურებდა ირინეი: ისწავლიო, უდასტურებდა ოლონდ ფეგვარადა, რო სჯეროდა, რო აღარც ეცდებოდა, არა, აღარა, ისე უხერხულად იდგა ციბრუტთანა, ისე ეხამუშებოდა მოსვრილი თითები, თიხაში მოსვრილი, ტალახში მოსვრილი, ისიც ორორი, სულ ოთხი თითი, ცერები და საჩვენებლები, დანარჩენი რო ვერც გჩამეტა. რაღა თქმა უნდა. ვიღა ეცდებოდა. მიეტოვებინათ. მორჩა. შვილებს მიეტოვებინათ, შვილებსა, რძლები რა თავს გამოიდებდნენ. ეს ისე, უსაყვედუროდა, უთქმელადა რაღა თქმა უნდა, რო მოეროდა ამისიცა ირინესა, რაღა დროს ესაი, რაღა ვასახსენებელიაო. ამას მოსწონდა, ასეც მოსწონდა, ეს ჩამქრალი სახელოსნოცა, როგორ ჩაეჭრათ რო არც იცოდა, ანთუ ვერც რო დაიჯერებდა, თუნდაც რო მოეთხრო ირინესა დაწვრილებითა. ანთუ მოთხრობა რაღას უშველიდა, — მორჩა, დამთავრდა. გადაიყრია დედამთილი ჭმუნვასა, გაიღიმებდა, გაიღიმებდა. სახელოსნოშიცა, დარბაზშიცა, მითუფრო დარბაზშია, რო ვაჰკვირდა ბაბული, რო შედგა ზღურბლზედა, რო ფეხიც ველარ წარსდგა ერთხანსა, რო ხმაც ვერ ამოიღო ერთხანსა. პო მოსწონდა და მოსწონდა, ვაჰკვირდა კიდევაცა, — იქით გაუსხლავი

ხეხილიო და იქვე დარბაზი, ძველქართული დარბაზი, რო წაეკითხა, რის გავგონა და რო არ ენახა თვალთახსოვი დარბაზი იქვე, ავესებული ნახატებითა და ნაძერწებითა, — ვაჰკვირდა ცხაღია. ამიტომაც შეჩერდა, მოავლებდა თვალსა დარბაზსაცა და ნახატებსაცა და ნაძერწებსაცა და უხაროდა ესეც ისევე თუ ისიც ასევე, ანთუ ყველაფერი მოსწონდა, ყველაფერი ახარებდა. შეიძლება ვინმე დაეჭვებულოყო, რა არის ამდენი მოსაწონიო. ირინე არა, არ დაეჭვებულა, თვითონაც რო ასევე უხაროდა, უცნაურადა თუ როგორღაც უცნაურადა, პირველად რო მოხვდა ამ კარმიდამოზე, თუმცა დარბაზში არ ეხროვა ამდენი ნაძერწი, არც სურათები მოფენილიყო ოთხივეუთხივია, მაგრამ ბრუნვავა ჩარხები სახელოსნოში, ბრუნავდა, ბზრიალებდა, ამოდიოდა მომხიბლავი ჭურჭელი თითებიდანა, მიწიდანა და თითებიდანა, ამოდიოდა და ამოდიოდა, და უხაროდა თვითონაც ასევე მოსწონდა თუ უხაროდა, შეუცნობლად თუ უცნაურადა, უხაროდა და კიდევაც დარჩა. დარჩა და დარჩა. იმ წუთმა გადასწყვიტა, მეტმა არაფერმა, იმა წუთიერმა ბრუალმა თუ ბეუილმა, ჩუმმა, ყურმა და ძლევაგამოსილმა, წუთმა, წუთმა მოწონებინა. მერე უკვე ნებისყოფა გახლდა, წუთი რო აღარ განმეორებულა. და არ ეეჭვებოდა და მიაღვენებდა მოკლე-მოკლე განმარტებათა, ნაძერწებს რო დააჩერდებოდა ბაბული. ნახატებს არა, ნახატებზე არაფერს ამბობდა, სულ არაფერსა, სულ არაფერსა. არცთუ ბაბული გამოიძიებდა, რადგან ყურადღება იმისი ზეწარამომხვეულმა ქანდაკებამ რო მიიპყრო. თვალი უფრო იჭით მიუჩებოდა. ისედაც მიჩიბენდა, შემოთუვლიდა და გაეცლებოდა, ხელს ვაწვდენდა, თითქოს ზეწარს გადააძრობსო. ვერც შეეხებოდა. არც შეეხებოდა. თითქოს თანხმობას ელოდებო, ვერც უარს ატყობდა. გაეცლებოდა და მიუბრუნდებოდა. მერე ჩაეჭიდა ცალ კალთასა, ოდნავ ასწია და იდგა ასე,

ულმოდა ირინესა, მხოლოდ ულიმო-  
და. ვაილიმა ირინემაცა. ეს თითქოს  
შეთქმულთა ღიმილიაო, რო მიატანეს  
საწადელსა, აი წუთიცა და აღესრუ-  
ლებათ. და ირინემაც ასწია მეორე კა-  
ლთაი, ჭერ ისევე ოდნავა, და მერე  
ერთად ააძრეს ზეწარი. ზეწარი იქით  
გადაფრიალდა, ბაბულომ აქეთ წამო-  
არბინა, ცოტა შორიდან რო შეეხედა,  
წამოიარბინა და შეჰხედა, მოწონებითა,  
მოწონების თვალითა, წინასწარი მო-  
წონებისა რალა თქმა უნდა, და მართ-  
ლაც მოეწონა და მართლაც გამოსთქვა,  
მშვენიერია, ოღონდ უმაღლვე ისიც დას-  
ძინა: მე ამას ვიცნობო.

— იცნობ?!

გაიკვირვა ირინემა, ალბათ ამგვანე-  
ბო, ისე, იმგვარადა.

— ვიცნობ!..

გაიმეორა ბაბულიმა, დაბეჭითებით  
გაიმეორა.

— ახლახან შეჰქმნა... ზეპირად შე-  
ჰქმნა...

თითქოს რო არწმუნებს ირინეიო და  
ემკვება, დამიჯერებს თუ არაო.

— მშვენიერია!.. მარმარილოში მით  
უფრო მშვენიეს...

ამბობდა ბაბული, რო არ დაჰკვირ-  
ვებია ირინეს რწმუნებასა, რო უფრო  
მოსწონდა, რო გარს უვლიდა.

— მარმარილო?!.. არა, ეს მარმარი-  
ლო არ არის...

— არა?!

ხელი შეახო ბაბულიმა, უცებ მოა-  
ცილა, თითქოს ატენსო, ანთუ აუთ-  
რთოლა კიდევაცა უნაზესი კანო, მო-  
აცილა, თითქოს ბოდიშსაც მოუხდისო.

ირინე უხსნიდა თუ რაც იყო, რო-  
გორი საიდუმლოებით ინახავდნენ,  
როგორ დაჰკარგეს, უყვებოდა, სინა-  
ნულით არა, არ უნდოდა დაენაღვლი-  
ანებინა პატარძალი, უყვებოდა უდარ-  
დელადა, თუმცა უჭირდა, ძალიან  
უჭირდა, არ მოიცლებდა ღიმილსა  
სახიდანა, სიტყვას ამშვენებდა ღიმი-  
ლი, მაინც ამშვენებდა, გულისტყვიე-  
ლით ნათქვამ სიტყვასაცა. ბაბულიც  
ილიმებოდა, ფრიდონიცა, ირინე ჰო და

რალა თქმა უნდა, ილიმებოდნენ ისე,  
რო არ იცოდნენ თვითონაცა, გადაჰშუ-  
ჭებოდა სახეი სამივესა, მშვენიერად  
სიტყვაც ასე ამოსდევდათ, უზიწვრდა  
და უტკივილოდა. თონეც გაახურა ბა-  
ბულიმა, დიდიხანია რო არ გაეხურე-  
ბინა. უბანშიც აღარ გახურებულიყო  
თონეი, ლამის მთლად სოფელშიც რო  
ალარა. კვამლი აეარდა, აიტანა ნიავმა  
და გამოიციქრებოდნენ მეზობლები;  
ნეტავი თუ რა მოხდა, რა ამბავია გუნ-  
დიანთაო. რა ამბავიაო და თონე გა-  
ხურდა, ისევე გახურდა, გახურდა, გა-  
ხურდა. მანამდე შველოდა პატარძა-  
ლიცა ცომის მოზელსა. მეც ვიცეო.  
მოეზილა, ნამცხვრებისათვისა. ამხელა  
ცომი არ მოეზილა, სათონე ცომი არ  
მოეზილა, უკვირდა, როგორ იარშივე-  
ბო. თუმცა ეს სიტყვა თვითონ არ უთ-  
ქვამს თავდაპირველად, ბაბულისა,  
ირინემ მიუგო, არაფერია, ვიარშივე-  
ბო, და იმეორებდა მერე ბაბული, არ  
დამავიწყდესო, უკვირდა და იმეორე-  
ბდა, ნეტავი როგორ იარშივებო. ირი-  
ნესაც უკვირდა, პირველად უკვირდა,  
მერე აღარაფერი, ახლაც არაფერიო,  
აიკრა ტუჩპირი ხილაბანდითა და  
ამოაკრა ლავაში გავარჯერებულ თონე-  
შია, ლავაში, ლავაში, საქორწილო ლა-  
ვაში, პატარძალი რო შემოვიდა ოჯახ-  
ში, ლავაში უნდა გაიხსო, ამოაკრა და  
ამოაკრა, თუმცა რო უნდა გადასჩვეო-  
და, მაინც არაო, ადვილად აჰყვა. ბა-  
ბულის ლამის ხელი ჩაველო, არ ჩაი-  
ფუქოს ნაკვერჩხლებშიო, თან ილიმო-  
და, ცმუკავდა ლამისა, გუნდას უბრტ-  
ყელებდა და ცმუკავდა ლამისა, მოსწო-  
ნდა, უხაროდა, ყველაფერი რო უხა-  
როდა, რო მოსწონდა ყველაფერი, მეც  
ვისწავლიო, მეც გამოვაცნობო, იმეო-  
რებდა ამასაცა, არც ეცდებო, იმეო-  
რებდა ირინეცა იმავ ღიმილითა, გუ-  
ლში, უთქმელადა, ჩაეკიდებოდა და  
ამოაკრავდა, ჩაეკიდებოდა და ამოაფ-  
რიალებდა ლავაშსა, შუქი ვასდიოდა  
თუ ისიც ილიმოდა, თხელსა ისეთსა,  
თხელსა, თხელსა, ფართესა, მოვრძო-  
სა, რო მოიხვეტებოდა და დაჰიერე-

ბოდა მუჭშია, ისე თხელსა, ისე სიფრთხანასა, თბილსა, ფაფუქსა. ამას სხვანაირი გუნდა უნდოდა, მოზღვლევაც სხვანაირი უნდოდა. ვისწავლიო, იმეორებდა ბაბული. აღარას მიაღდევენბდა ირინეი, ისწავლი და ისწავლეო, შეკგუებოდა. და გაიშლებოდა ლავაში ლასტებზედა. გაცივდებოდა. აიკრიფებოდა. დაიკეცებოდა. მანამდე კვახი წამოარჩია ირინემა, ისევ რო ბალში ეყარა, არ აეკრიფა, არც მოსწონდა, დაინაკაო, ველარ მოვუბარეო, მაინც მოზრდილი წამოარჩია, ჭიბი ჩაუბერითა წალდის ცხვირითა, ჩასდო თონეშია, თავი წააფარა, თონესა ცხადია, წააფარა და აუხსნა ესეცა, ასე უნდა შეიწვას კვახი, თუ გინდა, რო გემო გაეგოო, სხვა დანარჩენი ნაძალადეგია, როგორც რო ბევრი სხვა დანარჩენიცაო. ელოდა ბაბული, გემო რო გაეგო. ვერ გაიგებდა ხვალ დილამდისა, მხოლოდ დილაზე ამოიღებოდა. გემოს დრო უნდოდა. უგემოვნებას არ უნდოდა დროი. ლავაშსაც უნდოდა დროი, წადედებოდა პურის ცომი წინა ღამესა, წადედებოდა, მოიზილებოდა მეორე დღესა. გემოს დრო უნდოდა. კაცი ახლოსაც არ გააკარებდა სათონესა, ფიჩხს მიახორებდა, ფიჩხსა, მერე აღარაო, აღარ გაეკარებოდა გამოცხოზამდისა. ქალის საქმე გახლდა. ქალი ტრიალებდა გამოცხოზამდისა. ბიჭი თუ მაინც შეტანტალდებოდა, ბავშვი, ბავშვი, უმეცარი, დაუცავცხანებდნენ, მოიცილებდნენ, გააცანცარებდნო, პური ჩაცვივანო. არ შემხვედრია თუ აღარ მახსოვს, ვერ ვიტყვი თუ სადმე ჩაუწერიათ ეთნოგრაფოსებსა ეს გადმოცემია, ვერ ვიტყვი, ოღონდ თუ არ იციან, აიღონ, გადაიღონ, არას ვამადლი, ოღონდ რო ახსნან, თუ არა, მევე მივუბრუნდები. საგულისხმოა. მივუბრუნდები. ფრიდონს ფიჩხიც არ მიუტანია, მაინც მიიწვიეს პურის გასატეხადი თონეზედა, მერეცა ცხადია, თავი რო წაეფარა თონესა. ის ქალების პურობა გახლდა, მცირე პურობაი, პურობა სათონეშია,

ქალებისაი, მარანში რო კაცები პურობდნენ, ზედ ქვევრის თავზედა აქ თონის თავზედა. ღვინოს აპკურებდა ფრიდონი ლავაშზედა. ვარსკვლავებდა ეპკურებოდა. მიაგებოსო. მიუვაო. თონის თავიდან პირდაპირ მიუვა შესანდობარიო, თონის თავიდან და ქვევრის თავიდანაო. მიუვაო. მიაგებოსო. ღვინოს აპკურებდა ირინეცა ლავაშზედა. ბაბულის უჭირდა, ვერ აპკურებდა, ისე წვეთწვეთადა, ისე ვარსკვლავებდა, ვისწავლიო, იმედოვნებდა. ისწავლიო, მიაღვენებდა ირინეი. გულშია ცხადია, ღმილითა ისევ ისევე, ხოლო ამას აშკარად ამბობდა:

— ქორწილი გვიდროდა... რამდენი ხანია ჩვენს ოჯახში აღარა ყოფილა ლხინი... ლხინი... ლხინი გვიდრა...

— ასე მოხდა და...

ბოდიშობდა ფრიდონი, თითქოსა ბოდიშობდა.

— ჩემი ბრალია...

ბოდიშობდა პატარძალიცა.

— არაფერია... ძეობა ჰო მოჰყვება.. გაუთოლებდა ირინეი.

— ძეობა ჰო...

— ჰო...

და ილიმებოდნენ ისევ ისევე, სამივენი, ისევ ისევე, თონესთანა, თონის თავზედა, გარეთ რო ცოტა-მოლრუბულულიყო, თონის სითბო რო საამო გახლდა. თონე გახურდა. ოჯახი გამოცოცხლდა. ლხინი უნდოდა. ოჯახი გაიმართა. ოჯახი წესს მოითხოვდა, მაინც უნდა აპყოლოდა წესსა. ხალხი არ ირეოდა, არა ტრიალებდა ყანწები, არა ბრუნავდნენ ცერებზედა, არა გუგუნებდა მრავალყამიერი, მერე და რაო, მაინც დედოფალი შემოვიდა ოჯახში, მაინც პატარძალი დატრიალდა ოჯახში, ქორწილი გახლდა, უნდა ჩაეძახათ წინაპრებისთვისა, უნდა ჩაეძახათ: კიდევ ვცოცხლობთო, ისევე ვართ, კვლავაც ვიქნებითო. დუღუკები გაუძღვებოდა. ხმა დასჰქებდა ომახინანადა. გუნდი დასჰქებდა. დაბუქნავდნენ მექორწინენი ერთადა და ერთობლივად: მშვიდადა განისვენეთ, ჩვენ აქა ვარ-

თო. ეს ქორწილშია, დიდ ქორწილშია. ესენი უფრო მშვიდად გავიდნენ. წესი წესია. შეუშლელია. წყეულიმც იყოს, ვინც შეშალოსო. საფლავზეც გავიდნენ. მოინახულეს. ღვინო აპყურეს. მოიგონეს. უცრემლოდა. რაღა თქმა უნდა. რაღა თქმა უნდა. ღიმილითა, რადგან ეს რო სიცოცხლე გახლდა, სიცოცხლე სიკვდილისა. თუმცა ეს არა, არც ახსენებდნენ, ვითომ სასაფლაო არცა ყოფილიყოს, გზა ყოფილიყოს მირადისისა ვითომცაო, გზაი თუ კვანძი, საღვური წუთისოფლისაი, საიღანაც რო ახარებდნენ ბინადართა სასუფევლისა. ვითომცაო. ყოფილიყოს. მოსწონდა ბაბულისა, ესეც მოსწონდა, ანთუ ეგება ასე უფრო მოსწონდა, ბევრნი რო არ ახლდნენ, რო არა ბუქნიდნენ, რო არა გუგუნებდნენ, თუმცა ის მინც ალბათ კიდევ სხვა ეშვი იქნებოა, იკითხა აეს, თავისთვისა, გულში იკითხა ბაბულიმა და თავი დაუქნია ფრიდონმა და თავი დაუქნია ირინემა და დაუდასტურა ორივემა ერთდროულადა, უთქმელადა რაღა თქმა უნდა. სამაგიეროდ დარბაზში ისევ ხმამალა განაცხადა:

— ვიცნობ ამ ქალსა...

ბაბულიმა რაღა თქმა უნდა. აღარ ებურა თავპირზედა ზეწარი, ქანდაკებასა, მხრებზედა ვედო, სხეულს ჩამოსდევდა, შიშველ სხეულსა, შემოსილიყო თითქოსაო, სახე რო უფრო გამოკვეთილიყო, უფრო ბეჭითადაც განაცხადა.

— არც მოთავებულია. ფონი უნდა: ლაქვარდი ცისა, დაბლა მწვერვალეები, რო გადმოიქროლა და რო მოესწრაფის.

უხსნიდა ფრიდონი, ბაბულისაცა, ირინესაცა.

— რუსთაველზე რო გამოვიდოდა, მიიუყებოდნენ ლამაზმანები, ეშინოდათ, დავიჩრდილებითო. ტოლი არა ჰყავდა.

განაგრძობდა ბაბული. შეპყურებდა. შეპხაროდა. და განაგრძობდა.

— გამოფენაზე შეიძლება ფონი მი-

ეცეს შექებითაც. არ ვერც ვნახოთ. ისე, ისე არც გამოვფენ... ისე... ისე... რაგებ.

ფრიდონიც განაგრძობდა. უფრო შორიდან შეპყურებდა. ჰხედავდა ფონსაცა. წარმოედგინა ერთობლივად, ანთუ ჰხუჭავდა თვალთა, ისე ვერა, ვერც წარმოედგინა, ჰხედავდა რო ვერცა.

— გათხოვდა. მერე აღარაფერი გამიგია. აღარც მიკითხავს. აღარც აღარავისგან აღარაფერი გამიგონია. ამოისუნთქეს ლამაზმანებმა, დასეირნობენ თამამადა რუსთაველზედა.

ჰყვებოდა ბაბული, ისევ ისევე. დაიხედა ფრიდონივითა. თვალსაც მოწურავდა. ველარა ჰხედავდა. გაახელდა ისევე. უციმიციმებდა თვალეები, უკრივალეებდა, უკრივალეებდა.

— თუ სადმე დაიდგმის, ისევ ისე, რო მწვერვალეები დაბლა მ... შეიძლება. არის... ივერია ასეთი ჩვენს მთაგრებილზედა, მართალია რო მიუვალა, მაგრამ და რაო, იყოს მიუვალი, მშვენიერება ყველას არც იზიდავს, მშვენიერება არც აღვლევებს ყველასა, იყოს მიუვალი, იყოს და უნდა იყოს.

განაგრძობდა ფრიდონი.

— და თუ გამოჩნდა ერთ მშვენიერ დღესა, ისევ დაფრთხებიან...

იცინოდა ბაბული, ჰხედავდა თითქოსა, როგორ თუ ფრთხებიან ლამაზმანები რუსთაველისაო.

— და შეიძლება...

და ველარ განაგრძობდა ფრიდონი.

— უთხარი, რო ზეპირად შექმენი... უთხარი.

ჩაერეოდა ირინეი.

— ზეპირადა?...

შეყოყმანდება ფრიდონი თითქოსაო.

— ჰგავს!.. ძალიანა ჰგავს!..

არ დასთმობს ბაბული.

— ისე ცხადი იყო... მართალია რო გონთ დამიზნელდა, მაგრამ რაც იყო, ცხადად იყო: მოჰქროდა თითქოსა მწვერვალეებიდან, ლაქვარდიდანა და

მწვერვლებიდანა, მოჰქროდა, მოჰქროდა, მოესწრაფოდა.

მეტი ჰო აღარაფერი ახსოვდა ფრიდონსა, მეტის თქმა არც შეეძლო, აღარც თვალეზი რო მიეღულა, შეჰყურებდა დედასა, მეუღლესა, აი აქა ვარ და შესაძლოა, რო არცა ვყოფილიყავი, არც რო აქაო, აღარც აღარსადო, ასე შეჰყურებდა, ანთუ არაო, ლალად შეჰყურებდა, პირმცინარედა, ოღონდ ეს ფიქრი ელავდა სადღაცა, გამოურჩევლად, მიუგნებლად.

— სასწაულია თითქოსაო... სასწაულია გადაგარჩინა.

ირინემა თქვა.

— გადარჩენა სასწაულია.

ფრიდონმა დასძინა.

— მე ამას ვიცნობ...!

დაასვენის ბაბული, ასე დაასვენის. და უხარიან, რო გაახსენდა, ანთუ რო შეეძლო. სწორედ აქ შეჰხვდა, სადაც რო მოსყოს ყველაფერი, ყველაფერი და ეს ქმნილება, ასე, ასედაცა, რო არცრო მოსჩანს არსად მწვერვლები, არცრო ლაქვარდი, მხოლოდ კედლებია, სურათებია, ნაძერწებია დახროვილი: მუხლისთავეები, მხრები, იდაყვები, თეძოები, ძუძუმკერდები, თავები, თავები, თავები, თავები, სახითა მრავალითა, სიკეთიდან სიაცემდისა, სათნოებიდან მძვინვარებამდისა, სიმახინჯიდან მშვენიერებამდისა, აი აქამდისა, აქამდისა, თუ რას შეჰმატებდა ის მწვერვლები, ანთუ ლაქვარდი რას შეჰმატებდა, ჯერ რო ვერ წარმოედგინა ბაბულისა, აი აქამდისა, სწორედ აქამდისა და კიდევ, კიდევ, აი... „ქალის პორტრეტი“ შენიშნა ბაბულამა, პირველი შური რამაც რო აღძრა ფრიდონხსადმი, პირველი მტრები რამაც რო შესძინა: „ჩემი დისწულია...“ — უთხრა ირინემა. „ამას არ ვიცნობ...“ — გამოთქვა ბაბულიმა, ცოტა არ იყოს სინანულითა. „ქორწილი რო გადაგხვალათ...“ — აღარ დააბოლოვა ირინემა. „არ დაეთმო...“ — აღარ დააბოლოვა აღარც ბაბულიმა. გაიცივნა ირინემა. ფრიდონმა არა, არც გაუ-

გონია, ისევ იქ იყო, თითქოსაო: მწვერვლებშია, ლაქვარდშია, უსაზღვროებაში სილაქვარდისაო, თითქოსაო თუ მართლაცაო, წადი და გაიგე. ისევ იქ გახლდა.

### XXIII

ისევ იქ გახლდა და იმგვარადვე წარმოსახებოდა ამირანიცა: მორბოდა, მორბოდა, მოჰქონდა ცეცხლი, გამოჰქრილიყო ლაქვარდიდანა, გადმოექროლა მწვერვლები, ჰორიზონტზე რო განლაგებულიყო, — თქთრი, „ყინულით ნაკვეთი თავი“, — „განლაგებულიყო თუ დაეკბილა თუ ჩაეკბინა ლაქვარდი იგი, რაც იყო, იყო, მოჰქონდა ცეცხლი, ბნელი გაეყარა; მოჰქონდა, ოღონდ ჩირაღდანი არ ეჭირებოდა ხელში, არა, არა, არც რო ნაკვერჩხლები ეჭირებოდა ხელში, არაო, არა, თვით იქნებოდა სითეთრეი, ქათქათა სითეთრეი, აბრიალებული თმითა, აღისფერი თმითა, სითეთრეი სილაქვარდში, აალბებული, ანთებული, მწვერვლები რო უკან იხევდა, ანთუ გარბოდა უკან-უკანა, ანთუ იღვენთებოდა ყინული, იღვენთებოდა, დნებოდა, დნებოდა. იქნებოდა მზეი, მზისებრ ამოვიდოდა, ამოვიდოდა და ამოვიდოდა, აღარ ჩავიდოდა, იქნებოდა და იქნებოდა; წარმოსახებოდა. მეტი არაფერი. სათიხრებიც დაჰკარგა. თუნდაც არ დაეკარგა. ირინე უჩვენებდა ვეება ბეჭებსა, ბაბულისა რაღა თქმა უნდა, — გარეთ ეყულა, კომშების ქვეშა, — ამირანიო, ჩემად უჩვენებდა, ფრიდონის ჩემადა, თითქოს გაუზნებლად, თითქოს შეთქმულიო, რო ეამაყებოდა კიდევაცა, ისეთი შეთქმული. არა. წარმოსახებოდა. მეტი აღარაფერი. გაახელდა თვალთა, გაჰქრებოდა, არ შერჩებოდა არც რო ნატამალი, ფიქრად არაო, ანთუ სხვაგვარად ვახლართულიყო თუ ფიქრი იყო თუ რაც რო გახლდა. ღმერთი არც უნდა გამოსახულიყო. არც ასე უნდა დაკნინებულიყო: რო მიეჯაკვით, რო ეწეოდა და ეწეოდა პალოსა, ეწეოდა და ეწეოდა, როგორც იქნებოდა ამოს-



საქონელნი

წევდა რო, რო უნდა ეხსნა თავი, შე-  
მოქდებოდა ყვაფი პალოზედა, მოიქ-  
ნევდა უროსა გაცხარებული თუ გაცე-  
ცხლებული, ყვაფი რო მიეჭყლიტა პა-  
ლოზედა, მოიქნევდა და აფრინდებო-  
და ყვაფი, ავიდოდა ცაში ყრანტალითა,  
ურო მოჰხვდებოდა პალოსა, ჩავილოდა  
პალოი მიწის ძირამდისა, ფესვებამდე  
მიწისა, ჩავილოდა, გაჭოჭოვინდებოდა,  
გამაგრდებოდა, უარესადა, უარესადა.  
და ეწეოდა ისევე და ისევე. და ყრან-  
ტალებზედა ყვაფი ისევე და ისევე. აქ რა-  
ღაც ზოგადს ეძიებენ ფილოსოფოსნი,  
ეძიონ, ეძიონ, მაგრამ ღმერთი ჰო მა-  
ინც ღმერთია, — არც ასე უნდა დაე-  
ნებულყო. ეყარა ფრთებიცა ყვაფი-  
საი, ბოლოცა, კლანჭებიცა, თვალები-  
ცა, თვალებიცა თუ ფოსოები, ეყარა  
სადღაცა, ქვეშ მოყოლილიყო თუ ჩა-  
ლუწილიყო კიდევაცა, ველარც გამოა-  
რჩევდა ირინეი იმასა, არც მიუთითე-  
ბდა, ყვაფი არც ახსოვდა, არც ფინია  
ახსოვდა. ფინია. არა არ უნდა დაე-  
ნებულყო ასე, ამგვარადა. ფინია. არ  
უნდა დაეცინებინათ. ფინია. არ უნდა  
დაეცინებულყოყვენ. ფინია. ვითომ ფინი-  
ასაც უნდა აეშვა ამირანი, ღმერთით,  
ღმერთი უნდა აეშვა ფინიასა: ლოკავ-  
და, ლოკავდა, ლოკავდა პალოსა, ლო-  
კავდა, ლოკავდა, ლოკავდა, როცა იქ-  
ნებოდა რო გალოკავდა, როცა იქნება  
რო გალევდა პალოსა, რო ვერც გაულევი  
აქამდისა, რო ვერც რო გალევს ვერც ვე-  
რასოდესა. ეძიონ, ეძიონ ფილოსოფოსებ-  
მა, მიეშველნონ ენთოგრაფოსები, ეძი-  
მარადიულობა იმედისა, ნუგეში ეძიონ,  
ეძიონ ძალი ამტანობისა, გაძლების  
ძალღონეი თუ რაღაც ეძიონ. ეძიონ.  
ფინია მაინც ფინიაა. ღმერთი ღმერთია.  
დათვი რო საძალღო გახდაო, იმისი სა-  
ქმე წახდაო. ეს ლათეო. ღმერთი რა-  
ღაო, — წახდა და წახდა, დამარცხდა  
და წახდა, ოღონდ უჯობდა, რო გადა-  
ლუწილიყო იმა უსაზღვრო სამყარო-  
შია, ღმერთებისა როა, სადაც რო ღმე-  
რთნი შექიდებულან, გადალუწილიყო,  
გადამახვრეულიყო, ეს დაბმა რაღაო,  
მერე ეს ყორანიო, მერე ეს ფინიაო.

გადალუწილიყო. იმედღ-იმედღ გადა-  
რჩებოდა, იცოცხლებდა იმედი ისევე,  
ანთუ იცოცხლებდა უფრო ლამაზად-  
ცა: მოიშუშებდა იარებსა, წამოდგე-  
ბოდა, წამოიმართებოდა, ამოვიდოდა,  
ამოვიდოდა ლაყვარდიანა. უფრო ლა-  
მაზად იცოცხლებდა. ამა ეს რაო, იდე-  
ქი და შეჭყურე დაბმულ ღმერთსაო,  
იდექი და იმედი ქმონდეს ძალღისაო,  
ისიც ფინიასი, ქოფაკისაც არაო, ამა  
ეს რაო, — ასე არ უნდა დაეცინებუ-  
ლიყო, ასე არ უნდა დაეცინებულყოყ-  
ვენო: ის რო ღმერთით, ეს ისინიო,  
იმა ღმერთისანიო. ჭერ ჭეუა ეყოთ,  
რო ჰყოლოდათ ღმერთი უარესი,  
უმალესი, მზიური ღმერთი, ღმერთი  
თვით სიკეთეი, სითბოი, სინათლეი,  
ამისი ჭეუა ეყოთ, ჰყოლოდათ ღმერთი  
მიმზიდველი, მომზიბლავი ღმერთი,  
რო მოეკრიბათ თვისტომნი თვისტომე-  
ბადა, მახლობელნი მახლობლებადა,  
შორეულნიცა მახლობლებადა, უცხო-  
ნიცა თვისტომებადა, შემოეკრიბათ,  
შემოეთვისებინათ, შეეჭმნათ დიდი სა-  
მფლობელი, მჭიდროი, შეუვლი, და-  
ურღვეველი, ჭერ ჭეუა ეყოთ და ძა-  
ღაც მოსდევდათ, მერე ძალამ უმტყუ-  
ნათ და ჭეუაც აღარ ეყოთ, — ძალა  
და ჭეუა ერთად თუ ყოფილა, ოღონე  
და გონი ერთად თუ ყოფილა და თუ  
ყოფილა, მოჰყოლია ძლევაგამოსილებ-  
ცა, ანთუ მოჰყვებოდა, მოჰყვებოდაო,  
უძლიერესი სახელმწიფო კავკასისა,  
ცეცხლის ღმერთითა, სინათლის ღმე-  
რთითა, მზე ღმერთითა. ჰღირდა სალო-  
ცავადა, კერპადაცა ჰღირდა, ყველაფ-  
რად ჰღირდა, მაგრამ შორეოდნენ ავი  
ღმერთები, სიკეთეს სიავე შორეოდა,  
სიკეთე დაემათ და მოეტანათ კერპნი  
მახინჯნი, ავნი და მახინჯნი, ბნელნი  
და მახინჯნი, მოეტანათ და დაეჩოქე-  
ბინათ მლოცველებადა სიმახინჯისა, მა-  
ვედრებლებადა სიმახინჯისა მლოცვე-  
ლნი იგი მლაღადებელნი სინათლისა,  
მლაღადებელნი დიადი ღვთაებისა, სი-  
კეთისა და ცეცხლის ღვთაებისა, მლა-  
ღადებელნი ეგრევე, ზეზევე, მკლა-  
ვებგაშლილნი და თავაწეულნი, დაე-

ჩოქებინათ, დაედრიკათ. და გრიალეზ-  
და ეტლნი ღმერთებისა და იმსხვრეო-  
დნენ ღმერთნი და იცვლებოდნენ ღმე-  
რთნი და კერპნი იცვლებოდნენ და ევე-  
დრებოდნენ დაჩოქილნი და ევედრე-  
ბოდნენ დაჩოქილნი, ისევ დადრეკილ-  
ნი, ისევ დაჩოქილნი, რადგან რო ისევ  
უცხონი გახლდნენ, რადგან რო ისევ  
მახინჯნი გახლდნენ, სიავისა და სიბნე-  
ლისანი. და უკორტნიდა ყვაი გულ-  
მკერდსა... ეს მიანც რალამ მოაფიქრა-  
თო. ერთხელ ასეთი ამირანიც სცადა:  
გულალმა ეგდო და ყვაი კორტნიდა,  
ყვაფი, ყვაი, ყვაი, ყორანიც არა. სცა-  
და. დაამსხვრია. ველარც ირინე გაიხ-  
სენებდა, ჩვენებით ჰო ვერც უჩვენე-  
ბდა, ბაბულისაო რალა თქმა უნდა. ეს  
მიანც რალამ მოაფიქრათო. მაგრამ რას  
იზამ, ჰკუაყა სუსტობს, როცა გიჭი-  
რსო. დროზე დაამსხვრია. მიხვდა. და-  
ამსხვრია. თორემ მოსწონდა. ტანჯული  
სახე, ტანჯული, ტანჯული, თვალწინ  
უდგას. მართლაც ტანჯვა გახლდა. შე-  
ეშინდა. თვითონვე შეეშინდა. მოუქნია,  
ამირანია თითქოსაო, ურო მოუქნია,  
— ვერა, ვერ აუფრინდა, დაქექყა, და-  
ამსხვრია, ამირანმა ვერაო, ვერ მოი-  
შორა ის ავბედითი ყორანი თუ ყვაი,  
ვერ მოიშორა, ვერ მოზომა, ვერ შია-  
ტანა. მაგრამ რო იყო, იმედი რო იყო,  
მიანც რო იყო, მიანც რო უძლებდა  
კერპთა უამრავთაო, — იყო, უძლებ-  
დაო: იყო და იყო, იყო და იყო, უძ-  
ლებდა და უძლებდა, უძლებდა და უძ-  
ლებდა. ყორანი. თუ. ყვაი. ფინია. არა.  
არ უნდა დაშლილიყო ეს მიანცა, ფი-  
ქრი თუ ჰკუა არ უნდა დაშლილიყო,  
არაო, არაო. არც უნდა ჰქონოდა სახეი  
ღმერთსა, არც უნდა ჰქონოდა, ანთუ  
სინათლე კმაროდა სახედა, სინათ-  
ლე კმაროდა, ეგება რო ველარც მო-  
რევოდნენ ღმერთები სხვათა, ეგება,  
ეგებაო, მაგრამ ბნელნი გახლდნენ  
ღმერთები სხვათა, ბნელნი, უკუნნი.  
არა. სინათლეს მიანც სახე არ უნდო-  
და, გამოკვეთა არ უნდოდა სინათლე-  
სა. აღარც გამოკვეთეს. მორჩა. დამთა-  
ვრდა. ირინემ არ იცის რო დამთავრ-

და. ბაბულომ მით უფრო, დამთავრდა.  
ეხროვოს ეგრე, იყოს, რაც რო გა-  
მოუძერწია, რაც დაუმსხვრევია ჰო  
დაუმსხვრევია, რაც არა — ეხროვოს.  
გადარჩევის თავიც აღარა აქვს. გაზიდ-  
ვის თავიც აღარა აქვს, აღარა. ეხრო-  
ვოს. სინათლე. ლაქვარდი. მწვერვა-  
ლები ჰორიზონტზედა და სწრაფვაი,  
სწრაფვა მწვეიერი არსებისა, სწრაფ-  
ვაი ხსნადა, — ეს იყოს, ასე იყოს: წი-  
ნამორბედი. მოციქული. ასე იყოს.  
სინათლე სინათლედა. ღმერთი ღმე-  
რთადა. ხელი არ ეხლებდა, ხელი კაცისაი,  
ვერც რო შესწვდებდა. ღმერთი ღმე-  
რთადა. თორემ ყორანი. თორემ ფინია.  
სინათლე სინათლედა. ღმერთი ღმე-  
რთადა. სათიხრებიც დაქვარგა. ველარც  
გამოძერწავდა. აღარც გამოძერწავდა.  
აქამდე მივიდა. გაახსენებდნენ, ვისაც  
რო ახსოვდა, დაბნეულია მიუგებდა,  
არასაც იტყოდა, ჰოსაც იტყოდა, გაი-  
ცინებდა, ამდენს ვერა, ვერ მიუგებდა.  
ხან უცნაურად შეძომგინდებოდა, შე-  
ძომგინდებოდა და შეძრწუნდებოდა მა-  
რთლა ისე უცნაურადა, თითქოს იქ გა-  
ხლდა იმა დიდი ომშია, იმ დიდი მარც-  
ხის მოწამე გახლდა, იმ მიჯაჭვისაცა  
კავასიონზედა, ზეიმისაცა ოლიმპოს  
მთაზე, რო დაიპყრეს, რო მიითვისეს,  
მისაკუთრეს მიწაწყლიანადაცა, წეს-  
წყობილებიანადაც, ისტორიანადაცა,  
მისაკუთრეს, მიითვისეს და კუდმოკლე  
წარსული თავიანთი ამოავსეს უღიადე-  
სი წარსულითა, სხვათა წარსულითა  
და მიუახლოვდნენ უძველეს ღმერთე-  
ბსა, უუუძველესთა, რომელთა სახე-  
ლები კარგადაც რო ვერ დაესწავლათ,  
ამახინჯებდნენ თავიანთებურადა; და  
ხტოდნენ და ბუქნიდნენ ოლიმპოს  
ღმერთები და გაგიყებულიყვენენ ქარ-  
თული ღვინითა, ჯერ რო არც იცოდნენ  
როგორ დაელიათ, გობებში ასხამდნენ  
და სლაპავდნენ ერთადა, მერე ისევა  
ხტოდნენ, მერე წუწავდნენ ერთმანე-  
თსა, წუწავდნენ ამათაცა, დაბორკილნი  
რო მიეყვანათ, აქ დაებორკათ ამათი  
ღმერთი, ესენი ბორკილით იქ მიეყვა-  
ნათ, რო დაემციობინათ, რო გაემწა-

რებინათ, კიდეც უფრო და კიდეც უფრო, რომ დამტკბარიყვნენ გამარჯვებითა. კიდეც უფრო და კიდეც უფრო, — შეძომდგინდებოდა და შეძრწუნდებოდა, ის. დამცირება თითქოს გამოველო, სტკიოდა მაჭები ნაბორკილარნი, სტკიოდა წვივები ნაბორკილარნი, ამას კიდეც მოველებოდა, სული სტკიოდა, სული, დამცირებული და შეგინებული; სვლეპავდნენ პირდაპირ გობებიდანა, მერე ცვივოდნენ შიგა, მერე ამოპირქვავდებოდნენ გობებთან ერთადა, მერე ფორთხავდნენ, ფორთხავდნენ და ხარხარებდნენ, ხარხარებდნენ და ხარხარებდნენ ღმერთნი ოლიმპოსი, მიწა იძროდა, ჭექდა ზეცაი, ჭექდა და ჭექდა, — სვლეპავდნენ ეგრე, ეგრე სვლეპავდნენ, რომ არ იცოდნენ ღვინო რა იყო, ყურძენი რა იყო, ვენახი რა იყო, რომ არ იცოდნენ, არაფერი რომ არ იცოდნენ, მერე რომ გაიგეს და იკვებნიან აქამოდისა, ღვინოც ჩვენ ვუბოძეთ ჭვეყნიერებასაო; სვლეპავდნენ და გორაობდნენ, გორაობდნენ და ხარხარებდნენ, ხარხარებდნენ და სჭექდა ზეცაი ოლიმპოსი, განათებული სჭექდა, ღრეობდა, ზეიმობდა, შავი ღრუბელი მოეყარა ამირანის თავზედა, შავი, კუნაპეტი, ამირანის თავზედა, კავკასიონზეო, ეს ერთი სახელი ძლივს დაესწავლათ, მეტისთვის არც რომ შეიწუხებდნენ თავსა და ამიტომაც თუ დაიკარგა, სახელდობრ სადაო, რომელ მწვერვალზე დააბეს ამირანი, წინამძღოლი ამირანთა, რომ მიერეკათ ოლიმპოზე ამირანთელეზი: და ესეც რომ იქ გახლდათ, თითქოს რომ იქაო, შეაყრიალეზდა, შეძომდგინდებოდა და შეაყრიალეზდა. ხოლო ბაბული დღეში ათჯერაც რომ შესულიყო დარბაზში, ათჯერვე იტყოდა, მე ამას ვიცნობო. სოსანისფერი ნაჭერიც გამოსძებნა, ზეწარი გადააძრო, ის მოახვია, სოსანისფერები ჰყვარებოდა: ვიცნობ, ვიცნობ, ზედმოჭრილიაო. მოსწონდა, უხაროდა, ყველაფერი უხაროდა, ასევე ამბობდა ამასაცა.

## XXIV

და უცებ მოიწყინა, ბაბულიმა.

თუმცა არცთუ შეემჩნეოდა, ისევე რომ მოსწონდა ყველაფერი, რომ უხაროდა ისევე ისევე, უღიმოდა პირსახეც ისევე, მაინც მოუხვდა ირინეი, ანთუ ჭერ რომ ირინე მიუხვდა, მერე თვითონაც მიუხვდა თავის თავსა, ბაბული, ბაბული რალა თქმა უნდა. და აღარც აღარას აძალეზდა ირინეი, ანთუ არაფერს აღარ აწონებდა, ანთუ რალა დარჩა, — უთხრა. უჩვენე, რაც რომ გააჩნდათ, ესაა აღარ უმეორებდა, აღარც თავს ადგა ისე ხშირად, ტოვებდა მარტოცა, თავის ფიქრთანა, დაე თვითონვე გამორკვეულიყო პირველი დღეების სიხარულის მერე. და გამოერკვა მართლაც რომ თვითონვე, მიხვდა თვითონვე, რომ უხაროდა, კმაყოფილი იყო ბედისა თავისი, მიხვდა და შეწუხდა. ეუცხოვა. შეყოყმანდა. ჭერ არ დაიჭერა, მერე დაიჭერა, უფრო ეუცხოვა, უფრო შეწუხდა. წამოიმართა რალაც პირქუში უფრო და უფრო, წამოიმართა, წამოიღვა წინა, წამოიღვა, წამოიკვეთა იმა სახეობადა, რომ შეაძრწუნა, რომ გამოეცქა, რომ აღარ ახსოვდა, არა, აღარა, აღარ ახსოვდა; თურმე თანდასდევდა, თურმე უცდიდა, თურმე წუთს ელოდა და გამოეცხადა. გაიხარია და აღარ გახსოვარ, გაიხარია და აღარავინ აღარ გენალვლება, გიხარია და გადაგავიწყდება სიმწარენი ცხოვრებისაო. გამოიკვეთა, გამოეცხადა. ერიდებოდა ღვდამთილისა. ფრიდონმა იცოდა, ფრიდონს კიდეცაც გამოუტყდებოდა, ერიდებოდა ღვდამთილისა, ეგონა, ჰხედავს, ეგონა, ესმის თუ რას მაყვედრის თუ ვინ მაყვედრის თუ დარდი როგორ გამოიჩინდაო. ეგონა. ეგონა. წარმოუდგებოდა ისე ნათლად ბოლო შეხვედრად, მოესმოდა ისე ცხადად სიტყვანი ცხარენი, ხითხითიცა ყურის წამლები, ისე ნათლად, ისე ცხადად, ეგონა, არ გამოეპარება არც რომ იმის თვალსა, არც ყურს არაფერი გამოეპარებაო, იმისასაო, ღვდამთილისასა



რალა თქმა უნდა. არ უნდოდა, რო გავგონა, არ უნდოდა, რო დაენახა, ერიდებოდა, ეხატებოდა, და ევედრებოდა მოჩვენებასა თუ სიციხადესა იმა შემაშფოთსა, ახლა დამეხსენი, ცოტახანს დამეხსენი, აქ დამეხსენიო. არც მოუხმენდა. არც გაუგონებდა. არც მოეშვებოდა, რახან უხაროდა. მიესწრო. წასდგომოდა. წაამწარებდა. მიხვდა, იქ აღარ ედგომებოდა, მალე უნდა დაბრუნებულყო. მიხვდა. ვერ გამოტეხილიყო. ეწამებოდა და მოსწონდა, ეწამებოდა და უხაროდა, ეწამებოდა და უცინოდა სახეი ნათელი, ნათელი თვალები, უცინოდა. ველარ გაუძლებდა. დაირღვეოდა. აიძვრებოდა ეს სიმშვიდე თუ სიამტკბილობაი, აიძვრებოდა. უნდა გამოტეხილიყო მანამდისა. უნდა გამოტეხილიყო. უნდა გამოტეხილიყო და გამოტყდა, ოღონდ ცალკე ფრიდონთანა:

— მივატოვე...

ასე გამოტყდა.

— ჰო...

მიუხვდა ფრიდონი.

— არ ივარგებს თუ არ მივხედე...

— ჰო...

დაეთანხმა ფრიდონი.

— სანანურად გაგყვება ცხოვრებაში.

— ჰო...

არ შეეშვებულა ფრიდონი.

— უნდა წავიდეთ.

— ჰო...

არ შეყოყმანებულა ფრიდონი.

მერე შეყოყმანდა, წუთის მერე თუ არც რო წუთისა, რაღაც გახმაურდა, ტოტი ჩამოვარდა თუ კრამიტი ჩატყდა, — ტოტი შემხმარი, კრამიტი დამძველებული თუ რაც იყო, იყო, ხმამ გაახსენა, რო უნდოდა დარჩენილიყო რამოდენიმე ხანსა, რამოდენიმე კვირასა, აქ მოეთავებინა ესკიზები მემორიალისა, ანთუ ყოფილიყო ისე, უესკიზებოდა, ურარაოდა, ისე, ახალ დაქორწინებულს რო შეეფერება, უდარდელადა, უფიქრელადა, უზრუნველადა, უზრუნველადა, რაც რო ენატრება ადამიანსა, ყველაზე მეტად რაც რო ენა-

ტრება, — უზრუნველადა, უნდოდა. რას იზამ. სხვა დროს ველარ მოინდომებდა. და შეყოყმანდაო, მეტი არაფერი, უარს ვერც ეტყოდა. ისევე დედასთან თუ იმართლებდა თავსა, ანთუ დედას თუ მოებოდიშებოდა, ისევე დედა თუ გაუგებდა, — თუო და გაუგებდა რალა თქმა უნდა. ანთუ მიმხვდარიყო: სურათი გადაერჩია საქორწილო სახსოვრად, ნათელი რო მოდიოდა შორიდანა, ძლიერი ნათელი, ერთი წერტილი, ერთადერთი, ოღონდ ძლიერი, ბნელი რო გაეპო და აეცილებინა თვალები ფანჯარაში გადმომდგარი ლანდებისა. გადაერჩია, ჩამოელო, კარებთან ეყუდა. კალათიც დაუნახა ხელშია. მარანთან ჩამოჰკიდა ირინემა. ხურჯინიც დაბერტყა. ფუთარაობდა კარადაშიცა. რალაცას არჩევდა, თუ შეეძინა პატარძლისთვისა, ანთუ თავისთვის რო ვერ გაემეტებინა. ფუთარაობდა კარადაშიცა. თასიც აიღო, წამოდგა წინა, მოზრდილი თასი, მოჩუქურთმებული საუცხოოდა, ფრიდონის მამის მოჩუქურთმებული. წამოდგა წინა. ბაბულიმ მოიწონა, როგორც ყველაფერი ესეც ისევე თუ უფრო მეტადა, — მიუჭდებოდა, შეჰყურებდა, ატრიალებდა, აკვირდებოდა, შორს გავიდოდა, მიუახლოვდებოდა, არ უნდოდა, დაეჭერებინა, რო აქ გაეკეთებინათ, აქა, ამ უბრალო სახელოსნოში, სჯეროდა და არ უნდოდა დაეჭერებინა. მიმხვდარიყო, ეს უკვე ირინეი რალა თქმა უნდა. ბევრი აღარაფერი დარჩენოდა ფრიდონსა, საძნელო აღარაფერი დარჩენოდა, ეტყოდა, მივდივართო, მეტი არაფერი, მივდივართო, ისიც მაშინვე დაფაცურდებოდა, აი ეს წაიღეთ, აი ესეცო, ესეცო, კეთილად იმზავრეთო, დაქენდა აგრეთვე და გააყოლებდა თვალსა მიმავალთა, გააყოლებდა. თუ როგორ თვალსაო, ნურავინ შეეცდებოდა აღწეროს. ფრიდონს არ უნდოდა მიეხუჭა თვალი: წარმოუდგებოდა მთელის სიღრმითა, წარმოუდგებოდა, ვერ გაუძლებდა. ერთ-ორ დღეს მაინც შეეცადოთო, შეჰბედა ბაბულისა. რამდენიც გინდო-

დესო, შეწუხდა ბაბული. გაბრაზდა, გაბრაზდა, გული მოუვიდა თავის თავზედა, რატომ ვერ ვერევი თავსა, რა მიხმობს და რას ვემორჩილებიო. გაბრაზდა. აემღერა ფერი სახეზედა. განერიდა. ანთუ ეს ორიოდღე დღე ვითომ რაღა მოეხელაო, ესეც ამოეჭრა ეჭვადო თუ რისხვადო. და უწიოდა ყური. ვილაცა ხითხითებდა. წუთი რა არის, წუთსაც არ შეგარჩენს წუთისოფელიო. ხითხითებდა. ხითხითებდა მაინც გაუძლო ორიოდღე დღესაცა, მაინც მოიგვარა იგივე ღიმილი, მაინც ისევე გამოემშვიდობა დედამთილსა, ისევე, ისევე, ყველაფერი რო მოსწონდა, ყველაფერი რო ახარებდა, აქ რო ერჩივნა, გული რო მაინც აქა რჩებოდა.

— მალე დავბრუნდებით.

უთხრა ფრიდონმაცა, ირინესა, დედასა ცხადია, უთხრა და შეჰხედა ალალი თვალითა.

— გასაღები აგერ იქნება...

მშვიდად, უბრალოდ მიუგო ირინემა, უჩვენა ხვრელიცა იქვე, კარის ჩარჩოსთანა.

გაიწყაბუნა რალაცა იქა, გულთან აბლოსა, რალაცა ჩასწყდა ფრიდონსა, ჩასწყდა, წავიდა, წავიდა, წავიდა, ჩირღვა ბოლომდისა. თქმით აღარაფერი უთქვამს. იდგა ერთხანსა. იდგნენ. შეჰყურებდნენ ერთმანეთსა. ყველაფერი ითქვა, ყველაფერი ნათელი იყო. შეჰყურებდნენ. გზაც ისე დალიეს თბილისამდისა, კრინტი რო არ დაუძრავს ფრიდონსა. სდუმდა ბაბულიცა. მხოლოდ ის ერთხელ უცებ აფოფინდა, თითქოს ყველაფერი გადაავიწყდაო, ისე აფოფინდა, ის ერთხელა, ავტომანქანამ რო გადაუსწროთ, რო ვილაც ეცნო თუ რო ვილაც მოეჩვენა, — რაღა ვილაცაო, რო მოეჩვენა ისევე იგივეი, აფოფინდა და შესძახა, შეჰხედო, ის ერთხელა. არ შეუხედია ფრიდონსა. არ გაუმეორებია აღარც ბაბულისა. აღარც ისე მიჰქროდნენ. უსწრებდნენ ყველანი. მიჰქროდნენ, მიჰქროდნენ, მიჰქროდნენ აწყვეტილნი. მიჰქროდნენ სხვანი.

იორამ ქაჩარაძის

## ზემოურ-ქაქოური მოვივაბი

### 1. მისტვირული სახუმარო

ყველა ჭორი ამ ქვეყნად  
მოიგონეს ქალებმა.  
არაფერი, ჭირიმე,  
ქალს არ დაემალემა...

ქალი — ქამელეონი,  
ქალი — დიდი არტისტი! —  
შეუძლია გაგწიროს  
ერთი ჭრელი კატისთვის;

შეუძლია გაგხადოს  
ბრძენი და მორალისტი  
რალაც სულ ათიოდე,  
ოციოდე წამისთვის...

მთელი კაცობრიობა  
შეჭმნილია ქალისგან,  
მტრისას,  
მტრისას, კიდე თუ  
ქალმა რამე გარისკა!..

მაგრამ... სულ ტყუილია,  
არ გვიწყინოთ ცოლებმა, —  
ქალი?  
ქალის გარეშე  
არ არსებობს ცხოვრება!

ქვეყნად რაც სიკეთეა,  
შეჭმნეს მხოლოდ ქალებმა...  
ქალი?

ქალის გარეშე  
არ არსებობს წამება!

ქალს ათასი თვალი აქვს  
ქალს ათასი ყური აქვს,  
ქალი?  
ქალი ეშმაკის  
გამომცხვარი პურიც,

პური — კოკორ-კოკორი, —  
პური — დიდრონ-დიდრონი, —  
შეჭამ, — კარგად შეყოლე!  
არ შეჭამ და, — მშვიდობით!

ასეც არის ქვეყანა,  
უნდა მხოლოდ გარისკვა:  
ზოგი კვდება არქამით,  
ზოგი კიდევ ქამისგან...

მაგრამ... სულ ტყუილია,  
არ გვიწყინოთ ცოლებმა, —  
ქალი?  
ქალის გარეშე  
არ არსებობს ცხოვრება!

მაგრამ მხოლოდ გაბედვა,  
მაგრამ მხოლოდ გარისკვა!...  
თორემ...  
თუ სიკვდილია,  
ბარემ მოკვდი ქალისგან.

## 2. სოფალი სომინო, ფანდურით



ჩემი გადაკიდება  
არ გეგონოს ადვილი:  
სადაც მიდი-მოდიხარ,  
მეც იქა ვარ ლანდივით.

მჭორავენო?! რას ამბობი —  
შენ არ გინდა გამიგო,

თვარა, მე გავიხარო,  
რაც ეგ ჭორი არ იყოს.

თუ გინდა, რომ მოგეშვა,  
ალარ გაგყვე-გამოგყვე, —  
ქვე რას იზამ, ჭირიმე, —  
უნდა შემიყვარო — ყე.

## 3. ნატვრა

ისეთი დღე რო გათენდეს, —  
ცისარტყელა რომ მქნა, კარგო, —  
შვიდფერ ბეჭედს მოგართმევდი,  
შენი შუა თითის სარგოს.

ან მერცხალი ვიყო, კარგო,  
გამოვფრინდე შენთან ხელად, —

მაგ ფანჯარას მივაქარგო  
ბუდე — შენი მუჭის ხელა...

ანდა, კარგო, ანდა, კარგო,  
ჩიტი ვიყო მავშალია, —  
გიმღერებდი საარაკოდ,  
მარა, ყელი გამშრალია...

## 4. ტორონჯი

ხიდგამოღმა მე ვარ და  
გაღმა ჩემი გულია;  
კი ვარ, მაგრამ რაღა ვარ, —  
გული დაკარგულია.

ნეტა რამე შეიძლოს  
ამ პატარა წერილმა —

ხიდი გადამატარა,  
გული დამაჭერინა,

ვდგავარ ხიდის ბოლოში,  
და გულს გააქვს ფართხალი...  
პე, ტორონჯი, ტორონჯი,  
ჩქიმიდა ქიმიხვართქალი.

## 5. კველი დადიანური

ნეტა ვიყო შენი კბილა,  
ყელტიტველა მამლაყინწა.  
ნეტა შენთან დამაძინა  
და მალ-მალე გამალღვიძა.

იმ ძილშიაც, ვი ნანა,  
შენი თავი დამასიზმრა;  
მილიონი მამცენ ფარა, —  
არ გაგყიდი მამასისხლად.

## 6. აღარ ვჩივი

აღარ ვჩივი, შენმა გულმა  
თუკი მაინც გაიხარა...  
შემომხედე ვერაგულად,

მომესალმე ჰარიპარად...  
...იმის მერე, შელაკუდავ,  
გაიარა კაი ხანმა...

## 7. იქამც ხელი მოეშართოთ

უკაცრავად კი ვარ, მარა  
ზოგი ქალი სულელია:  
სულ საკუთარს — სულ კარგავენ,  
სულ დაკარგულს — სულ ელიან

და ცხოვრება, განა ისე,  
ასე გაუსრულეზიათ...  
...იქამც ხელი მოეშართოთ,  
ღმერთსაც ასე სურვეზია.

## 8. ორი ძალი

ერთად მიყვარს ორი ქალი,  
ერთი შავი, ერთი ჭერა;  
თავი რო არ მოვიკალი,  
ჩემი მიტო არა გჭერათ.

და დავკარგე ორი ქალი —  
ერთი შავი, ერთი ჭერა  
თავი თუ არ მოვიკალი,  
არცერთს ჩემი არა სჭერა...

ყველაფერი ამებურდა,  
ავურბიე ჩემებურად;  
ჭერა ქალი გამებურტა,  
შავი ქალი დამემღურა.

რა ვარ ახლა, ბაბია!  
შეხუმრები? — ორი ქალი!  
ერთი თავი ვაბარია, —  
ერთხელ მაინც მოიკალი!..

## 9. გაცილება

— ბიჭო, შენ თავს დაუკვირდი,  
ე რა სიტყვა იკადრე: —  
ძმა არ ხარ და ბიძაშვილი,  
რატო უნდა მიყვარდე...

ისე, ჩემზე ახი კია, —  
თავი რო გაგიყადრე...  
— ჰო, სადამდე მიგაცილო?  
— სადამდე და... იქამდე...

ეს პატარა მოთხრობა მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენებს უფროოდ გარდაცვლილი მწერლის — ყარამან კიკვიძის სახელს, რომელსაც ახლახან დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდებოდა.

ყარამან კიკვიძე

## გამარჯობა, ლი!

ჯარისკაცის წერილი

შენ ალბათ გახსოვს, ლი, ჩემი ძველი წერილები. მაშინ ომი არ იყო და მე მეჩვენებოდა, რომ სწორედ ასე იყო საჭირო: „ჩემო ძვირფასო ლილი, ჩემო სიცოცხლე, ჩემო...“ მაგრამ ახლა ომია, ლი, და მე სანგარში ვზივარ, ბიჭები სულგანაბული ელიან იერიშის მაუწყებელ ნიშანს, და დროდადრო უშუბარის აფეთქების ხმა ერთმანეთის თვალებს მოგვაძებნიებს, მერე იმ შემკრთალ თვალებში ღიმილი ჩაგვიდგება ხოლმე და ყველანი ჩვენს საქმეს განვაგრძნობთ. ახლა არ შეიძლება, ლი, ძველებურად წერა. ჩემს წინ ბეჭნუ ზის და ცოლის ფოტოსურათს ათვალეირებს, მათე შაშხანის ლულას ეფერება და თვალები ისე უბრწყინავს, რომ ცხადია ვილაცას იხსენებს. საშინელებაა, ლი, ვინმეს იხსენებდე და ალერსით გამოთბარი თათები შაშხანის ცივ ლულას ეხებოდნენ. რუთა დროდადრო მუხლებზე წამოიწევს ხოლმე და ჩემს წერილში იტყობება, ერთი წამით წარბებს შეიკუმუხვნის და მერე ილიმება. რუთას ეზარება წერილის წერა და უხარია, რომ სადღაც ვილაცას იქნებ მის ფიჭ-

რებს გადასცემენ. ის ვილაცა ხომ სულ სხვა ვინმეა, მაგრამ რუთასთვის ახლა ეს სულერთია. დროდადრო, კმაყოფილი, თვალეებში მიყურებს და აინუნშიც არ აგდებს ჩემს შენიშვნას, ნუ იტყობები, მეთქი, სხვის წერილში. ყველაფერს ვერც გადმოგცემ, ლი, მაგრამ ჩემს გარშემო ისეთი მკაცრი და ძუნწი სურათებია, რომ წარმოუდგენელია ახლა ძველებურად წერა.

ჰო, ლი...

მე კარგად მახსოვს ის დრო, შენთვის განკუთვნილ საალერსო სიტყვებს რომ ვეძებდი და ვერ ვპოულობდი. შენ ძალიან ლამაზი იყავი, ლი, ძალიან ლამაზი და მე არ მყოფნიდა სიტყვები, რომ ჩემი სათქმელის მეთათსედი მაინც გადმომეცა. მაშინ ომი არ იყო, ლი, მაშინ სულ სხვანაირი იყო ჩვენი ფიჭრები და რას წარმოვიდგენდი, რომ თურმე ასე უბრალოდ შემეძლო მთელი ჩემი გრძნობების გამოხატვა: ლი!

რუთამ რაღაცა მითხრა და თავი დავუქნიე. არ ვიცი რა მკითხა, მაგრამ მე კვლავ თავს ვუქნევ რუთას და რუთა კმაყოფილია ჩემი პასუხით. მხატ-

ვარი რომ ვიყო, რუთას აუცილებლად დაეხატავდი.

— რუთა, ბიჭო, იქნებ რა მინდა, რომ დაეწეროს... \*

— ისეთს რას დაწერ, რომ მე გამოვიკვრიდეს, — მშვიდად მბასუხობს რუთა და თუთუნის გასახვევად ემზადება, — ჯანიბეგი კარგი ადამიანიაო ახლა რომ დაწერო, ისიც არ გამოვიკვრიდება.

ჯანიბეგი რუთას ცოლია. ჩვენს ასეულში რომ მოვიდა რუთა, იმ წუთიდან მისი ლანძღვის მეტი არაფერი გაუკეთებია. მაგრამ დრო გავიდა და რუთამ შეიცვალა ადამიანებზე წარმოდგენა. აქ, ტყვიებისა და ცეცხლის პირისპირ სულ სხვანაირად ფასდება, ლი, ადამიანი. ეს შეფასება სულ სხვაა, ბევრად უფრო ნამდვილი და მკაცრი, და ცხოვრებაში თურმე რა ხშირად ვტყუებდებოდით!..

— კიდევ ის... რუთა მფრთხალია, თქო, და ნამდვილი დედალი, — იციანს რუთა.

ჰო, გულოვნობაც თურმე სულ სხვა რამეა, ლი. გუშინ დაჭრილი ჯარისკაცი მოათრია რუთამ. ზეცა და მიწა ერთმანეთში ირეოდა და რუთა ძლივს გადაურჩა მტრისა და ლეთის რისხვას. თავი რომ სამშვიდობოს დაიგულა, მაშინ კი უმტყუნეს მუხლებმა და შიშისაგან გული წაუვიდა. ჰოდა, გუშინდელს აქეთ რუთა თავგამოდებით ამტკიცებს, რომ თურმე მფრთხალია და ნამდვილი დედალი. ბეჭნუ თვალს თვალში უყრის რუთას და ოდნავ შესამჩნევად თავს იქნება (არ ეთანხმება).

გულოვნობა თავიდან ბოლომდე ერთი ყოფილა, ლი... სინდისი. ეს მე გუშინდელამდეც ვიცოდი, ვიცოდი გუშინწინ, იმის წინაც, დიდი, თითქოს ძალიან დიდი ხნით ადრე, მაგრამ არ ვიცოდი სანამ ეს ომი თავისას იტყოდა. რუთა კი, რუთა ისევ ხელებში მიყურებს და ბავშვივით წითლდება.

შენ ნურაფერზე იღარდებ, ლი. მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ უბრალო რამე გულს გიკრთობდა. მაშინ ალბათ ის ჩემთვისაც არ იყო უბრალო, მაგ-

რამ ახლა ვგრძნობ, რა ბევრი რამ არის თურმე ფუჭი და ზედმეტი. ეს უკნებ იმ დიდი დარდის ბრალია, ლი, ახლა რომ გულში მაქვს, იქნებ ამ ერთმა დიდმა წაშალა ყველაფერი, მაგრამ როგორც არ უნდა იყო, ცხოვრება მიდის, ლი, მიდის და, ვინ იცის, რამდენ რამეზე არ ღირს დაფიქრება...

უცნაური რამ ვართ, ლი, ადამიანები... ვფიქრობთ ძალიან ბევრს, და ვიგონებთ ათას რამეს, რაც სრულებითაც არ გვეკვრიდება... ან არ ვფიქრობთ, და მაინც ვიგონებთ კვლავ ათას რამეს, რაც კვლავ ფუჭ და ზედმეტ გამოწავონად გვრჩება. დარდიც ხომ ადამიანის გამოგონებულა, ლი... რად უნდა გვაკრთობდეს შემთხვევა, თუ ის უკვე მოხდა... ან არ მომხდარა და ჩვენს დაუკეთხავად უნდა მოხდეს. რად არ უნდა გვეკონდეს თუნდაც იმხელა სიბრძნე, რომ არაფრის გვეშინოდეს. რატომ ვერ ვუსწორებთ თვალს მომავალს, რატომ ვიგონებთ ამდენ უცნაურ რამეს, და ვარქმევთ მათ შიშს, უიმედობას... მერე, რამდენი უაზრობა მოსდევს, ლი, შიშსა და უიმედობას, რა მარტივი და ნათელი იქნებოდა ცხოვრება მათ ვარქმე...

ო, ეს ომი, ლი!.. და მერე ვინ იცის, იქნებ ესეც შიშმა და უიმედობამ...

ხომ საშინელია, ლი, ომი!.. მაგრამ კიდევ უფრო საშინელია ფიქრი იმაზე, რომ ეს უაზრობა არსებობს... რატომ?! რისთვის?! — როდემდის უნდა გვტანჯავდეს ეს კითხვები...

ჰო, იქნებ შიშმა და უიმედობამ, მეთქი, ლი, ეს ომიც, იქნებ სწორედ შიშმა და უიმედობამ... ო. ღმერთო, თუ შენ მართლა ბრძენი ხარ ჩვენზე, რატომ არ აგვიწევს ყურებს ჩვენ — უგნურ ბავშვებს — და ყოვლისშემძლე შენი ხელებით უკანალს არ აგვიჭრელებ!.. ნუ იცინი, მეთქი, რუთა!..

ასეა თუ ისე, მე ახლა სულ სხვანაირი ფიქრები მაქვს, ლი... სულ სხვანაირია ახლა სამყარო, ცხოვრება, ადამიანები... სიკვდილი... სიცოცხლე... წარსული... ეს ჭურვის ხმა იყო, ლი,

(შენ, ალბათ, შეკრთი), ჩვენი სანგრის მახლობლად დაეცა და თავზე მიწა გადმოგვავარა... ბექნუმ თქვა: ცოტათი შეცდნენ, მაგრამ ეგ სულ უბრალო ამბავია, ქვემეხის ლულას უნდა ოდნავ მარჯვნივ შემობრუნება... ადამიანები... სიკვდილი... სიცოცხლე... ერთი კია, ლი, განსაცდელი რაც უფრო ახლოა, მით უფრო მზიარულად გავეწყობით... დიდ სერიოზულობას ვერ დავიკვებნით ადამ და ევას შთამომავლობა... ეს მარტო ჩემი აზრი არაა, ლი. აი, რუთა! — დასტურის ნიშნად ისე გულმოდგინედ მიქნევს თავს, რომ სადაცაა კისერი მოწყდება.

სერიოზულობას, მეთქი... ზოგიც ბაკურას ჰკითხებ... შენ ხომ გახსოვს, ლი, ჯუბანთ ბაკურა... დილის ექვს საათზე ვიღვიძებო, ისე სერიოზულად იტყობდა, თითქოს... ეჰ, ჰირს წაუღია, ლი, ჯუბანთ ბაკურა... საშინელება თვითქმეყოფილება, ომი, სიბეცე, ლტოლვა, ძიება, ეს საუკუნე... საშინელება ცხოვრება და ჯუბანთ ბაკურა!..

და მერე რა კარგად ჩანს, ლი, ახლა, ვინ რა გააკეთა... შენ ალბათ თოთიაც გახსოვს, ლი... მისი გაუთავებელი ფუსფუსი და ოფლის ღერა უთენიადან გვიან ღამემდე, მისი დამცინავი გამოხედვა, თუ ვინმეს წუთით მოშცდარს შეისწრებდა... შენ ძალიან გწყინდა, ლი, მისი გადაკრული სიტყვები, მომაბეზრებელი, მუდამ საკუთარი უპირატესობის აღმნიშვნელი შეკითხვები... შენ მაშინ არ მსახურობდი, ლი, არც თოთიასებური ფუსფუსი შეგეძლო უთენია დილიდან გვიან ღამემდე და გეჩვენებოდა, რომ თავის მართლება იყო საჭირო... შენ მაშინ სწუხდი, ლი, მაგრამ აზრის გამოთქმას ვერ ახერხებდი... გრძნობდი, რომ სადღაც მართალი იყავი და პასუხიც ნათელი იყო საჭირო, მაგრამ თოთიას გაოფლილი სახე და შრომით დაძარღვული ხელები გაკრთობდა... რა იცოდით შენ და თოთიამ, რომ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის დახარჯული უღიმღამო სიცოცხლე, შენს — თუნდაც

აუხდენელ — მაგრამ სხვათა ბედისთვის ფიქრში გატარებულ წუთებს წინ ვერ დაუდგებოდა... ეს შენდრეც ვიცოდი, ლი, მაგრამ ეს იერიშის დაუწყებელი ნიშანია, და ახლა ჩემთვის ყველაფერი ათასჯერ უფრო მარტივია და ნათელი... ეს მათეა, ლი, საათს რომ დაჰყურებს... კიდევ ხუთი წუთიც და ნიშანი გამეორდება... მე წერას შეეწყვეტ და სანგრებიდან ამოგცივდებით... წერილს კი დაგვეცავ და ჯიბეში შევიანახავ, შენ არ გამოგიგზავნი... ჰო, ლი, აბა რად გინდა, რომ ტყუილად აღელდე... არ გამოგიგზავნი... შენ ისედაც ძალიან ბევრს ფიქრობ ჩემზე... მერე რა, ლი, რომ არავინ წაიკითხავს... იყოს... დაიწეროს... მე ვჩქარობ, ლი, ძალიან ცოტა დროა იერიშის დაწყებამდე...

ერთხელ ჯუბანთ ბაკურამ მითხრა... რას ვაღამეყიდა ეს ჯუბანთ ბაკურა... ჰიშკრის სეტზე ჩუქურთმას ამავრება და და შეითხა, ცოტა ზევით ხომ არ აჯობებდსო... რა ვიცი, მეთქი, მხრები ავიჩეჩე... რომ არაფერი ვუბასუხე, თვითონვე გადასწყვიტა, ზევით აჯობებს, ქვევით შეიძლება თავი ავარტყაო... ველარ მოვითმინე და სულერთია, მეთქი, ვუთხარი, რომ მოკვდები, მერე რა მნიშვნელობა ექნება იმას, ჰიშკრის შესასვლელთან თავს არტყამდი რამეს, თუ არ არტყამდი, მეთქი, სიკვდილზე მე არ ვფიქრობო, შემომიღრინა. გეშინია, მეთქი და იმიტომ. რის გეშინიაო. რისი და სიკვდილის.

— შენ არ გეშინია? — დაინტერესდა.

— კი მეშინია... უაზრო სიკვდილის...

— უაზრო სიკვდილი რაღაა...

— უაზრო სიცოცხლე.

ვერაფერი გავიგეო, მითხრა.

— აბა, მე რა გიყო!

დრო, ლი, დრო!... ძალიან ცოტა დროა იერიშის დაწყებამდე!.. მე კი ჯუბანთ ბაკურაზე ვლაპარაკობ!.. ალბათ რაიმეს თქმა თუ მინდა, ლი, და ვერ ვახერხებ... ეს სულ ამ წუთების ბრაღია, ლი, საშინელი სისწრაფით



რომ მიჰქრიან... ჭუბანთ ბაკურა, ჭუბანთ ბაკურა!.. რალაც უნდა მეთქვა, ლი, რალაც ისეთი, რომ... ეჰ, ლი, ვინ იცის, იტყვის თუ არა ვინმე ოდესმე...

თამილა! ჩვენი თამილა, ლი, ჩემი... შენი თამილა... არ ვიცი, აქამდე რატომ არ ვახსენე... იქნებ ომმა გამაუხეშა... ან იქნებ, განგებ... არ ვიცი, ლი, ვერ გეტყვი, მე თვითონ არ ვიცი... ბევრი, ძალიან ბევრი დრო წაიღო ჭუბანთ ბაკურამ!.. და თუ მე... (არ დავწერ ამ სიტყვას, არ შეგაქრათო)... ჰო, ლი, ნუ მოაბეზრებ, მეთქი, თავს ჩემზე ლაპარაკით... ერთბაშად უთხარი, ერთხელ და როდისმე, თუ რამ გჭონდეს ჩემზე დიდი სათქმელი... გამიგე, ლი, არ მინდა ჩრდილივით დასდევდეს ჩემი მოგონება... დაე, ერთბაშად დამინახოს... და არ იქნება მაშინ უმამო...

თავისუფლება, ლი!.. ჰო, ჰო, ჩემო,

ნურასოდეს დაივიწყებ... მთავრად მხოლოდ მაშინ, როცა დასჭირდეს!.. უთხარი, რომ არსებობს ბედნიერება და რომ აღამიანები ამას მხოლოდ მაშინ იგებენ, როცა უკან მოიხედავენ... ჰო, ლი, ასწავლე ბედნიერება, დაე მუდამ შეეძლოს მისი შემჩნევა, და არ დასჭირდეს უკან მოხედვა... ეს ჩემი აღმოჩენა არაა, ლი, არც რუთასი... ეს ამ ომმა თქვა!.. და კიდევ რალაც უთხარი ჭუბანთ ბაკურაზე... ჰო, თოთიანეც უთხარი რაიმე... ეს უკვე ნიშანია, ლი!.. საიერიშო!..

.....

წერილის ბოლოში, ძნელად გასარჩევი ასოებით ეწერა:

— ჩემო ლილი, ჩემო სიცოცხლე, ჩემო ძვირფასო...

ეს ასოები თავიანთი არაბუნებრივი პოზით ბრძოლის ველზე დახოცილ ჯარისკაცებს ჰგავდნენ.

## ზაქარია შარაზადიშვილი

### ცხრაძალიანი

მთა-კლდეებს ჩამოვდენილვარ,  
სულს ვითქვამ ქვიშის ფიორით,  
ცხრა ტანის მქონე  
დევი ვარ,  
ცალთავიანი რიონი!..

ცხრა სხეული მაქვს,  
ცხრა ძალი,  
ვარ ძველისძველი ფანდური,  
ჭალა ვარ დიდი ნაკრძალის,  
თევზების გრილი ფარდული.

ჩემი ნოტიო ინებე,  
ვაზო, ხის ტოტზე გამსვლელი,  
კლდე და კლდე  
მოგჩქეფ ტინებზე,  
რომ მთა და ბარი დაგქსელო.

ცხრა ტანის მქონე რიონი  
სულ ვიჩანჩქერებ,  
სხივს ვაგზნებ...  
რიყის ქვა, ქვიშის ფიორი  
მაღალმა მთებმა მისაგზლეს.

ჩემთა კალმახებს ვარსკვლავნი  
მთაში ამოსწვა გვერითამ,  
ცხრაძალიანი საკრავი  
ერთი თავით და ყელით ვარ.

ქარაფ-გოხს ჩამოვდენილვარ,  
ვინ მნახოს გზა-კვალ იოლი,  
ცხრა ტანის მქონე დევი ვარ,  
ცალთვალიანი რიონი!..

### ძვანარხია

ერთხელ ერთმა ქვაჩახიამ  
სხივი გამომაჩარხვია,  
ის ნაღვერდალ-ნაბერწყალი  
ცივ ნაცარში არ ჩახვია;

სულ სიმართლეს ანაცვალა,  
რაც უკულმა ნაჩმახია,  
ყველგან სხივი აეღვარდა,  
ყველგან შუქის ჩახჩახია.

რითაც სუნთქვას მიგუბებდნენ,  
ხარის წმინდა რქამ ჩახია,

ახლა საქმე წალმა მიდის,  
იმედები გამჩარხვია.

წალმა თუ ვერ დააბრუნე,  
ჩარხი, აბა, რა ჩარხია,  
ქვაჩარხია  
ქვაჩახიამ  
სხივი გამომაჩარხვია.

ბუ ცრემლსა ღერის ფულეროში,  
გარეთ შამშვთა ქახჭახია!

## ქმად ეღირები

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

უჩვევს და უცადს,  
სვეო, ჭენებით  
მხედნიდე, ნურმც სად  
მომესვენები!..

ნახირს — ნახირი,  
მარხილს მარხილი  
ვადევნო... მნახოთ  
წელში გახრილი...

ურმებს — ურმები,  
ხარებს — ხარები,  
გაგებუშრები,  
გამეხარები...

ძარებს — ძარები,  
ხვირებს — ხვირები,  
დამეხმარები, —  
ქმად ეღირები!

ურთიერთს  
ჭირთა განსაქარებლად,  
ბევრი უთნიეს  
ჩვენმა ქარებმა...

უჩვევს და უცადს,  
სვეო, ჭენებით  
მხედნიდე, ნურმც სად  
მომესვენები!..

## სადარი

წასულა ყველა ფარდი, სადარი,  
ფარდი, სადარი, ალბათ მოსულა,  
მისი აკვანი  
ვინ თქვას სად არის,  
რომელი დედა არის ორსულად.

ფარდო, სადარო ამოშუქდები,  
იქნები ჩემებრ  
ხმალი შიშველი,  
თანდათანობით ყველა ვკუქმდებით,  
თუ მომისწარი, რამეს მიშველი.

თუ მომისწარი, რამეს გიშველი,  
თუნდაც მიხილო  
ჯოგის ნაცემი,

შენი ხმალი და ჩემი კისერი,  
მხარში ერთიეც მყავს? — არა  
ვმარცხდები!

ვშიშობ, — ღმერთია:  
ოდესლაც ვით მე,—  
ვაპ თუ დაგესხან ბევრნი მარტოკას,  
და თუ ეს მოხდა, ერთი — ერთია,  
ერთი უჩემოდ რამდენს გათოკავ.

ორნი კი ერთად არ დავმარცხდებით,  
შენი ხმალი და ჩემი კისერი...  
ვთქვათ, თუნდაც ვიყო  
უღვთოდ ნაცემი,  
იმედოდ გყავდე, რამეს გიშველი!

• • •

ჩვენ უბანსაც უარ-ჩუარ  
მიქელ გაბრიელის სიამ,  
ზოგ სახლითა ბერნ გარეკად  
ზოგთ ჭეილებს დუბნელ მზიან,  
ზოგს პატარზალ გაწირვიად  
ზოგს პატარა შვილ, პირზიან,  
ზოგს თეოზე არგინ სიკვდილ,  
შინ მაყვანი შავნაბდიან,  
ზოგის ალაზანს ხკიდ ცოდვამ,  
თაქვე ჩამაჩინ შავ ამბიან,  
ზოგს მტერ გულალ, ხევში გადაგდვ,  
შინ მაყვანი თვალნამიან,  
ზოგს სულ მოსტაც საობრის დროს,  
გზა მისც სულეთს, ბალნარიან,  
ზოგს საწამლავ მიაწვდად  
შარა გუშალ შავ ნარიან,  
ზოგს არ არგინ ძე-ძირ მზეზე,  
სახლ-კარ გუწირ შამბნარიან...  
ჩვენ უბანსაც უარ-ჩუარ  
მიქელ გაბრიელის სიამ.

• • •

მკვდართ მესამხრეს დეფერებოდ ალბათ მზე, დე,  
ძალდაღუთულ ესვენების ღელეს,  
მოთიბულიდ მომკილ კალოს დახვავდებოდ,  
ქერ-სვილ ამსვებდ ძირცარელა ბელელს.  
ეიერიბანდზე ეივ-ეივ შესწყდებ ჩიტებისაჲ,  
ხალხ დენატრებ ბეხვენს,<sup>1</sup>  
წყლებს ჩამიწრეტს უმტერიოდ მაკრატელა,  
ფოთლებ დექცევ ვერხვებს.  
გურჩ-საცეხველ, ქიტ, კოზ, კოჩხო ხელ-პირს დიშრობდ,  
ქირხლ შედებოდ ნაყაიჩოს ფერცხლებს.

1 ბეხვენ — საფიხვო.

2 კოჩხო — ტარიანი სასმისი ხისა.



• • •

ჩამკეწარ თვალებ ექნების  
 გულდასუსტულ დანოს,  
 პეპლებ ჩაყრილ ექნების  
 კიღობნის თავ გარმუნს.  
 ლეგ-ლუგა ჯანლებ ეხვევ  
 თენების წინ დანოს,  
 ფარდა ჩამოხსნილ ექნებ  
 საჭამია თაროს.  
 დაკ-მოკეტილ გულ ექნებ

გულდაქანულ დანოს,  
 ჩაჯანგებულ პირ ექნებ  
 ბიჭონატრულ წალოს.  
 სინათე ენატრების,  
 საკემელ, კარ-კურთ დანოს,  
 ჩახავსებულ ქვებ ეწყობ  
 უღეწავა კალოს.  
 ჩახავსებულ იმედ ხკლავს  
 ჯანგაროსფერ დანოს.

ბიჭონი — დახალული ქერი ან სიმინდი.

• • •

თოვს. ქანაობს ჩემ ხსოვნაში  
 სიყმაწვილის ჩამოთოვილ მთაჲ.  
 ქარი. ქარს წაქვ ნანაობით  
 მიმინოსად ძალით წართმულ ფრთაჲ.  
 თოვსად თეთრდებ ჩემ ხსოვნაში

უბაჰისაკ წამოალა გზაჲ.  
 ქრისად ქარს აქვ ტანდახვეულ  
 გორგლად ნაქცევ ბზაჲ.  
 თოვს. ნანაობს ჩემ ხსოვნაში  
 სიყმაწვილის კვალშლადშემდგარ გზაჲ.

უბაჰი — ადგილი შენაქოში.

• • •

ხო დაგაცოცხლეთ, ახი თქვენდ,  
 უდროოდ მიწას ჩასულნო,  
 ხო ქვეყანაზე გაამბეთ  
 ქაჯ-ეშმაკებო, ავსულნო,  
 ხო გეფერაენთ, ყვავილნო,  
 ჯიხვ-არწივებო, თამამნო,  
 ხო გაგიმზევთ სახელებ  
 შეთე, ზეზე, თინა, თამარო.

ახი თქვენდ, თუკი გაჯკოურთ,  
 ლურბლებო, მოწანწაილენო,  
 ახი, თუ სულმუქცევლად გსვით  
 წყარონ, კლით მოწანწკარენო.  
 ხო მოგქსოეთად დაგკერეთ,  
 აფე, კაპრაშა ჩითებო,  
 ხო სუ ფთებგაშლილმ თქვენთანავ  
 ვიფრინ ჯანგისფერ ჩიტებო.

აფე — მწვანე.

კაპრაშა — სუთელი.

• • •

წუთისოფელ გადაფურჩქენილ ყვავილს ღვაგის,  
 თავწონებით მზის სხივთ თვალის მსწორეს,  
 თავზე უცხად თქეშიდ სეტყვა ჩამოქცეულს,  
 მიწის გულზე ფერნაკლ-უგარძნოდ მწოლელს.



წუთისოფელ ამღერებულ არაგვს ღგავის  
 ზამთარმოსვლით ხმაწართმულსად მზოხველს,  
 ზოგჯერ ღგავის აყივლებულ არწივს,  
 უცბად ისარ გულში გაყრილს, მკდომელს.  
 წუთისოფელ აღლევებულ ყანას ღგავის,  
 მემარ სარეველ შებარებულს, მომცდარს,  
 ზოგჯერ ბროლის საფარველს ღგავ, მთაზე მწოლელს,  
 არგონებას ზვავად ნაქცევს, მომსქდარს.  
 წუთისოფელ უსრულებელ შარას ღგავის,  
 უცბად წვრილ-მალ ბილიკებად დაშლილს,  
 ზოგჯერ ხარს ღგავ, რქაზე სანთელმოციალეს,  
 საამქვეყნო ყოფნა თითზე დათვლილს.

წუთისოფელ ბალახმდიდარ სათიბეს ღგავ,  
 შუნანებლად გათელილსად გაგლილს.

• • •

სადიდხნოა აღარაავ, — იციან,  
 დედისძმათავ სუფრა მაქვავ, — იციან,  
 ხელში სანთელ შიეცითავ, — იციან,  
 გვიშველეთავ, ამოთავდავ, — იციან,  
 სულეთისიმ გზას მზე გაქვავ, — იციან,  
 მგებრში პირველ ვინ მოვიდავ, — იციან,  
 კაი გულად ხარიაავ, — იციან,  
 დედულ-მამულნ გაახარეავ, — იციან,  
 დღის სულმუთქმელ, ხმამალ ტირილ იციან,  
 ღამ ღომილიდ ხან სიცილიც იციან,  
 მკედარ სწუხდებავ, გიციინეთავ, — იციან,  
 რამბეთავ, უხარისავ, — იციან,  
 მკედარ მძიმდებავ, დავლმარხოთავ, — იციან,  
 გასვენებას ბალთ ღვიძება იციან,  
 გასვენებით სუფრის გება იციან,  
 გულისდამლევ შესანდობრებ იციან.

• • •

სასულრეებ მანახვი, სკივრში ჩანაკეცარ,  
 იქავ ნაგრეხ დალაღებ, გლოვას წანაკეცარ,  
 ფარდავ, დალიშნულობას მჭიდროდ ჩანაბეჭარ,  
 სუ მეს მაქვავ ამ სოფლით, — მითხარ, — წასაღებარ,  
 ჯავრის ციხე მრჩებისავ, — ღნანობდ, — ასაღებარ...

• • • • •

სასუდრეებ ალარა, სკივრში ჩანაქეცარ,  
 ალარც ნაგრეხ დალალებ, გლოვას წანაქევეცარ,  
 ალარც ფარდაგ, ლიშნობას მჭიდროდ ჩანაბეჭარ,  
 სუ გიყოლი, რაიც გქონდ, სოფლით წასალებარ,  
 ჯავრის ციხე უფრ მაგრ დგას, მეგ ვერ ასალებარ.

• • •

მზემ ვერ იცის, სი ჩხუბი, სი შურიად მტრობაჲ,  
 ყველგან ბაგეგახსნილ შეგ, ყველათა უნდ თობაჲ,  
 მზემ ვერ იცის, ვის ჩდილ უნდ, ვის სხივებით მკობაჲ,  
 მზემ თავის სიკეთისაჲ არვიზდ იცის მობაჲ.  
 მზემ ვერ იცის, სი ჩხუბი, სი შურიად მტრობაჲ,  
 ყველათ შინ იცის შესვლაჲ, ყველათა უნდ თობაჲ.

• • •

„იგრემც დილევეითაგ, რაგვერცეგ ქვაზე ჩიტის კვალიგ,  
 ივაგლახეხსამცეგ თქვენ ქაგ-ჭერხოსაგ პირმეხიან ქარიგ,  
 სუამ გლოვისას დაგლიდინებსთაგ ძაძაჩაცმულ ქნარიგ,  
 ჯინჭრითამ ავიყვავდებათაგ ციხე-ციხის კარიგ...“  
 თუშის ქალის ლეკთად წყევა მოდიოდის,  
 ქარს მოხქონდის სიმწრით ნაწვად თმანივ...  
 ეამივ ყველ-ყველის მკურნალივ...  
 „მაშა ბეჩავ, ვისაც ახსონს, ადვილივ თქმაივ...“

• • •

ტანწვრილა ციხის საკმლის ქონგურზე  
 ეინა<sup>1</sup> ამოსრულ სწორ,  
 ჩილიან ფერდში ახლა შემერეშილ  
 გულსატყუარა სტომ.<sup>2</sup>  
 ჩილოსკით მოსრულ ღრუბლის ნაჭერას  
 წვიმისა მული ჭორ,  
 ტოლიკაებზე<sup>3</sup> ვაფ-ვაგამოფენილ  
 ჭეჭილამოყრილ ფორ.

გაავებულად მორევედ ნაქცევს  
 ალაზანს წაშლი ფონ,  
 ღარძლაზე<sup>4</sup> ხეიდავ ფარფარ-ქაგქავით  
 ტანსანიოდ ტოლ.  
 ცალსახელაში<sup>5</sup> ამოდა ცეცხლზე  
 თახთახებს დათვის ქონ,  
 დადის უსამხრო, სადილ-უვახშმოჲ,  
 იმედგაწყვეტილ ქორ.

1 ეინა — ნორჩი ფიჭვის ხე.

2 სტომი — წითელი მოცივი.

3 ტოლიკა — შინშოქსოვილი ხალიჩა.

4 ღარძლა — შინდაწნული თოკი.

5 ცალსახელა — სპილენძის ქვაბი.

• • •

მაქ წამოყინულ, მანდ იქნებ  
გადათეთრდაც არეჲ,  
მაქ ხანდხან შუბლს გამაჩენს,  
მანდ ან არც ჩინს მთვარეჲ,  
მაქ ცრიატით თენდების,  
მანდ თოშ იქნებ ლამეჲ,  
მაქ ჩამოყინულ, მანდ ალბათ  
შეჭალარად მთა-ველ.

• • •

„დღეგრძელნიმც ხართავ ხარ-  
მოხნავნიე!“ —  
ამბობდეს თუშებ წინავ,  
მახლ ყველა წესსად ყველა ადათს  
რა უღვთოდ ზძინავ.  
ან მოხნავ სილა, ან გუთანიდ  
ან თეთრ ხარ სილა,  
ან ყანა, სათიბ, ან ყანისპირ  
ამ-ჩამვლელ ვინაჲ.  
„ხარ-მხარიანიმც ძე-ძირ გყავე!“ —  
გეტყოდ თუშ წინავ,  
მახლ ყველა წესსად ყველა ადათს  
მტვერწყაყრილს ზძინავ.

— • —



მთარ წარწერა

## ჭ უ რ ი ა

მოთხრობა

იმ დღეს ალიონზე წამოვდექი. ჭასთან ცივი წყლით დავიბანე ხელ-პირი, სამზარეულოში ორიოდ კოვზ მაწონს, ლუკმა პური შევატანე და ეზოში აჩქარებული გავედი. მანქანა დაგჭოქე. სათევზაო „აღჭურვილობა“ ჩაბარგულში წუხანდლიდანვე ეწვო და დათქმულ ადგილზეც დროზე მივედი.

ლუკიანე და ლივერი უკვე მგლოდნენ. დილის სიცივეში, მზრებში ოდნავ მოკუნტულნი, რკინის ურდულით ჩარაზულ გაზიანი წყლების ჭიხურს მიყუდებოდნენ და თევზაობის სურვილით ანთებულნი, თვალგაბაციმციმებული აბოლებდნენ სიგარეტს.

ერთმანეთს მივესალმეთ.

— კაცო, სად ხარ ამდენი ხანი! — მისაყვედურა ლუკიანემ.

— საბურავი ხომ არ გამსკდარა? — ირონიულად იკითხა ლივერმა.

— ჩასხედით ჩქარა, სანამ სულაც არ გადამიფიქრია. — ვუპასუხე ხუმრობით და მანქანიდან გამოვედი. საბარგული გავალე, ზურგჩანთები რომ ჩაედოთ.

— ოპ, ოპ! — ჩაიციენს. — გადაიფიქრებ და საბრალონი, უშენოდ ვეღარ წაუსულვართ სათევზაოდ. ეგერ, გაკრიძალებული ავტობუსები დაპქრიაან ყოველ ხუთ წუთში.

სწრაფად დავიძარით ადგილიდან.

ჭალაქის მოედნის „სახალტუროსთან“, ვილაც კაცი შევნიშნეთ. ჩამოჩაჩული, ცოტა „სოფლურად“ ჭიბეებგამობერილი შარვალი ეცვა და თავზეც, რალაც „ბერეტით“ ჭუდი ეხურა. დილის ბინდ-ბუნდში მის უკან ზურგჩანთა და ბამბუკის საანკესო ჭიხიც დავლანდეთ.

— ეს კაცი, ეტყობა, მეთევზეა. წავიყვანოთ, მაღლია. — ჩაილაპარაკა ლუკიანემ.

— ადგილიც გვაქვს მანქანაში, მაგრამ ჭერ ვნახოთ რა კაცია. — დასძინა ლივერმა.

უსიტყვოდ შემოვებრუნე მანქანა და ერთხელაც შემოვუარე მოედანს.

არც ისე დიდი ხნისაა ეს ამბავი. ახალი გამოსული გახლდათ მოდიდან, „კავერკოტისა“ და „ინდიგოს“ საკოსტუმეები, ჭიბეებიანი, ხაკის „ბლუზები“, „უკრაინეები“, „ბოხოხის ჭუდეები და „აზიაცეები“.

მანქანა გზატკეცილის დასაწყისთან შევაჩერე.

— გამარჯობათ! — ლუკიანე მიესალმა უცნობს. — იი? — გაუკვირდა შემდეგ რალაცა.

— ღმერთმა გამარჯობა მოგცეთ! — გვიპასუხა თავაზიანად იმ კაცმა.

— სათევზაოდ მიდიხართ? — ფანჯრის შუშა ჩამოსწია ლივერმა.



— დიახ, სათევზაოდ! — დინჯად დაუდასტურა, მაგრამ დანაშაულზე წასწრებულებით, მორიდებით გაიღიმა უცნობმა.

— საით აპირებთ?.. ბოდში რომ გეკითხებით!

— საითაც მომიწევს, ადგილები ყველგან კარგია.

— ისევე რა გითხარი! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ლუკიანემ.

— ჩვენც სათევზაოდ მივდივართ, თუ თქვენი სურვილი იქნება წამობრძანდით, ადგილი გვაქვს.

— ახ, მართლა?

— მუნჩიაში მივდივართ. — დასძინა ლუკიანემ ცოტა ვულგარილად.

— ოხ, ძალიან კარგი, მაგრამ...

— რა, მაგრამ?

— როგორ შეგაწუხობთ? — ადგილზე შეიშმუშნა დაფაცურებული უცნობი. — რაცხა, უხერხული გამოდის...

— მოდი, ჩაჯე, კაცო — მხიარულად გაუღიმა ლივერმა. — ჩაჯე და ერთი ის გვითხარი, როგორი ამინდი გამოვა, მოგვიწევს თევზაობა, ვითომ?

ამინდს მართლა არ უჩანდა პირი. წერილად, დამალიონებლად ცრიადა.

— ამინდი? — იკითხა უცნობმა და ცას ახედა. — ოო, ამინდი მშვენიერი, ჩემო ბატონო, ოქრო...

მორიდებით, დიდი ბოდშიებით ჩაგვიჯდა მანქანაში. ზურგჩანთა, ფეხბეჭევი ჩაიდო. მოკლედ დაბერხილ-„დაკეცილი“ ბამბუკის საანკესო ჯოხიც, რომ არავინ შეეწუხებია, მუხლებშუა მოიქცია.

სანამ უცნობი ეწყობოდა, ვილაც მაღალმა კაცმა გზატკეცილი ვადმოჭრა, როცა მოგვიაბლოვდა ყველამ ვიცანით, იმ სიმაღლის ერთადერთი კაცი გვეყავდა ქალაქში — აზარია შამუგია.

აზარიამ მანქანაში შემოიხედა, შეგვათვალიერა და როცა გვიცნო, უცებ შემობრუნდა და ლიმპორეულმა, ცოტა კომიკურად დაგვიკრა თავი. სწორი, მაღალი კისერიც უმშვენიებდა აღნავობას. ლილიპუტად ვიგრძენი თავი მანქანაში.

— აზარია პატონი, უფრო ვაჭრობყო მანქანიდან ლივერმა, საპატონოდ და პატარავებულმა ახედა აზარიას. — აზარია, ერთი ეს გვითხარი, როგორი ამინდი გამოვა დღეს, რა ისმის ზემოდან, ა?

— პა-პა! — ჩაიციხა აზარიამ, ბრძენი, ყველაფრისმნახველი ადამიანის ღიმილი აუთამაშდა ნაოჭებით დაღარულ სახეზე. — ზემოდან თუთარჩელაო, პატონი. ამინდი, ოქრო! — თქვა წამით შეყვანებულმა და გრძელი ბარძაყების დინჯი ჭიმვა-ჭიმვით გაგვშორდა. ვინ უწყის სად მიიჩქაროდა ისე უთენია.

ნელა დავძარი მანქანა ადგილიდან. ჩვენმა ზურგჩანთიანმა თანამგზავრმა მანქანის სალონში მაგარი, მწარე თამბაქოს სუნი დააყენა. წინა სავარძელში მოკალათებული ლუკიანე ზანტად შებრუნდა მისკენ და საკმაოდ გულახდილი ცნობისმოყვარეობით დააკვირდა სიბნელეში.

— ბოდში, თქვენი სახელი? — ჰკითხა ბოლოს.

— მალაქია, პატონი.

— მალაქია?

— დიახ! — დაუდასტურა უცნობმა.

— „სამსუღია“ — ლივერმა თამბაქოზე ანიშნა.

— აჰ, არა. „სუმარაი“

— მაგარი თუთუნი ჩანს..

— მე ლუკიანე მქვია. — უთხრა ლუკიმ. — ამას, ლივერი. — ლივერზე ანიშნა და შემდეგ ჩემი სახელიც მოახსენა.

უხერხულად შევიშმუშნე საქესთან. მალაქიას თუთუნის სურნელებით გაღიზიანებულებმა, ჩვენც ამოვიღეთ სიგარეტები და სტუმარსაც მივაწოდეთ „ქალაქური“.

— ახ, არა. — მალაქიამ მორიდებით ითარა. — მე ამ მწარეს ვარ მიჩვეული.

კარგა ხანს უხმოდ ვიარეთ.

— ამ ბამბუკის ჯოხით თევზაობთ? — ღიმილით შეათვალიერა ლივერმა მისი საანკესო ჯოხი.

— კი, ამით. მთავარია თვეში იყოს... თქვენი ნამდვილი სახელი როგორაა, ბატონო?

— ლივერი, ჩემი ნამდვილი სახელია. ნიშნავს — თავისუფალს.

— ოხ, მართლა? — გაკვირვებით შეათვალიერა ჩვენი ამხანაგი მალაქიამ, — თუმცა მშვენიერი სახელია, საოცარი... მართლა, კი, ოქროს სახელია...

— ეს როგორია? — ლივერმა ახალი შეძენილი იაპონური სააქენსო ჯოხი აჩვენა. — ხუთ მეტროზე იშლება, ძმაო!

— დიი? — ესეც გაიოცა. — ასეთი რამე არც მინახავს, ჯიმა.

— ოპ, ოპ. — უნდოდ ჩაიციხა ლუკიმ.

— არა, მართლა ვამბობ. დის სულს გეფიცებით!

— იი-იაპონია! — პათოსით წამოიძახა ლივერმა, მაგრამ შემდეგ, თვითონაც უნდოდ გახედა უცნობს.

— პაი, პაი, საარაგო! — თავი გადააქნია ჩვენი თანამგზავრმა. — ალბათ, ძალიან ძვირი ღირს, ჯიმა, არა?

— სიძვირეს ვინ უჩივის, შოვნა ძნელი.

— აუპ, — გული „დაწყდა“ მალაქიას. — ეგ ცუდი.

უკანა ხედის შუშასთან დადებული სპინინგიც გადმოიღო ლივერმა, გულდასმით აუხსნა მალაქიას მისი დანიშნულება-ღირსებები. აუხსნა, როგორ უნდა ისროლო, რა სიშორეზე წავა მატყუარა, თუ თვეში წამოეგო, როგორ მოქაჩო, დალალო, მოიყვანო ნაპირთან, როგორ ამოიყვანო...

სავარძელში უდარდელად გადაწოლილი ლუკიანე, სანახევროდ შებრუნებულიყო მათკენ და ირონიულად, ცალკეზად მომღიმარი უგდებდა ყურს საუბარს.

— ესეც ია-პონტ-ურია? — დაცინვით ანიშნა სპინინგზე ლივერს.

— არა, ეს როგორც მოგეხსენებათ, შვეიცარიული უნდა გახლდეთ!

— ხო, ხო, ჯიმა-აჯამი, — მალაქიამ

თავი გადააქნია. — ესეც ტურფა და საოცარი... ამოგვიწყვეტია! დღეს კურიში თვეები და ეგაა!

— პო, ლივერს „შიკი“ უყვარს.

— კარგია!

— კარგია კი არა, „შიკარნია!“ — ნიშნისმოგებით გადმოგვხედა ყველას ლივერმა. — თქვენ არ გიყვართ, ხომ?

— კი ძმაო, კი! — დაუმოწმა ჩვენმა თანამგზავრმა, ბამბუკის ჯოხს გადაუსვა ხელი და რატომღაც საწყალი კაცის სახე მიიღო.

როცა მუნჩიაში ჩავედით, ლუკიანეს დაყინებით, მისი ერთი ძველის-ძველი ნაცნობის ჭიშკართან შევაჩერეთ მანქანა.

ღილის ნისლში, რიხით ამოიქარგა მოჩუქურთმებულიაინიანი ოდა-სახლი, ხოლო მის გვერდით, თითქოს პატრონის ხელმოკლეობის დასტურიაო, წიწილივით მობუზული, ისლით გადახურული — სამზადი.

მასპინძელი, სადღაც უკანა ეზოდან გამოჩნდა.

ჩვენი დანახვით გახარებულმა, მუახე ხმით შეუტია ნაგაზს, გაუწყრა და თავაზიანად შეგვიპატიყა შინ.

უარი მოვახსენეთ. ავუხსენით მდგომარეობა.

— ვა-პა-პაი, საყვარელი! — წამოიძახა, როცა გაიგო სათევზაოდ რომ ვიყავით ჩასულნი. სინანულით გადააქნია თავი. — განა მეც არ წამოვიდოდი, მაგრამ სადღაა მოცლა... განა, ასე მართო შეიძლება სტუმრების გაშვება, ტყეში?

— ეგ არაფერი. — უთხრა ლუკიმ.

— იმედი მრჩება, მიმიხვდებით, არ დამძრახავთ, არ მიწყენთ, ა? — ხვეწნით დაუმატა მასპინძელმა და ლუკიანეს შეხედა.

— ჩემო ერასტი, საქმე მულამყამ გამოუღველად ჰქონდა კაცს, ასე არ არი?

— აან? — ჩრდილმა გადაურბინა მასპინძელს.

— ხე-ხე-ხე, აა? — ჩიხვიხვინა ლუკიანემ და მიბოდიშების ნიშნად, შინა-

ურულად ხელზე წაეპოტინა ერასტის. თვალების ბრიალით გახედა მას ლივერმა.

— რაო, არაა მართალი? — იკითხა ლუკიანემ.

— ჰო, ჰო, დამანებე თავი! — მოილუშა ლივერი. — გვეყო ამდენი ლაპარაკი, წინ გზა გვიდევს. თქვენთან ბოდინში, ერასტი ბატონო, აგაფორიანე თუ ალიონზე! — თავაზიანად გაუღღიმა მასპინძელს.

ჩვენი სტუმრობით გახარებული მასპინძლის მორთმეულ „ცეცხლივით“ ჭაჭის არაყს, ნაჩქარევად, თითო ნატები ჩურჩხელა დავაყოლეთ და ყელჩათუთქულნი გავუღდექით გზას. მანქანა ერასტის ეზოში დაეტოვეთ.

ჭიშკრამდე გამოგვღია მასპინძელმა, ცოტა მაინც დაგეცადათ, ქალმა ღომი ლაჭაზე ჩამოკიდა, უკვე ქათამიც დაკლულია, ცხელი საუზმე მიირთვით, ჭიქა მაინც ამაწვეინე ამ უცხო ხალხთანაო, ეხვეწებოდა ლუკიანეს.

თავაზიანი, მაგრამ მტკიცე უარი მოვახსენეთ საუზმეზე. ერთი სული გვქონდა სადმე ტყეში, მდინარის პირას ამოგვეყო თავი.

— მაშინ ის მაინც დამიბარეთ, რა დროს მობრუნდებით და ცოტა სხვა-ნაირად მოვეშადებდი. — თქვა გულდაწყვეტილმა მასპინძელმა.

— ნუ სწუხდებით! — გადაპრით უპასუხა ლივერმა. — საღამოს დაღლილნი ვიქნებით, შინისკენ გავეშურებით, ან შეიძლება აქედან, სულაც ჭურიაში გავიდეთ და ღამე, მონადირეთა სახლში ვგათიოთ.

— აუჰ, ნუ მიზამთ ასეთ საქმეს, არ დამიბიჯოთ ფეხი. პურ-მარილზე!

— არა, მართლა, ჭურიაში გადავალთ. — რაც შეიძლება დამაჭერებლად დადასტურა ლუკიანემ. — ვინ იცის, რა დროს მოგვიწევს მობრუნება. დიდი მადლობა.

ჩქარი ნაბიჯებით ჩავუყვევით ორლობეს. გამოვექეციოთ სტუმართმოყვარე მასპინძელს. კარგა ხანს იდგა ჭიშკართან გულდაწყვეტილი ერასტი.

მალე ბაყაყებით სავსე, ლუკიანეებთან არხს მივადექით და ჩვენი მასპინძლის ეზო-კარიც თვალს მივფარა.

— საიდან იცნობ ერასტის, აბა ერთხელაც გვითხარი! — ლუკიანეს გადახედა ლივერმა. — თქვი აბა, შე... რა იმას, რომ მიმიგავს თავი...

— რას მიმიგავს? — დაინტერესდა ლუკი. — თქვი ბოლომდე, ნუ გეშინია, არ გცემ.

— ტაბლაზე დაგებულ, ორსართულიან ღომს.

— იი?

— როგორ ესაუბრე იმ პატიოსან აღამიანს, როგორი სიტყვა-პასუხი გაახურე?

— რა მოხდაო?

— შენ მაინც ვერ გაიგებ, რომც გითხრა. — ხელი ჩაიქნია ლივერმა.

— მაინც, რომელი, რა ვთქვი ისეთი?

— ალბათ, საქმეს თავი ანებე და თევზისთვის მოიცალეო, არა? — ღიმილით იკითხა მალაქიამ.

— ტყუილი მითქვამს? — გაიკვირვა ლუკი. — დასვენებაც აუცილებელია, მუდამ მუშაობაზე ფიქრი გაგონილა?

— არაა მოსაკლავი? — ლივერი წამით შეჩერდა, ზურგჩანთა გაისწორა და ხალათის სახელოთი მოიწმინდა ოფლი. — ვაი, შენი ცოდვა, შენი!.. შენისთანა კაცს უნდა სცეს პატივი აღამიანმა?

— ჰე, ჰე, აბა ჰქვიანად ლივერიყო, ტყეში ვართ უკვე. — გააფრთხილა ლუკი.

— აბა, კაცო! არ შემჭამო შენმა მზემ! — „შეეხვეწა“ ლივერი.

„ხუმრობა-ხუმრობაში“ კარგა მინძილიც გავლიეთ. მალე რომელიღაც ფართო არხისა თუ მუნჩია და ჭურია წყლების შესართავთან აღმოჩნდით. იქიდან დაბურული ტყე დაიწყო. ეკაღბარდნარში ვიარეთ ერთ ხანს. შემდეგ მდინარის პირას, პატარა, სინათლიანი ადგილი გამოჩნდა. ბიჭების აზრით, აქ კარგი იქნებოდა თევზაობა.

ბებერი, ფულურო თხმელის ძირას დავბანაყდით და მიდამო მოვათვალიერეთ, მიმოვიხედეთ, მდინარეში წყალი მდორედ იღდა, მაგრამ სარკესავით პრიალა და სუფთა იყო. ნაპირთან ბუჩქები ზოგან ობობებს ვერცხლისფერი ძაფებით მოექარგათ.

ღვედეკცა, კატაბარდა და სუროთი ჩაბნელებულ, ჭიობიან ტყეში, საოცრად რეალურად, პირდაპირ „ყურის ძირში“ ყაყანებდა ურიცხვი ბაყაყი და იმდენივეც ჩუმად იყო. ზოგიერთნი ჩვენს გამოჩენაზე ყირა-ყირა ხტებოდნენ ორმოებში, გაჭიმულნი, უსირცხვილოდ, წვრილად აწიტებდნენ უკანალიდან. (ამობენ, ხელზე თუ მოგაწიტა, მეჭექის გაჩენა იცისო).

ირგვლივ, ჭიობის შშორი, ნესტით გაჟღენთილი, გაზიზინებული ხის სოკოების და ხავსის სუნი იღდა.

გადაჩხილ-გადაბუგული, ძველი ჭირკვების ფესვებთან. ტანადი, გულისგასაბარად სწორი, მუხის ნორჩი ხეები ამოჭორჩილიყვნენ.

განაგონი მქონდა, იმ ადგილებში აღრე ჭილოფითაც რომ იჭერდნენ თევზებს. მაშხალის შუქზე დამფრთხალი კეფალი, ორ ნავეს შუა გაშლილ ჭილოფზე მოადენდა თურმე ზღართანს...

ვინ უწყის, ეგებ დასაჭერიცაა ეს ამბავი. ამ რამდენიმე წლის წინ, ფიჩორში, თვითონაც შევსწრებივარ, მონადირეთა სახლში გადასასვლელი ნავის მოლოდინში, უქმად მდგარი მონადირენი, მებალურებს რომ შეეხატონენ: ბადიდან ამომხტარი კეფალებისთვის თოფი გვასროლინეთო.

მეთევზეები მართალია, უხალისოდ, მაგრამ დასთანხმდნენ, — ოღონდ, ჩვენც არ მიგვაყოლოთო ზედ — უპასუხეს.

როცა ბაღე ნაპირთან მოზიდეს, ელვისებრი იწყეს ამოხტომა, კეფალებმა, სატყვრებივით ელავდნენ ჰაერში. გამოცოცხლდნენ თოფიანები და ბათქაბუთქი აუტახეს ვერცხლისფერ ლამაზმანებს.

შეწუხდნენ მეთევზეები: — სადაუ-

რი წესია თევზის ასე უმოწყალოდ ხოცვა, თევზი თუ გაიქცა, მოახერხა და ივარგა. გაუშვი, მისი ბედიც ეგ ყოფილაო...

გაწყყრენ, და მონადირენიც მიხედნენ რალაცას, დარცხვენილნი შებურუნდნენ.

ასეთ ფიჭვებში გავერთე ჩეროში მოკალათებული. უხალისოდ ამოვალაგე ზურგჩანთიდან სათევზაო „აღჭურვილობანი“. საანკესო ჯოხი გავშალე და სათევზაოდ გავემზადე. ჩემი თანამგზავრები უკვე მდინარესთან ფუსფუსებდნენ.

— შუადღისთვის, სადილზე, აქვე შევიყაროთ. — დაადევნა სიტყვა ლივერმა, მიმავალ მალაქიას.

— ოხ, არა. მე არ დამელოდოთ, ჯიმა.

— რატომ?

— ოხ, მე ახლა წავალ და მშვიდობით.

— არ ვისადილოთ, შე კაცო?

— აჰ, მე არა.

— იი? — გაიკვირვა ლივერმა. — სადილზე დაგვიანებული არავინ ვნახო! — მკაცრად გაგვაფრთხილა ყველა.

— კარგი, ჯიმა! — სწრაფად დაეთანხმა მალაქია. ეშმაკურად მოჭურტული თვალების ციმციმით გავგშორდა. მერე შევნიშნეთ, რომ ზურგჩანთაც თან გაიყოლია. არაფერი დატოვა ხის ძირას.

ამინდი მართლა კარგი გამოვიდა. ღრუბლები ნელ-ნელა გაუჩინარდნენ და მხიარულმა მზემ გამოანათა.

თევზი იმდენი არ იყო, რამდენსაც მოველოდით. არ ვიცი, ანკესზე არ მოდიოდა თუ ჩვენ არ ვვარგოდით. სპინინგი კი იმ ეკალბარდიანი, ვიწრო მდინარის ნაპირიდან ველარ ვიხმარეთ.

შუადღისთვის მალაქიას გარდა ყველანი, ისევ იმ ბებერი თხმელის ჩეროში ვიყავით. მაინცდამაინც შორს არავინ წავსულვართ.

მალაქია არ ჩანდა, სადმე გაფაჩუნებულიც არ დაგვილანდაეს. ჩვენ უკვე მოგვშვიდა, მაგრამ თავს ვიკავებ-

დით. ვუძახეთ მალაქიას, ვუსტვინეთ კარგა ხანს.

— ხომ არ ეწყინა რამე, იმ კაცს? — იკითხა ლივერმა.

— რა უნდა სწყენოდა, ალბათ თევზაობს ადამიანი. ქვემოთ, მდინარის გაყოლებით, იცი, რა ადგილებია?

— მერე? ჩვენ რატომ არა ვართ იქ?

— ჩი-იიავიცი! — ჩაიცინა და ზანტად გადასწვდა ზურგჩანთას ლუკი. სანოვაგის ამოლაგება დაიწყო.

ცოტა უგემურად ვისადილეთ. პატარა გაფაჩუნებაზეც ყურებს ვცქვერდით ხოლმე, მალაქია ხომ არ გამოჩნდაო.

სადილობის შემდეგ, ისევ მდინარეს მიუბრუნდით, მაგრამ თევზაობას გული ვეღარ დავუღვთ, თუმცა ზოგჯერ, რომელიმე პატარა, წიბინა ქეჩოს დაჭერით „აღფრთოვანებულნი“ მხიარულად ვახარებდით ერთმანეთს „ოსტატობას“.

ლივერის სულაც, სადღაც განაგონი ბილწისტიყვიანა სიმღერა აეკვიატა. ბოლოს თევზაობაზე საერთოდ ავიყარეთ გული და სიგარეტები გავაბოლეთ.

შებინდებისას საანკესო ჯოხები დავკეცეთ, ზურგჩანთები წესრიგში მოვიყვანეთ. მალაქიას გაუჩინარებით უკვე საკმაოდ აფორიაქებულნი, ვიდრე იმ ხის ძირას და მიდამოს ვათვალისწინებდით. ვერ გადაგვეწყვიტა დავლოდებოდით, თუ მდინარის ნაპირ-ნაპირ ჩავყოლოდით და სადმე ტყეში გვეძებნა.

ბევრი ვუძახეთ მალაქიას, ვიყვირეთ, ვუსტვინეთ. ლუკიანე ამ საქმის ისეთი ოსტატი გამოდგა, ისე უსტვინდა, რომ კარგ ამინდში, შეიძლება, ვალმა, თურქსაც გავგონა. (დამიჭერეთ, ტყუილს ვამბობ).

— მიდი, მიდი, მიაწევი! — აქეზებდა ლიმპორეული ლივერი.

— დავიღალე ბაბა! — მოილუშა ბოლოს ლუკიანე. ბრაზმორეული ჩამოჭდა ჭირკვზე.

— კაცო, მიდი, დაუსტვინე, როდემდე ვიყოთ აქა?

— თავი დამანებე-მეთქი! — თვალე-

ბი დააბრიალა ლუკიმ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ წამოხტა და კოტბ თითქმის, ისე ხმადალა, გამწარებებით ჩაშხვტა, რომ შემეშინდა, ფილტვები არ დაიზიანოს-მეთქი, ვიფიქრე.

— აქ ვარ მე! — ტყაშმაფსავით მოულოდნელად გამოვეყო სიბნელეს მალაქია. — რა იყო, ცუდი ხომ არაფერი, ჯიმა? — იკითხა „გულუბრყვილოდ“.

გაოცებულნი მივაჩერდით ჩვენს თანამგზავრს. ულვაშ-გაციცხვინებულო, კატასავით მსუბუქად იღგა ფეხებზე და ეშმაკურად წყურავდა თვალებს.

— აქ თუ იყავი, ვერ ამოიღე ხმა, შე კაცო? — ლივერმა უსაყვედურა. — დაღამდა, შეგვეშინდა, ძმაო!

— რამ შეგაშინათ, ჯიმა?

— ტურების შეგვეშინდა, „ჯიმა“ — გამოაჭავრა ლივერმა.

— დიდუუ, სად იყო, ტურა?

ბრაზმორეული ლივერი, პირმოკუმული მიაჩერდა.

— ხო, ხო, რა მაგრად უსტვინდი? — გაეცინა მალაქიას. — ყურების ბანჯი გამისკდა კინალამ, ჯიმა.

— ეს აი, ბატონი ლუკიანე გახლავთ! — მხიარულად გაეცინა ლივერს. — დაიხეთქა ფილტვები კაცმა.

— ოხ, მართლა? — ლუკიანეს მიუბრუნდა „შეწუხებული“ მალაქია.

— დაიჭირე რამე? — მშვიდად ჰკითხა ლუკიმ. გამხიარულებულ ლივერს ანიშნა, დაწყნარებულიყო.

— თევზი, ცოტა... რალაც ორიოდ ცალი. — უხალისოდ გახედა ჩანთას მალაქიამ.

— ფი-იფ? — ნიშნისმოგებით ჩაიცინა ლივერმა.

— ეეჰ, სადაა თევზი, — თავი იმართლა ჩვენმა თანამგზავრმა. — ბრაკონიერებმა ამოწვეს დინამიტით აქა-ურობა, შეშინებული თევზიც ზღვაში გავიდა.

— გახსენი ერთი ეგ შენი „პრავი-ზიანკა“ — უნდოდ შეათვალისწინა ლივერმა მისი ჩანთა.

— ეე, ეგერაა. ნახე თუ გინდა.

როცა ლივერმა ჩანთა გახსნა, პირი დავაღეთ. ჩანთაში რამდენიმე, სულ ცოტა თითო კილოიანი მინც, ქარიყ-ლაპია და ქანარი იღო. დანარჩენ, წვრილმანზე არაფერს ვამბობ.

— კი მარა, სად, შე შობეღძაღლო! — მოულოდნელად წამოიძახა ლივერმა.

მალაქიას სახე შეეცვალა, მაგრამ არაფერი უთქვამს. თითქოს არც გაეგონოს ის სიტყვები.

— შე დალოცვილო, თქვი, როგორ დაიჭირე? — გამოასწორა ნათქვამი ლივერმა. ღიმილით ახედა მალაქიას. შემდეგ თევზებს დაუწყო თვალიერება. შეეტყო, უხერხულ მდგომარეობაში რომ ჩავარდა.

— აქვე ვიყავი, თქვენს გვერდით. — ჩილაპარაკა მალაქიამ.

— ჩვენს გვერდით?

— დიახ.

— როგორ, „დიახ!“ — ცეცხლი მოეკიდა ლივერს.

— აჰ, აჰ, როგორ სიმღერებს ღიღინებდი, აა? — ღიმილით გადააქნია თავი მალაქიამ.

— რომელ სიმღერებს, კაცო? — უარესად გაღიზიანდა ლივერი. — თქვი, მითხარი აბა, რა გაიგონე ისეთი!

— ოხ, მაგას ვერ გავიმეორებ ქირიმე, — გაეცინა მალაქიას. — ბოღიში მარა, ძალიან ცუდი, უწმაწური სიტყვები მესმოდა, ჯიმა!

— ეე, ახლა შემეშვით, თავი დამანებეთ! — გვერდზე მიაბრუნა სახე ლივერმა. ხელმეორედ ჩავარდა უხერხულ მდგომარეობაში. შემდეგ ზურგჩანთაში მოაფათურა ხელი და სიგარეტი ამოიღო.

— ილიღინე ბიძია, — დასცინა ლუკიანემ. — ილიღინე რა გენაღვლება, თუ საღიღინებლად გაქვს საქმე, რა ჯობია!

— თქვი, მართლა ანკესით დაიჭირე? — ლივერი ისევ მალაქიას მიუბრუნდა. — დაიფიცე, მართლა ამ ბამბუკის ჯობით?

— დის სულს გეფიცებოთ, სხვა ჯოხს ხელს არ ვკიდებ, მასმას [ვარ] მისხვეული.

— რამე „ფხვნილიც“ ხომ არ ჩავიყრილი?

— კარგი რა, თუ ძმა ხარ! — ეწყინა მალაქიას.

— აი, ხედაავ? — ნიშნისმოგებით გადახედა ლივერს ლუკიმ. — ის შენი შვეიცარული და იაპონური ჯოხები... — ისეთი სალანძღავი სიტყვები მიაცოლა უცხოური ჯოხების მისამართით, რომ მისი განმეორება, მალაქიასი არ იყოს, არც მე შემიძლია.

— შვეიცარული და იაპონური ჯოხები რა შუაშია? — ხმაურით შეისუნთქა ჰაერი ლივერმა და ხელი ჩაიქნია. შემდეგ თვალი ისევ „პრავეზიანსკისკენ“ გაქცა. — გოჭებივით არ ჩახუტებიან ერთმანეთს? — ჩილაპარაკა ღიმილოვრულმა. ერთი თევზი ამოიღო, აწონ-დაწონა, „მიესიყვარულა“ — ქირიმე შენი!

— თევზს მყუდროება უყვარს, — თქვა მალაქიამ. — ხმაური არ უყვარს, ეშმაკია თევზი... თქვენ კი ხმაურობდით, სიგარეტს აბოლებდით, თავზე ადექით და ისიც დაფრთხი...

— აბა, ესეც მე ვარ? — გაეხარდა ლუკიანეს.

უხალისოდ ჩაიქნია ხელი ლივერმა.

— არ წავიდეთ? — იკითხა. — დაბნელდა, გზას ვაგნება უნდა. — დასძინა და ზურგჩანთა მხარზე გადაიკიდა.

ჩვეც ზურგჩანთებს დავსწვდით, უკვე მართლა ჩამოწოლილიყო სიბნელე. მალაქია ადგილზე შეიშმუშნა, რატომღაც ფეხი არ მოიცივალა.

— ეს თევზი წაიღეთ, ძმებო, — თქვა და მორიდებით გვანიშნა ჩანთაზე.

— შენ არ მოდიხარ? — ირონიულად ჩაიციხა ლივერმა.

— ახ, მე არა, ჯიმა. — ისე უპასუხა მალაქიამ, თითქოს ეს საკითხი დიდი ხნის უკან გადაგვეწყვიტოს ყველას.

— როგორ?

— დიდი მადლობა პატივისცემისათვის... თუ არ გეწყინებათ. — გაიმეორა და ტალახიანი ჩექმები შეათვალიერა.

— რაო, კაცო-ო? — თვალები გადმოკარკლა ლივერმა. — საღ? ამ ტყეში რჩები, აღამიანო?

მართლა წარმოუდგენელი იყო, ჭაობიანი და კოლოებით სავსე ტყეში დარჩენა, ყოველგვარი კარვის გარეშე და ისიც ღამით.

— ჰო, ჯიმა. დავჩრები. — გაუღიმა მალაქიამ. — აქედან ორიოდ ნაბიჯზე, მწყემსების სადგომია, ღამეს იქ გავათევ, მოგვიანებით ანკესებსაც ჩაყერი მდინარეში. დღამდე, იქნებ, ღლავის კვიტიც ამოჰყვეს...

— „ლო-იამის კვიტი“ არა, გველუშაპი! — მხიარულად გაეცინა ლივერს.

— შე კაცო, ამდენი თუ იციდი, აქამდე საღ იყავი? — გაიბადრა ლუკიანენლა გადმოიღო მხრიდან ზურგჩანთა.

— თუ ასეა, ჩვენც აქ არა ვართ?

— ნანა! — სიხარულით წამოიძახა მალაქიამ. — აი, ჯიმა-აჯამი, ამას რა აჯობებს? თქვენ რა გითხარით, მომკლა დარღმა მთელი ღღე. უჰ, აგაშენათ გამჩენმა.

— როგორ? — ლუკიანეს მიაჩერდა ლივერი. — ჩვენც ვრჩებით?

— მწყემსებს ძალიან გაეხარდებათ, — თქვა ჩვენმა თანამგზავრმა. — ელარჯს გააკეთებენ, არაკებსაც ვათქმევიანებ უამრავს...

— არაკებს? — ღიმილით გახედა ლივერმა. — რაო, ზღაპრებსო?

— უჰ, ისიც ბევრი იციან, ქვეყნისა, შე კაცო... უცხო ხალხთან შეხვედრასაც დანატრებულნი არიან.

— არაყიც აგერა! — ზურგჩანთას მიუცაცუნა ხელი ლუკიანემ. — შენს გამო, წვეთიც არ დაგვიღვია.

— ახ, ახ, რატომ ქენით ასე? — შეწუხდა მალაქია. ეშმაკურად მოჭუტა თვალები — ორი ბოთლი, მსხლის არაყი მეცა მაქვს ჩანთაში. მწყემსებს წამოვუღე.

— აჰ, ნამეტანი მოგვივა! — ლივე-

რიც ვამხიარულდა, მაგრამ შინც ეტყობოდა, რომ ტყეში დარჩენის ამბავი ემჭვებოდა.

— ცოტ-ცოტა დავლიოთ, შე კაცო! — დაამშვიდა მალაქიამ. — ჩვენი ნება არაა?.. მე პირადად, ორი ჭიქა ყელამდე მყოფნის. მაგალითზე ვამბობ, თქვენ რამდენიც გინდათ დალიეთ...

— შენ გაიხარე, ჯიმა! — მოუწონა ლივერმა.

მწყემსების სადგომამდე, მალაქიას „ორი ნაბიჯი“ კარგა დიდი გზა გამოდგა. საკმაო ხანს ვიარეთ ტყეში. ისეთი სიბნელე იწვა ირგვლივ, რომ ძლივს მივიკვლევდით გზას.

მალაქია მიგვიძლოდა. ოსტატურად უვლიდა გვერდს ჭაობიან ადგილებს, ეკალ-ბარდებს. ჭურიაში ზოგან ისეთი ადგილებია, იმისთანა კონწყყო-ჭაობიანი, კამჩისაც რომ ჩაითრევს. მდინარეში წყალი მძიმეა საცურაოდ და, ვინ იცის, კიდევ რა...

ვიწრო, თითქმის უხილავ ბილიკებზე მივდიოდით. შემდეგ, საღლაც მოშორებით, ჩვენდა გასაოცრად თითქოს გიტარის ხმა გავიგონეთ. მერე კოცონმაც იელვა და სიმღერაც შემოგვეგონა: «Я долго танго любил в булгарии играл в этой ночи нет место печали...»

ხმადებლა, სასიამოვნო ბანით მღეროდა ვიღაც ამ ძველ სიმღერას.

ნაბიჯს მოვუჩქარეთ.

მაღე ძაძვებით დაბურულ მდინარის პირას ავიზვიზებული კოცონი გამოჩნდა.

კოცონთან სამნი ისხდნენ. ირგვლივ, ნაკვერჩხლებში ჩაყრილი, შემწვარი კარტოფილისა და თევზის სუნი ფორი-აქობდა.

წყნარი, სათნო პირისახის თეთრწყვერა მოხუცი, მშვიდად მოგვესალმა. დინჯად გააბა საუბარი მალაქიასთან. დანარჩენებმაც სალამზე ისეთივე თავზიანი საღმით გვიპასუხეს და კოცონთან მიგვიწვიეს.

მალაქიამ და მოხუცმა თევზაობის საქმეზე პროფესიონალური, პირდაპირ „მეტნიერული“ ცოდნით ისაუბრეს.



მწარე სინანული გამოთქევს „ციანბ-  
ლაითა“ და დინამიტით „მოთევზავე“  
ტიპთა მომრავლების გამოც. ისაუბრეს,  
თევზჭერაზე წყლის დინებისა თუ ატ-  
მოსფერული წნევის გავლენაზე, ან-  
კესზე ჩამოსაცემელი ჰეების ხარისხზე,  
მათ მრავალსახეობაზე.

ჩვენ ნელ-ნელა გავაგრძელებთ გზა.

როცა მალაქია წამოგვეწია, გვიტხ-  
რა: ბერიკაცი, ყულეველი „სტაროვე-  
რია“, ფილიმონი ჰქვია სახელადო. იმ  
ორიდან ერთი, შვილიშვილი ყოფილი-  
ყო მისი — გიტარიანი კი მათი მოს-  
კოველი ნათესავი. მოხუცი — მეთევ-  
ზეაო მაგარი. ახლაც ოცი-ოცდაათი  
ანეკის მაინც ექნება ჩაყრილი მდინა-  
რეში, ღამეს „თეთრად გატეხავს“, მა-  
გრამ დილით კარგი თევზის გარეშე არ  
მიბრუნდებაო ყულევეში, — დასძინა  
ღიმვორეულმა.

გოზგოზებდა ჰტორის ტყეში კოცონი.  
შიშინებდნენ ნაკვერჩხლებქვეშ ჩაყრი-  
ლი კარტოფილები და, ცოტა გული  
დამწყდასავით, გიტარიან მეთევზეებ-  
თან რომ არ ვიყავი.

კარგა ხანს ვიარეთ წჭურუმ ტყეში.  
ჯარჯვალი გვიან, ოდნავ წაგრძელე-  
ბულ, პატარა მინდორზე ამოიქარგა.  
შემდეგ ისლით გადახურული, გრძე-  
ლი, გადაფერდებული ბოსელიც გამო-  
ჩნდა.

— ჰეი, მენძელი! — მახორბელივით  
გასძახა ჯარჯვალს მალაქიამ.

სადღაც ბოსელსა და ჯარჯვალს უკან  
დამფრთხალი შაშვი მჭახე ჰახ-ჰახით  
მიაწყდა სხვა მხარეს.

— აუჰ, კაცის ჰუკანება არაა! — გუ-  
ლი დაწყდა ლივერს.

— ვა-ავა. — თქვა ლუკიმ.

— ალბათ, გაღმა სადგომში თუ გა-  
დასულან. — უხალისოდ მიმოიხედა მა-  
ლაქიამ.

— რა ვქნათ?

— არა უშავს, გასაღები, სადმე აქვე  
ექნებათ გადამაღული. — ჩაილაპარა-  
კა ჩვენმა თანამგზავრმა.

ჯარჯვალში სიჩუმე იდგა. კარს ირ-  
გვლივ არემარე მოეჩხრიკეთ. ლაფარო-

ში ჩახერგილი ჯირკვები, დავითვალე-  
ერეთ, სად არ შევიჭყიტება. მამგრამ  
სულ ტყუილა, გასაღები, არ ჩანდა.

ზღაპარივით მომაჯადოებელი, მიმ-  
ზიდველი, მაგრამ ზღაპარივითვე არა-  
რეალური და მიუწვდომელი იდგა  
ჩვენთვის პატარა ჯარჯვალი.

მალაქიამ მხრები აიჩინა. აწი, მეც  
აღარ ვიცი რა ვიღონო — თქვა, მო-  
წყენილმა.

ოთხკუთხედად თლილი მორებისგან  
ნაგები ჯარჯვლის სახურავებიც, წლე-  
ბის მანძილზე კვამლ-ჰვარტლით გაშა-  
ვებულ „დაცემენტებული“ ისლის სქე-  
ლი კონები ეფინა. ფიქრიც ზედმეტი  
იყო, სახურავიდან ჩასვლაზე. თითქოს  
აულებელი ციხე-სიმაგრე აღმართული-  
ყო ჩვენს წინ. ერთი თვალის შევლე-  
ბით შეუხედავი, მაგრამ ტაძარივით  
უბიწო და დიდებული.

— კაცო, გავალოთ კარი როგორმე,  
ა? — აწრიალდა ლუკიანე. — გავა-  
ლოთ, მაგრამ ისე, რომ არაფერი გავა-  
ფუჭოთ.

— იმ, ჰირიმე შენი! — ლივერს გა-  
ეცინა. — ამ ჯარჯვალს, გულითაც რომ  
ვინდოდეს ვერაფერს დააკლებ. ნახე?  
რამსისქე ფიცრებითაა შეკრული კარი?

— ბოქლომსაც შეხედე! — ხელი  
ჩამოუსვა ლუკიმ ბოქლომს.

ტყეში, ან სადმე მინდორში ძილზე  
ფიქრიც ზედმეტი გახლდათ. ირგვლივ  
მხოლოდ ჰობიანი, ეკალ-ბარდით და-  
ხუნძული ტყე იყო.

— წამო კოცონთან მივბრუნდეთ,  
ღამე იქ გავათიოთ! — შემოგვთავაზა  
ლუკიანემ.

— ანკესბსაც ჩავერით მდინარეში.

— არა, აქაც გამოვნახავთ რაიმეს.

— ბოსელში დავიძინოთ?

— ბოსელში რწყილი შეგვჭამს.

— მაშ რას უდგახართ, გავბრუნ-  
დეთ... ახლა უკვე ერასტის კერიასთან  
ვიქნებოდი ბალატურად წამოჭიმული.

— ყველგან იგივე აღმოგვხედა ლივერმა.

— მეშინია სხვანაირი რამე არ გაი-  
ფიქროთ თვარა, კარის გაღებას რა უნ-

და! — თქვა მალაქიამ. — კარი, კარია და სხვა არაფერი.

— რა უნდა ვიფიქროთ, შე კაცო! — წამოიძახა ლივერმა. — მიდი, მიაწევი თუ რამე გესმის მაგ საქმის.

— მაინც, როგორ გააღებთ? — დაინტერესდა ლუკიანე.

— კაცო, შეუჩხიკინებს ბოქლომს რამეს, არა?

— მიუხერხულემა რაცხა... — მალაქიამ ლიმილით გადმოგვხედა. — იქნებ თქვენ მოახერხოთ რამე, ა?

— მე რომ შემძლებოდა გალოდინებდით? — გაბრაზდა ლივერი. — კაცო, მიდი, მიაწევი!

— შენ გაჩუმდი, ბიჭო! — შეუბღვირა ლუკიმ.

— რა მოხდა, ვიპარავთ რამეს?

— დიდუ, დიდუ, რაღა ვქნა? — გაეცინა მალაქიას.

— ძმაო, გააღე!

— სხვა საშველი თუ არაა, ვსინჯავ, ეგებ მართლა გამოვიდეს რამე.

მალაქიამ კარზემოთ, სადღაც სახურავსა და მორებშუა მოაფათურა ხელი. ცოტა საეჭვო თვითდაჭერებით იპოვა იქ განხერილი მავთულის ნაჭერი. ჯერ შეათვალიერა, მოსინჯა, შემდეგ დაგრიხა და ბოქლომს დაუწყო ჩხიკინი.

მალე ჯარგვლის კარი ფართოდ გაიღო.

— იი, იია? — ლივერს თვალები გაუფართოვდა.

ლუკიანემ ცალკუბად ჩაიციხა.

— რამე ცუდი არ გაივლოთ გუნებაში, — თქვა ხეწნით მალაქიამ. — დედას გაფიცებთ.

— არა ძმაო, არა.

— მართლა ვამბობ...

— არა-მეთქი, ვაა? — მხარზე ხელი მიუტყაპუნა ლივერმა.

ლუკიმ ცხელი თვალებით გახედა ამხანაგს.

ჩაბნელებულ ჯარგვალში შევბიჯეთ. ვილაკამ, რაღაცას წამოჰკრა ფეხი, მაგრამ ჰრაქს მიაგნო. თრთოლვითა და ფარფალით გაანათა მისმა შუქმა იქაურობა.

კერიის ვალმა ფართო, რამდენიმე კაცი რომ დაეტეოდა ისეთი ტანტან იღვება. ზედ აქა-იქ გაფხეკილი, ხარის-ტყავები ეფინა. ერთგან კედელზე, ძველი, ზოგან გახეული ნაბღის გვერდით, გრძელტარიანი, ვოდორა ჩონგური ეკიდა.

საკუჭნაოს თაროებზე ხისა და თიხის ჯამ-ჭურჭელი ელაგა. კედელზე — კირზა და ჩოგანი. კუთხეში, მატყლის საჩეჩი — ოფეთაშე იღვა. შემდეგ: დერგი — ყველისთვის. ნიგა — რძისთვის. ბუყუნი — ფქვილისთვის...

კერიის ზემოთ, ოწწეზე — შებოლილი შაშხის ნაჭრები, ნახევარმთვარა კუბატები, სქელ-სქელი, ბარაქიანი, კამეჩის ყველი და უფრო ზემოთ, სადღაც ისლის სახურავთან, მთელი შეეკვრა, ჯამფეხიის გაშავებული მტევნებიც შევნიშნე. ლაჭის თავთან, გადაზეულილი ყველისგან გამოყვანილ-დაწნული მთარახები, გრძელკისერა მამლები, ქალის ნაწნავები და სხვა, მრავალნაირი, მწყემსების ნახელავი სათამაშოები ეკიდა.

— ჭირიმე თქვენი! მიეისყვარულა ჯარგვალს ლივერი.

— აგაშენათ გამჩენმა. — დასძინა ლუკიმ.

— როგორ შეიძლება ამ ჯარგვლის უპატრონოდ მიტოვება?

— ვინ გითხრათ უპატრონოაო, — გაიკვირვა მალაქიამ. — მგლებივით ბიჭები ჰყავს პატრონად.

— მგლებივით კარგია, მაგრამ არ მომწონს, — ლუკიმ ჩაიციხა. — გონებაა მთავარი.

— ჰო, გონიერნიც არიან. — დაუმოწმა მალაქიამ. — ლომი არ მოვხარშოთ? — იკითხა შემდეგ და ლიმილით გახედა ლუკის.

— კარგი კი იქნება, მაგრამ მწყემსები?

— რა, მწყემსები?

— უხერხულია, რას იფიქრებენ...

— აჰ, კარგი ერთი! — წამოიძახა ლივერმა. — რას გაიგებენ?

— ჰე, ჰე, ბიძია! — გააფრთხილა

ლუკიმ. — ამისთანა რამეები არასოდეს გვეყვარებია და არც ახლა გამაგონო. მართალი ეგონება ვინმეს.

— აბა, რა ვქნათ?

— რა ვქნათ და, დილით, კარგ, თავაზიან მადლობის წერილთან ერთად, ცხვირზე თითო თუმანსაც დავეტოვებთ მწყემსებს... ჭაჭის არაყიც ზედ მივაყოლოთ. — ამ სიტყვაზე ცერად გახედა მალაქიას ლუკიმ. — ჭაჭის არა, ბიჭებს ალბათ, „ქალაქური“ უფრო მოეწონებათ. — დასძინა ღიმილურულმა.

— ხო, ხო, აი კაცური კაცი. — „აღფრთხიანდა“ ლივერი. — ვენაცვალე, ტყუილა კი არა აბია უროსავით თავი.

— მართალი ბრძანდებით, — მშვიდად დაუმოწმა ლუკიანემ. — თავიც კაცური მამია, აბა როგორ?

ვახშმის სამზადისს შევუდექით. კერია გავასუფთავეთ, ქვაბი გავრეცხეთ, ჭის წყალი შემოვიტანეთ, ცეცხლი დავანთეთ გიზგიზა და, აციმციმდნენ კედლებზე ბავშვობიდანვე ნაცნობი ლანდები...

სადღაც თვალუწვდენელ, ხრიოკ უდაბნოში, ცხენებზე ამხედრებული, ხმალომწვდილი, ჩოხიანი მხედრები დავლანდენ წამით... ყოყინით მიერეკებოდნენ თხაწვერა ჩაღმიანებს...

შემდეგ დადარდინებული, ნაოჭებით პირისახე დაღარული, ულვაშა ბერიკაცი გამოჩნდა. მოწყენილი იჭდა კერასთან და ნაჯერჩხლებისთვის გაეშტერებინა დაღლილი, წყლიანი თვალები, უხმოდ ეწეოდა ყალიონს...

ვიწექი ტახტზე გაფენილ ტყავებზე და ზემოდან ისლით გადახურული, ქვარტლიანი, მაგრამ ჩემთვის ფასდაუდებელი, სხვაზე გაუცვლელი სხენი გადმომტკეროდა. ფასდაუდებელი, აბლობელი და საიმედო.

ლივერმა ღერღილი ერთხელაც გარეცხა, გაასუფთავა. მუგუზლები მირეჭგვ-მორეჭგვა და ქვაბი ლაჭაზე ჩამოკიდა.

— ღომს, მე გავაკეთებ, — ლუკია-

ნეს გადახედა, — შენს ჩაქურგლებულს არავინ შექამს უთხრა და თავისი ნამუშევრით კმაყოფილი, წელში გაიმართა, მიიხედ-მოიხედა. — თუმცა არასოდეს მინახავს, მაგრამ შემირცხვინია ამ ჯარგვალთან, „უოლოდორფ ასტორიის“ ლუქსი. — დასძინა მოლუშულმა.

— ესეც მართალი, — დაუმოწმა ლუკიმ. — ენა რომ არა გვქონდეს, ყვავი წაგვიღებდა...

— აბა, კაცო?

ერთხანს. სიტყმე ჩამოწვა.

— ვისაც სურვილი აქვს, შემიძლია ბანქო ვეთამაშო. — ხელები მოიფშვინიტა ლივერმა და ზურგჩანთიდან ბანქო ამოიღო. — ვითამაშოთ, ჭიმა? — მალაქიას გადახედა.

— სიამოვნებით, მაგრამ თამაში რომ არ ვიცი?

— სულ არ იცი?

— არ ვიცი.

— სულ, სულ, შე კაცო?

— ჰო, ჭიმა.

— არც ფურთი?

— ნ-წწ! — თქვა მალაქიამ.

— იი? — გაოცდა ლივერი. — აბა, მოიწი ერთი, რალაც გაჩვენო.

მალაქია ნელა წამოდგა. გვერდით მიუჯდა და თამბაქო გააბოლა. როგორც მომეჩვენა, უგემურად.

— აიღე ერთი ფურცელი!

მალაქიამ აიღო.

— დამახსოვრე?

— დიახ...

— აი, აგერ ჩადევი, ხომ მიინიშნე? — კი, პაპა იყო, ჭიმა.

— ჯერ ნუ ამბობ, შე კაცო... ჰა, აიღე, თავიდან დავიწყოთ.

ხელახლა მიინიშნეს ბანქო. ისევ მოურია ქალაღლებს ლივერმა და მიინიშნებული ფურცელი გადმოაგდო.

— რავარია? — ღიმილორულმა იკითხა.

— მაგარი. — მოუწონეს. — ხო, ხო, ასეთი ცირკშიც არ მინახავს, ჭიმა!

— ახლა, ამას შეხედდე! — ისევ, რაღაც „საოცრება“ დაანახა.

— გადასარევი! — თქვა მალაქიამ და ჩვენსკენ გამოიხედა. — ჰო, მართლა ვამბობ, დის სულს გეფიცებით. ეს მართლა მაგარი „ფოჭუნი“ იყო.

მხარეთმცოდნე წამოწოლილი ლუკიანე, უღარდელი, ზანტი გულგრილობით ადევნებდა თვალს, არაფერს ამბობდა.

— ახლა, მოიტა, მეც გაჩვენებთ ერთ რაღაცას. — გაიღიმა მალაქიამ. — მთლად თქვენი გასაბედი არაა, მარა მაინც... — დასძინა ორაზროვნად.

კარგა ხანს ატრიალა ბანქო ხელში. სწრაფად, თითქმის შეუშინევლად მოძრაობდნენ მისი თითები. მტრედის ფრთებივით ტკაცანებდნენ ფურცლები. ნელ-ნელა სინათლე ჩაუდგა თვალებში. შემდეგ სულაც თავშეუკავებელი აზარტი აღებუდა სახეზე. ვინმე, ელექტიანი ბანკირით იჭდა უკვე ტახტზე, პირდაპირ ვინმე, გაფუფული, მდიდარი მბრძანებელივით...

როცა გამოერკვა, მიამიტი, გულუბრყვილო ადამიანის ღიმილით გადმოგვებდა და ბანქოს ფურცლები უკანვე გადააწოდა ლივერს.

— გადამვიწყებია. — თქვა მტკვლად.

— კარგი რა! — ლივერმა არ დაუჭერა. — გვაჩვენე რაც იცი!

— არაა, შენი გასაბედი...

ლივერი აღარ შეეშვა და მალაქიამ უხალისოდ ჩაიქნია ხელი. შემდეგ მართლა, რაღაც საინტერესო „ფოჭუნი“ გვიჩვენა. პირდაპირ ისეთი, რომ ლივერმა შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო თავი.

— შენ თლად კინტო ყოფილხარ, კაცო? — ჰკითხა, თან თვალებს არ ამორებდა მალაქიას.

— კინტო, არა.

— აბა, რატომ თქვი, თამაში არ ვიციო?

— მართლა არ ვიცი. ეს, ვილაც ჩემი ცოდვით სავსემ მასწავლა მატარებელში. ეგ რას მოვა იმასთან, რაც შენ გვაჩვენე?

— კარგი, დაანებე თავი.

— ნანა? ღმერთო მომკალი, მართლა გეწყინა, ჯიმა? — სინანულს დაიწყო და გაუნათა სახე მალაქიას. — ლივერიმ, ჯიმა, აბა აქეთ გამოიხედე... აა, ახლავე ცეცხლს შეუყუთებ ამ ბანქოს ფურცლებს. — კერიისკენ მოიქნია ხელი. — მართლა შევაგდებდი, მარა... ბანქო ჩემი რომ არაა? — უმწყოდ მიმოიხედა ჯარგვალში.

თავშეკავებული სიცილი აუვარდა ლუკიანეს. გორაობა დაიწყო ტახტზე სიცილით გაჰაჭულმა.

— შენ რა მოგვივინა, პაატინი? — ახლა მისკენ შეტრიალდა ლივერი. — ჰო, რა იყო, რა მოხდარო, კაცო, ა?

— ჩემო ლივერიო, მამატიე, მაგრამ მეტი არ შემიძლია! — ლუკიანე ტახტზე წამოჭდა და სიცილის ცრემლებს ამოსაწმენდალად ცხვირსახოცი ამოიღო.

— სად იშოვე ეგ ხანჭურია „პილიტოკი“? — თვალებს არ ამორებდა ღიმილოვანი ლივერი. — კრებდითშინისაა, კაცო?..

— გინდა, გაჩქო?

— არ მჭირდება. მე ჩემი სამყოფი ყველაფერი მაქვს.

— ჭეუა-გონებაც?

— დიახ. ჩემი საკმარისი კი გამაჩნია, ეჭვი არ შეგეპაროს.

— ოო, კარგია, მაგრამ ეგ ცოტაა, ძმაო. საკუთარი თავის საკმარისი, ეგერ, ბოსელში ძროხასაც აქვს. — „მოიწყინა“ ლუკიმ.

შესამჩნევად შეცბა ლივერი. ყვედრებით გახედა ლუკის. შემდეგ შებრუნდა, ტაბლა ეზოში გაიტანა და ჰასთან გარეცხა, გაასუფთავა. უხმოდ შემოიტანა ჯარგვალში. კერიასთან ჩამოლო გასაშრობად.

მალაქიამ შაშხის ნაჭერი და კუპატი გარეცხა.

შაშხი მოვხარშეთ, კუპატი შევწვიეთ. ვაშშობისას არყით შეეკრინებულმა ლუკიანემ ჩონგური შეათვალიერა. შემდეგ, რომელიღაც სევდიანი სიმღერა წამოიწყო.

— ეგერ, ჩონგური, შე კაცო! — „შეახსენა“ ლივერმა.

თურმე ჩონგურზე დაკვრა არავინ ვიცოდით, მოწყენილებმა შევთვალე-რეთ საკრავი.

გვიან, მალაქიამ კარი გამოაღო და ეზოში გაიხედა. მიდამო მთვარის შუქს გაეჩირაღდნებინა.

ეზოში გამოვედით, მოვათვალიერეთ. აჩვრად სულ სხვა, ბევრად მიშნი-დველი ელფერი დაპკრავდა არემარეს. ბოსლის სახურავს თხელი, ტუტასფერი ორთქლი აუდიოდა. წყნელის ღობესთან, სქელი ნისლის ქარავენები ჩაწოლილი-ყო. ჭიდანაც, ოდნავ შესამჩნევი ორთქლი ამოდიოდა, ნელა, ტაატით მიიზღაზნე-ბოდა ზემოთ.

მალაქიამ ლაფაროდან ჭირკი გამოა-ჩნა და ჩამოჭდა. იდაყვებში გაშლი-ლი მკლავები მუხლისთავებზე დაიწყო. თამბაქოს ბოლში გაეხვია, ჩაფიქრე-ბული.

სადღაც მაფშაოები გალობდნენ.

ცოტა ხანში მგალობელთა ხმა მოგ-ვიახლოვდა. შემდეგ ჩემდა გასაოც-რად, სულაც იქვე, სადღაც გვერდით გაისმა. ეტყობა, მსმენელნი თუ შემ-ფასებელნი სჭირდებოდათ — ასე ვი-ფიქრე, რადგან, თითქოს მათაც იგ-რძნეს ჩვენი სიახლოვე და, ალბათ, ამიტომაც მოგვიახლოვდნენ. აღფრთო-ვანებულნი მიეჩერებოდით, ხან ერთსა და ხანაც მეორე მხარეს. ტყუილა ვცდი-ლობდით გაგვეგო, სად, რომელ ხეებ-ზე ისხდნენ ისინი.

გალობდნენ, რიგ-რიგობით. ჭერ ერ-თი იწყებდა, ზედა უწყევდა ხმას. მოკ-რიალებული ცის უსასრულო თაღებზე ფანტასტიკური სილამაზის ჩუქურთ-მებს გადმოკიდებდა და უნაზესი, ვერ-ცხლისფერი ძაფებით ამოპკრავდა მათ. დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ სხვა მხრიდან, უკვე მეორე აძლევდა პასუხს. უფრო სრულხმოვანი, ტკბილი, ფაჭიზი ხმით ცდილობდა მეტოქის და-ჯანას და, ზოგჯერ აღწევდა კიდევ მი-ზანს.

— შენ გენაცვალე, შენა! — ესიყ-ვარულვებოდა იმ მეორეს ლივერი.

— ჩუ, იყუჩე ცოტა ხანი. — აჩუმი-ბდა ლუკი.

— მთვარის ჩიტები არიან. — ჩაილა-პარაკა მალაქიამ.

— ვარდებისა და მთვარის მოციქუ-ლები. — „გაუსწორა“ ლივერმა.

ბოლოს, გალობით დამტკბარნი, თი-თქოს მეშვიდე ციდან დაშვებულნი შე-ვბრუნდით ჭარგვალში.

ჩაფიქრებულნი მალაქია თავჩაღუნუ-ლი ჩამოჭდა ტაბლასთან. შუბლშეკ-რულმა, რატომღაც უგემურად გააბო-ლა თამბაქო.

— მართლა ვერ მიცანი, ჭიმა? — მოულოდნელად, ლუკიანეს თვალი-თვალში გაუყარა.

— კი, მაშინვე. — გაუღიმა ლუკიმ. შემდეგ რატომღაც დაღუმდნენ.

ლივერმა ყურები ცქვიტა. ჭერ ერთს გადახედა, შემდეგ — მეორეს. ბო-ლოს, ჭიქას ხელი უშვა და ლუკიანეს მიაჩერდა.

— თქვენ რა, იცნობდით ერთმანეთს? არავინ უპასუხა.

— კაცო, მითხარით!

— ვუპასუხო-ო? — იკითხა ლუკიმ.

— რა დასამალია? — თქვა მალა-ქიამ.

— ჩვენ დიდი ხანია... როსტოვიდან ვიცნობთ ერთმანეთს, ჩემო ლივერი-კო.

— საიდან?

— მქონდა ერთხელ ასეთი „ბედნიე-რება“... მილიციაში. — მოიღუშა ლუ-კიანე. — მალაქია მაშინ მილიციის უფროსი იყო.

— როსტოვში რა გინდოდა?

— დედოქომ გამგზავნა, საკერავი მა-ნქანის შესაძენად.

— კაცო, მითხარი-მეთქი!

— ჰო, ასეა. — მალაქიამ, ხელი ღი-მილით ჩაიქნია. — იქ კი, მე დავხვ-დი...

— თევზი რაღა იქნა? — სხვაზე გა-დაუტანა ლუკიმ.

— ლაფაროში ჰკიდია.

— ლაფაროში მთვარის შუქი გააფუ-ჭებს.

— არა, ჩანთაში ძეგს, ჭინჭრის ფოთლებშია გახვეული.

— ვნახო ერთი, შევათვალეირო...

— მალაქია წამოდგა. სანამ ჭარგვლიდან გავიდოდა, ლივერს ხელი მოუთათუნა.

— რატომ მოიწყინე, ჯიმა?

— არა, არაფერი ბატონო.

— ეეჰ, ნეტაი შენა! — დალილიად გაუღიმა და კარი გამოაღო. ლივერმა თვალეზი გააყოლა ეზოში გასულს. შემდეგ ლუკიანეს მიუბრუნდა.

— გაკლია, კაცო? — ჰკითხა ხმადაბლა.

— რატომ დაგებადა ასეთი აზრი, ყმაწვილო?

— როგორ, რატომ დაგვიმალე?

— მეგონა ვერ მიცნო... შენც არ ვიკითხავს, გამიგე?

— კაცო, რეები მალაპარაკე ამ კაცთან, რა ამბავში ვიყავი, ველარ დაინახე?

— მერე? რატომ ილაპარაკე?

— ძმაო, სათევზაოდ ვარ წამოსული, ჩემს გემოზე... რატომ ჩამაგდე უხერხულ მდგომარეობაში?

— ჰკვიანი ადამიანი ყველგან და ყოველთვის თავდაჭერილია. არც უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს თავს. შენ ხომ ჰკვიანი ხარ?

— ახლა არ ვიცი, ეჭვი შეშეპარა.

— წინდახედულიც ხომ ხარ?

— არ ვიცი-მეთქი!

სიჩუმე ჩამოწვა.

ლივერი თვალეზს არ აშორებდა ლუკის.

— ჰკვიანი... შენ როდის აქეთ გამიხდი ასეთი ჰკუის კოლოფი?

— ყოველთვის ასეთი ვიყავი. — ლუკიანეს გაეცინა.

— ჰო?

— დია-ლ!

— მაშ, რატომ მოხვდი მილიციაში, რალა გინდოდა იქ, შე ჰკუის კოლოფო, შენა, ა?

— იმ დროს, „ბოხოხის ქუდი მებურა“, შევცდი, ვილაცხვებოდა ჰკუის ავკყვი... აი, კითხე მალაქიას თუ არ გჯერა. — შუბლი შეეკრა ლუკის. — ის დიდი ხნის ამბავია, უკვე წარსულს ჩაბარდა.

ვიწეჩი ტახტზე და ღიმილოვანი ვუგდებდი ყურს ჩემს თანამგზავრებს. რატომღაც, ისევე ჩვენს მოედანს დავუბრუნდი ფიქრებით. მაშინ ხომ მართლა ათასი ჭურის ადამიანი იყრიდა იქ თავს. არც ისეთი იშვიათობა გახლდათ, ქეიფსა და უსაქმურობას გადაყოლილი საი-საი ტიპებიც. ზოგჯერ, ბოხოხის-ქუდიანი „ბიძები“ დიდებული დროსტარების დასტურად, ჯონზე წამოცმულ ჰეიშტარ-ხაჭაპურს თუ კბილებში წითელ ბოლოკ-გაჩრილ გოჭისთავეებს დაატარებდნენ და „აზიაკები“ დარდიმანდი ჰრიჭინ-ჰრიჭინით, უდარდელად, თარი-თარალეს მიიმღეროდნენ ხოლმე ქუჩებში.

მიხაროდა, ყველაფერი ეს უკვე განვლილი რომ იყო. წარსულს ჩაბარდა ბოხოხის ქუდები და „აზიაკები“, რომ ახლა, ფართო, ბრდღვიალა შეშებიანი ავტობუსებით და ნაირ-ნაირ, მხიარულ ფერზე შეღებილი მსუბუქი მანქანებით დაჰქროდნენ მოედანზე ჩვენი-ქალაქის მკვიდრნი.

## წვეთები და წამებები

### I

წვეთიც რომ აკლდეს, ზღვა — ზღვა არ არის,  
გადმოდის, წვეთიც თუ ზედმეტია.  
ერთი წვეთია თურმე მთავარი,  
ტალღები — მერე გაიზრდებიან.  
რაც ზოგჯერ გვშველის, ნამცეცია და —  
ნამცეციც ყოფნით, როცა ცდებიან.  
ფიქრები — თოვლის, წუთები — დროის,  
ლექები — დარდის ნამცეცებია.

### II

ორბირია შემოდგომაც და გაზაფხულიც.  
ქორწილებს შემოდგომობით იხდიან ხოლმე  
და რამდენიც მიზრძანდება ბედნიერებით გაოგნებული,  
იმდენივე — ტკივილისგან ერთ ადგილას გაქვავებულა —  
ძეობებს გაზაფხულობით იხდიან ხოლმე  
და რამდენი ბიჭის მამაც ვარბის ბედნიერებით გაოგნებული,  
იმდენივე გოგოს მამა ერთ ადგილას გაჩერებულა.  
ეგ — არაფერი!  
ისევე მოვა შემოდგომა და... გაზაფხულიც.

### III

თუ რამე ძალიან, ძალიან მინდოდა,  
თქვენს სიყვარულზე ჩავუთქვამდი,  
აბა, თუ ვუყვარვარ-მეთქი,  
და მაშინვე შეუძლებელი მისრულდებოდა.  
ერთხელაც — აღარ ამისრულდა.  
ნუთუ — გათავდა?

### IV

ო, გოგონებო!  
სხვა ოქროსია ჯერ შეუქრელი თმის კულულები.  
რაც არ უნდა გაგიჭირდეთ,  
ლომბარდში არ მიიტანოთ,  
მაგ ოქროსათვის იქ არაფერს გადაგიხდიან.



V

ყველაზე დიდი მსახიობი  
 მხოლოდ იმისთვის იზრდება, რომ  
 ორმოცი წლისამ თხუთმეტი წლის გოგოს როლი ითამაშოს.  
 ძნელი გზაა თხუთმეტიდან ორმოცამდე  
 და ორმოციდან — თხუთმეტამდე...  
 ნეტავ, რომელი უფრო ძნელია?

VI

ზღვაზე ვინც ცხოვრობს, ზღვაზე წლობით ვერ გამოდის  
 და ჩამოსულებს უკვირთ, როგორ არ დადიხართო...  
 ქალაქში ვინც ცხოვრობს, ქალაქში წლობით ვერ გამოდის  
 და სოფლიდან ჩამოსულებს უკვირთ, რატომ არ დადიხართო.  
 და ნელ-ნელა, მოუცლელობით კარგავენ ზღვას —  
 ზღვისპირელები,  
 ხოლო ქალაქს — ქალაქელები.

VII

გახსოვს, სულ დანასობიას ვთამაშობდით.  
 შენ უფრო ხელმარჯვე იყავი  
 და ჩემი სახლის კარს მუდამ აუცდენლად ხვდებოდა დანა.  
 შენ უფრო ძლიერი იყავი  
 და ჩემი სახლის კარს დღესაც არ მორჩენია ნაჭრილობევი.

VIII

მეფეებს დიდი სიკოცხლე ჰქონდათ,  
 მაგრამ სიკვდილიც დიდი ერგოთ.  
 თუ ღმერთს მართლა ისე უყვარდა ვახტანგ მეფე,  
 როგორც ამბობენ,  
 მაშ მონის ხელით რად მოაკვდინა?  
 ნუთუ იმიტომ,  
 ღირსეული რომ არ გაეხვია ასეთ ცოდვაში?

IX

ჩემი სიყვარული უფრო მეტია, ვიდრე ის,  
 ვისაც ვუყუარებ.  
 ნეტავ ჩიტი ვყოფილიყავი  
 და ნამცეცები მეკენკა დილაობით მისი თბილი ხელისგულიდან.

X

როგორ ჰგვანან მთამსვლელები და პოეტები ერთმანეთს!  
 არც ერთმა არ იცის, სად მოწყდება  
 და თუმც იციან, რომ მოწყდებაიან,  
 მაინც ვერც ერთს ვერ გააჩერებ.



## XI

შავ-თეთრია მთელი ფილმი  
და სიყვარულის ფერადი კადრი  
ხანდახან თუ გამოერევა.

• • •

რამდენჯერ ხდება, დაიწყებ ლექსს და —  
აღარ გამოდის! აღარ გამოდის!  
და სულ ტყუილად ერთ ადგილს ლესავ  
ამ საღამოდან იმ საღამომდის.

რამდენჯერ ხდება, თითქოს გიყვარს და —  
სიყვარული კი — აღარ გამოდის  
და მარტოდმარტო რჩები სიტყვასთან  
ამ საღამოდან იმ საღამომდის.

ველარ ვაბრუნებ ლექსს, თუ წავიდა,  
აღარ გამოდის! აღარ გამოდის!  
და ახალ ლექსებს ვიწყებ თავიდან  
ამ საღამოდან იმ საღამომდის.

• • •

დაგაძალებენ. დალევ. არ გარგებს,  
ღვინო კი არა, თითქოს გესლია.  
სიმთვრალე თუმცა არ არის კარგი,  
ზოგჯერ უღვინოდ უარესია.

წლები გვარბევენ და შიაქვთ ხარკი,  
თან დღეებს, როგორც ტყვიებს,  
გვესვრიან.  
სიცოცხლე მუდამ არ არის კარგი,  
მაგრამ სიკვდილი უარესია.

ბევრჯერ გვიტრება ხან — მზე, ხან —  
მთვარე,  
და ვითმენთ ისე, როგორც წესია.  
გვლალატობს ზოგჯერ თუმც მებობარი,  
უმებობრობა უარესია.

ჭერ არ ყოფილა, ვინმეს მოემკას  
ყოველი, რაც კი დაუთესია.  
თუმც სიყვარული ბევრს გვაყრის  
ეკალს.

უსიყვარულოდ უარესია.

გაიბზარება ოჯახში სარკე  
და მარტოობა ჩვენი მწყემსია.  
ოჯახი მუდამ არ არის კარგი,  
უოჯახობა — უარესია.

და თუკი მაინც ხარ და არა ხარ,  
თუ მაინც მოკვდა გულში მზეწვია,  
იყვირე! თუმცა რას იტყვი ახალს,  
მაგრამ ღუმილი უარესია!



ხე

ანანურთან ხე მიცდის,  
ჯერ არ მოაჭრევენოთ.  
იმ ხემ იცის, კარგად იცის,  
თქვენ ვინა და მე — ვინო.

იმ ხემ იცის, ვინ იყვნენ  
გმირები და ღუგუბი.  
იცის, ვინ შევირიგოთ,  
ვის და როდის შევებათ.

იცის, ვაჟა ვინ იყო  
და ხოვასის მინდია,  
გიორგი და კვირიკე,  
ყველა, ვინც კი მიდიან.

ერთი ხეა, შემორჩა  
ანანურთან დარაჯად.  
გადმოხედავ, შემოდან  
ხან ჩანს და ხან — არა ჩანს.

ბევრი გვითხრა, უფრო მეტი  
ჯერ არ მოუყოლია.  
წმინდა, როგორც გერგეტი  
საქართველოს ტოლია.

ანანურთან ხე მიცდის  
და არ მოაჭრევენოთ.  
იმ ხემ იცის, კარგად იცის,  
თქვენ ვინა და მე — ვინო.



შაქრო სამაღაშვილს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. „მნათობის“ რედაქციის კოლექტივი ჟურნალის მკითხველებთან ერთად ულოცავს მწერალს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს წარმატებებს შემოქმედებაში და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

შაქრო სამაღაშვილი

# ბაშმარჯოს მზისათვის იმედინად ცქერას

ჩანახატი

ცოლი წიგნების კარადასთან დგას და თითოთ მანიშნებს:

- შეხედე!
- რას შეეხედო?
- ფქვილს.
- რა ფქვილს?
- ჭია ხეს ფქვავს, — რითაც დროის სელა აღინიშნება.
- მართლაც,

ცოლი უსიამოვნო გრძნობით გამცილდა.

ჭია... იგი მოქმედებს, ხეს ჭამს, ანადგურებს.

ყველას და ყველაფერს თავისი მტერი ჰყავს.

მივიხედ-მოვიხედე, კედელზე ჩემი პატარაობის სურათი ჰკიდია. სურათზე სიცილია გამოსახული, სიცილი ჭანსალი, ბედნიერი, მზიური, უბოროტო, სიყვარულითა და სიხარულით შთაგონებული.

ნათელი, შეესილი, ფერხორციტ შემკული სახე შინაგან სითბოსა და ძლიერებაზე მიმანიშნებს.

ახლა!

მზერა სურათს მოეწყვიტე და სარკეში ჩავიხედე. სევდიანად მეცინება: სადღაა სახის შეესილობა, სადღაა თვალებში ჩამდგარი ცეცხლი, — რომელიც სიცოცხლის სიტკბოებაზე მეტყველებდა!

ის მაშინდელი, ეს ეხლანდელი მე ვარ?

დავაკვირდი გულის უღონო, ტონშეცვლილ ძვერას, შეეხედე ჩემს კარგახნის უხმარ, მტვერდადებულ თოფს და თითქოს შემომესმა:

— შენა ხარ, შენი!

— ჰო, მე ვარ — გულის ტყენით ვამბობ და სულში მწუხარედ ვასკვნის; ალარ შემიძლია მანძილების გავლა, ნადირობა, სტიქიასთან ბრძოლა, მაღალნაყოფიერი შრომა, მინც ვარ, არ ვეთიშები სიცოცხლეს, რომელიც არასოდეს არ ილევს სიტკბოს.

ჰია... წყველი ჰია, იგი მოჭმედებს, ხეს ჰამს, სპობს, ანადგურებს, ასეთია ჟამიც... კანონი, ადამიანის სურვილი მას ვერ აჩერებს. მასზე ვერაფერი ვერ აბდენს გავლენას, წაეიდა ჩემი ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე, კაცური ღონიერება. კარადა დაძველდა, სიძველემ ჟამთა ვითარების ჰია — (შინაგანი წინააღმდეგობა) გააჩინა, მე მოვხუციდი და საცაა ბოლოს მომიღებს, საცაა დაუკითხავად, ნებადაურთველად ჩამოდგება სიცოცხლის აღსასრული... ეჰ...

გარედან სიმღერის ხმა შემომესმა, მღერის ჩემი ფიქრია, მღერის გატაცებით, მთელი ხმით, სარკმლიდან პატარების სათამაშო ადგილს გავხედე, იქ, ჩემი შვილიშვილი ცოტნე ტოლებს სიმაღლეზე ხტომაში ეჯიბრება, ბიჭის ხმა მაუწყებს, რომ ჩემმა შთამომავალმა გაიმარჯვა, პირველი ადგილი დაიკავა. ფიქრიას სიმღერა და ცოტნეს გამარჯვება ჩემს დარდიან განწყობილებას შიგ ყრონტში ეცნენ და მიაღრჩეს. დიალ, ვცოცხლობ, ვიცოცხლებ სიკვდილის შემდეგაც შვილებში, შვილიშვილებში, მათს შრომაში, ცხოვრებაში, მისწრაფებებში, სურვილებში, სინდის-ნამუსში, სამშობლოს სიყვარულში, ჩემგან დათესილ სიკეთეში, ჩემს წიგნებში — ისინიც ხომ ჩემი შვილები არიან.

რა ბედნიერებაა მამობა!

არანაკლებია პაპობა!

რა გონიერებაა გამრავლება!

შვილები, შვილიშვილები, შვილთა შვილები იმედს მაძლევენ, მამხნევენ, მეც ჭერჭერობით იმედიანად შევსცქერი მზეს.

გაუმარჯოს მზისათვის ცქერას!

მთარ დამატრავილი

# ს ა ზ ლ ა უ რ ი

## მითხრობა

ალარ მახსოვს, მგონი, შემოდგომის მიწურული იყო.

ბინდდებოდა.

აივანზე ვიჯექი და ბიჭიკოს ველოდებოდი.

დილით, როცა დედაჩემი სამსახურში წავედა, მეშვიდეკლასელი ბიჭიკოსი ბიჭიკო წამომადგა თავზე.

შევხედე და ვიღრე რამეს მეტყოდა, უთქმელად მივხვდი, რაღაც მუცლის გვრემა ჰქონდა ატეხილი.

ბიჭიკო ჩამოჯდა.

კარგა ხანი უსიტყვოდ მიყურა. მერე მოჩოჩდა. ფეხი-ფეხზე გადადო და ლოჯებივით წამოზრდილ კბილებშუა თლიფინ-თლიფინით მომიკაკლა სათქმელი.

რაც ბიჭიკომ მითხრა, ეშმაკსაც შეაცდენდა, გაქექილ მამალ ეშმაკს.

ერთი წლით უფროსი ბიჭიკოსის ნაყბედი თილისმური იყო ტკბილი. ტკბილი, მაგრამ ტყეში მოძიებული ფიჭუთაფლივით საშიში და სახათაბალო.

ვიკაქანეთ.

როცა ბიჭიკო წამოდგა, ყველაფერი აწონ-დაწონილი და გაზომ-გამოზომილი გვექონდა.

თლიფინას რა უჭირდა: დედამისი იმ სალამოს ანა პეტროვნასთან ფულის სასესხებლად მიდიოდა. პაპა გორში

იყო. კარის მეზობელმა ელუშამ, ვერაფერს რომ გამოაპარებდი, ფეხი მოიტეხა და ჭრელი აბანოდან საავადმყოფოში გააქანეს.

იბაირამებდა მარტო დარჩენილი ბიჭიკო. დაითრევედა მინიშნულ გასაღებს. ჩაძვრებოდა სარდაფში. მოიგდებდა ზურგზე ტომარას და აწაპნულ ქვამარილს ძუნძულ-ძუნძულით მოათრევედა ჩემთან.

ხათაბალა ეხლა იწყებოდა.

ელუშასნაირი მეზობლები ჩვენც გვეყავდა.

მოპარული მარილი მე და ბიჭიკოს ისე უნდა ამოგვეცუნცულეხინა მეორე სართულზე, იშვილბაზივით ისე სწრაფად და ოსტატურად აგვეთრია სხვენზე — ვერც ენაჭარტალა დაროს დაენახა, ვერც — დაფეხვილ მინადორას.

მთავარი მაინც დედაჩემი იყო.

დედა იშვიათად გადიოდა შინიდან. სამსახურიდან მობრუნებულ, ყოველთვის რაღაც საშურ საქმეს მოჩხრიკავდა და გვიანობამდე უკირკიტებდა.

იჭდა. ბეჭებში წახრილი კემსავდა. იწყალებდა თვალებს. ქანცის მიღევა-მდე აგვირისტებდა, ლამბავედა და ალიანდაგებდა.

მოსტყდებოდა ყუჩი ჩაიდანს. დავლევდი უშაქრო ჩაის. მივწევბოდი.

დედა ისევ აიჩენდა საქმეს.

ივლიდა. კუთხე-კუნჭულ დაივლიდა. სახელიოდ დააწკრილებდა ოთახს.

მოითქვამდა სულს. მიჯდებოდა და ახლა ბამბის სამფად დაგრეხილი ძაფის გასანთვლას დაიწყებდა.

შემოავლებდა დედა ძაფს შემთბარ ჩამონაღველს. დაასორსოლაევბდა. სიგრძე-განს მისცემდა. მოასწორებდა და ჩამწვარი სანთლის ნარჩენიდან ახალ ციკქნა სანთელს გააკეთებდა.

რა გვექნა?

ელექტროდენს იშვიათად გვაძლევდნენ. წიგნაკებით აღებული ნავთი არ გვეყენიდა. ჩაბნელებულ ოთახში გაჭირვების ტალკვესად ხშირად მხოლოდ დედას ხელით მოცოდვილებული ციკქნა სანთელია გვრჩებოდა...

ჩამობნელდა.

მეზობლები კარ-ფანჯარებზე ქალაღებჩამოფარებულ ოთახებში შელაგდნენ.

ბიჭიკო არ ჩანდა.

— გაციედები, — აივანზე გამოსულმა დედამ ბეჭებზე თავშალი წამომასხა, — შემოდი, ჩაითბუნე და ხვალინდელი საკონტროლო თემა ლოგინში მოიფიქრე.

ავაგდე ქვა. შევეშვირე თავი. გავჯიქდი და ჩემი გავიტანე.

კაცია და გუნება!

ზოგს მღვდელი მოსწონს. ზოგს — ფოფოლია, ზოგს — ეს, ზოგს — ის. მე თბილ საწოლს გრილი აივანი მირჩევნია.

აქ, სწორედ აქ, მიანცდამაინც აქ, ამ კუნაპეტ სიბნელეში უკეთესად ვაზროვნებ. უფრო ნათლად შემიძლია გააზრება, აღქმა, საკონტროლო თემის ლეიტმოტივის ჩამოყალიბება. ეს, ის, ისევე ეს და კიდევ ის...

— შენ იცი! — დედამ გაცემით შემომხედა. შებრუნდა. შევიდა და ოთახის კარი მიხურა.

უმთვარო ღამე იყო.

შუქშენილბულ თბილისს საავდრო ღრუბლები ჩამოსწოლოდა.

ეზოში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

მოშორებით, ჩვენი ქუჩის დასაწყისთან, რაღაც გახმაურდა.

მივაუტრადე.

რიყის ქვეით მოკირწყულულ ქუჩაზე ვილაღ მოაბოტებდა.

ჩაითქარუნა საიდანღაც გამომტყვრაღმა ფაიტონმა. ჩაიგელვეს ეტლს ადვენებულმა უზნის დაალმასებულმა ბომბორა ნაგაზებმა. გაკრთა ელვა. იქუხა და აივნიდან თავგამოყოფილმა ღამის სიბნელეში ეზოს წინ წელში მომშვილდული ბიჭიკო დავლანდე.

ღუშაში ვაგორდა.

მე და ვახვითქულმა ბიჭიკომ ქვაბარილი ისე სწრაფად და უხმაუროდ ავაქანეთ მეორე სართულზე, არავის დაუნახავს.

სხვენს კიბე მივემარჯვეთ.

ვეცით. დავითრიეთ ტომარა. ვიჯახირეთ და საფეხურ-საფეხურ შეუსვენებლად შევიმადლეთ.

როცა ენაჭარტალა დარო მინადლორას ოთახიდან გამოკუსკუსდა, ყველაფერი გაიმასქნებული გვექონდა.

ბიჭიკო და მე აივანზე მამა აბრამის უცოდველი ბატნებივით ვისხედით. ვიკრიშებოდით და პირთან ხელმიტანილები თვალების ნაბვით ვჩურჩულებდით.

საჩურჩულო გვექონდა.

ქვაბარილი, რომელსაც ბიჭიკოს პაპა პავლე ცეკავშირის საწყობიდან შინ ნატეხ-ნატეხ ეზიდებოდა, სარდაფში ჯვალოს ტომარაში ჩქმაღავდა და მავან-მავანის მისართმევად აგროვებდა, სხვენზე გვედო.

ახლა მთავარი ის იყო, დრო შეგვერჩია. მარილი სხვენიდან დაგვეთრია. შაითან ბაზარში ჩაგვეთრია. მახანდა არ დაგვედრო და ღუშაშით დაწყებული საქმე აღჩუთი დაგვეგვირგვინებინა.

— თლიფო!..

ბიჭიკო ბრაზობდა, როცა თლიფინას ეძახდნენ.

ახლაც აიფხორა. ერთი პირობა აივნის რიკულზე გასუსული აკაკუნებდა

თითებს. მერე მომხედა და დაბოლოვდება მკითხა.

— რა გინდა?

ვუთხარი რაც მინდოდა.

— შენ რა, სიცხე გაქვს?! ჩვენ ეზოში იმდენი წარაყუა და შებერტყილი ხელკეციტა ცხოვრობს, ჩემზე ექვს ვერაფერს მოიტანს...

წამოიღმერთა. ოთახიდან გამოსულ შინაბერა სუსანას მიესალმა. ჩამოჯდა და დატმატა:

— ტიტე ხო იცი, ჩვენი ყომარბაზი მარობელი?

— ვიცი.

— ფათულა?

— რომელი?

— ნაჯიბგირალი.

— კი.

— ვახო?

— ტარაბუცა ვახო?

— არა. ცალთვალა. ელუშას სარდაფის გატეხვა რომ დააბრალებს, ის.

— ხო.

— ხო და ხბო!..

გავიჩინდე.

ბიჭიკო ბეჭებში წახრილი იჯდა. თავი მოაჯირზე დაყრდნობილ ხელზე ჩამოედო და ფიქრებში წასული ასტეფროდა საავდროდ მოქუფრულ ცას.

— რამდენი კილო იქნება შენი მოტანილი მარილი?

— ორი ფუთი.

— ორი არა, ტოლმა!

შეცბუნებულმა ბიჭიკომ ქეჩო მოიქმია.

— ფუთნახევარი.

— ვითომ?

— კი.

— ნაღდად?

— წყალი არ გაუვა!

სირაჯხანის მიღმა ხელმეორედ გაერთა ელვა.

დაიქუხა.

დაცარიელებულ ქუჩაში პაკუნ-პაკუნით ჩაიარა ფეხჩქარებულმა გამვლელმა.

— ერთი კილო მარილი ბაზარში ორმოცდაათი მანეთი ღირს. არა?

ბიჭიკომ თავი დამიქნია.

— ფუთნახევარში ოცდაათი კლდე.

— კი.

— ორმოცდაათი მანეთი ოცდახუთხუნდა გავამრავლოთ.

— ორმოცი უნდა გავამრავლოთ ოცდაათზე.

— რათა?

— იმათა!

— შენ რა, მაშაყირებ?!

დაადგა საშველი.

შინაბერა სუსანა სამზარეულოდან გამოეცია.

ჩაგვიარა. აგვხედ-დაგვხედა და ტანის ნარნარი რხევით შეგოგმანდა ოთახში.

— ნუ ხტუნაობ! — ბიჭიკომ სახელო ჩამომქაჩა, — რამდენიც გინდა ახტე, იცოდე, ერთ კილო მარილს ორმოც მანეთზე მეტად ვერ გავყიდით.

— ესე იგი...

— ესე იგი, როცა მარილს ბაზარში ჩავიტანთ, გადაყიდველი უნდა მოვნახოთ.

— მერე?

— მერე უნდა შევევაჭროთ. მოვურიგდეთ და თითო კილო მარილი ორმოც მანეთად, ეგრევე „ობტომ“, თავის ტომრიანად მივაშვევთ. გასაგებია?

გასაგები იყო.

უკვე თინქელავდა, როცა ბიჭიკო გავაცილე.

ცამ პირი მოხსნა.

ოტა კიდევ და ჩვენი პატარა ეზო წარლენასავით მომსკდარმა კოკისპირულმა წვიმამ აახმიანა.

ვიწექი და ვფიქრობდი:

თითო კილო მარილი ორმოც მანეთად რომ გავყიდოთ, მე და ბიჭიკოს ხელა ცხრაას სამოცი მანეთი გვექნებოდა.

ამ ფულით, სხვას რომ თავი გავანებოთ, სინაგოგას გადმოლომა გაქუცულ სკვერში ცხრა კილო და ექვსასი გრამი შავი პურის ყიდვა შეიძლება.

ღვეზელი?

აშაშხანაში კუნძულ-კუნძულ დაყუ-

დებული თავსაფრიანი დედაკაცები თითო ცალს მალღვა-ჩქმალვით ათ მანეთად რომ ყიდიან — ის დაბრაწული კარტოფილის გემრიელი ლეგზელი?!

ამოვიობხრე.

შვეინაცვლე გვერდი.

ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, ცხრაას სამოცი მანეთით ბიჭიკოს და მე რამდენჯერ შეგვეძლო გაკვეთილების გაცდენა და კინოში დილის სეანსზე წასვლა...

წვიმა ისევ უყაყუნებდა.

თენის კუთხეში, სარეცხის გახვრეტულ ქვაბზე გამოზმულმა დავარაშვილების ჭირიანმა მამალმა მესამედ იყივლა.

გათენებას, მგონი, აღარა აკლდა, როცა ფიქრებში გართულს ჩამეძინა...

ჩვენი უბანი ომამდე ხმაურით იღვიძებდა.

გაფერმკრთალდებოდნენ ვარსკვლავები. დაედებოდა მტრედისფერი ცას და რიქრაქის ბინდბუნდში დილის საირივით რიხიანად დასკეჰავდნენ წყნეთელები:

— მოთალი!

— დო!

— კამეჩის მაწონი!..

თითქოს უბანესო:

ჩაივლიდნენ წყნეთელები. ჩალალავდნენ თიხის მაწვნის ქილებით დაზურგულ სახედრებს. ჩაითავქვევებდნენ და ფეხზე წამოშლილ უბანში ყოველი მხრიდან ატყდებოდა ნაცნობი შეძახილები:

— ყვავილების მიწა!

— ტარხუნა!

— ქვებები მოგვკალო!

— ნახშირი!

— სიყვარულის წამალი — მურბე-ლა!..

მერე ის იყო, — თავზე შემოდგმული ხართუით სავსე თაბახით, თეფშებიანი სასწორით, ლოყაზე ბეწვა ხალითა და მწყალობელი ღიმილით, ქუჩა-ქუჩა ისევ ჩამოივლიდა ვერცხლის-ქამრიანი ხარფუხელი წყალობა...

გათენებულყო.

სიონში დედო ზარს არისებდნენ.

ვერის ხიდის მახლობლად ვერცხლისფერი მეჩეთის მინარეთზე დამუდგმული ქოსა მოლა ყურანის შემაბეზრებელ საგალობელს გაჰკიოდა...

შორს, ძალიან შორს, საღაღაც ბრეტის მისადგომებთან, ქვემეხებმა იქახა. თბილისი გაირინდა.

მერე თანდათან მინელდა ქორწილები. ძეობებმა იკლო. ჩვენს უბანში დილის საარზე ძველებურად აღარ ხშიანებდა ზურნა-დუღუკი, დაირა და თარი, დოლ-გარმონი, არღანი და საზანდარი, ტაშ-ფანდური, გარმონი, და საზი...

მორჩა!

ეზო-ეზო აღარც მემაწვნიები დადიოდნენ, აღარც მეთევზეები. ორთაქალის ბალჩაში პატარძლის ხელით სისხამ დილით დაკრეფილი ცვრიანი შუშა კიტრი სანთლის საქებნი კი არა, სანთელივით სანატრელი გახდა.

ვიდაც-ვიდაცები მომრავლდნენ.

დადიოდნენ. ტომრებს დაათრევდნენ. ყველგან ყოფდნენ ცხვირს და გარინდებულ ქუჩებში დილიდან შებინდებამდე გაისმოდა მათი უამო, როხროხა შეძახილი:

— Старый одерж покупаю!

იმ დილითაც როხროხა შეძახილმა გამომალეძა.

ნისლიანი ამინდი იდგა.

წინწყლავდა.

ღროდაღრო, როცა ქარი დაბერავდა, აივანთან ჩაყოლებული ეოლობი ტოკავდა და გულისგამაწვრილებლად ეღრიავებდა.

— აღექი, — დედა სამსახურში წასავლეღლად გამზადებულიყო, — ჩაი დალიე და დღევანდელი საკონტრაოლო გაიმეორე...

ის-ის იყო დედა წავიდა, რომ ბიჭიკომ კრეჰა-ღრეჰით შემოალო კარი.

თლიფინა აცეტებული ჩანდა.

თმები აბურძგნოდა. ცქმუტავდა.

აქეთ-იქით აცეტებდა დაგვიღლ თვალებს და წამდაუწუმ იქეჰავდა ქეჩოს.

— ეხლა რა ვქნათ?



უნდა გვეცადა.

ცოტა კიდეც და მეზობლები სამსახურებში გაიკრიფებოდნენ. დაცარიელდებოდა აივანი. შინ მარტო პენსიონერი ძია ამბროსი, ჭაჭანაშვილების მღვმური ცაცანა, პელო ბაბო და ფრონტიდან ცალი ფეხით დაბრუნებული ძია სანდრო დარჩებოდნენ.

— მინალორა?

— დაფეხვილ მინალორას წელკაგმა გაუსხენა. წუხელ, როცა შენ წახვედი, ბანკები დააყარეს და ესლა, მგონი, ისევ პირქვე წევს.

ბიჭიკოს აღარაფერი ჟკითხავს.

— ერთი ეს მითხარი, — წამოვდექი, გავიარ-გამოვიარე და სკამიდან ტახტზე მოვინაცვლე, — როცა მარილს გავყხდით და ფულს ავიღებთ, იმ ფულით რა ვქნათ?

— ის ფული შუაზე უნდა გავიყოთ.

— ერთად არ დავხარჯოთ?

— არა, — ბიჭიკომ თავი გააქნია, — არ გამოვა...

— რატომ?

— ანა პეტროვნამ ითუქსუსა... დედაჩემს წუხელ ფული არ ასესხა და იმიტომ!

— მართლა?

— კი. ისევ ფეხშიშველი დავრჩი.

ჩაფიქრებული ბიჭიკო კარგა ხანი უსიტყვოდ იქნედა ფეხზე გადადებულ ფეხს. მერე ამოიხზრა, მომხედა და მითხრა:

— ჩემი წილი ფული დედას უნდა დავუმატო.

— გაგიყდი?!

— მა რა ვქნა? ტუფლები არ ვიყიდო?! მოიცა!..

ბიჭიკომ ხელის აწევით შემაჩრა.

— რა უნდა ვთქვა, ვიცი.

— იცი?

— ვიცი! დედაჩემს ვეტყვი, ფული ქუჩაში ვიპოვე... არა... კი არ ვიპოვე, მაჩუქეს.

— ვინ გაჩუქა?

— მამამ გამომიგზავნა ფრონტიდან.

— ტუტუცი!

— ვა, მა რა ვთქვა?!

აივანზე ტანის ჩვეული ნარნარი რხევით ჩაიარა ყელმოღერებულმა შინაბერა სუსანამ.

ბედი გვეყალობდა.

გაიკრიფნენ მეზობლები. შეცარიელდა აივანი და აცუნდაუტყებულმა პელო ბაბომ მაინცდამაინც მაშინლა მოიპრიანა სარდაფში ჩასვლა.

დაფეხვილი მინალორა კრუსუნებდა.

ძია სანდროს ეძინა.

ცაცანამ თოკზე საცვალი მიიფინა. ოთახში შებრუნდა. მიიყუტა და გუშინდელივით, მგონი, ნათხოვარი კონსპექტის გადაწერა დაიწყო.

უნდა გვეჩქარა.

გამოვიძურწით ოთახიდან. ჩავინიავეთ ძია ამბროსის კარწინ. გავედით აივნის ბოლოში. დავევდით და კუთხეში მიყუდებული კიბე სხვენზე ასასვლელთან ავაყუდეთ.

როგორც დავთქვით, ისე გავაკეთეთ. ბიჭიკო სხვენში აბობლდა. მე იქვე, კიბის გვერდით, აივნის მეთვალყურედ დავრჩი.

ცოტა კიდეც და, თლიფინა ნიშანს მომცემდა.

ავვარდებოდი კიბეზე. მივწვდებოდი. შევაშველებდი ხელს და...

ეს იყო და ეს!

ისევ წინწკლაედა.

ქარი მინელდა.

დავარაშვილების უკიშო მამალი უღროო დროს წამდაუწუმ ხრინწიანი ხმით ყიოდა.

გასუსული ვიდექი.

ზევით, კიბის თავთან, უცხად რაღაც გაფაჩუნდა.

ავხედე.

პაერში ბიჭიკოს ფეხი დავინახე.

ფეხმა ნახევარწრე მოხაზა. ჩამოგრძელდა. რამდენჯერმე შექანდა და საბჯენი იპოვა.

გატრუნული ბიჭიკო ნელ-ნელა ჩამოუყვა კიბეს.

აქეთ, მარცხენა ფეხზე, რომლითაც ბურთს ურტყავდა, თლიფინას მოღრეცილი ფეხსაცმელი ეცვა. ქუსლი ჩადრეკოდა. ლანჩს პირი დაეღო. გადაქ-

ლექტორს წვერთან ბიჭიკოს წინდინი თითი მოუჩანდა.

თლიფინამ კიბის ბოლო საფეხური გამოტოვა.

ისეუბა. იატაკზე დაბტა და როცა თავი შეიმავრა, არც შემოუხედია, ისე ჩაიდუღუნა უცნაურად გაბზარული ხმით:

— სხვენში მარილი არ არის.

— როგორ თუ არ არის?

— არ არის! ვილაყას წაუღია.

სადარბაზოს ქვედა კარი გახმურდა.

პელო ბაბო იყო.

ასეთი ხმინი, ერთმანეთზე ზედიზედ წაწყობილი ბარაქიანი დაცემინება პელო ბაბომ იყოღა.

დავასწარიო.

ვიდრე პელო ბაბო სვენებ-სვენებით და ბურნუთიანი ცხვირის ცემინებით კიბეს ამოათავებდა, ბიჭიკო და მე სხვენზე ვიყავით.

დაბინდულ სხვენში ქვიშა მოეხვეებინათ.

სახურავზე გასასვლელთან აშმორებული წყლით სავსე წითელი კასრი იდგა.

იქვე, თუნუქის საყრდენ ბოძზე, რამდენიმე ბარი, თოხი და წერაქვი იყო აყუდებული.

— მარილი აქ დავდეთ!

ბიჭიკო მართალს ამბობდა.

წუხელ, როცა სხვენში ამოვედით, ბიჭიკომ ასანთი გაჰკრა და ადგილი მივინიშნეთ.

ჯვალოს ტომარაში ჩაყრილი მარილი კასრთან მივათარიეთ. ძონძები მივაყარეთ. მოვასწორეთ და საიმედოდ მივჩქმალეთ.

აწაბნული მარილი აქედან აგვიწაბნეს!

— ვის შეიძლება წაელო მარილი?

— სხვენის, ლამის იყო, მტვრად ქცეულ მიწაზე ჩაცუცქებული ბიჭიკო თვალბში ჩამაცქერდა.

— არ ვიცი.

— მაინც?

— ვფიქრობ და აზრზე არა ვარ...

— იფიქრე და აზრზე მოხვალ!..

7. „მნათობი“, № 10.

ღრჯულ იყო ნათქვამი.

ბიჭიკო წამოდგა. გაიარა გამოიარა და ერთზე კიდევ მიმოავლო თვალი სხვენს.

ჯვალოს ტომრის ასავალ-დასავალი არ ჩანდა.

— წავიდეთ?

— მა რა ვქნათ?

— რა ვქნათ და... — ბიჭიკო დაინებით მიყურებდა თვალბში, — წითელი კოჭი გავაგოროთ!..

წავედით.

თლიფინა დაწინაურდა.

თავჩალუნული მიდიოდა. რამდენჯერმე შეჩერდა. არ შემობრუნებულა. ისევე მოზომილი, მოკლე და ჩქარი ნაბიჯით გაუტია.

და მაშინ, როცა სხვენის თავში კიბეზე ჩასასვლელთან მივედით, ჩაფიქრებული ბიჭიკო მოულოდნელად შემოტრიალდა. თვალი თვალში გამიყარა და გაფითრებულმა მოგუდული ხმით მკითხა:

— მარილი სად არის, ტო?!.

შეეცბი.

მოვიწმინდე შუბლზე მოცვარული ოფლი. ვავუსწორე თვალი და ბიჭიკომ დამასწრო:

— მარილი სად არის, ტო?!.

— მე რა ვიცი, სად არის!..

დაკვესილი თვალეები ჩაყინებით ჩამცქეროდნენ თვალბში.

ენით უთქმელი, ყველაფრის მთქმელი რალაც დიდი, უძირო და უკიდგანო მოზავთებულიყო ბიჭიკოს დაკვესილ თვალბში.

ამ თვალბის დაეიწყება შეუძლებელია.

მაშინ, პირველად სწორედ მაშინ ვიწამე თვალის ძალა.

ვიწამე და ვიმცნაურე, რასაც თვალი იტყვის, ზოგჯერ იმას ენა ვერ დაიტყვის.

ბიჭიკო ცახცახებდა.

მერე ნელ-ნელა გაშალა შემართული დამუშტული ხელი. მოიქექა ქეჩო. გადააბურჭყა. შებრუნდა და უსიტყვოდ ჩაუყვა კიბეს.

ცოტა ხნის შემდეგ სადარბაზოს ზე-  
და კარი გახმაურდა.

მივყურადე. კიბე ჭრიალებდა.

შემოჯახუნდა სადარბაზოს ქვედა  
კარი.

ბიჭიკო წავიდა.

წავიდა და წავიდა...

• • •

ბიძაშვილობა არ დაგვიკარგავს.

ბიჭიკო ეხლა ერთ-ერთი მაღალმთი-  
ანი რაიონის მთავარი ექიმია.

ჩამოდის ხოლმე.

მოვინახულებთ. გადავკოცნით. მო-  
ვიკითხავთ ერთმანეთს.

შევყვებით საუბარს.

შევყვებით და ყოველ შემთხვევაში  
ბიჭიკოს კეთილ თვალეში წამით მაინც  
გაქრთება ის, აი ის, სხვენზე რაც გაც-  
ხადდა.

ვინ იცის, როცა მისთვის დაწერილს  
წაიკითხავს, იქნებ, თლიფინამ ახლა მა-  
ინც იწამოს სიმართლე.

იწამოს და მომიზღას.

მომიზღას და მისმა თვალემა აღარ  
მკითხონ:

— მარილი სად არის, ტო?!.

## ს ა ტ ი ო რ ი

### მოთხრობა

კაცმა გაზეთი ნერვიულად დაეცვა, მუხლებზე დაიფინა და უფრო ჩაღრმავდა სავარძელში, ჩაფიქრდა...

კარმა გაიჭრიალა... არ გაუგონია კარის ხმა, თავხოტორა უმცროსი შვილიშვილისკენ არ გამოუხედავს, როდის დამძახებს — ბაბუაო... ასე იყო ფიქრებში ჩაძირული. კარში გახიზულმა ბავშვმა, სახელურს რომ ჩაფრენოდა, უკვე გაბუსხულმა, განაწყენებულმა, პირი სატირლად იბრუნა — დედაო, — აცრემლებული დერეფანში გაბაჯბაჯდა...

კაცმა გულზე ხელი დაიდო, მოისინჯასავით, მერე უფრო ღრმად, თითები იღლიაში შეიკურა, ისევ უკან ამოიწია, გულიც მოქებნა თითქოს, მიაყურა... ვერ გაიგო უცემდა თუ არა საერთოდ, და კვლავ ჩაფიქრდა.

არა, ტყვილი ნამდვილად არ უგრძენია, უზრალოდ, რალაცნაირი, არასასიამოვნო განცდა დაეუფლა, აფორიაქდა სული, ყელშიც რალაცა უცაბედად მოეზვინა; მოეშვა, ჩაიკარგა სავარძელში, რა დროსაც, მისი აზრით, გული უნდა ატივებოდა და ამჯერად მარცხენა მარჯა დაიჭირა, რიტმს მოუსმინა, დაითვალა...

მაჯისცემა ნორმალური ჰქონდა. არადა, უგუნებობა არაფერი, კაცმა

— გული ცუდად უნდა გამხდომოდაო, პირველად ეს გაიფიქრა.

• • •

დომიტრი მსახიობი იყო; პროფესიონალი, ორმოცდაცხრა წლის წინ დიდი და სახელოვანი რეჟისორის მიერ აღმოჩენილი — პირდაპირ ქუჩაში რომ იპოვნა და მოიყვანა; რამდენიმე მთავარი როლიც ითამაშა ეროვნული თეატრის აღორძინების დროს, ამჯერად, ის რეჟისორი, მისი ხანა ისტორიის კუთვნილება გამხდარიყო. დღევანდელი რეჟისურა კი ძველს დაუპირისპირდა თუ აუზირდა, ანუ, როგორც თვითონ ფიქრობდა — სცენა უკულმა დატრიალდა და, ცხადია, დომიტრის ნიჭი და გაქანება მიიჩქმალა, ჩაქრა... მსახიობი კაცი დარჩა უროლოდ, უფრო სწორად, ისეთი როლების ამარა, სასაუბრო ტექსტი ერთ გვერდს რომ არ ჩაცდებოდა. მისი სკამი ყოველთვის, ხან ზედმეტი და ჩაჩხერილივით, ხანაც — სადმე, სცენის ბნელ კუთხეში იდგა, რამის შუქი პირდაპირ არასოდეს რომ არ ეცემოდა...

თუმცა, ეს მისთვის არახალი იყო. ამ ამბავს, სამი ათეული წელი, მეტნაკლებად შეჩვეოდა და, რა თქმა უნდა, ამას არ შეუშფოთებია იგი, გულზე ბე-

ლი შეშინებულმა რომ იტაცა... კარში გახუხულ შვილიშვილსაც ვეღარ გამოხედა, რომელიც ყოველ დილით, ერთ და იმავე დროს შემობაჯბაჯდებოდა დიდბაბუასთან, სიხარულს ჰგვრიდა, გულს აპოვნინებდა ბერიკაცს ბავშვის ტიქტიკი, მის საპატივეცემოდ დიმიტრი რომ დაერქმიათ პატარისთვის სიძე-ქალიშვილს. ესეც რომ არა, დიდი მსახიობი იყო ბაბუა თუ პატარა, არ აინტერესებდა შვილიშვილს, ცხადია, იმ არცთუ უმნიშვნელო მიზეზისა გამო, ჯერ სამი წლისაც არ გახლდათ. კაცმა რომ თქვას, დედაქალაქის ერთ-ერთი სახელოვანი დასის წევრს, თან, საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორის მიერ აღმოჩენილს, დამსახურებაც ჰქონდა და, თუ მაინცდამაინც ლაღად არ გრძნობდა დღეს თავს თეატრში, სამაგიეროდ, გარეთ, ნათესავეებში, ნაცნობ-უცნობებში, სცენაზე ერთხელაც რომ არ ჰყავდათ ნანახი, პატივისცემით სარგებლობდა. მართლაც, ხუმრობა ხომ არ იყო ამხელა თეატრის მსახიობობა? დილით, გამოეღვიძა თუ არა — გაზეთები არ მოუტანიათო? — გასძახა ქალიშვილს.

გულშიწინ მეგობარი გარდაეცვალა დიმიტრის.

მეგობარიც მსახიობი იყო. ისიც საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორის აღმოჩენილი — ორივე ერთ წელიწადსა და სეზონში მოეყვანა თეატრში და, მაშინ რომ დაესვა ცხრაჯერ გადაეკეთებული შენობის სხვერში, დღის უსინათლო და მკლავისგაშლა საგრიმიოროში, ახლაც ისე და ერთად ისხდნენ.

დიდი და პატარა როლი არ არსებობსო, უთქვამთ. ამ სენტენციის მორალური მნიშვნელობა არათეატრალმაც იცის, მაგრამ მსახიობ კაცს ამით ვერ მოისყიდო, ეს ისეთივე აბსურდია მისთვის, როგორც დიდი და პატარა მსახიობის არარსებობა.

ქალიშვილმა გაზეთები შემოუტანა.

პირველად მეთაური გაზეთი გაშალა, იყო თუ არა მეგობრის ნეკროლოგი. არ აღმოჩნდა და განაწყენებულმა ბუზლუნით დადო იატაკზე, მერე — საქალაქო, სადაც მეგობრის ახალგაზრდობის სურათი და გამოსათხოვარი წერილი ნახა, ამხანაგების ჯგუფის ხელმოწერით, მეოთხე გვერდის სვეტში მიჭექუქილი... „ამხანაგების ჯგუფში“ თვითონაც ითვლებოდა და ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა. გახერხი, ჩვეულებრივ, იუწყებოდა დამსახურებულ მსახიობის ციურე, უხმაურო წვლილსა და ღვაწლს სახელოვანი თეატრის წინსვლასა და აღორძინებაში.

დიმიტრის და შალვას თეატრალური ცხოვრება ორი წვეთივით თუ არა, რაღაცით მაინც ჰგავდა ერთმანეთს. როგორც ადრე ვთქვით, ერთი რეჟისორის წყალობით, ერთ სპექტაკლში ეზიარნენ სცენას, ერთი ამპლუსისა და მსოფლმხედველობის მსახიობები იყვნენ და, მთლად ერთნაირი თუ არ ჰქონიათ შემოქმედებითი სიხარული და წარუმატებლობა, სამაგიეროდ, უკანასკნელ ხანს (მფარველი მუზა — თაღვია არ წყალობდათ თუ ახალბედა რეჟისორები, რამაც არანაკლებ შეუწყო ხელი მათ გვერდიგვერდ ღვომას და მეგობრობას) სულ ერთად იყვნენ; ლხინში, გაპირვებაში, ქუჩაშიც ერთად მიმავალს დაინახავდით და, რა თქმა უნდა, ერთპირად მონაწილეობდნენ თეატრის წვრილმან ინტრიგებში, მსხვილმანებზე კი, გული არ მიუწევდათ თუ ხელი არ მიუწვდებოდათ, ეს მათზე უკეთ თეატრის მესვეურებმა იცოდნენ...

შემოქმედი კაცის ბუნებაა — სულ ერთია, დიდი თუ პატარა, — თავისი თავი დაირწმუნოს და შენც ასე მოგაჩვენოს, თუ ვინმე არის, მეც ვარ, ჩემს მხრებზეც წევს ხელოვნების მძიმე თალიო... შეიძლება, ხმამაღლა არ ყვიროდეს, მაგრამ თუ კარგად დააკვირდები, დაინახავ, ხშირად ატლანტის პოზაში რომაა დაძაბული და გარინდუ-

ლი... ის მძიმე თალი, ცხადია, ვიღაც-ვიღაცებს მართლაც უპყრიათ, თუმცა არც ეგ აღარღებს, სჯერა — მეც თავისუფლად შევეხილებოდი... ასე რომ, შემოქმედებითი სამყარო ძველი, ბერძნული სტილის შენობას მოგვაგონებს, ვინ — გუმბათის კოჭებში საყრდენად არის მტკიცედ ჩაშენებული, ვინ კიდევ — სვეტზე ან კედელზე საცოდავად მიდგმული გატანჯული სახის ფიგურაა...

ბატონი დიმიტრი სამოცდაცამეტ წელს იყო გადაცილებული და მეგობარ-ახლობლების დაქარგვას იოლად მიჩვეულიც. უკანასკნელ ხანს, თუ ოდნავ შეუძლოდ გრძნობდა თავს, პანაშვიდზეც აღარ მიდიოდა.

შალვას დაქარგვა მიინც სხვა იყო. ბოლოს და ბოლოს, სათავისოსხელა ოთახში, მკლავს თავისუფლად რომ ვერ მოიჭნევდი, ისხდნენ ორმოცდაცხრა წელიწადი, და მაშინაც კი, როცა სცენაზე გასასვლელად ეშვადებოდნენ, სარკიდან ერთმანეთს ზურგშექცეულებიც ხედავდნენ.

ამ ორიოდე წლის წინ, დიმიტრი მოულოდნელად ცუდად გახდა საგრძნობ-ორმოში. შუბლი რომ უნდა გადაეხდრა, ბამბიანი ხელი ჰაერში ანაზღად გაუშეშდა, ფერიც ეცვალა... წყალირო, უნდოდა ეთხოვა შალვასთვის, მაგრამ ხმა ვეღარ ამოიღო, სარკეში აფუსფუსებულ მეგობარს ვერ გააგებინა ვერაფერი... მერე არც ახსოვს, გონს რომ მოვიდა, ისევ შალვა დაინახა, ოღონდაც უკვე საავადმყოფოში. ვერც ეჭიმები მიუხვდნენ, რა მოუვიდა მაშინ. ორკვირიანი დასვენების შემდეგ, კვლავ თეატრში და შალვას გვერდით განუშეორდა მსგავსი რამ. ეტყობა, შალვამ დროულად შენიშნა დიმიტრის ფერიცვალემა და, ცუდად ხომ არა ხარო, ცალი წარბი აუძგობა სარკეში... არაო, გაშეშებული ხელი როგორღაც გაატოკა და მეგობარს მკრთალად გაუღიმა, მოეშვასავით... შალვამ ისევ ლილი-

ლილით განაგრძო ქოსა-გმირის სახის დამუშავება...

ნეტავ რა ჭირი მეტაკაო, გაიფიქრა დიმიტრიმ და ღრმად ჩაფიქრდა, უცებ ისეთი გრძნობა დაეუფლა, უფრო სწორად, სათქმელი ენის წვერზე მოადგა: ჩვენი ცხოვრება ერთმანეთის ზურგშექცევით ჯდომა და აქა-იქ აქერცილი, გაბზარული სარკიდან სარკეში არეკილი რაღაც მოჩვენებააო. — მერე უფრო დააკონკრეტა. — ჩვენი მეგობრობაც აქედან უნდა აღიქვა, არამიწიერად, ყალბად... მაგრამ ისევ მეგობარს გაუფრთხილდა თუ თვითონ შეეპარა ნაფიქრში ეჭვი, — წყალიო, ძლივს ამოთქვა და შალვას თვალი გაუშტერა. შალვამ ჭიქით მოურბენინა წყალი და თვითონაც თავზემოდ დაადგა.

წყალი რომ დალია, რა სარკიდან აღქმული მეგობრობა ამიტყდაო, საკუთარ თავზე გაბრაზდა დიმიტრი.

სჯეროდა, შალვა არ იმსახურებდა ამას. სხვა თუ არაფერი, ხუთი ათეული წელიწადი ერთად ყოფნა არ აძლევდა ამის უფლებას. დიმიტრი მგრძნობიარე ადამიანი იყო და, თუკი, საერთოდ, ადამიანი ხარ, ამოდენა ხანი გულს უსათუოდ გაპოვინებებს, ნეკნებშუა მუშტისტოლა ხორცმეტიც რომ ამოგზარდოს, სხეულის სხვა და უცვალებელი ნაწილივით შეგიყვარდება...

მეორე საღამოს, კვლავ ასე ზურგშექცეულები რომ ისხდნენ თავთავიანთ სარკესთან, რომელიღაც ეჭურნალის „კალიედოსკოპში“ ახლახან ამოკითხული ამბავი გაახსენდა დიმიტრის და მეგობარს მოუყვა: ერთ ქვეყანაში, ორი მძიმე ბრალდებულის გამოტყვება რომ სურს მართლმსაჯულებას, პირისპირ დააყენებენ ისე, მტკაცელიც რომ არ ჩაეტყვათ და ძალად აყურებინებენ ერთმანეთს სახეში. სულ მოკლე ხანში, დანაშაულის აღიარება არაფერი, იმდენად ჰკარგავენ გონს, ბლავილს მორთავენ და ერთმანეთზე ცხვირ-პირის

სამტკრევად მიიწვევენო... „თავის მიბრუნების უფლება თუ აქვთ?“ — დაინტერესდა შალვა. „არა“ — დამაჯერებლად მიუგო დიმიტრიმ, „იმით არა, მაგრამ შენ ხომ გაქვს, შე კაცო? — რატომღაც გაბრაზდა შალვა და წამოდგა.

მართლაც, დაბმულები კი არ ყოფილან, თავის მიბრუნება და თვალის არიდება რომ არ შეძლებოდა ან ერთს ან მეორეს, პირიქით, ზოგჯერ ჩუმი, უმტკივნეულო ხუმრობა და ქილივიც იცოდნენ ერთმანეთზე, მაგრამ ღირსეულად იტანდნენ. ადრეც ვთქვით, მათი შემოქმედებითი ბედი და ცხოვრება საკმაოდ ჰგავდა ერთმანეთს; ეს რა თქმა უნდა, სხვის თვალში, თორემ შალვა სხვა იყო და დიმიტრი — სხვა, თეატრის ხელმძღვანელობა კი ცხადია, პირველს უფრო ფიქრობდა, ვიდრე ამ უკანასკნელს. საერთოდ, რომელ ხელმძღვანელობას სცალია, შენი ინდივიდუალობით და სხვაფრივობით თავი რომ იმტვიროს, ამიტომ, დიმიტრის რომ ასხენებდნენ, შალვას გვარიც იქვე იყო, დამსახურებაზე რომ წარადგინეს შალვა, დიმიტრიო? — იყვინა დასის გამგემ და მთავარმა რეჟისორმა უყოყმანოდ შეიტანა თეატრის საიუბილეო დამსახურების სიაში. ეურნალ-გაზეთებიც კი, ახალ სპექტაკლს რომ მიმოიხილავდნენ, თუ ისინიც იყვნენ დაკავებულნი, ხან ერთის გვარი უსწრებდა, ხან — მეორისა, ცხადია, ჩამოთვლაში... ასე იყო თუ ისე, მიიწვეს უხაროდთ ერთ სპექტაკლში თამაში, რაც უნდა პატარა როლი ჰქონოდათ, ერთი საათით ადრე შედიოდნენ საგრიმიროში.

ერთხელ, თეატრის ერთ-ერთ ახალ წარმოდგენას დიდი წარმატება ხვდა წილად. რომელიღაც თეატრმცოდნემ ის ძველი ჰარმონია დაარღვია და დიმიტრის ღვაწლი საკმაოდ მოზრდილი წინადადებით აღნიშნა სპექტაკლის გა-

მარჯვებაში. შალვა კი, ჩვეულებრივ, ჩამოთვლაში მოიხსენია.

პატარა ამბავი როდი იყო, სამი ათეული წლის დუმილის შემდეგ, პირველად ითქვა ასე თბილი სიტყვა მსახიობზე და გაიხარა. ადრე მოვიდა თეატრში. ხან შიგნით, ხან — თეატრის ეზოში იზორიალა... იცოდა, ყველამ ჰქონდა რეცენზია წაითხული, მაგრამ, რატომღაც დუმილს არჩევდნენ შეთქმულებივით, თვალის ჩაკვრითაც — რომ „წაგვიტხეო“ — არ ჩაუტრავთ, არ გაახარეს ბავშვივით გულათრთოლებული კაცი.

შალვა მიიწვეს სად დაიკარგაო, გაიფიქრა და საგრიმიროში შევიდა.

ამ საღამოსაც იგივე სპექტაკლი იყო დანიშნული და — ვნახოთო, ვილაცას გუნებაში დაეჭაღნა.

შალვამ ჩვეულებას უღალატა, დაიგვიანა. მესამე ზარზე შემოალო ოთახის კარი და, არც მისალმებია დიმიტრის, ისე დაჭდა. დიმიტრი უკვე მზად იყო, თუმცა პირველ აქტში არ მონაწილეობდნენ და სარკიდან ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდა მეგობარს, აინტერესებდა, დღევანდელ რეცენზიაზე რას იტყოდა.

— უცნაური სიზმარი ვნახე წუხელ, ჩემო დიმიტრი, — თქვა შალვამ და სარკიდან ეშმაკურად გამოხედა.

— რა ნახე ასეთი? — დაინტერესდა დიმიტრი და უფრო მოხერხებულად დაჭდა, სმენად იქცა.

— ჯოჯოხეთში ვიყავი, კაცო! — შესუფთებით წამოიძახა, — ძლივს გამოვტოპე მუხლამდე კუბრში... უცებ სამოთხის კართან აღმოვჩნდი, მაგრამ ვინ შეგიშვა! — ორი თოფიანი კაცი იცავდა. ვხედავ, შენ ხარ შიგ, ორ ლამაზ მანდილოსანს ხელკავით მოასვირნებ, შენებური ღინჯი ბაასით მიაცილებ ედემის ბალისკენ... სიხარულით შეგხტი და დაგიყვარე: დიმიტრი! — გავიგონია, არც მოიხედე ჩემსკენ. მაშინ ყელი საწყლად გადაუწვიე კარისკაცს,

შევეხვეწი, შემიშვი-თქო! თითქოს მო-  
ლბა ისიც და რა პროფესიის ხარო,  
მკითხა. მსახიობი ვარ-მეთქი, მივუგე  
ამაყად. მსახიობს აქ რა უნდაო, გაიკ-  
ვირვა. ის ხომ მსახიობია, კაცო?! —  
შევეუძახე განაწყენებულმა. მაგი? მაგი  
არ მსახიობია, შე მამაცხონებულო, არ  
გრაცხენიაო? — შენზე მიმითითა და  
სიცელით ჩაბყირდა.

— მერე? — ფერი ეცვალა დიმიტ-  
რის.

— მერე ის იყო, ჩემო დიმიტრი, გა-  
მომელვცია...

— ციგანი ხარ შენი — წამოხტა ხმა-  
აქანკალებული დიმიტრი და დერეფან-  
ში გაევირდა.

ორი თვე უბრად იყვნენ.

ისევ შალვამ: მაშინ ნასვამი ვიყავი  
და არ მიფიქრია, ასე რომ გეწყინებო-  
დაო, სახლში მოაკითხა და შემოირიგა.

დიმიტრი ამაყი, ცოტა პატივმოყვა-  
რე კაციც იყო და, როცა თეატრში ზედ-  
მეტად იგრძნო თავი, ჩემი სურვილით  
უნდა წავიდეო, გადაწყვიტა. თეატრი  
კი არა, საკუთარი ცოლ-შვილი შეგძუ-  
ლდება, თუ ხედავ უკვე მათთვის არა  
ხარ საჭირო. შალვას გაუმხილა. საერ-  
თოდ, იშვიათად ეს საშინელი წამი,  
ყველა პროფესიის კაცს მეტ-ნაკლებად  
არ დადგომოდეს, ხელოვანი კი, ალ-  
ბათ, გოარკეცებულადაც განიცდის,  
სხვა ხელობის ადამიანზე ეჭვიანია და  
ბავშვივით მიამიტიც, მაგრამ მისი ბუ-  
ნება მაინც სხვაა და ზედმეტად ჭიუ-  
ტიც; ვთქვათ ახალგაზრდობაში „ჰამ-  
ლეტი“ თუ არ დანახა მასში რეჟისო-  
რმა, „ლამანჩელს“ ხედავს სიზმრად,  
უფრო გვიან — „ლირის“ ხალათს ჩემ-  
ჩემად უთვალთვალებს თეატრის გარ-  
დერობში... შემოჭმეღია და სწამს, ჯერ  
ყველაფერი არ დამთავრებულა, დღეს-  
ხვალ მისი რეჟისორი მოვა და აღმო-  
აჩენს.

ბატონ დიმიტრის კი გონება ნიჭზე  
არანაკლებ სალი ჰქონდა და ზღაპრე-

ბის მაინცდამაინც არ სჯეროდა. თუმ-  
ცა არც უამისობა იყო, უფრო სწორ-  
რედ, რეჟისორებისგან საკმაოდ დამა-  
გრულად გრძნობდა თავს და ხშირად  
გულზეც მოაწყებოდა რალაცა... მოაწყ-  
ვებოდა და უდაგილოდ, თითქოს ძილ-  
ბურანში ყოფილიყო, დიბუხუნებდა  
ხმამაღლა, სევდას გაურევედა გულმო-  
მწველს, ერთი ცხოვრებისას, ტანჯვისას  
ხმაში: ეხ, ხორავა, ხორავაო!... ამით  
იმისი თქმა სურდა, ალბათ, ხორავაც  
უროლოდ დაგვიჩებოდა დღესო. კა-  
ცმა რომ თქვას, თვითონაც არ სწამდა  
ეგ ბოლომდე, სხვა თუ არაფერი,  
სჯეროდა, ხორავა თვით რომ იყო ერ-  
თი დიდი თეატრი და ამ, სცენის უკუ-  
ღმა დატრიალების ეამსაც, როგორც  
ცალკე და ხელშეუხებელი, ერთი და-  
სის ტოლი და ფარდი იქნებოდა. ეტ-  
ყობა, ის უფრო იყო სანიშნო და და-  
საფიქრებელი, ბუმბერაზი მსახიობის  
ძალა, ენერჯია, ნიჭიერება, ხმა, სიმა-  
ღლე ისე იყო დღეს თეატრში მიმობ-  
ნეული და განფენილი, როგორც სცე-  
ნის შუაგულში გამსხვრეული ბროლის  
ლარნაკი, რომელსაც ვერ აკრეფდა და  
კვლავ ერთ მთლიანობად ვერ შეაკოწი-  
წებდა ვერც ერთი ოსტატი... დიმიტრი  
ჰეროიკული თეატრის ერთგული იყო  
და, თუ როლი მოერგებოდა, არ ჩააგ-  
დებდა, მაგრამ: როცა სცენაზე სხვა  
ადამიანად უნდა გარდაიქმნა, ხოლო იმ  
სხვის ისევ სხვის ნიღბით მაწვდი, აღარ  
მაკმაყოფილებსო, უთხრა ერთმა ახალ-  
ბედმა რეჟისორმა.

მაშინ მართლაც გადაწყვიტა თეატ-  
რიდან წასვლა... მაგრამ დიდი და პა-  
ტარა როლის საპირისპიროდ, სცენის  
მტვერი სულ სხვაა, ერთხელ თუ ჩაგ-  
ცდა ყელში, სანამ ორივე ფილტი ზე-  
ზეულად არ ჩამოგინებდა, ვერ მოიცი-  
ლებ და ვერც ამოისუნთქავ...

არადა, არ მოექცნენ კარგად დიმი-



ტრის, დიმიტრის არა — შალვას; ორმოცდაცხრა წელი სცენის სამსახური, გაზეთის მეოთხე გვერდზე, ისიც კუთხეში საცოდავად მიჭეჭყილი ნეკროლოგით დაუფასდა (ხვალ, ღლის სამ საათზე, რომელიღაც კულტურის სახლიდან გამოსვენებდნენ მსახიობს). გუშინ, თეატრის დირექტორთან მივიდნენ დიმიტრი და უფროსი თაობის რამდენიმე წარმომადგენელი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, დიდი და საქვეყნოდ ცნობილი, მათი აღმომჩენი რეჟისორის საიუბილეო წლისთავი იყო დაწინაშული, მოსაწვევები ადრე დაბეჭდილი და დარიგებულიც და, ცხადია, არ ჩაიშლებოდა. თუმცა, დირექტორიც დიდად შეწუხებული ჩანდა, მართო მე ვერ გადავწყვეტო, თქვა და ამ იმედით გამოისტუმრა შალვას კოლეგები.

სახლში გვიან მობრუნებული დი-

მიტრი წუხდა, წნევა სამჯერ გააზომინა ქალიშვილს, ველარ მოსვენდა დაფიქრებდა, ეღიბებოდა თუ არა შალვას მშობლიური თეატრის სცენიდან გამოსვენება... კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას დიმიტრისთვის, აწვანსვენებული მსახიობისთვის კი, ხომ არ ჰქონდა და არ ჰქონდა.

• • •

კაცს მუხლებიდან გაზეთი ჩამოუცურდა და იატაკს მსუბუქი შრიალით დაეფინა. კვლავ გულზე დაიდო ხელი, მიაყურადა...

დაფიქრდა.

საერთოდ, არ უცემდა გული თუ...

მაჯისცემა? თითქოს ნორმალური ჰქონდა.

გული?

თითქოს ჰქონდა და არც ჰქონდა.



თომას სტარნს ელიოტი

# როცა ყველა შინ არის

(ნაწყვეტი)

ქორო

ძველ ოჯახში ყოველთვის ყურს უგდებენ, უფრო ისმენენ, ვიდრე,  
 და რაც ითქმება, ოთახში რჩება — მომავალ თაობებს ელოდება —  
 რაც ახლა ხდება, წარსულში დაიწყო და მომავალს აწყდება  
 ვილაყამ უნდა შეიგნოს.  
 მთელი სიძლიერით.  
 ფარდებჩამოშვებულ საწოლ ოთახში გაჩერებული აგონია —  
 წარსულის ყველა ხმას იკრებს თავის თავში და მომავალში  
 მშობიარობისა თუ აღსასრულისა —  
 ანაწილებს.

კორღზე გაბნეული დისკანტები  
 ზაფხულში მოთიბული თივა  
 ძაღლები და ბებერი პონი  
 წაბორძიება და შეკივლება  
 შეშის დაპობა შემოდგომაზე  
 სამზარეულოში წაღიღინება  
 შუალამისას ფეხისხმა კორიდორში  
 მოულოდნელი სიძულვილის წამი  
 და გაუნდობელი სევდის სეზონი  
 ჩურჩული უტიფრული თვალთმაქცობა  
 და მოჩვენებითი გულგრილობა  
 ცუდი ნამუშევრის გაუმჯობესება —  
 ერთმანეთზე გადახლართული ეს ყოველივე  
 ფიქსირებულია და აღნუსხული.  
 ვერ გაეჭყევი ასეთ რამეებს  
 შელოცვებითაც ვერ მოიშორებ  
 და არგოსშიც თუ ინგლისშიაც  
 მუსიკის ბუნების თანახმად  
 ერთიდაიგივე უცვლელი კანონები მოქმედებენ  
 აქ ახლა ვერაფერს გახდები  
 ოღნავადაც ვერაფერს შესცვლი  
 და უკვე ის დროა ახალი ამბები გაიგონო —  
 ჩვენ ახლა ამინდის ბიუროსა და  
 საერთაშორისო მიმოხილვის გადმოცემებს უნდა ვესმინოთ  
 საყოველთაო კატასტროფებზე.

## ყოჩალი სვინი

...დაე, ყველა ხე ჩემს გარშემო  
 გახმეს და ცეცხლმა იავარკჷოს. დაე, ეს კლდენიც  
 დიდმა ტალღებმა დაცალეწონ, ხოლო ჩემს შემდეგ  
 უდაბნო დაშთეს... შეხე, აგე ბოზი ქალები!

კლდე დამიხატე ზღვის პირას მდგარი,  
 ღრმა ციკლადებში დანთქმული ფლატე,  
 ტალღებისაგან დახურული კბოდე  
 და ცივი ლავა, კუნძოვით მჩატე.

აქ ეოლუსი გამომიჩინე,  
 ის ქნარით უხმობს ზაფხულის ქარებს,  
 არიადნეს რომ უწეწავს დალაღს  
 და იალქანს რომ ზღვის ქაფთან გარეგს.

სახსარს და კიდურს დაჩხვლიტავს დილა  
 (ნაეზიკაია და პოლიფემე)  
 ორანგუტანგის ზოზინა ეესტი  
 სცილდება ზეწრებს ვით ორთქლი გემებს.

ბალნის დამკნარ და გაცრეცილ ფესვებს  
 თვალები იქით სიღრმეში ტიენის.  
 ნამგლისებური ოვალი თეთრი  
 ქვევით მუხლამდე გრძელდება თითქმის.

ხაზი თეძოდან ვიდრე ქუსლამდე  
 ზოგჯერ საწოლის ჩარჩოდან ხტება,  
 მერე ვით ზვირთი ვადარბის რწევით  
 და სულ ბოლოში თავდება ტერფად.

წვერის გაპარსვას შეუდგა სვინი,  
 დონდლო ტანი აქვს და გავა სქელი.  
 ის კარგად იცნობს ქალს და სახიდან  
 გაჭაფულ საპონს იწმინდავს ხელით.

(ისტორიაა, თქვა ემერსონმა,  
 წაგრძელებული ჩრდილიო კაცის.  
 მას არ უნახავს, წითური სვინის  
 ლანდი რა უშნოდ დევს ზღურბლის გასწვრივ).

სამართებლის პირს ისინჯავს წვივზე  
 და იცდის, როდის მიცხრება კენესა —  
 იქ ბნედიანი სხმარტალებს ტახტზე  
 და ცალი ქუსლით ქვეშაგებს ლესავს.

კორიდორში კი ქალბატონები  
დაირცხვენენ და შეჰყრიან კოპებს,  
გაიხსენებენ თავიანთ წესებს  
და უგემოვნო პრინციპებს გამობენ —

ისტერიასო აქაც კი ბევრი  
სულ სხვანაირად გაიგებს ალბათ.  
მისი ტერნერმა თქვა: ბევრი ცუდიც  
მოჰყვება ასეთ უცნაურ ამბავს.

აბაზანიდან გასულ დროის კი  
ჭერ კიდევ ასდის ბრტყელ ტერფზე ორთქლი,  
ხელში უჭირავს შაბის ნატეხი,  
პატარა ჭიქა და არყის ბოთლი.

### ქალის პორტრეტი

„...დაბ, შესცოდე,  
მაგრამ ეს მოხდა შორს აქედან, უცხო მხარეში  
და, ამას გარდა, მიიცივალა ის გოგო უკვე“.  
„მალტილი მხრებილი“

#### I

დეკემბრის მწუხარი... ბური იწვა ზედ მოაჯირზე —  
სცენა მოაწყვე ყოველივე ამისგან უცებ  
და სთქვი: „მე ეს დღე მხოლოდ თქვენთვის გადავარჩინე“;  
ოთხი სანთელი იღვენთება და უხმოდ ვუცქერთ  
ოთახის ჭერზე ნათლის ბეჭდებს... აქ ისე ბნელა,  
ვით ჭულიეტას აკლდამაში, კაცს ძალგის სადაც  
თქვა ყველაფერი, რაც კი გინდა, სადად და ნელა,  
ანდა სულ არ თქვა არაფერი ასევე სადად.  
ჩვენ ერთად უნდა მოგვესმინა მისი მუსიკა —  
ბოლო პრელუდი — გვეგრძნო მისი თმა და თითები.  
„მანც რა არის ეს შოპენი — ბნელ ბურუსიდან  
მაშინ ამოდის მისი სული, თუ მოწიწებით  
ისმენენ მხოლოდ მეგობრები — ორნი ან სამნი —  
არ აწვალებენ ამ დროს ყვავილს, უწყლოდ რომ სრესენ  
დიდ საკონცერტო დარბაზებში“.

და როგორც კვამლი  
ერევა ჩვენი საუბარი ზედ ყურის ფსკერზე  
კორნეტის ბგერებს — სინანულს და შორეულ სევდას —  
უკვე დაიწყო.  
„ვერ წარმოიდგენთ, მეგობარი რა არის ჩემთვის —  
რა ცოტანი ვართ ცხოვრებაში, სადაც ამდენი  
ჭუჭყია, ღმერთო!“

(ღიას, უნდა გამიგოთ-მეთქი,  
 ბრმა თქვენც არა ხართ  
 და ჭკვიანი კაციც ბრძანდებით).  
 საოცრებაა, თუნდაც ერთი ნახო ასეთი,  
 რომ არ მოაზროს გული შენი სუსხმა და თოშმა,  
 ო, რამდენს ნიშნავს, მე რომ ახლა გეზაასებით,  
 მაშინ ცხოვრება სხვა რა არის —  
 cauchemar!¹

ვიოლინოთა ხვეულები ხმაუცნაური  
 და კორნეტების  
 არიეტები

ჩემს ტვინში აღწევს უკვე როგორც აურზაური,  
 ის კი თავისას ერეკება თავგამეტებით,  
 მონოტონური კაპრიჩოზი —  
 თანაც არცერთი

პაუზა — აი, სუფთა „ფალცეტი“.

— ახლა კი, მოდიოთ, გავაბოლოო! —

ძეგლებს ვაფასებო,

თაყვანს ვცემო მათ და ვურტყამო ნაფაზებს,

მერე ცოტა ხნით ცხელ ამბებზე ვიმასლაათებო,

მერე ვასწორებო კურანტებზე ჩვენ ჩვენს საათებს

და გადავდივართ ლუდის ბაკალზე.

## II

აპრილი...

იგი ლარნაკს ავსებს იასამნებით,

ერთს ხელში სრესავს სიამოვნებით:

„ო, თქვენ არ იცით, თქვენ არ იცით რაა ცხოვრება —  
 თქვენ მას ფლობთ,

მაგრამ გეუცხოვებათ“.

(შემომხედავს და ახლა უფრო ნელა მოსრესავს).

„თქვენ მას გვერდს უვლით,

სულ გვერდს უვლით დღე და მოსწრება.

რა სასტიკია სიჭაბუკე, რა უღმობელი! —

გაელიმება და უმთავრესს ჩაუვლის უბრაოდ“.

მეც მელიმება, რა თქმა უნდა,

და ჩაის ვწრუპავ.

„მაგრამ ეს მზე და ოქროსფერი საღამოები

მაგონებს პარიზს და დამარხულ ცხოვრებას ჩემსას

და ბედისაგან იმ რაღაცას ისევ მოველი.

და სიხარულის წამებს წამზე ვკემსავ და ვკემსავ“.

ავვისტოს მწუხრი...  
 დაიჩხაპნა მისი ხმა ისე,

cauchemar — კოშმარი (ფრანგ.).

თითქოს დაცურდა ვიოლინოს გაწყვეტილ სიმზე:  
„მე მუდამ მჯერა, რომ თქვენ ჩემი გულისტქმა გესმით,  
გესმით ჩემი ხმა, მეგობარო, მჭახეც და სუსტიც,  
მჯერა, ვალმიდან ხელს რომ მიწვდით სულ, როგორც წესი,  
თქვენ ვერვინ დაგძლევთ, აქილევსის თქვენ არ გაქვთ ქუსლი.“

სულ ასე ივლით ძალმოსილი ურყევი ნებით,  
თქვენ შეგიძლიათ 'თქვათ:  
აი, აქ დაეცნენ სხვები.

მაგრამ მე რა ვქნა, მე რა ძალმიძს, რა უნდა შევექმნა,  
თქვენ რომ მოგართვათ, ანუ თქვენ რომ მიიღოთ ჩემგან? —  
სიმპათია და ჰიქა ჩაი... მგზავრობის შემდეგ  
ო, ნუთუ ჩემგან სულ ეს არის, რაც უნდა შეგხვდეთ?..“

მე შლაპას ვიღებ:  
მე ლაჩარმა და სულით უცხო  
ამაზე რითი ვუპასუხო და რითი ვუზლო?

თქვენ პარკში მნახავთ ყოველ დღით, ხელში გაზეთით,  
ვათავალიერებ სპორტის ამბებს, მერე იუმორს,  
განსაკუთრებით იმას ვუსვამ ხაზს, კანზასელი  
პერტოვი ჭალი სცენაზე რომ არ ნერვიულობს.  
შეიპყრეს ბანკის რომელიღაც თაღლითი წევრი,  
ბერძენი მოკლა ცეკვების დროს ვილაც ყვინჩილამ —  
არ მითრთის ნერვიც,  
როგორც წესი, თავი მიჭირავს —  
მე მაშინ ვლელავ, თუ შემთხვევით პიანინოს ხმა  
და ულაზათო თან სიმღერაც უცებ მომესმა,  
(ბალიდან სურნელს ამ დროს განგებ აფრქვევს მიმოზა)  
რომელს სხვა ეტრფის და იხსენებს სულ სხვა რომელსაც.

ნეტავ სწორია თუ მცდარია ეს ყველაფერი?

### III

ოქტომბრის მწუხრი... კვლავ ვბრუნდები ხელში ყვავილით,  
(წინა დღით კუჭი ამიშალა რალაც მიკრობმა),  
ჩამოვაწევი სახელურს და კიბეს ავივლი  
ისე, თითქოს-და დაკიდებულ მთაზე მივბობღავ.

„მამ საზღვარგარეთ მიბრძანდებით... კვლავ როდის გნახავთ?  
ო, ღმერთო ჩემო, რა კითხვას ვსვამ — სრული ფიასკო!  
რა იცით, როდის დაბრუნდებით, ჰაბტუკმა რახან  
ამდენი რამე უნდა ნახოთ და გაიაზროთ!“

მე კი ღიმილი სამშვენისზე გადაამაქვს ახლა...

„იქნებ წერილი მოიწეროთ“...  
ვიმღვრევი წამით;  
ეს აზრი უკვე გადავწყვიტე მე წინა ღამით.

„ზშირად, რამდენჯერ მიფიქრია შეუღამისას,  
(თუმც დასასრული არ უჩანდა დასაწყისს ჩვენსას)  
ეს ერთად ყოფნა მეგობრობად რად არ გადიქცა?“

თავს იმ კაცივით ვგრძნობ, უმიზნოდ, უკვე მეთასედ  
რომ იკრიჭება და როდესაც მოტრიალდება,  
სარკმელზე თავის საკუთარ ლანდს თვალს რომ შეასწრებს.

შეუვალობის ციტადელი იმსხვრევა ჩემი;  
უკვე დაღამდა. ბნელში თითქოს შიშველნი ვრჩებით.  
...თანაც ყველანი მხოლოდ იმას ამბობდნენ ერთხმად,  
რომ ერთმანეთი ამ გრძნობისთვის შეგვეყარა ღმერთმა.  
მე არ მჭეროდა... იქნებ თქვენთვის არ უნდა მეთქვა...  
ეს ყოველივე ბედს ვანდოთ ახლა...  
ერთ გულთბილ წერილს, მწამს, ხელს რომ გაჰყარავთ...  
გვიან, მე მგონი, არ შეგვხვდით, მაგრამ...

მე აქ დავრჩები და ჩაიზე ისევ მოგიწვევთ“.

უნდა ვისესხო ყველა ფორმა, ყველა ნიღაბი,  
რომ ჩემი გრძნობა გამოვხატო... უნდა ვიცეკვო...  
(მე თუთიყუშიც, მაიმუნიც, დათვიც ვიყავი).  
— მოდით და ერთიკ გავაბოლოთ, ო, მასპინძელო!  
(მე თუთიყუშიც, მაიმუნიც, დათვიც ვიყავი).

ჰო, ვთქვათ და, იგი მიიცვალა ერთ მშვენიერ დღეს,  
ნაცრისფერ მწუხრზე... ოქროსფერი საღამოს უღრში...  
მიიცვალა და მიმატოვა მე კალმით ხელში —  
სახურავეებზე კვამლისფერი მოძვრება ბური —  
ვყოყმანობ, ვხვნეში:  
ეს ყოველივე კურთხეული იყო თუ კრული?  
გვიანი იყო თუ დროული, თუ მხოლოდ ფუჭი?  
რატომ ვერ უნდა მიეღწია იმას მიზნისთვის?

ნამდვილ მუსიკას არ უხდება ბოლოს კისკისი —  
რადცა უნდა ინგრეოდეს, წამებს ითვლიდეს  
და ახლა, როცა ჩამოვარდა სიტყვა სიკვდილზე,  
მაქვს მე უფლება გავიღიმო?

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიჟინაძემ



აზიზი აზიზი

## დიდი მსაპრიმენტი პატარა ძალაში

შთავარი ძალა, რომელმაც მკვეთრად შემო-  
აბრუნა მთვევთა კომერციის თითქმის  
ხელაღან წასული საქმი, ცხადია, ადამიანები  
გახლავთ.

ადამიანები...

მაზე განსაკუთრებით უნდა ითქვას:

ფაქტია, რომ ეკონომიკური ეფექტების შთა-  
ვარი წარმართველი ძალა ძირითადად წინგ-  
ბრძოლის ეყრდნობა. ეკონომიკა კომპლექსურ-  
სინქრონულ ცოდნასთან, ორგანიზაციულ და,  
რასაკვირველია, კომერციულ ნიჭთან ერთად,  
პატიოსნებით აღსავსე ადამიანებს საჭიროებს.

სულიერად მდიდარი კაცი, თუ მინდობილი  
საქმიც ხელეწიფება, — საკუთარ პრინციპებს  
არ უღალატებს, სიცრუე-ობიანობას ვერ იგუ-  
ბებს, ტრიუმფაზე ენად არ გაიკრიფება და არ  
„იოჭრობირებს“, — „ბევრი ღაპარაკი და ბე-  
ვრის თქმა, ერთი და იგივე არ არის“, —  
ჯერ კიდევ როდის უთქვამს სოფოკლეს...

ასეთი კაცი — პიროვნებაა...

ამ თემას, ცოტა ქვემოთ, კვლავ მივუბრუ-  
ნდებით, ზოგიერთათვის ხატბასაც არ დავი-  
შურებთ, რასაკვირველია, სათანადო აწონ-და-  
წონვის შერმე, დამსახურებისამებრ, თორემ  
ღმერთმა წუ ქნას, შენგან ნაქებ კაცს, რაგინდ-  
რადგარ ტაბტ-საბრძანებელსაც უნდა ფლობდეს  
იგი, ერთი ადილოც რომ შეეშალოს, — სად  
გინდა გამოსუთ თავი?!

წრისგანასული ქება-დიდება დიდი უტაქ-  
ტობაა, — გვასწავლის რომელიდაც ბრძენი.  
შე ვიტყვოდი, დიდი უტიფრობაც, ვნება-სნების  
შეტი არა მოაქვს რა ამგვარ საქციელს. ავი  
პოპრატებს საწყმისოც ერთხმად აშტაყებს:  
ზედშეტი შაქრის მიღება კაცს დიაბეტით აავა-  
დებს...

კალმისკაცი ამ ორჯერ ორი — ოთხივით ვე-

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 9.

შეპირებებს ანახანად თუ არ ირწმუნებს, კა-  
ლაშივე ხელის აღება უფროს, საერთოდ.

მაგრამ ვაი, რომ ზოგ ჩვენგანს შეტოსშეტად  
ხელგეშობაქვება ოდა-ზობათა თხევა, — ამ  
მეწინასირზე უზუნველ-უტკიავლოც ცხოვრების  
ყველაზე გაცვეთილი, ყველაზე პრიმიტიული  
საშუალება.

არადა, შე და თქვენ, ბევრის მომსწრე მკი-  
თხეველს, მრავალი „ეპისტოლურ-მაგიორაფი-  
ული“ წიგნი გადაგვიფურცლავს, რომელთაც  
არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ ერის კუ-  
ლტურაში, დრომ ქორთოიკონთ აღწესბა მხო-  
ლოდ, ენა და ეგ-

და თუ ამ ნარკვევის ძირითად სახაზბრ მო-  
გისტრალსაც ავცდები გზა-გზა, ვიცი, ანასდ  
შომიტივებთ, კარგად მოგეხსენებათ, ექსპერი-  
მენტთან გვაქვს საქმი და... ოღონდ გულწრფე-  
ლობაში წუ დიბევედებით, — იმას ვწერ, რა-  
საც ვფიქრობ.

დავუბრუნდეთ სათქმელს:  
ჩვენ ცოტა ზემოთ ეკონომიკური ეფექტბა: ს  
შთავარ შამოქრავებელ ძალაზე — ადამიანზე  
განსუტობდით.

აი, ერთი საყურადღებო მაგალითი:  
ფოთის მეთევთა კომერციის გამგეობის  
თავმჯდომარედ ნიჭირი (არ ვუპარებ) კომერ-  
სანტის შოთა მეგრელიშვილის არჩევამ მნიშვ-  
ნილოვანად განსაზღვრა ორგანიზაციის წინგ-  
ლა-აღმავლობა და, რასაკვირველია, საფინან-  
სო-ეკონომიკური მდგომარეობაც.

შე საგანგებოდ ვამაზებებ უსრადღებებს სი-  
ტყვაზე „კომერსანტი“.

რატომ?  
მიტომ, რომ ჩვენში ტექნიკურ თუ საწარ-  
მოო სახელებზე, ახალ წამოწყებებზე ერთ  
ხაზურს ავტებთ ხოლმე პრესაში, ხოლო შთის  
კომერციულ სარგებლობაანობაზე ნაკლებს  
ვღაპარაკობთ, ზოგჯერ ვდუშვართ კიდევ. ეს  
კი არა, საერთოდ, თვით ამ სიტყვის — „კო-



მერციის“ სმარებას ვაფორნივართ, — რატომღაც ვგონია, რომ ეს სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზტორ ბიზნესს ეხებადებოდა.

მოდე და წუ დაიჭერებ, უცხო სიტყვათა ლექსიკონში ეს სიტყვა სწორედ ასეა განმარტებული: „კომერცია (ლათ. commercium) ვაჭრობა (მურთუაწოდ საზოგადოებაში)“.

მე კი ვგონია, რომ სოციალისტურ საზოგადოებასაც სჭირდება კომერცია და კომერსანტები (უბნისოდ ეკონომიკა წარმოადგენილია), მხოლოდ ისეთი კომერსანტები, რომლებიც საკუთარი ეს არა, — სახელმწიფო ბაზინისათვის წარუწევენ.

შოთა შერგლიშვილი სწორედ ასეთი, საბჭოური ტიპის კომერსანტია. საბუთად კონკრეტულ ფაქტს მოვუბნობ: ამას წინათ, პარტიულ სანგარიშო-საარჩევნო კრების წინა დღეებში მან და ცეკავაშვიის ვაჭრობის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსმა ავთანდილ პაიჭაძემ ქალაქის პარტიულ აქტივს დაათვალიერებინეს მათს გაშვებლობაში შეზავალი ყველა ობიექტი. დათვალიერებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მეც ვმონაწილეობდი ამ შემოვლა-დათვალიერებაში.

სანგარიშო პერიოდში მათთაყვის ტერიტორიაზე არსებული ძველი, ტანგოციდებული სასადილო კომპერატორებმა გადააკეთეს თანამედროვე ტიპის რესტორნად, აღჭურვეს ახალთაალი ავეჯით და ტექნოლოგიური დანადგარებით. ახლა ამას დაუმატებ ჩინებული საესტრადო ორკესტრი და სხვა ქალაქებიდან მოწვეული მუსიკოსები. ამჟამად რესტორანს ემსახურება რიგის „ვარიტები“.

ახლა ფსენბიც ვეყოთოთ. მგარი სასმელებს — ღვინის, კონიაკისა და არსის ღირებულება აქ იზღვეა, რაც სხვაგან, —სტანდარტული. ბოლო, რაც შეეხება კერძებს, გაცილებით უფრო გემრიელია მაწიერად და, წარმოადგენით, იაფიც.

რატომ?

— რაგორც, საერთოდ, ცნობრებაში, ვაჭრობაშიც დაუწერელი კანონები არსებობს, ბატონო... — მიზნის შერგლიშვილი, — თუ გვიდა მუშტარაშ მადლიერი ვუყავდეს, საქონლის ხარისხი უნდა ავამაღლოთ, ხოლო ფასი — დავაძლოთ. ამით ვაჭრადი პროდუქციაც შეიძლება მოხლოვდება, თანაბრად გაიზარდება წარმოებაც. ე. ი. ვაიზრდება პროდუქციის რაოდენობა, ხოლო შეტი რაოდენობა (რა თქმა უნდა, თუ პროდუქციის, ამ შემთხვევაში კერძების კომერციულ ხარისხს დავიცავთ), შეტი მოგებას მოგვცემს. მოსახლეობადაც ვედიულობით პროდუქტებს. რასაკერძეელია, გარბეებით. ამის მიხედვით ჩვენ ჩვენი შებედულებით ვაწესებთ კვების სხვა ობიექტებზე მოქმედ პრინციპრანტთან შედარებით ნაკლებ ფასებს და თანამშრომელთა შიერ მიზი თუნდაც უზენაშენილ დარ-

ღვევის თითოეულ ფაქტსაც განსაკუთრებულად სისხატოით ვუკიდებთ.

სწორედ ეს გახლავთ მოგებინ- ერთ-ერთის საიდუმლო.

— გამოდის, რომ თქვენ კონკურენციას უწევთ ანალოგიურ ობიექტებს!

— კონკურენციის ვაჭრე ვაჭრობა არ შეიძლება, ბატონო... — დიდიხა შერგლიშვილი.

შოთი დღე მოვუწედი კომერატორთა ობიექტების შემოვლას.

...რესტავრაციის შერმე სრულიად ახლებური სახე მთლიან სასადილო „კაპარტინას“, გაუღადებთათ სავაჭრო ფართობი, მუდუტი, საშხარელო, შოლიანად შერუცვლიათ ავეჯი და სამაცივრო დანადგარები, ეზოში შერგული ოდა და ფასი ჩაუღვანო.

...საოყენო თევზების სამმართველოს კვლასთან ჩინებული სასადილო გაუზნისათ. კაპიტალურად შერუტებიით და ახალი დანადგარებით აღჭურვითათ ზნ შ სამრეწველო და რვა სახურსათო მაღაზია. რეკონსტრუქცია უტარდება ზნ 1 და ზნ 2 საკომისიო მაღაზიებს, ზნ 1 სამრეწველო მაღაზიას, სასადილო „შენბადურს“, ნინოშვილის ქუჩაზე დაუწეით უნივერსალური მაღაზიის აგება, რომლის ასაშენებლად შერეწეთათ კოლმურენობა „ქალბეთში“ 70 ათასი მანეთი გაალო. ექსპლუატაციაში გასაშვებად შნადაა აღმუცატური საქონლი მოვაჭრე მაღაზია, რომელიც მოემსახურება სოფლის შერსენობის პროდუქტების ჩამხარბლებს. მუეობარს ჩადგა სასაკლო შოელინი, ნაკლადის კუნძულზე ეწყობა დამმარე შერსენობა, ამჟამად აქ მუეობის ინტუბატორი, შენდება მძლავრი სასაწყობო შერსენობა, იწყებენ კომპერატივის აღმინსტრატული სახლის რეკონსტრუქცია.

ამას წინათ შერეწეთათ კომპერატივა ტერიტორიულ-დარგათორის ვაჭრთაწინასთან ერთად, ქალაქში, კიროვის ქუჩაზე გახსნა კეთილშეწყობილი საკომისიო და სახალხო მობმარების საგნების მაღაზიები, რომელთაც პირველდელიდანვე შრავლად შიიწია შეიდეგლი პირველიშე უწყვეტად და უხვადა მაღალი ხარისხის ძროხისა და ღორის ხორცი, სხვადასხვა ასორტიმენტის ძებვეული (სერვადადი, მონადირული, უკრანული), ნატურალური თაფლი, ყველი, ნახევარფარსიკატები (კატლიტი, ტოლმა, კუბათი, ბლინი და სხვა). პროდუქტებს მაღაზია კომპერაციის წესით იძენს კერძო პირთაგან. საგულისხმოა, რომ შესაქენსა და გასაყიდ ფასებს შორის სხვაობა უზენაშენილათ ხოლო შოერ მაღაზია ვაჭრობს ქალაქის საწარმოებში საწარმოო ნარჩენებისაგან დამზადებული საშერსენო საქონლით. კერძოდ მომხმარებლები აქ იძენენ ადგილობრივი წარმოების თეთრულს, ტანსაცმელს, ტანსაცმლის საკიდრებს, ანჟამებს, სხვადასხვა სახის საშხარეული ინვეტარობის სადგარებს და სხვ.

აი, როგორი შედეგი გამოიღო აღმნიშნთა თავწიანობამ, გერცილიანობამ, მინდობილი საქმისაღმე ერთგულებამ და... კომერციულმა ნიჭმა.

— ვინაშე ფეხი არ წამოქრია სადმე... ხომ იცი, უკველ დონისძიებაზე რეკომენდაციას წვიდიან იმდევინო, — აფრთხილებენ ზოგჯერ კომერციულებს თავჭედობარებს მოშურნე-მოშულდარო დოკუმენტაციებში.

— ადგილობრივ დონისძიებას — ადგილობრივი რეკომენდაცია სჭირდება... ამა ჩვენ რაისი მაქნისები ვართო, — პასუხობს პრაქტიკოსი მეგრელიშვილი.

ოღონდაც... შე დავინტერესები მეგრელიშვილით. ნელ-ნელა გავუშინაურდით კიდევ ერთმანეთს. ნაკითხი კაცია შოთა. ცოტა ენას უყიდებს, მაგრამ მაინც კარგი მოუხარია, — გულწრფელია, ლოგიკური და ალბათ იმეტომ.

ერთ წვიმიან საღამოს მალთაყვანო მესტუმრა. ჩიი გაფაჩნადე რადაც უფუნებოდ მიტყენა ჩემი ბუღალარი.

— რა მოხდა-შეთქი, — ვეკითხები.

— რა ხასიათზე დადგებო, როცა გთავაზობენ კარგ საქონელს, ფაქტიურად კი ამავე არტიკულით ვაგზავნიან უზარისხოს.

— ერთი, თუ კაცი ხარ, კარგად ამბახენი, — ბლოკნოტი მოვიმარტვე.

— ზეტუვი: ჭველად ამბობდნენ, ვაჭრობამ მეგობრობა არ იცისო. სამწუხაროდ, როგორც ჩანს ამ ომპოციდებულ მეტაფორას დღედაც არ გასულია უყვლი. ვაჭრობაში არსებული დისპარაობის ერთ-ერთი მიზეზი ისეც არის. ვაჭარულურ რუსეთის ერთ-ერთ საოლქო ქალაქში გამართულ ბაზრობა-გაშოფენაზე ვიყავი. ისეთი კარგი საქონელი ვნახე გამოფენილი, რომ თვლი შედ დამარა. უფოშაზოდ გავუფორმე ბელშეარულბა წარმოების წარმომადგენელს, რაკი ვიცოდა ეს საქონელი ფოთში უმაღლესი ვაჭარობდა. „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, — კონტინენტები მივიღე დღეს როგორც იქნა... გავხსენი და რას ვხედავ: ჩემი მოწოდებული საქონლის ნაცვლად გამოვგზავნიათ ჩვეულებრივი უზადრუცი ნახევრები... მაგნიარი „საქონელი“, ბატონო, საწყობებში გორებად მიწყვია... — ეს როგორ?! — როგორ და, ზოგიერთი მწარმოებელი ხაიქსპოლიციო-საგაშოფენოდ საქონელს ამზადებს სპეციალურად, ხოლო ვაჭრობის ქსელისთვის ჩვეულებრივ. რა ენაღვლებო, — თავი ქულში აქვთ, — ხელშეკრულება ხომ მოგების გარანტიაა?

— თქვენც ადგილთ და ჩამოწერეთ ის უვარგისი საქონელი, ან ფასი დაუკელით.

— ასეც ვაკეთებთ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენს ბარტზე ხდება ჩამოწერა... ახა, თავად განსაჯე, — ოცმანეთიანი ქაღისი 6 „მნათობი“, № 10.

ხელმანთის დირებულბა თანდათანობით ორ მანეთამდე დაეფუანეთ...  
— ორ მანეთამდე!

— დიას... მაინც არ გაიყიდა. ე. ი. ვიხარა ლეთ. მწარმოებელმა კი, რაკი ეს საქონელი სერთულად გამოუშვა და რაოდენობრივი ვეგმატ შეასრულა, — მოიგო. ის კი არა, ვალდებულების „პირდაპირი“ შესრულებისათვის ფულადი თუ სხვა მასტიმულირებელი პრემიებიც „დაიხსახურა“.

— რა უხეველება ამას, შოთა? — სასტიკი სახელმწიფო კონტროლი. ამინარი „მოგება“ ხომ აურაცხელ ზარალს აყენებს, სავაჭრო უწყებაზე რომ არაფერი ვთქვათ, — საერთოდ, სახელმწიფოს. საწარმო-სავაჭრო ურთიერთობა უხეველად პირიანობაზე უნდა იყოს აგებული. აქ მოგებას სხვათი ზარალით კი არ უნდა აღწევდო. კომერციული ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ თანასწორუფლებიანობის, ორმხარევი მოგების გათვალისწინების შემთხვევაში. ახა, რა არის აქვს ისეთი საქონლის სერთულ გამოშვებას, რომელსაც მომხმარებელი არა ჰყავს, — უჭმად იხარტება ნედლეული, ელექტროენერჯია, სათბობი და ადამიანის შრომა... — სიზიფეც შრომობდა...

— სიზიფეც შრომობდა, სუვარელი, მაგრამ, თუ არ ვცდები, თავისი უნაყოფო შრომით საკუთარ თავს აყენებდა ზიანს მხოლოდ, — ქვეყანას კი არა. ერთი ჩვენი ვაჭრობის, ვინა სხვა უწყებების საწყობებში და სარდაფებში ჩაგახედა, — ამდენი ომპოციდებული, დეკარგული მილიონები აწყვეა შვგ — გული შეეკუმშება...

ეებს, ვიცე, მენსის შენი გულისტკივილი, მეგრელიშვილო...

ვაჭრობის საქობებზე ცალკე საუბარი მქონდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგე მარტენ ფარულიათთან და „ლთავაჭრობის“ მმართველ თამაშ შექვაბიშვილთან.

— ქილს, ათ თვეში, — ამბობს ფარულია. — წინააქის სავაჭრო ორგანიზაციებმა საქონელბრუნვის დავალება 100,2 პროცენტით შეასრულეს, მოსახლეობას ვეგმატს ვადაშეცებით მიჰყიდეს 101 ათასი მანეთის სამარტველო და სასურსათო საქონელი. ერთ სულ მოსახლეზე საქონელბრუნვამ შეადგინა 981 მანეთი, რაც გასული 1982 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 72 მანეთით მეტია. მაგრამ, როგორც სხვა მონაცემებიდან ჩანს, ყველა ორგანიზაცია არდო უთმობს სოანალო უზრადლებას ვაჭრობის საბოლოო შედეგს, — კომერციულ მხარეს. მიმდინარე წლის ათი თვის დავალებათა შესრულებაში ჩამორჩნენ „იუველირვაჭრობა“, „ხილბობტანვაჭრობა“, „საქყოფრტმშენ-მომხსარბეობა“, „ნავთობმომარაგება“ და სხვა ამ ორგანიზაციებმა მილიონ 427 ათასი მანეთი

დააკლეს საერთო საქალაქო გეგმას. ეს კი მთელი საქონელბრუნვის მ პროცენტია.

— მივწვი?

შეკვამიშვალე, ისევე როგორც მებრუნელები ვაჭრობაში არსებულ ხარვეზებს ძირითადად ვაჭრობისა და წარმოების არაადეკვატურ ურთიერთობას ახრადლებს.

— მოავარი არბიტარი მომხმარებელია, — ამბობს იგი, — უფარგის საქონელს არ იყიდის, უფრო მეტიც, — შექთადაც რომ აძლიო, არ აიღებს. ასე რომ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხოლოდ პლენუმის მიერ დასმული ერთ-ერთი ამოცანა, — „როთ ვივაჭროთ?“ — გულწრფელად ვითხოვთ, — ჭრჭერობით გადაუწყვეტელი არჩება.

— ვაშოსავალი?

— თუ თავგზიანად წარგზარათვთ საქმეს, ვაშოსავალი მოიძებნება. ჩვენც გულზედღაყრეული როდი ვსხედვართ, — ვერებთ ოპტიმალურ გზებს. არ არის საიდუმლო, რომ ქვეყანას სასაქონლო რესურსების ნაკლებობას განიცდის, მაგრამ არც ეს არის საიდუმლო, რომ რაღაც საქონლისა ქვეყნის ზოგ რეგიონში ძალზე უარსადაა, ზოგან კი სულაც არ არის, ამიტომაც ბოლო ხანებში ვაწარმოებთ ისეთი საქონლის თვითშესუიდავას, რომელიც კონიუნქტურის მიხედვით ენაჭიროება ქალაქს. ჩვენ უკვე დაუწყართ კომპროციული კავშირი ქვეყნის სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციასთან. მაგალითისათვის დავასახელებ ვოლგოგრადის ოქლეს ქალაქ ბიკოვოს, საიდანაც მიმდინარე წლის თერმიტ თვეში შემოვწოდით დაახლოებით 650 ათასი მანეთის სასურსათო და სამეცნიერო საქონელი. სამაგიეროდ ბიკოველებს მივუადით ჩვენთვის უარსი საპარტიუმერო, თამბაქოს ნაწარმი, მინერალური წყლები და რამდენიმე დასახლებების სხვა საქონელი.

— ასე თუ არ მოვქეცეთ, — აკონტრეტებს ვაჭრობის განყოფილების გამგე ფაჩულია, — ამქერად შექმნილი კონიუნქტურის პირობებში ცენტრალურული წესით დაწვებული სასაქონლო რესურსების ხარჯზე საქონელბრუნვის გეგმა არ შესრულდება. ამ ურთიერთობით კი მივადინეთ იმასაც, რომ ქალაქს უკეთ ვაჭროფლებთ კარაქით, ძებვით, შაქრითა და სხვა სასურსათო პროდუქტებით.

— კიდევ ერთი პრობლემა წამოაყენა მესხეთე პლენუმმა, — განაგრძობს შეკვამიშვალე, — „სად ვივაჭროთ?“ ვერ დაგვიმადეთ, რომ ქალაქში ვაღლაგებული სავაჭრო ობიექტების უადრესად დაბალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დანაშაულის ერთ-ერთ ხელისშემწეობს ფაქტორს წარმოადგენს. საწუობებში, მაღაზიებში დგება წყალი, ფუჭდება საქონელი.

— დაიბ, — უდასტურებს ფაჩულია, აგრეთვე, თუ ობიექტი ვროვდება დღეი რაოდენობის ნაშთი, იქმნება დატაცების საშინაოებიც, — ძნელია კონტროლი და იმტამ. ამის ვარ-

და, საქონლის ბრუნვის გეგმები წლითიწლოებით იზრდება, ბოლო ქსელი, როგორც შეკვამიშვალე, ისევე გარგნული ვაჭრომენით იგებრჩება. იქმნება დისპროპორციები. ცხადია, თუ ქსელი არ ფართოვდება, — მომსახურებაც ვერ გაუშქობსდება.

— კადრები? კადრების საქმე როგორა გაქვთ? — ვეითხები მათ.

— როგორ ვითხოვთ... — პასუხობს ფაჩულია, მიუხედავად იმისა, რომ დატაცება-გაფლანგვის ფაქტები ქალაქის სავაჭრო ქსელში ბოლო ხანებში საგრძობლად შეშცირდა, ღაქსა საბოლოოდ მოქმენდელი გვაქვსო, — ვერ ვიტყვიო... აი, სწორედ ამ საპარცივიო ღაქის მოცბებას ერიდება ახალგაზრდობა, — ამიტომაც უფრობის ჩვენს სტეროში მუშაობას. მერე კიდევ, საერთოდ, ჩვენი დარგის მუშაკებს იშვიათად თუ უშქობსდება საყოფაცხოვრებო პირობები, დაახლა ანაზღაურების დონე. რა ვიცო, ნუთუ ასე ნდობადაქარგული ხალხი ვართ?!

...მასხენდება შოთა მებრელიშვილის კიდევ ერთი გულსტაკიელი, რომელიც ერთ-ერთ საუბრისას განიზარა და რატომღაც მაშინ არ ჩავიწერე:

— შე არ წამოიბთავს არც ერთი მატერული ნაწარმოები, არ მინახავ არც ერთი კონოფლიმი, ჩვენი ავ-კარგი ობიექტურად, მთელი სიმართლით რომ აესახოს. ოქვერ, ძმარ, მწერალები, ურნალიხტები, კინემატოგრაფისტები, ვაჭრობაში მარტო ნეგატიურ მოვლენებს ამწნევთ... მთლად მახე არ არის, საყვარელი... ახა, ერთი ჩვენს ადგალას წარმოიდგინეთ თავი... სინქთო რავარი საქმეა ნემსის უუნწში გაძრობა..

დაიბ, ვაჭრობაში პრობლემები ბევრია, მაგრამ, რაც მოვარი და განსაკუთრებით ხაზგასასმელია, ახლა უკვე ბოლდოა, მიჩქმალდოა არ არის. დღეს, როგორც დარწმუნდით, ვაჭრობის მუშაკებსაც არ ერიდება „საკუთარი ქობიდან ნავების გამოტანა“, — რაკი გრძნობენ საყოფელითა ყურადღებას, რაკი ტარდება სავაჭრობის ღონისძიებები.

ურთაღლების დასტურად კვლავ დოკუმენტს მოვუბმოთ.

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლევამ და ფოთის სახალხო დემუტატოთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დაამტკიცეს ქალაქ ფოთში სავაჭრო მომსახურების გაუშქობების ერთობლივი ღონისძიებათა გეგმა 1968-85 წლებისათვის.

გაგანობთ ამ დადგენილების ზოგიერთ მაგარაფს.

...ქალაქ ფოთში სახელმწიფო ვაჭრობის ქსელის განმტკიცების მიზნით საქალაქო საბჭომ სრულად გამოიყენოს საბინაო მშენებლობის მ პროცენტთანაი ანარციბები;

...ტრიტორიულ-დარგათშორისმა გავრთიანებამ მთაწილის სავაჭრო ორგანიზაციებზე ვაგონებისა და კონტინერების გამოყოფას ბაზრობებზე და სხვაგან გაუიფლებო საქონლის დროულად გადასაცემად;

...სავაჭრო ორგანიზაციაში საქონლის ჩამოყვანება, რეგონში მოხდეს ერთიანი პრესკურანტი. სასაქონლო ჭკუფებში ადგილობრივი შეხედულებით, — წიგნგაშორი მოგებისა და თავისუფალი ჩამოყვანების სახსრების აგარისში;

...საქატიკაში დანიერგოს მოგების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ვაჭრობის მუშაობა პრეზერვა მატერიალური წახალისების ფონდითა;

...საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შრომის ორგანიზაციაში და ხელფასის, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშებისა და საფინანსო სამმართველოებში განისაზღვროს „ფოთვაჭრობაში“ შრომის ანაღურებისა და მატერიალური სტიმულირების გაუმჯობესების მიზნით ეკონომიკური ექსპერიმენტის დაწერვას შესაძლებლობა ქალაქ მოსკოვის „გუმის“, „ბერკო-მანისისა“ და „ბერკოვის“ უნივერსიტეტის მხალისობით, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო გეგმა-დავლების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის მატერიალური სტიმულირების გაზრდას მოშუავეე პერსონალის ნაკლები რიცხვების პირობებში.

ესე იგი, — ექსპერიმენტი ვაჭრობაში! ფოთლები აქც ოპტიმისტურად გამოიყურებიან.

უბოლოში მომავალი ვითებებს შედეგს... იგი, გულწრფელად ვითხოვთ, არც მთლად იხეა საქმე, როგორც ზოგაერთ ნაქალაქტრად განწყობილი („პრადის“ ეკონომიკური მიმომხილველის ვიარხსდაე გონჩაროვის სიტყვებს ვიშეორებ, — მომეწონა). „პასუხისმგებელ, ნახევრად პასუხისმგებელ და სრულად უპასუხისმგებლო აშხანაგებს“ წარმოუდგენიათ, — რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომსახურების, ავტომეურნეობის სფეროს მრავალი საინფუზო მუშაეი მოეპოვება: მათ შორის ფოთლებიდან — ვიქიე წურწუშია, შოთა მეგრელიშვილი და ჭრტუე კანტორია რომ არ დავახებლო, ჩემი მხრივ არაობიექტურობა, უფრო მეტი, — დაუთხარაობა იქნებოდა.

მათი მუშაობის მავალითა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, — მოავარი მაინც სადევებე უყოფილა. სადაც ამ სადავეებს უხიანი, ორგანიზატორული და კომერციული ნიჭით დაქაილდობელთა ადამიანებე მართავენ, — საქმე უცეთესობისაკენ მიდის.

კიდევ რამ მიიძღობა მათი ქება-წარმომჩენა? — ამ აშხანაგების სოციალური კრედიო, — პირადულისა და საერთოს ცნება ერთ მთლიანობაში, მხოლოდ საზოგადოებრივი ხარავებლია-

ნობის თვალსაზრისით ისაღერებოდა არა ზოგაერთებებით ე. წ. ენოს პოლიტიკურ სწორედ ეგ ხალაუთ წარმავების აღტერნაციო.

შესპირინგენი ბანკში.

დოვლათი იქმნება ანგარიშთანობით, მომჭირნობით, — ეს ანბანურთ ქეშმარტობაა. ამ საქმეში, რაე იგი ბოუქტოან, ფულთან, ფინანსებთან, გეგმებთან გახალაუთ დაავშორებელი, სტიქიურობა გამოაცხული უნდა იყოს. აქ საფულდავლოდ მოფიქრებული, შეცინერული მეთოდის გარეშე ვერაფერს გააწყობს კაცი. ამიტომაც საგეგმო, ეკონომიკური და საფინანსო დარგებ ფოთის ექსპერიმენტში უყვლავე რთული უხნება.

ორ წელიწადზე მეტი დავაეი ფოთში. ვერ დავიხალაუთ, — ყველაზე მეტი დრო საგეგმო-საფინანსო მტყუნეული საკითხების შესწავლას მოვანდლოე. „შესწავლას“ — არა, მეტი სტიქი გამოაღის, — ზოგადად რომ გათვითცნობიერებულაუყვეი მაინც. არადა, უამისოდ ვერ ავხსნიდო, ვერაფერს ვაუფლებო ექსპერიმენტის დედაარს.

ამ საქმეში დიდად დამეშარენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ჭეშალკახიანი, აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე გურამ კოლა და გავრთიანების საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი ალექსი მისანოვაე. კახიანმა საფუქალიანად გამაცნო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტროს საბჭოს დადგენილების (რომელიც ეხება ქალაქ ფოთში, მასპარაბისა და საგარეჯოს რაიონებში განლაგებულ სამეურნეო ორგანიზაციების სახანკის დაწესებულებების საქრედიტო ურთიერთობის სრულყოფისათვის ექსპერიმენტის ჩატარებას) შესასრულებლად ქალაქში მიმდინარე პროცესები, ჩატარებელი ღონისძიებე.

— პარტიის საქალაქო კომიტეტის XII პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება გამახვთილა ქალაქში მიმდინარე სამეურნეო ექსპერიმენტთან დაავშორებით: საფინანსო, ეკონომიკური და საბუღალტრო-სააღრიცხვო მუშაობის ამაღლების ამოცანებზე. პლენუმმა ექსპერიმენტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მიიჩნია საქრედიტო-საანგარიშსწორებო შექანაზნის როლის გაფართოება წარმოება ინტენსიფიკაციის პროცესების დასაქარებლად. ქალაქში ჭერ კიდევ დიდია ისეთი სწარმოების რიცხეი, — განავჭო კახიანმა, — სადაც უფულავებელყოფილია სამეურნეო ანგარიშთანობის პრინციპი, უყარათოდ იყენებენ მატერიალურ რესურსებს, ადგილი აქვს დედაქალი სპარუნავი სახსრების გაყინვას, ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და შხა პროდუქციის ზენორმტიულ ნაშთებში.

არ ავად გამორჩეული...  
და ზემო ან სცანიო ყოველმან,  
მას ვაჭებ, ვინცა მიქაა“.

გამოთქვა ვარაუდო, რომ რუსთველი უნდა ყოფილიყო თამარისადმი მიძღვნილი ოდების ავტორი.

ნ. მარა შეეცადა დაემტკიცებინა რუსთველისა და ჩახრუხაძის იგივეობა. რაღა თქმა უნდა, ამისათვის მან ობიექტური მცენიერული საბუთები მოიშველია. ერთ-ერთ შესაბნებათხვან საბუთად ისიც იყო თქმული, რომ „თამარიანი“ მხატვრული თვალსაზრისით არ ჩამოუვარდებოა „ვეფხისტყაოსანს“. დიდი მცენიერი ამ დასკვნამდე იმას მიუყვანია, რომ, მიხივე თქმით, თამარიანსა და ვეფხისტყაოსანს აქვთ მსგავსი რითმები, ლექსიერადაც ხშირად ემთხვევიან ერთმანეთს, მოიძებნება, აგრეთვე, მსგავსი პოეტური სახეებიც და ა. შ.

მაღე ნ. მარას შეეცადა შეხედულება და მათი ავტორები ხხვადახხა პოეტებად აღიარა, თავისი ადრინდელი პიპოთეის მცდარობას ახლა უკვე იმ მცენიერული საბუთით ამტკიცებდა, რომ მაშინო

«Мало было уделено микросозерцанию «двух поэтов», иначе трудно было бы отождествлять с Шотой аналогаeta христианской идеологии Грузии — Чакрухадзе).

(როგორც ვიცით, ჩახრუხაძისაგან განსხვავებით, რუსთველი ნ. მარას მუსულმანური იდეოლოგიის აპოლოგეტად მიანდა).

შემდეგში ნ. მარა კვლავ უარყო ეს პიპოტეაც და კვლავ პარველ შეხედულებას დაუბრუნდა (თავისთავად ცხადია, ისევე ობიექტური მცენიერული საბუთების საფუძველზე).

ილია ჭავჭავაძე თავის პოეტურ ადლოზე დაურდნობით (ცნობილია ისიც, რომ ილია ამ საკითხთან დაკავშირებით იზიარებდა თავისი მსწავლეების და ჩუბანაშვილის მოსაზრებას) იმას ამბობს, რომ ვეფხისტყაოსანი და თამარიანი მხატვრული ძალით ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა (დღეს დოკუმენტალურადაც რომ დამტკიცდეს რუსთველისა და ჩახრუხაძის იგივეობა, ვეფხისტყაოსანსა და თამარიანს, ალბო, მიინც ვერ მივიჩნევთ ერთი დონის მხატვრულ ფენომენად). ილიას შეხედულება რუსთველის პოეტურ გენიაზე ცნობილია. ცნობილია, აგრეთვე, მისი აზრი ჩახრუხაძეზე: „მისი თამარის ქება ...ზედმეტსრულით დაიწყება და თითქმის ზედმეტსრულით თავდება. რის ვი-ვაგლახით

და კისრის მტვრევით მოგოვავს დაფარდნილ ცხენავით მიხი ოქმარცვლიანი ტყვიისავით მძიმე ლექსები... არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, ვარდა ზედშესრულების რახანარუხისა ამა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვე-წნი სადაც რუსთაველს... ახსენებენ, იქ ვინდათ თუ არა, წამოაყენებდნენ ჩაბრუნებ-დაც“.

კ. კავთელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ სპეციალურ თავს უძღვნის ჩაბრუნებებს, იქვე მოაქვს ილიასეული შეფასება ჩაბრუნებისა (სოლო ურასის ვარდა) და ამბობს: „რა შორსაა ხინამდელიასგან ის დახასიათება, რომელიც მოუყდა ამ თხზულებისათვის ჩვენს მგოსანს ილია ჭავჭავაძეს“.

კ. კავთელიძე იმავე ნაშრომში თამარიალის მხატვრულ მხარეს ერთი წინადადებით ახასიათებს: „თამარის ოდების მშვენიერება — მათს არაჩვეულებრივ მხატვრულ ფორმაშია, ლექსების მომჭადღებელ მუსიკალობაში, ულამაზეს, შეუდარებელ და ვირტუოზულ რითმათა სიმდიდრეში“. იმათ კი, ვინც სპეციალურად და-წტერხებდნენ ამ საკითხით, აღ. ბარამიძის „ნარკვევებზე“ მიუთითებს.

„ნარკვევებში“ (III, 1956 წ.) თამარიალის საკითხებს 59 გვერდი ეძღვნება. ერთ-ერთ კვეთავში „ჩაბრუნაული ლექსი“ (271-276) საუბარია თამარიალის პოეტიკაზე: 1. „ოქმარცვლიან ლექსს ეწოდება ჩაბრუნაული“ (რატიონალად, ნიმუშად მოტანილია „აბდულმეხთაისის“ მეოთხე ტროფი); 2. „იბრველი ნახევარტაე-ების ნაკეთობი (მეოთხედატაეები) ერთმანეთს უვლდობენ ერთობა, ჰქმნის შენაგან რითმას“ (მაგალითები); 3. „მეორე ნახევარტაეები არ არის დაკავშირებული შენაგან რითმით, სამაგვიროდ, როგორც ტაეების დამაბლოვებუ-ლი ნაწილები, ისინი ჰქმნის ვარგან რითმას“ (მაგალითები); 4. „ჩაბრუნაული მეტრი რთუ-ლი, ზვიადი და, ამასთან, მოქნილი მეტრია, ის მშვენიერად ეხამება საზეიმო დანიშნულე-ბის სახორკო ლექსს“ (მაგალითების ვარგე); 5. „ჩაბრუნაის ლექსი ვართლებულაა ზე-ბით (კლამბურებით)... „შურობა ნიშნობ-ლივია ჩაბრუნაისათვის“... ამასთან, ზემო ზო-ვი გასაგებია, „ზოგიც ძნელად ამოსაცნობი, რებუსისებური“ (მაგალითები). ამ დახასიათების მიხედვით, ჩაბრუნაე, რო-გორც პოეტი, არა თუ ჩამოუვარდება, არამედ, იქნება აღმშაბებოდეს კიდევ შოთა რუსთა-ველს, რადგან ვეფხისტყაოსანში არც თუ ისე ბევრია შენაგან რითმით გაწყობილი ტროფე-ბი, ხოლო რაც შეეხება „ძნელად ამოსაცნობ რებუსისებურ“ ხმებს ამ მხრივ კი აუკარად ჩამორჩება თამარიაან როგორც ბარისხობრი-ვად, ისევე „პროცენტულადაც“.

საკვირველი ის არის, რომ ჩაბრუნაის აღ-მტებულობაზე ჭერ-ჭერობით ანაფერსა ამბო-

ბენ. აღ. ბარამიძე მხოლოდ შემდეგი დასკვნათ კმაყოფილდება: „რაც შეეხება თამარის დროს ორი კონგენიალური პოეტის (ჩაბრუნაისა და რუსთაველის — ვ. ბ.) არსებობას, აქ გასაკვი-რი არაფერია“. კონკრეტულად თუ ეს მარ-თლაც ასეა, მაშინ იქნება ნ. მარც მართალი იყო, როცა ჩაბრუნაისა და რუსთაველის იგი-ვეობას ამტკიცებდა. აღ. ბარამიძე, ნ. მარის ამ საბოლოო მოსაზრებას არსებითად მხოლოდ იმას უპირისპირებს, რომ თამარის დროს ორი კონგენიალური პოეტის არსებობის ფაქტი „განაკვირი არაფერია“-ს.

აღვს ხომ საეჭვო აღა რუნდა იყო, რომ თამარიაანი ძირითადად თავისი ეპოქის ლიტე-რატურულ მოვლენად (თუნდაც დიდ მოვლე-ნად) დარჩა, მაშინ, როცა ვეფხისტყაოსანი ახ-ლაც განაგრძობს ხისხლავსე, თუ გნებავთ, მოქალაქეობრივ ცხოვრებას, ამ ორი ნაწარმე-ების შეპირისპირებისას, ეს „მატარა“ სხვაობა მხედველობიდან არ უნდა გამოგვჩრეს.

ილიასეულ შეფასებას მოყვია თამარიალის „რეაბილიტაციის“ ცდები, რაც თავის მხრივ იქცა ვეფხისტყაოსნის უნებური ნიველირების ნიმუშად. ამან ბუნებრივად მიგვიყვანა იქამდე, რომ „ვეფხისტყაოსანს“ „ძალღისტყაოსანს“ კი შეუდარეს („ძალღისტყაოსანი“ ნახევრად ფოლკლორულ პორნოგრაფიული პოემა). შე-უდარებს, რა თქმა უნდა, არა ვეფხისტყაოსნის დაშცირების, არამედ ძალღისტყაოსნის შაღლი მხატვრული დონის ნათელყოფის კეთილი სუ-რვილით და ასეთ დასკვნამდე მივიღენ:

«...с точки зрения поэтического мастерства эти строки (лапаракія „ძალღისტყაოს-ნის“ პორნოგრაფიულ ტრაქონებზე — ვ. ბ.) не уступают тем стихам, изменением и подражанием которых они являются» (იგულისხმება ვეფხისტყაოსანი — ვ. ბ.).

მოაქვს რა „თამარიაის“ ნ. მარისეული შე-ფასება, სადაც მეცნიერი ებება არა ამ ძველის მხატვრულ მხარეს, არამედ, იმას, რომ თამა-რიაანში აიხასია:

«современное настроение грузинского общества, не представлявшего отрезан-ной от народных слоев касты», აღ. ბა-რამიძე წერს: „მოტანილი დასკვნების შე-მდეგ შეუწყნარებელი ხდება ილია ჭავჭავაძის ცნობილი მოსაზრება „თამარია-ნა“ და მისი ავტორის შესახებ“ (ხევახშია ჩვე-ნია — ვ. ბ.).

და მაინც, კიდევ უფრო შეუწყნარებელი უნ-და იყოს იმის თქმა, თითქოს თამარის ეპოქაში ორი კონგენიალური პოეტი მოღაწეობდა, ვიდრე ილიას დასკვნა იმის შესახებ, რომ რუს-თაველს არ შეიძლება გვერდით ამოვუყენოთ თამარიაანს ავტორი.

თუკი რამითი ვავს ეს ორი პოეტი ერთმა-ნეთს, მხოლოდ იმით, რომ ორივე ერთ ეპოქა-



ში ცხოვრობდა და ორივე მიჯრატა საიდუმლოებითა მოცულა, რაც მტკაღ მოწიღველ მასალას იძლევა ფანტაზიის სავარჯიშოდ.

დღეს, აღზატ, ძნელად თუ მოიძებნება ქართული მკითხველი, რომელიც უბრალოდ, მოკლელოების ფაშს პოეზიასთან თმარისი ზიარების წყურვილით შეპურობილი თმარისან ვადმოიღებდეს წიგნის თაროდან. თუ მინც ვაძმონდებთ ახეთი, კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენია, რომ მან გულის ხიღრმეში რუსთაველისა და ჩხრუხაძის გონგენილოებობა იწამოს.

ამევე დროს აღ. ბარამიძე თმარისან დაკავშირებით ილიას ერთგვარ „გამართლებასაც“ ცდილობს და მიგვითითებს მთელ რიგ „შემასუბუქებელ“ ვარქოებებზე: „მოტანილ სტრიქონებს წერს ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე პოეტური კაცხარების მიხრბეზი“ (ხაზგამაჩვენია, — გ. ბ.).

ახალგაზრდობისდროინდელი „ცოდებები“ მინც ადვილად საპატიველი ცოდებია, მაგრამ აღ. ბარამიძე იქვე სხვა მიზნესაც გვისახელებს, რომელიც, სხვათა შორის თავისთავად გამორიცხავს „ახალგაზრდობისა“ და „პოლემიკური ვაცხარების“ ფაქტორებს: „შინამოციანელთა იდუარ-ესთეტური პოზიციებიდან ილია ჭავჭავაძე არ დაინდო პოეტი ჩხრუხაძე და მეტად შეკვირა განაჩენი ვამოუტანა მის სახტბო ლექსებს“.

ამევე დროს, ყველასათვის ცნობილია აგრეთვე ილიასეული შეფხება ანტონ I ლიტერატურული მოღვაწეობისა, რომელზეც სწორედ პირველ რიგში და უშუალოდ უბარისპირადებოდნენ სამოციანელთა თავისი იდუარ-ესთეტური პოზიციით: „ნურავენ ნუ ვაიფიქრებს, რომ არ შესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოსისა. ანტონი დიდ ადგილს დაიჭირს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი ამ დროის საქართველოს დაბოლებობისა, მაგრამ ეხლა რომ პოეზიის განხილვა ამ დროის კანონებით მოვიწოდოთ, ძლიან შევცდებით“.

ეს სიტყვებზე ილიას ახალგაზრდობაშია დაწერილი, პირველი წერილის ვამოქვეყნებიდან ხუთი თვის შემდეგ. თანაც კიდევ უფრო მეტი „პოლემიკური ვაცხარების პირობებში“.

რა თქმა უნდა „ახალგაზრდობის“ ვამო, „პოლემიკური ვაცხარების პირობებში“ ან „შინამოციანელთა იდუარ-ესთეტური პოზიციებიდან“ დაშვებული შეცდომა ისეთი შერაცხმყოფელი არ არის. მაგრამ იქვე სხვა „გამართლებაც“ ეძებნება ილიას „შეუწყურებელ“ დასკვნას: „თმარისანის ხელოვნურ სიტყვაშეკრობაში იხრდილებობა ტექსტის იდუარის შინაარსისა. ამის ვამო არ იყო ვაგებული ამ ძველის იდუარ-აზრობრივი მხარე. სამართლიანობა მოთხოვნად აღინშნოს, რომ „თმარისანი“ საუბტოოდ ვამოსცა და ამ ძველის შესანიშნავი იდუარის შინაარსის, მისი ნაცონალურ-სახელმწი-

ფობრივი და საზოგადოებრივი იდეოლოგია ვამომედანა ავადმეოხობა ნიკო მარხის. მაგრამ ეს მოხდა 1902 წელს. ილია ჭავჭავაძეს კი შემდეგში აღარ მისცემია შემთხვევა დაბრუნებოდა ჩხრუხაძის პოეზიის საკითხს“.

ძნელი დესაქტებელია, რომ ილია, რომელმაც პირველმა და ამისთან უცდომელად შეაფასა ჩვენი პოეზიის კორიფები: დავით გუარამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ვერ ჩაწვდა თმარისანის ვერც პოეტურ სიღრმეს და ვერც მის იდუარ შინაარსს. როგორც ვხედავთ, მთელი სიმძიმე ვადატანია ილიას ახალგაზრდობაზე, პოლემიკურ ვაცხარებაზე, თმარისანის ვერვაგებზე, ჩხრუხაძის არდასდობაზე და ა. შ.

ილია იმის ვამოც არის დიდი პოეტი და დიდი მკვლევარი, რომ ქართული პოეზიების გემოვნების მიმართ ძალადობა არ მოიწვადინა, არ შეეცადა შეცდომაში შეეყვანა იგი — თმარისანის სახით ვეფხისტყაოსნის დონის პოემა ვაქეთო...

მართალია, მეცნიერული საკითხების კვლევისას პოეტების აზრს დღესდღეობით მინცდამინც დიდ ანგარიშს აღარ უწევენ, მაგრამ ნუთუ საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ როცა ჩვენი სახელოვანი პოეტები (მინამდელიც, სანამ ნ. მარია „თმარისანი“ ნამდვილდირსებნას წარმოაჩენდა, ახ. საყვირველი კი, მაგრამ შემდეგდროინდელიც) ახახელებენ ხოლმე თავის დიდ სულიერ წინაპრებს, ჩხრუხაძის სახელს რატომდაც არ ახსენებენ.

ვეფხისტყაოსნის \* \* \* პაროლუბა კრობლემა ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანია რუსთველოლოგიაში, თავის მონოგრაფიაში აღ. ბარამიძე წერს: „ნ. მარია სახელოვანი და ამბობდა, რომ ვეფხისტყაოსნის პაროლუბი «И по музыкальности, и слогости слога и образности мысли (შეტი რა არის პოეზია? — გ. ბ.) мы находили лучшее, что только вышло из под пера Шоты»“.

ამაგრო, სრულიად ბუნებრივია, როცა აღ. ბარამიძე არ იზიარებს თ. ჭალაძის შეხედულებას იმის შესახებ, რომ „არც ერთი ნაწილი პოემისა არ არის იხე არამოეტური, როგორც პაროლუბი, თუკი, რასაკვირველია, რუსთაველის ქმნილების მიმართ ამ სიტყვის ხმარება საერთოდ დასაშვებია“.

სხვებთან ერთად მეც ვერ ვეთანხმები თ. ჭალაძეს და მინაჩნია, რომ პოეტურობის მხრიავეც პაროლუბი პოემის კონგენიალური ნაწილია, მაგრამ, ვფიქრობ, სრულიად მცდარი უნდა იყოს აღ. ბარამიძის მიერ ვაზიარებული ნ. მარის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ყველაფრის „რაც კი შოთას ხელიდან ვამოსულა“, პაროლუბი სჭობდეს,

ვანა შეიძლება დავასახელოთ თუნდაც ერთი

მეტყველებდა მნიშვნელოვანი მხატვრული ნა-  
წარმოები, რომელსაც თავისივე შეხავალი სჯო-  
ნადა?

ძნელი წარმოსადგენია ქართული მცოდნე  
მკითხველი, რომელსაც პროლოგი ერჩინოს  
თვითონ პოეზიას მხატვრულობის თვალსაზრ-  
თითაც. ის კია, რომ ზოგიერთ მკვლევარს იგი  
ერთგვარ „მუდრო ხავენიდ“ წარმოუდგენია,  
სადაც წესრიგის მოყვარული და მსრულველი  
ოქაბის უფროსის მიერ ყველაფერს თავისი  
მტკიცედ განსაზღვრული ადგილი აქვს მიჩე-  
ნალი.

რუსთაველისაგან (როგორც მართლა არეაბი  
წლის მოხუცისაგან) პირველ რიგში რატომდაც  
ხილენებს, თავსუყავებას, ზომიერებას, აბსო-  
ლუტურ „გარკვეულობას“ მოვითხოვთ, თით-  
ქოს იგი სწულმდებელია და არა პოეტი, თანაც  
პირველი პოეტი. შეშთხვევით არ წერდა გა-  
ლკტიონი: „რუსთაველი და მშვიდი? დამშვი-  
დება და ვევა?“. შემდგომ თაობებს ნუ ვაფი-  
ქრებინებთ, რომ მარტო ჩვენ ვკითხულობდით  
ვეფხისტყაოსანს ძრწოლის გარეშე, დაღინჯე-  
ბულები, მშვიდად, „საქმისათვის“ და „საქმი-  
ანად“.

იხინი, ვინც „მუდრო ხავენიდან“ ვან-  
ცკერიან ვეფხისტყაოსანს, ვერ ამჩნევენ,  
რომ ცხოვრებისა და პოეზიის ქარიშხალს თა-  
ვისი „კორექტივი“ შეუტანია პოემაში...

რა თქმა უნდა, ყველაზე „თვალში საცემი“  
და „საჩოთირო“ შოთასთან ავთანდილისა და  
ფატმანის ურთიერთობის ისტორიაა, რომელიც  
შთელ დუნიას მოედო.

ამ ბოლო ღროს ისე მიდის საქმე, რომ  
რუსთაველილოვანს, ალბათ, სულ მალე ცაღ-  
კე ამოკუდიდებულ დარგად გამოეყოფა „ფატ-  
მანლოვანა“.

ფატმანის შეფასებისას აქარად შეიმჩნევა  
ორი უკიდურესობა:

„ფატმანი ნესტან-თინათინის, ტარიელისა და  
ავთანდილის ცდაა“ (თ. ქიქაძე).

„რუსთაველის მთლიან სახეობრივ ხისტიმანი  
ფატმანი უარყოფითი პერსონაჟია“ (ალ. ბარა-  
შიძე).

როგორც ხანს, ჩვენს ლიტერატურათმცოდ-  
ნეობაში ჭერ კიდევ მუარადაა ფესვგადგმული  
პერსონაჟის „ზუსტის“ შეფასების ტრადიციო-  
ისიცი უნდა ითქვას, რომ ძირითადად ორი  
ფერის „იარაღივით“ ვსარგებლობთ — თეთრით  
და შავით. გმირი ან დადებითია ან უარყოფი-  
თი. ამასთან, უარყოფით გმირს რაც უნდა ბე-  
ვრი დადებითი თვისებებიც აღმოაჩნდეს, აპე-  
ლაციის უფლება მაინც არა აქვს.

ალ. ბარაშიძე თავიდანვე (ე. ი. პოემაში გა-  
მოჩინებთანავე) ზედმეტად ითვალისწინებს  
ფატმანს (თითქოს გავფრთხილებდეს, რომ მან,  
ფატმანმა, „ჩვენსად უწინ სხვაც ბევრი მოხე-  
ბლა, შეკადენა“)

რუსთაველი ფატმანის დახასიათებას ატე-  
რებს:

„ფატმანი-ბათონ თელად მოკვე-  
არ-ყმაწვილი, მაგრა მშველი,  
ნაკეთად კარგი, შეე-გრემანი,  
პირ-მსუქანი, არ პირ-სმელი“...

ალ. ბარაშიძის განმარტებით „არ ყმაწვილი,  
მაგრა მშველი“ იგივეა, რაც „საქმოდ ხანდა-  
ზმული“. თუმცა იგი, ალბათ, „საქმოდ ახალ-  
გარდას“ უფრო უნდა ნიშნავდეს. ფატმანის  
„საქმოდ ხანდაზმულობის“ განსაზღვრებად  
ალ. ბარაშიძე ნ. ზაბლოცკის იშველიებს:  
„უფრო შორს წავიდა ფატმანის აუგის მიხილ-  
ვაში ვეფხისტყაოსნის ჩინებული მცოდნე და  
აღიარებული მოარგნელი ნიკოლოზ ზაბლოც-  
კი. იგი ვაჭარ ქალს თვლის „გარუწინელ ბებერ  
დედაკაცად“.

საინტერესოა, მაინც ვინ „დედმობა“ ნ. ზა-  
ბლოცკის ასე „შორს წასვლაში“.

მართალია, პოემაში ნათქვამია, რომ ფატმა-  
ნა ნესტანს დედობა გაუწიო, მაგრამ ნესტანი  
და ტარიელი მას უფრო ზნობად „და“-ს უწო-  
დებენ. ისიც ნათქვამია, რომ დედობა შესაძ-  
ლებელია წლოვანებით თითქმის თანატოლმაც  
კი გაუწიოს ადამიანს, მაგრამ არც ნესტანი და  
არც ტარიელი თავს ნებას არ მისცემდნენ „სა-  
ქმოდ ხანდაზმული“ ქალისთვის „და“ ეწო-  
დებიანთ (მითუმეტეს, „გარუწინელი ბებერი დე-  
დაკაცისათვის“).

ფატმანის „სულგურად დაბერების“ მოავა-  
რი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ავთანდილის  
მხრივ ამ ქალსადმი იოტისოდენი ეროტიული  
ლტოლის ვარაუდიც კი გამოირიცხოს. მაგრამ  
ამ შეშთხვევაში ის უზაღდებს კეთილშობილუ-  
რი მიზანს (ნესტანის გათავისუფლება) უკვე  
ვეღარ აშაბთლებს იმ ამარზუნს სა-  
შუაღდებს, რომელსაც ავთანდილი მამარ-  
თავს — „საქმოდ ხანდაზმული“ ან „გარუწინელ  
ბებერ დედაკაცთან“ სარტყლის გაზიარება.

რუსთაველს წინაწარ რომ განეჭვრიტა, რა  
უბერებულ მდგომარეობაში ჩავეყენებდა, და-  
რწმუნებულე ვარ, ფატმანის საწოლს ისტის  
ტურცენის მანილზეც არ გაეკარებდა ავთან-  
დილს, მითუმეტეს მას შუბდებს, რაც ფატმანი-  
საგან უკვე შეიტყო მოავარი — სად იმყო-  
ფებოდა ნესტანი, როგორა დაცვა ქონდა ქა-  
რეთის ცენტს, ისიც, რომ განსაკუთრებით სა-  
შიში გრძნეული ქაწები იმუამად ციხე-სიმაგ-  
რეში არ იყვნენ და არც თუ მალე დაბრუნდ-  
ბოდნენ და ა. შ. ერთი სიტყვით, ყველაფერი,  
რის გამოც თავიდან ფატმანთან სახეყარუ-  
ლო პაემანზე წასვლა გადაწყვიტა. და უკე-  
ლივე ამის შემდეგ არის რომ მაინც „შას დამეს  
ფატმან იამა ავთანდილთან წოლითა“...

ჩანს, ამ ეპიზოდს გადაგარბებულ მნიშვნე-  
ლობას ვანიჭებთ. ამასთან, ვცდილობთ ყვე-  
ლაფერი ფატმანს გადავარბალოთ, რათა ავთა-

ნდილი, რაც შეიძლება „სუფთად“ გამოვყავანოთ ნაშედილი ჩაინდისათვის ამ საერთოროსიტორიიდან. აღიარებულ ჭეშმარიტებას გავიშვოტრ და ვიტყვი, რომ რუსთაველს თავის პოემაში ზედაშიანები და ღმერთაკები არ გამოუყვანია (მახერბოლა იმ ეპოქის ლიტერატურისათვის საერთო მოვლენა). პოემის გმირისათვის „არაფერი ადამიანური უტყობ არ არის“. მათი სულის ურთულესი ნოთანები დღევანდელი მკითხველისათვის სავსებით გასაგებია და მახლობელი. ამიტომაც რჩება პოემის ავტორი თანამედროვე პოეტად, რომელიც თავის „ხალაშმულობის“ გამო არავითარ შეღავათთან წყაითვისას არ საჭიროებს.

რატომღაც ძალიან ვცდილობთ ავთანდილის „გამართლებას“, მაგრამ იმავე დროს, როგორც წესი, ვივიწყებთ ხოლმე პოემის ერთ ეპოქად, რომლის მიხედვით, ტარიელსაც „სჭირდება“ (იქნებ, არააქვდეს ვიდრე ავთანდილს) ამ მხრივ ჩვენი „დახმარება“:

ნესტანის სიყვარულით დაჭრული ტარიელი თანატოლებთან ერთად ღვინოს მივადლება — „შეკმევე სმა და ნადიმობა პატყთა და ჭირთა მღვად“. მსახური უჩრჩხულებს, რომ საწოლთანში ვიღაც ქალი გელოდებო. ტარიელი თანამეზუფრეთ სიხოვს ნადიმის გაგრძელებას, თვითონ კი საწოლში შედის. ქალმა თავყანი სცა:

„გამიკვირდა, მიჭნურისა  
თაყვანება ექმნა ვისმცა?  
ვიტყვი: არ იცი ს, აშიკობა,  
თუ შეციოცოდა წყნარად ზისცა“.

ტარიელის ეს დაკვირვება დამკვირვებლის საქმად გამოცდილებაზე უნდა მებრძვდებენ (დაახლოებით იგივე შეიძლება გვთქვას ფატმანისადმი ავთანდილის „სამიჭნურს“ უსტარისა და საერთოდ ფატმანთან მისი ურთიერთობის შესახებაც).

„ფატმანს თავისებური თავდავიწყებით უყვარდა ავთანდილი, — წერს აღმარამიძე. — მაგრამ მისგან გულახდილი აღსარება მოისმინა, უჩრჩხობა ჩაიხშო, ავთანდილს წინ არ გადაეღობა: ვინ იციბს როგორი შინაგანი მღელვარება დაძლია ფატმანმა, მაგრამ ის უყოყმანოდ დაეხმარა ავთანდილს დაბრუნებოდა თავის გულისწორ სატრფოს“ (ხაზგასმა ჩვენია — გ.ბ.).

რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს მხოლოდ თავისებური თავდავიწყებით შეუძლია სიყვარული. თუ „თავისებურში“ იგულისხმება მსუბუქი სიყვარული, მაშინ ფატმანის მიერ უჩრჩხობის ჩახშობა“ და „შინაგანი მღელვარების დაძლივა“ მინცდამაინც დიდ განცდებთან არ უნდა უოფილყო დაკავშირებული, ხოლო თუკი „თავისებურში“ დიდი და ძლიერი სიყვარულია ნაგულის-

ხმევი, მაშინ უკვე ერთი ნაბიჯია რჩება იქამდე, რომ ფატმანი, მართლაც, ნესტან-თინათინის „ცუდალ“ ვალიაოთ, რადგან ძნელად მოიხმენება ადამიანი (თუნდაც ლიტერატურული გმირი), რომელსაც გულწრფელად შეუძლია თქვას: „შე მოკვდე, როგორც შენ გაიხარო“ (თავისთავად ცხადია, იგულისხმება სხვა სხვა ან გახარება).

აღ. ბარამიძეს „პოეტურად წაუციობას“ ეს ადგილი, რადგან რუსთაველი არ მოგვანიშნებს (თუნდა ერთი სიტყვით, თუნდა ერთი შორისდებულობით) ფატმანის მიერ „უჩრჩხობის ჩახშობაზე“, იმაზე თუ „ვიც იციბს, როგორი შინაგანი მღელვარება დაძლია“... და ა. შ. იმ სიტყვებს, რომელთაც ავთანდილის ღრმა რწმენით „გველ-ნაკებნივით“ უნდა შეეკრათ ფატმანი, უშუალოდ მოხდეს: „ფატმან თქვა: „ღმერთისა დიდება, საქმენი მოხმედეს, შო, რანი, დღეს რომე მესმენს ამბავნი, უყვადებენისა სწორანო“. ფატმანი იმითაც იმსახურებს სიმშათის, რომ ჩვეულებრივი ფრივოლური თავგადასავალი ჭეშმარიტ, ამადლებულ გრძობად არ მოიხინია და წყაღვალეზულივით არ ჩაებდაუკა მას. აღბათ, ამიტომაც იყო, რომ ფატმანს არ ეგაუმრავლებია სულთქმა, უში“, რისაც ასე ემიწოდა ავთანდილს.

როგორც ვიცით, როცა ტარიელი, ავთანდილი და ფრივონი ნესტანს გამოიხსნიან ტყუეობიდან, პირველად ფატმანს მოაშურებენ (თუმცა გზას საკვად იგრძელებენ). პირველ ქორწილსაც აქ გადაიხდიან და აი, დგება განშორების წუთები:

კვლა ფატმან ქალბა სამთავე სიტყვები დასაბოლოელი:  
„ავთანდილისგან გამოვა  
ქმნად საქმე კარგი ყოველი;  
სუ მითშორებთ, გიყვარდეს,  
გაფიცი ღმერთი ცხოველი,  
რადგან გმსახურეთ, რაც ვქმენით,  
ცოდვად აღა რას მოველი“.

ძნელი წარმოსადგენია, რომ აქ ჭაწნაგირის მკვლელობა იგულისხმებოდეს, რადგან ის ქმედება თავისებური „მართალი სამართლის ქმნა“ იყო მხოლოდ.

საგულისხმოა ტარიელის პასუხი:

„ტარიელ ბრძანა: „შე, ფატმან,  
ჩემთვის ხარ კარვის გულითა;  
შენ გაგვინათლე სიხნელე,  
ესხედით შექ-დაკარგულითა;  
ხარ ნიადამცა ყოელითა  
საქმითა სკარგულითა;  
ვართ ჩვენი გულით შენისა  
გულთანა დანერგულითა“.

ნუღარც ჩვენ გამოვიჩინეთ ენითოქმეულ გულქვობას და ახლა მაინც შევუნდოთ რვა

საუწყის წინათ ჩაღწეული ცოდვა, რომელიც თავის დროზე ახე გულწრფელად მოიხანია ფატმამა.

თუმცა ფატმანი, ალბათ, ნესტან-თინათინის „ცოდვად“ მანც ვერ ჩათვლება, მაგრამ კიდევ უფრო დიდი უსამართლობაა „ერთგვარი მანკიერი მხარეების“ ვაჟი ვეფხისტყაოსნის „მთლიან სახეობრივ სისტემაში“ უარყოფითი გამოად მისი მიჩნევა და უსენის გვირდით დაუყენება (ფატმანის უველაზე დიდი საწუხარო ხომ ბწორედ ის აუღ, რომ მთელი ცხოვრება უსენის გვირდით უყოფნა არ გუფნა ბედმა).

თ. კლავის დაკვირვებით: „ნესტანის ერთპერსონაჟიანი დრამა თითქმის, სულის ზეთქების, აფორიაქების, „ხოს“ და „არას“, ლოგიკურისა და ალოგიკურის სუნთქვა შეგვეგრძობა ბრძოლა, შეტაკება, ზღვის მოქცევა-უწყვეტებასათვის: წაღი, ინდოეთის მიხედვით, — თითქმის უბრალოდ, მაგრამ მაშინვე ეშუაღარება, სხოსვს, ეძახის, მოუხმოს, მოდი, გამათავისუფლო“.

„არ არის სწორი... — გვეუბნება ალბარამიძე, — ასეთი მუდარა შექმლო მხოლოდ ვისის ტიპის ქალს (სავარაუდოა, რომ ფატმანის ტიპის ქალსაც — ვ. ბ.) და არა მთლიანი ინტელექტით დაჯილდოებულს, თავდაპირველად წერილობრივ სრულყოფით დაშვებულ დუალებრივ ნესტანს“.

იტყობა, თავის დროზე ტარებულმა მანც „პოეტურად“ წაიკითხა ნესტანის წერილი, არ დაუჭერა მას, ინდოეთს არ მიმართა და სამეფო ტახტზე მშვიდად მჭლოში იმას კიდ არ დაიქცევა, „ანდა დანით მოიკლავდა“ და „უორანთა დასავეფარად“ გახდებოდა, არამედ შეგობრებთან ერთად პირველ ყოვლისა მანც ქაჭეთის ცაქის მიავსრა, დაღწევა იგი და თავისი შვი და მთავარ გაათავისუფლა.

მონოგრაფიის ერთ-ერთ ქვეთავში — „რუსთველის ლექსი“ — ვკითხულობთ: „ვეფხისტყაოსნის სიდიადეს თავის მხარეზე ზედ უწყობს ლექსის მაღალი ხარისხი“ (ხაჯასმა ჩემია, — ვ. ბ.).

როგორც ვხედავთ, „ლექსის მაღალი ხარისხი“ პოეზიის დაშმარე (თანაც, იტყობა, არც თუ პირველი მნიშვნელობის) შეურწმობადა გაზარებულად.

„ვეფხისტყაოსანი დაწერილია დარბაისლური მონუმენტური სტილით“, — ახე იწყება მონოგრაფიის ერთ-ერთი ქვეთავი: „რუსთველის მხატვრული ენის თავისებურებანი“.

„ვეფხისტყაოსნის სტილი ერთგვარად მტაფორულია“, — ვკითხულობთ რამდენიმე სტაქონის შემდეგ.

შეტაკება — „ვარდი ვაჟის, გამონდის

შენ ბროლი გამოშვირავალი“ უწყვეტ ვაქმარე ტიპული: „მაგე ვახსნა (პირიუ გაღლი) გამოქრე ნდა ბროლივით გამოშვირავალი კბილები, მანგრამ „გამოშვირავალი“ არ უნდა ნიშნავდეს „გამოშვირავალი“. უველაფერს რომ თავი დაეანებოთ, „გამოშვირავალი“ კბილები საერთოდ ძნელი და სავაოდ ცუდი წარმოსადგენია.

მეორე შეტაკება შეხახებ ნათქვამია: „ეინადან პირისახის სილაშავეს ჰქმნის სახის ნაკეთების ქახი, სახის ნაკეთების მთელი კომპლექსი, ვეფხისტყაოსანში პირისახის კომპლექსის შეტაკორულად გამოხატვისათვის ხშირად იმპარება გართლებული საზე-ცნება ვარდის ზადი, ვარდის ველი და ა. შ.“ (ხაჯასმა ჩემია — ვ. ბ.).

ამგვარი „განმეორებანი“ ხშირად გვხვდება აღნიშნულ მონოგრაფიაში. მაგ., „რუსთველის შეხედულებებში ნამდვილ წინააღმდეგობას მანც ექნება ადგილი, თუ პოეტის მართლა მივანეროთ თამარისადმი ხორციელი, სქემობრის სახეობრივად გრძობების გამოხატვას. ყოვლად შეუძლებელია დაუშვათ, თითქმის შთა რუსთაველი პროლოგში დასაბარებლს მგრძობლობით გატაცებაზე, სქემობრივ სიუჟეტურულზე თამარის მიმართ“ (მეორე წინააღმდეგობაში ხაჯასმა ჩემია, — ვ. ბ.).

რა თქმა უნდა „სქემობრივი“ უციფურო სიტუეა არ არის, მაგრამ მაშინვე უხამს შინაარსს იქნის, როგორც კი მას თამარ შეუხსა და შოთა რუსთაველიდან დაკავშირებით ეხმარათ.

დასაუხსტებელს ჰგავს შემდეგი მოსაზრება: „შაირი არის ქართული ენის ბუნების შესატყვისი მოქნილი, მონუმენტური საწოში, რომელიც განსაკუთრებით უხდებდა დიდ ეპიკურ პოემებს“ (ხაჯასმა ჩემია, — ვ. ბ.).

მაგრამ რატომ არ უხდება იგი „განსაკუთრებით“ ლირიკული ხასიათის ლექსებს, თუნდაც, იმავე ვეფხისტყაოსნის, ანდა გურამიშვილის, აკაკის, და ხალხური პოეზიის მიხედვით თუ ვიმჩქედებთ? ძნელი წარმოსადგენია, რომ ხალხური შემქმნილიც და გაბატონებულიც საწოში, რომელიც „განსაკუთრებით“ უხდება დიდ ეპიკურ პოემებს“ და არა, ეთქვამთ, ლირიკას.

რატომ არ უხდება შაირის მეტრი „განსაკუთრებით“ სახოტბო ლექსებს? თუმცა ალბარამიძის აზრით, სახოტბო ლექსებს ნახარბული უფრო უხდება „განსაკუთრებით“ (მონიგრაფია: „ნახარბული მეტრი რთული, ზვიადე და, ამასთან, მსქნელი მეტრია, ის მშვენივრად ეხამება საწოში და იმისთვის უხდება სახოტბო ლექსს“).

იმის გარკვევას, თუ რომელი სალექსო საწოში რომელი პოეტური უანრის ნაწარმოებს ეხამება განსაკუთრებით“, როგორც ჩანს, უფრო დაინტერესული შევნიერული კვლევა

სტირდება, თუცე ამგვარი რამ საერთოდ შესაძლებელია. კარგი იქნებოდა ამ შიშავ, ვთქვათ, პეგნაერტრაც დაკვირებოდათ. იქნებ არ აღმოჩნდებოდა, რომ იგი „განსაკუთრებით“ ზოგჯერ ხალხს ეპიკურ ნაწარმოებებს „უხდება“, მხოლოდ ძველ ბერძნულ ლირიკას კი მაინც „უცხოს სამოსელით“ უარსება.

აღ. ბარამიძე სახეებით ხამართლიანად წერს: „სამწუხარო ის არის, რომ ვეფხისტყაოსანზე ბევრი იწერება და ზოგჯერ იბეჭდება კიდევაც დეზორიენტაციის გამოწვევით, ახირებული და უცნაური მოსაზრებანი. უფრო ცუდი ისაა, რომ ახლეთ საეჭვო მსახლები ქვეყნდება ზოლმე რუსულსა და უცხო ენებზეც“.

მაგრამ ისიც საკითხავია, ვანა ნაკლებ „დეზორგანიზაციის გამოწვევია“ ის დებულებანი, რომელთა შესახებაც ნაწილობრივ ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელთა უმეტესობაც რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული?

ლიტერატურათმცოდნეობის ერთერთი უმარტული ამოცანა ისიც არის, რომ დაინტერესოს მკითხველი, აღუქვას სურვილი, რათა უშუალოდ ეზაროს ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებს. ამის წინაპირობა კი ის უნდა იყოს, რომ შეკვლევარმა მტკიცე დაინახოს, რითი მკითხველზე უკეთესად გაიტყვის ნაწარმოების მხატვრული თავისებურებაში, უკეთესად მოახერხოს პერსონაჟთა სულიერ სამუაროში წყდობა და, რაღა თქმა უნდა, შეზღუდვადგაყარად ერთიან ტრივიალურობას.

„ნეტანი არავის შეაბიწვინებდა თავის მშვენიერსა და უმანკო სხეულს“, წერს აღ. ბარამიძე, რადგან მისივე თქმით „მხოლოდ ნამდვილი წინეობრივი ხიფათულის პირობებში რუსთველი ბუნებრივად თვლის აღერსს“.

„ვეფხისტყაოსანში აღწერილი აღმანიური ტრაგედიის ამხავი გამოიწვია ძალდატანებითი შეუღლებობის განზორციელების წაღვიძარა“.

„ზემოთ უკვე აღვნიშნეთ — რუსთველმა კარგად იცოდა, რომ აღმანიის სიცოცხლე წარმავალია, რომ სიცოცხლეს მოხდევს ხიფათული“.

და ა. შ.

მოკლანილი ადგილები დამახასიათებელია მონოგრაფიის საერთო სტილური ფონისთვის, მაგრამ აქ მარტო წერის მანერაში არ არის საქმე, იგი ამ შემთხვევაში პარდაპირი შედეგია მეთოდისა, რომელსაც ვეფხისტყაოსნის მხატვრული თავისებურების კვლევისას იყენებენ.

„მნათობში“ გამოქვეყნებული „აღ. ბარამიძის წერილის შთავაზი პათოსი პეტრედუ რიგში მართულია არა თმდენად როსტევანის პიროვნების დაქინების ან ფატმანის არახამართლიანი ამაღლების, რამდენადაც საერთოდ ვეფხისტყაოსნის „პოეტურად კითხვის“ წინააღმდეგმართალია, ზოგიერთს „პოეტურად ჩინებულ წამკითხველებსაც“ კი უწოდებს, მაგრამ მათი ნაწარმის მიმართ აღჩინდელი სიჩუმისა და იგნორირების ხუსხი უკვე თავისთავად წარმოშობს ამ სიტყვების გულწრფელობაში დაეკვიძის საფუძველს.

აღბათ, წარმოუდგენელიც კია ტემპირიტი პოეზიის ბოლომდე ობიექტური შეცნირული ანალიზი. თუცე პოეტურმა ნაწარმოებმა მკითხველი თავის მიმართ ნეიტრალური დატოვა, ბუნებრივია, ამის მიწეში ან თვით ნაწარმოებში უნდა ვეძიოთ, ანდა — წამკითხველში; ბოლო თუ კითხვისას „მოულოდნელად“ გარბობაც „ჩაერთო“, მაშინ უკვე აშკარად მწელი გახდება „ობიექტურობის“ ბოლომდე „დაცვაც“ (ცხადია, მხედველობაში არა გვაქვს მხატვრული ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურული ანდა მსოფლმხედველობრივი საკითხების კვლევა).

რა თქმა უნდა, „პოეტურად წაკითხვაც“ არის და წაკითხვაც! დღესდღეობით იქნებ ვერც „პოეტურად წამკითხველები“ იზიებუნენ დიდ წარმატებებს, მაგრამ ერთი რამ აშკარაა — ვეფხისტყაოსნის მხატვრული სამუაროხაში მიდგომის ამჟამად „დაქანონებულში“ მეთოდი აპრიორულად უნდა გამოიციხვადეს თუნდაც მომავალში მაინც პოემის მხატვრული თავისებურების უკეთესად კვლევის პერსპექტივას.

როგორც ჩანს, მარტომდენ — მეცნიერული ობიექტურობით, მართლაც, შეუღლებელია სათანადოდ გაგება და შეფასება ამისა, რასაც ძირითადად პოეტური ფანტაზია დახდებია საფუძველად.

ილია კვტკავაძე შეშფოთებული იყო იმის გამო, რომ ვეფხისტყაოსანი ლაშის „დეკუმენტად“, „მშრალ პროტოკოლად“ აქციონო. როგორც ჩანს, დღემდე არ გამჭრალა ამის ხაზი-შროება, რადგან მხოლოდ „საქმიანად“ და მხოლოდ „საქმიანათის“ თუ ვკითხულობთ მას.

ვცადოთ, იქნებ ჭერ კიდევ მოხერხდეს ვეფხისტყაოსნის „არახამიანი“ წაკითხვაც და, დარწმუნებული ვარ, დიდი სიხარული გველოდება წინ.



## გრიგოლ ხანძთაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის გაეო

გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთაძის შე-  
სახებ ვაუწყებს: „აწ არს ხანძთაძის ქელითა  
მხოლოდ დაწერილი სულითა მიერ წმიდისა სა-  
წილიწოდ იადგარი, რომლისა სიტყუანი  
ფრთხილ კეთილ არიან“ (ძველი ქართული აგი-  
ოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.  
282).

აღნიშნულ ცნობაზე დაურღობით, პ. ინგო-  
როყვა მიუთითებს: „გრიგოლ ხანძთაძის არის  
ავტორი „საწილიწოდ იადგარისა“ (პ. ინგო-  
როყვა, შრომები, ტ. III, 1965, გვ. 3). მკვლე-  
ვარს ციტატისებური „დაწერილი“ ესმის დღე-  
ვანდელი მნიშვნელობით, რის გამოც მას გრი-  
გოლ ხანძთაძის მიაჩნია „საწილიწოდ იადგა-  
რის“ ანუ მთელი წლის საგალობელთა ლიტერ-  
ატურული კრებულის შემთხვევითად.

რამდენადაც „დაწერა“ ძველ ქართულში,  
გარდა შეთხვევისა, „გადაწერასაც“ ან „ჩაწერა-  
საც“ (ე. ი. მჭედიატორ პარაცესსაც) ნაშნავს  
და რამდენადაც ერთი კაცის მიერ მთელი  
წლის საგალობელთა შეთხვევა არცთუ დამაჭე-  
რებელია, ქართული ჰიმნოგრაფიის მკვლევარე-  
ბმა მიზანშეწონილად მიიჩნის წარმოუდგინ-  
ნათ გრიგოლ ხანძთაძის „საწილიწოდ იადგა-  
რის“ მხოლოდ გადასწერად და  
არა მის ავტორად. ეს აზრი სპეციალურ ლი-  
ტერატურაში დღეისათვის საბოლოოდ არის  
დამკვიდრებული.

სანამ გიორგი მერჩულის შემოცდირებულ  
სიტყვებს შევებობდეთ, აუცილებლად მიგვა-  
ჩნია ამის აღნიშვნა, რომ ძველი ქართული  
ჰიმნოგრაფიის შესწავლა ბოლო წლებში უჩ-  
ველუ სიმაღლეზე ავიდა. მრავალი პირველ-  
ხარისხისი გამოკვლევის შემდეგ ჩვენს თვა-  
ლწინ გადგინდა გვა, რომელიც ქართულში  
ჰიმნოგრაფიაში განვლო მისი ჩასახვის დღიდან

(VI ს.), ვიდრე VIII ს-მდე. შეხრულებულია  
ურთულესი სამუშაო უძველესი იადგარის,  
ქართულენოვანი საგალობლების ამ უადრესი  
კრებულის აღსადგენად, მისი თანდათანობითი  
ზრდის შესასწავლად.

წინათონურ ხანაში არსებობდა ორგვარი  
ქართული იადგარი: „ძველი“ და „ახალი“. მა-  
თვან პირველი თედობირველი სახით უკვე აღ-  
დგენილია. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა  
„ახალი“ ქართული იადგარის შესასწავლად და  
გამოსაცემად.

გიორგი მერჩულის სიტყვები დღევანდელი  
ქართულით ასეთი სახით გადმოიცმა: „ამჟამ-  
ად ხანძთაძის არის საწილიწოდ იადგარი,  
რომელიც დაწერა გრიგოლ ხანძთაძის ხე-  
ლით სული წმიდის მიერ“.

ქრისტეანული მწერლობა იტყუანება შემდეგ  
აზრს: ყოველივე ის, რაც დაწერა, შექმნა,  
შეთხვა ამათუმი საკვლესიო მოღვაწემ, სინამ-  
დვილში სული წმიდის მიერ არის „თქმული“.  
საგალობლის, ჰომილის, ეგზეგეტიკური  
შრომის უშუალო ავტორი არის სული წმიდა.  
ესა თუ ის ქრისტეანული მწერალი მხოლოდ ია-  
რალია, ინსტრუმენტია, რომელსაც საწერ მა-  
სალაზე გადააქვს ის, რაც მას სული წმიდა  
აუწყა. ქრისტეანული ლიტერატურის ყოველი  
ნაწარმოები წარმოადგენს სული წმიდის მიერ  
„თქმულ“ და სასულიერო პირის „ხელით და-  
წერილ“ (საწერ მასალაზე გადატანილ) თხზუ-  
ლებას. ამასთან, სული წმიდის მიერ „თქმუ-  
ლად“ მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ნაწარმოები,  
რომელიც სულიერად აღმატებული, ღვთაურ-  
თან ზიარებული საკვლესიო მოღვაწის კლამს  
ეკუთვნის. სული წმიდის მიერ ხდება ნაწარ-  
მოების შეთხვევა, თარგმანა ანდა ძველის გადა-  
მეტაფრასები, ე. ი. ყოველივე ის, რაც შე-

შეოქმედებით პროცესს უკვე აღწერი-  
ა.

„სული წმიდის მიერ“ რაიმე  
წიგნის „დაწერა“ მხოლოდ შე-  
შოქმედებით პროცესს გულის-  
ხმობს. ეფიქრობთ, გამოიცხადება სხვისი  
თხულებობა გადაწერა სხეობებს „სული-  
სა მიერ წმიდისა“. ბევრს რომ ვეძიოთ,  
მსგავს მაგალითს ვერსად ვიპოვებთ. გადაწერის  
ფორმულებია: შეწვევითა..., სახელითა... ძა-  
ლითა..., მოღუწებითა..., მადლითა..., განგე-  
ბულებითა..., „ღირსმყოფელნი“ და სხვ.  
გოგორჯი მერხულის ზემოკატარებულ სიტყ-  
ვებში ის აზრია ჩადებული რომ გრძობდა ხან-  
ძობაში „დაწერა“ (საწერ მასალაზე გადაი-  
ტანა) სული წმიდის მიერ მისთვის თქმული  
საგალობლები, ანუ სულმა წმიდამ  
გრძობდა ხანძობის ბელით და-  
წერა „საწელიწდო იადგარი“.

ამგვარი აზრი ხშირად გვხვდება ძველ ქარ-  
თულ მწერლობაში, ზნა „დაწერათანი“ და  
კავშირებით საეკლესიო ავტორთა მიერ შეკრად  
დადგენილი ფორმულა — „სულისა მიერ  
წმიდისა“ უკლებლივ ყველა მთავანში მხოლოდ  
შეოქმედებით პროცესს გულისხმობს.

მოკლემით ზოგიერთ თვალსაზრის მაგალითს:  
IX-X სს. მთარგმნილი დანი სტეფანე  
მტევარისადმი მიმართულ ეპისტოლეში ამ-  
ბობს: „დადი წიგნი არს თარგმანი ახერგასის-  
თა მათ ფსალმუნთაჲ, რომელნიცა (ე. ი. ფსალ-  
მუნნი) დაწერნა კაღამაჲმ და მრთი ი-  
სამან და ვით სულსა მიერ წმი-  
დისა“ (შაბერდის კრებული, გვ. 365). აღ-  
ნიშნული სიტყვები (ფსალმუნნი „დაწერნა კა-  
ღამაჲმ“ ღმრთისაჲმ დავით სულსა მიერ წმი-  
დისა“) ზედმიწევნით იგივეობრივია გოგორჯი  
მერხულის ზემოკატარებულ სიტყვებთან  
(„კელითა მისითა დაწერილა სულსა მიერ  
წმიდისა საწელიწდო იადგარი“). როგორც და-  
ვით „სული წმიდის მიერ“ „დაწერა“ ფსა-  
ლმუნნი, ისევე „დაწერა“ გრძობდა ხანძ-  
ობის „სული წმიდის მიერ“, „საწელიწდო  
იადგარი“. როგორც დავითი არის „კაღამი  
ღმრთისა“, ისე გრძობდა არის დავითი „ზელი“. ან  
რომ, როგორც დავითი არ არის „ფსალ-  
მუნთა“ გადაწერის, ისე გრძობდა ხანძობის  
ვერ იქნება გადაწერის „საწელიწდო იადგარის-  
სა“, რამდენადაც ორივე შემთხვევაში „დაწე-  
რა“ ხდება სული წმიდის მიერ, რაც მხოლოდ  
შეოქმედებით პროცესს, რაიმეს შექმნას გუ-  
ლისხმობს.

ამგვარივე აზრია გამოთქმული იაკობ ბატნა-  
ნელის (VI ს.) შრომაში „ხარებისათვის და შო-  
ბისა“, რომელიც ქართულად VIII-IX სს.ში  
უნდა იყოს თარგმნილი. ავტორი ასე მიმარ-  
თავს ქრისტეს: „და აწ იტყოდე ჩემ მიერ საი-  
დუმლობა შობისა შენისასა... შენ იტყოდე პი-  
რით ჩემით... აღძარ ნესტუ ენისაჲ და ქმენ იგი

კაღამ მწერალ სულსა მიერ  
წმიდისა“ (ე. კეკელიძე, კანონი, V, გვ. 124).  
ასევე, ევთიმე ათონელის შესახებ: „სულსა  
მიერ წმიდისა განაოლებულთ... დაჯერენ  
ჩუნდ ტიბილი სწავლანი“ (ხ. ყუბანერშვილი,  
ძველი ქართული ლიტერატურის ქრისტომა-  
თია, I, გვ. 359). 44-ე ფსალმუნის სიტყვები  
„ენაჲ ჩემი, ვითარცა საწერელი მწიგნობრისა  
კელიწისაჲ“, ასე გაიზიარა იპოლიტე რომაე-  
ლმა (III ს.): „იქმნების, ვითარცა კაღამი,  
ენაჲ ჩემი სულსა მიერ წმიდისა შეტორილი  
(ზელითა ადებული ე. ვ.) და დაწებულ (მელა-  
ნში ჩაწებული, ე. ვ.)... და წერს პირად-პი-  
რადად შეუნიერსა...“ (შაბერდის კრე-  
ბული, გვ. 390).

კაბილე იერუსალიმელის ერთ ქადაგებაში,  
რომელიც სული წმიდის ეტება, ახალი აღთქ-  
მის წიგნთა შესახებ ვკითხულობთ: „დადასუ  
წიგნსა მას კაცთა მიერ იყო დაწერილ, არა-  
მედ სულსა წმიდისაჲ“ (ტექსტი გამოსაქვე-  
ყნებულად გამოადებული აქვს თ. მაგალითიშ-  
ვილს).

შეოქმედებითი პროცესის ამგვარი გაზრება  
ძველი ქართული მწერლობის ყველა პერიოდს  
ახასიათებს. ერთ გვიანდელ თარგმანში ვკით-  
ხულობთ: ძველი აღთქმის წიგნები „სულმა  
წმიდამან დაწერა წინასწარმეტყუელთა კელ-  
ბთაჲ“ (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული  
მუზეუმის ბიბლიოთეკა აღწერილობა, ტ. I,  
გვ. 390).

უზარატის შემთხვევაში, ასევე, შეოქმედე-  
ბით პროცესს გულისხმობს ფორმულა „მად-  
თა სულსა წმიდისათა“, თუმცა რამდენადაც  
„მადლი“ ზოგჯერ ფიზიკური ძალის მიანიჭე-  
საც მიანიშნებს, არაა გამოიცხადებული, ეს ფო-  
რმულა უიშვიათეს შემთხვევაში (კრძობ, ან-  
დერტებში) გულისხმობს — გადაწერასაც  
(შტრ. გადაწერის ფორმულა „მომშადალა“...).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასულიერო  
მწერლობის ძეგლებში (თარგმნილშიც და ორ-  
გინალშიც) ზნა „დაწერა“ ხშირად გვხვდებ-  
ა შეოქმედებით პროცესზე მიმართულ  
ფორმულის (სულსა მიერ წმიდისა) გარეშე.  
მიუხედავად ამისა, ეს სიტყვა, ჩვეულებრივ,  
შექმნას, შეთხვევას გულისხმობს და მხოლოდ  
იშვითა შემთხვევაში მიანიშნებს გადაწერას.

რაც შეეხება ფორმულას „დაწერილ სული-  
სა მიერ წმიდისა“, იგი, როგორც აღვნიშნეთ,  
უკლებლივ ყველგან (ტექსტშიც და ანდერტე-  
ბშიც) მხოლოდ შეოქმედებით პროცესის ამ-  
სახეულია. ამგვარივე მიხარისხა ფორმულა  
„მოცეპითა სულსა წმიდისათა“.

არა მარტო ქართულ, არამედ ზოგადად მთელ  
ქრისტიაუნულ მწერლობაში შეკრად დადგენი-  
ლი ფრსა „დაწერილ სულსა მიერ წმიდისა“  
(მერძან, ტო ვრათენ დია აგეუ პნუმატოს)  
აღნიშნავს მხოლოდ შექმნას.

ე. კეკელიძე, რომელმაც ზედმიწევნით უწ-

აუღა ქრისტიანული შემოქმედებითი პროცესის არსი, ხაზგასმით შეინიშნავს: „ფრაზა „ქალითა მისითა დაწერილია სულთსა შიერ წმინდისა“ უფრო ასე უნდა გვეხმოდეს, რომ ეს იაღვარი ან ლიტურგიკული მიწნები შთელი წლისა მას თვით შეუთხზავს თითქოს „სული წმინდის შთაგონებით“ (ქ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 185). ამავე აზრისაა პ. პეტერბოც.

საგულისხმოა ისიც, რომ გიორგი მერჩულე გრიგოლის შიერ „დაწერა“ საწელიწდო იაღვარის შესახებ იქვე ამბობს: „არაშინა სიტყუანი ფრაზა კეთილ არაინ“. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ამგვარი შეფხება სწორედ ავტორისებულ თხზულებას ეხება. ამათ უი მძე გლისი „ქეთილ სიტყუაობა“ მხოლოდ მისი ავტორის და მისახატრებაა და არა გადაწერისა.

მეტად ძნელია იმის გარკვევა, თუ რა მოცულობის უნდა ყოფილიყო გრიგოლის მიმწერაფილი მოღვაწეობა (თავის დროზე ამას შეეცადა პ. ინგაროვი). ერთი აღამიანის შიერ შთელი „საწელიწდო იაღვარის“ არათუ შეთხზა, არამედ თარგმნაც კი მოულოდნელია. შესაძლოა, საქმე ეხებოდეს სასულიერო შწერლობისათვის ნიშანდობლივ მოკლულს, რომელიც გულისხმობს ამათში საკლესიო მოღვაწესთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტის უჩვეულო მიტერბოლოვნებას, მისი ზეაღამიანური ბუნების გასაცხადებლად. სხვათაშორის, თვით გიორგი მერჩულე მიუთითებს, რომ გრიგოლის მწიგნობრული მოღვაწეობა ხშირად აღმეტბებოდა აღამიანის შესაძლებლობებს („უშეტეს ზეშთა ბუნებისა ჩუენისა“, „უფრომას ბუნებისა და ცნობისა კაცობრავისა“). ამგვარივე მიტერბოლოვნების ნიშნებია ისიც, რომ ნაწარმოებში ხანძრის მონაწივნები შთელი იმდროინდელი ქრისტიანული მსოფლიოს მონაწივნებზე „უზეშთავსად“ არიან წარმოდგენილნი („უზეშთავს არიან ტამისა ამის მონაწივნთა“).

ერთი რომ, ვფიქრობთ, მაინც შეიძლება ითქვას: გრიგოლ ხანძრული შემოქმედებითად იყო დაკავშირებული ლიტურგიკული პოეზიასთან, რის გამოც იგი წარმოინდებდა ხანძრის მონასტრის მამათა, ზოგადად, სამხრეთ საქართველოს მიმწერაფილი მოღვაწეობის სათვდედ. ხანძრის მონასტრში მიმწერაფიული კერის არსებობაზე შესაძლოა მიანიშნებდეს ისიც, რომ „საწელიწდო იაღვარის“ ერთ-ერთი უადრესი წესხა — სინ. I გადაწერილია ხანძრის მონასტრიდან გამოსული მოღვაწის — ივანეს შიერ.

ცნობილია, რომ სინ. I-ს ერთვის გადაწერის ანდრეოლ, „აღიდებამ შენდა ღმერთო ძრბილო და ცხოველო, რომელმან სრულ ჰყავ საქმეც ესე. დაესრულა იაღვარისა საქმე იქვე“. ქრისტი. შეიწყალებ ტომოთე მომგებელი და

ივანე შწარედ ცოვლიო შწერაჲო და თეოდორე ძმა ჩემი და გიორგი. ამწე (სინური კულტურა, I, გვ. 34). როგორც ვხედავთ, ხელნაწერი გადაწერა ივანეს, ივანე ივანეს (იგი ხელნაწერის სხვა მინაწერებშიც გვხვდება). დღეისათვის უკვე გარკვეულია, რომ ეს ივანე არ არის ივანე-ზოსიმე. ც. ჰანკიევმა სპეციალურად შეისწავლა სინური ხელნაწერების გადაწერე ივანეთა ხელი და დაასკვნა: „სინ. I-ის გადაწერა არ არის ივანე-ზოსიმე“ (მრავალთავი, III, გვ. 46).

საგულისხმოა, რომ ც. ჰანკიევის გამოკვლევით, სინ. I-ის გადაწერე ივანეს გადაწერა, აგრეთვე, სინ. 28-ის ნაწილი და მიწერა თარბილიც „ქრონიკონი როდ“ (952 წ.). აქედან ცხადია, რომ სინ. I-ის გადაწერე ივანე X ს. 50-იან წლებშიც მოღვაწეობს.

ამგვარად, შემოცობირებულ ანდრეოში ხსენება ივანე გადაწერე, მისი ძმა თეოდორე და გიორგი. სამივე მათგანი X ს. 80-90-იანი წლებს მოღვაწეა. აღნიშნული ანდრეოს წაკითხვისას უნებლიეთ გვახსენდება გრიგოლ ხანძრულის „ცხოვრების“ ანდრეო, რომელშიც ვკითხულობთ: „ხოლო ხანციოსა წინამძღვრისა და ივანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერლისა გიორგი მერჩულისა, სამთავრ ამთ ერთად გულსმოდგინებითა დაიწერა ხანციოს შინა ნეტარისა გრიგოლისა ცხოვრება ესე“. ცოტა ზემოთ აღნიშნული: „ტამავე მას (იგულისხმება „ცხოვრების“ დაწერის დრო.) იყო... ხანციოს მამად თვედორე“.

აღნიშნული გრიგოლ ხანძრულის ცხოვრების „დაწერაში“ მონაწილეობას იღებდა ივანე, მისი ძმა არის თვედორე, ხოლო თანამოღვაწე — გიორგი. ასევე სინ. I-ის „დაწერაში“ ივანე, რომელსაც ჰყავს ძმა თეოდორე და თანამოღვაწე გიორგი. ზედმეტევით უნსობად თანხედება აღნიშნულ პირთა მოღვაწეობის დროც.

სინ. I და სინ. 28-ის ნაწილი გადაწერილი უნდა იყოს იმავე ივანეს შიერ, რომელიც თავის დროზე რაღაც მონაწილეობას იღებდა გრიგოლ ხანძრულის ცხოვრების „დაწერაში“. რაც შეეხება სინ. I-ის ანდრეოს თეოდორეს, ივანეს ძმას, იგი უნდა იყოს ხანძრულის ცხოვრების „დაწერასთან“ დაკავშირებით მოხსენიებულ ივანეს ძმა თვედორე (ხანძრის წინამძღვარი). სინ. I-ის ანდრეოს „გორგი“, ცხადია, იქნებოდა გიორგი მერჩულე.

მერჩულის თხზულებაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცნობა გრიგოლ ხანძრულის საბერძნეთში მოგზაურობის შესახებ. „ცხოვრებაში“ ვკითხულობთ:

„ხოლო მამად გრიგოლ გულს-იტყოდა, ვითარმედ: „ვითარცა მონასტრისა ჩემისა მამანი სათნოებითა უ ზეშთავს არიან ტამისა ამისა მონაწივნთა (იგულისხმება შთელი ქრისტიანული მსოფლიო), ეგრეთცა



წეს არს წესის ხაღმართთა საეკლესიოთა ეკლესიასა შინა ჩემსა დაწესებულ პრეტორიანს განუყოფელი. ამისთვის (ე. ი. საეკლესიო წესის შედგენისათვის, ე. ჰ.) განაზრახა წარსვლა ქრისტეს საჭურჭლედ, შეროდ იერუსალიმად, რომელ არს კონსტანტინოპოლისი და ყოველთა საჩინოთა საბატონებისა წმიდათა ადგილთა მონაღვრად და ღოცვად. (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 264).

როგორც ვხედავთ, ხანძის მონაზონები, ვიოგვი მერჩულის აზრით, ყოფილან მთელი ქრისტიანული მსოფლიოს მონაზონებზე („უამისა ამის მონაზონთა“) „უწესითაჲსი“. გრიგოლს ვადაუწვევებია, რომ ამგვარ „უწესითაჲს მონაზონთა“ შესაფერისი წესი შედგინა ეკლესიისათვის (წესი საეკლესიოთა), რის გამო კონსტანტინოპოლის, ასევე საბერძნეთის ყველა საჩინო ადგილის მონიღვა განაზრახა. ამავე მიზნით, გრიგოლმა იერუსალიმში მიმავალ მეგობარს „დაჰვედრა საბაწმიდისა წესისა დაწერად და წარმოცემაჲ“ (იქვე, გვ. 264).

ვიოგვი მერჩულის ცნობიდან გამომდინარეობს ასეთი დასკვნა: გრიგოლმა ვადაწუხებდა საბერძნეთში გამგზავრება მსოფლიო ლიტურჯიული მონაღვრებისათვის. ამავე განზრახვით „დაჰვედრა“ მან თავის მეგობარს საბაწმიდის განგების ჩამოტანა. გრიგოლ ხანძითელს მისია იყო, ამოეწერა მართლმადიდებლური ქრისტიანობის ყველა ლიტურჯიული წესი სახელედ და მათი შეტრება-გამორჩევით შეედგინა „საეკლესიო წესი“ მის მიერ აწინებული ეკლესიებისათვის, „წესი“, რომელშიც სასული იქნებოდა ქრისტიანული ლიტურჯიის ყველა არსებითი მომენტია. განახლებული „საეკლესიო წესი“, IX ს. I ნახევრის მთელ ლიტურჯიულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეუდგენია გრიგოლ ხანძითელს.

მაგრამ რატომ მიეწვევარება გრიგოლი საბერძნეთში, კონსტანტინოპოლში და არა იერუსალიმში, საბაწმიდაში?

ამ კითხვან ერთი პასუხი არსებობს: დასახული მისიის განახორციელებულად გრიგოლმა უფრო მწიგნულოვან ცენტრად მიიჩნია კონსტანტინოპოლი.

IX ს. I ნახევრისათვის ლიტურჯიული (მათ შორის მიწმოგრაფიული) სიახლეების ცენტრი სწორედ კონსტანტინოპოლი იყო და არა საბაწმიდა.

საეპიტრებელია რომ გრიგოლ ხანძითელი, რომელიც „ყოთლიც ეკლესიისა საქადაგებელსა ვაღობისა სრულიად წელიწადისა განგებითა მოძღვარა იყო“, რომელიც თვით იყო დაბელოვებული მგალობელი („აქუნდა ხმისა წებერისა და ტუბოლობისა შეუწერიობაჲ) და „ქებათა“ გამომთქმელი (მერჩულის ცნობით,

გრიგოლს გამოუთქვამს ბავრტ კუროპალატის „ქებაჲ იგი შესხისაჲ“, რომელიც „ყოფილა უამისა მის ბრძენთა მიერ შეუცავა“) ყურადღების გარეშე არ დატოვებდა ლიტურჯიული პოეზიის იმ უდიდეს სიახლეს, რომელიც IX ს. I ნახევარში განსაზღვრავდა მთელ ბიზანტიურ ლეონისახებრებს (გრიგოლმა, როგორც ცნობილია, საბერძნეთში იმოგზაურა IX ს. 20-იანი წლების დასაწყისში და დაბრუნდა იქიდან 826 წელს, როცა მოკლეს აშოტ კუროპალატი).

ბიზანტიური მიწმოგრაფიის ახალ ხანაში ცნობილია სამი სკოლა: საბაწმიდური, სიცილიური-იტალიური, კონსტანტინოპოლური. საბაწმიდური სკოლა VII-VIII სს.-ში ბიზანტიური მიწმოგრაფიის ცენტრს წარმოადგენდა. VIII ს. მიწმურულიდან საბაწმიდური მიწმოგრაფიული ტრადიციები იმეკიდრება კონსტანტინოპოლში, სადაც VIII-IX სს. მიწმანზე, განსაკუთრებით 787-818 წლებში, მიწმოგრაფიის ცენტრად გადაიქცა სტუდიის მონასტერი.

ახალ ბერძნულ მიწმოგრაფიაში ა. ბაუმშტაკი ორ ფენას გამოყოფს. მკვლევარის მითითებით, პირველი ფენა VIII ს. I ნახევარში საბაწმიდაში ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი განვითარება გაგრძელდა არა აქ, არამედ კონსტანტინოპოლში, რამდენადაც VIII-IX სს. მიწმანზე საბაწმიდა აღარ წარმოადგენდა მიწმოგრაფიის ცენტრს. მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს: „გვიანდელი ფენა ჩამოყალიბდა კონსტანტინოპოლში, სადაც სტუდიის მონასტრში, ვითარც წმიდა პოეზიის ცენტრში, მოაღწეობდა სახის ლავრის სილიადეს... საშმა უყველანე უფრო ცნობილმა მოღვაწემ ამ მონასტრისა — თეოდორე სტუდიელი (826), მისმა ახალგაზრდა ძმამ იოსებმა... და თეოფანემ (ეს უანასტენელი აღერ საბაწმიდაში მოღვაწეობდა, ე. ჰ.)... ხატუმბრძოლის დროს, IX ს. ში, დაასრულეს მათი პალესტინელი წინამორბედების მიერ დაწესებული საქმე“ (ა. ბაუმშტაკი, მიწმენი — ბერძნული ქრისტიანული. რელიგიისა და ეთიკის ინციკლოპედია, ტ. VII, 1980, გვ. 10).

ბ. ბენეტის მითითებით — „საბაწმიდის პოეტები, მაგალიად თეოფანე და კონსტანტინოპოლის პატრიარქი მეთოდოუსი, შემოიტანეს აქ (იგულისხმება კონსტანტინოპოლი) ცხოვრებისეული შემოხვევების გამო“ (მიწმოგრაფიის ლექსიკონი, I, ნოუ იორკი 1957, გვ. 468). ე. უელშის მითითებით — „IX ს.-ის დასაწყისიდან კონსტანტინოპოლის სტუდიელთა მონასტერი გახდა ბიზანტიური მიწმოგრაფიის ცენტრი“ (ე. უელშე, ბიზანტიური მუსიკისა და მიწმოგრაფიის ისტორია, 1971, გვ. 229). IX ს. I ნახევარში აქ მოღვაწეობდნენ: თეოდორე სტუდიელი (759-826), მისი ძმა იოსებ თესალონიკელი, ძმები თეოფანე (IX ს. I ნახ.) და თეოდორე საბაწმიდელი (ე. წ. „დაღაინები“),

მეთოდისა (789-846), რომელიც 842 წ.-ს კონსტანტინოპოლის პატრიარქი გახდა და სხვები. პ. ლელდერკი მითითებს: „სტუდიელები თანაბრად (ე. ი. საბაწმიდელია თანაბრად, ე. წ.) სახელმწიფოებები იყვნენ... თეოდორემ იქ დააფუნა ლიტურგიული მუსიკის სკოლა“ (პ. ლელდერკი, ჰიმნები, ქრისტიანული არქეოლოგიისა და ლიტურგიკის ლექსიკონი, ტ. VI, ნაწ. II, 1925, გვ. 2888). კონსტანტინოპოლის მიწოგრაფიულმა სკოლამ დაუღო საფუძველი ბიზანტიური კალენდარის, მენდოლოგიის ჩამოყალიბებას (სტ. ვ. ლაზარევიჩი, სტიქერარიაონი, ბიზანტიოსლავია, 2/1968, გვ. 290).

ბერძნული მიწოგრაფიის განვითარების გზეუბი სპეციალურად გამოიკვლია ე. პიტრამ. მკვლევარი აღნიშნავს: „განახლების მოძრაობა ორი სხვადასხვა აღვლიდან დაიწყო სირიიდან და სამხრეთ იტალიიდან და შეერთდა კონსტანტინოპოლში (ე. პიტრა, ბერძნული ეკლესიის მიწოგრაფია, რომი, 1867, გვ. 52).

მკვლევარი მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის (საბაწმიდელი მიწოგრაფების, მოძღვარი იყო კოზმა იტალიელი. მისი აზრით, საბაწმიდელია მიწოგრაფიული სიახლეები „იმავე ეპოქაშივე“ (იგულისხმება იოანე დამასკელის მოღვაწეობა) დაინერგა რომის იმპერიაში, განსაკუთრებით სიცილიაში.

IX ს.-ის დამდეგს ამ ორი ცენტრიდან (საბაწმიდა, იტალია) კონსტანტინოპოლში განაგრძეს მოღვაწეობა ცნობილმა მიწოგრაფებმა: თეოდანე საბაწმიდელმა, თეოდორე საბაწმიდელმა და მეთოდისმა, რომელიც ადრე სირაკულაში ცხოვრობდა. ორივე ცენტრის მიწოგრაფიული ტრადიციების უშუალო მიმკვიდრე და ბერძნული მიწოგრაფიის ცენტრი IX ს. დამდეგს სწორედ კონსტანტინოპოლი (ერძოდ სტუდიელთა მონასტერი) გახდა. თეოდორე სტუდიელმა (750-828), ზემოაღნიშნულ მიწოგრაფებთან ერთად, სხვებიც შემოიტანა იმ თავის მონასტერში შექმნა მიწოგრაფიის მძღვარი სკოლა, რომელშიც დიდად გაიქცა სახელი.

ზემოთ აღნიშნული გეგონდა, რომ გრიგოლის კონსტანტინოპოლსა და საბერძნეთის „უძველა საბინო ადგილი“ მოგზაურობას (IX ს. 20-იანი წლები) მხოლოდ ლიტურგიკული მიზანი ჰქონდა. მთელი ქრისტიანული ლიტურგიული პრაქტიკის გათვალისწინებით, თავისი მონასტრისთვის შედგინა „წესი საეკლესიოა“ ანუ ტაიკონი. გრიგოლ ხანძთაძის ლიტურგიკული მოღვაწეობა, პირველ რიგში, კონსტანტინოპოლს უკავშირდება. ცხადია, იგი თვალისწინებს საბაწმიდურ ტრადიციასაც.

მაგრამ მთავარ მნიშვნელობას კონსტანტინოპოლს ანიჭებს. თეოდორე სტუდიელის მიერ შედგენილ-განახლებული ტაიკონი IX ს. ნახევრისათვის განსაზღვრავდა ბერძნულ-იტალიური ეკლესიების ღვთისმსახურებას (ე. პიტრა, ბერძნული ეკლესიის მიწოგრაფია, გვ. 57).

გრიგოლ ხანძთელმა უპირველესად სწორედ საბერძნეთის „საბინოთა ადგილია“ (უმთავრესად კონსტანტინოპოლის) ლიტურგიკული პრაქტიკა აითვისა, გამოიყენა, აგრეთვე საბაწმიდის მიღებული განგება და მათზე დაყრდნობით, მათი გამოყრება-განახლისებით შექმნა პირველი ქართული „საეკლესიო ტაიკონი“, რომელსაც მხოლოდ კბოლური ტაიკონის მნიშვნელობას ვერ მთავნიჭებთ. საფიქრელია, იგი განსაზღვრავდა მთელი სამხრეთ საქართველოს ლიტურგიას.

უყოველივე წმინთქმული იტუქმება გიორგის მერჩულის ცხად და კონკრეტულ ცნობებს: „და წარემართა საბერძნეთად და მოიწია კონსტანტინოპოლის... და სიხარულით მოვლნა უყოველი წმიდანი ადგილინი სალოცველინი, რა-მეთუ შინა ვაღაღათა ენათაა წურთილი იყო იგი და მრავალმოსწავლელ... და ესრეთ აღმოვივო გული თვის... და ესრეთ მოვიდეს ხანძთად... მაშინ იერუსალიმით მოიწია კაცო, რომელმან შიართოა საბაწმიდისა განგება და წირილი: ხლო ნესტან გრიგოლ შას თამსა განაწესა წესი თვისაა ეკლესიისა და მონასტრისა საბერძნეთი განსაზღვრებული და შეცნობრებით გაბრწყინებული და უყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამოჩენითა შეტრებული, თიარკა საუბა დოღუდელთა კეთილთაა“. (ძველი ქართული... I, გვ. 264-265).

კონსტანტინოპოლში გრიგოლის მოგზაურობა ემთხვევა იმ დროს, როცა იქ ბიზანტიური მიწოგრაფიის სიახლეები „ოქროს ხანაში“ (ე. პიტრა) შესულა. შეიძლებადა გამოვეთქვა მტკად ბიპოთეზური აზრი იმის შესახებ, რომ გრიგოლმა, ვინ იცის, იქნებ პირადადაც იხილა თეოდორე სტუდიელი, უდაღესი ბიზანტიელი მიწოგრაფი. უკველ შემთხვევაში, საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ გრიგოლ ხანძთელი თვით ეწეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას და საბერძნეთში მოგზაურობა, აღ-ბათ, არ გამოიცხადდა ხანძთის წინამძღვრის მიწოგრაფიულ ინტერესებს.

გრიგოლის საბერძნეთში მოგზაურობა, მის მიერ უძველა წმიდა ადგილიდან გამოკრებილი საეკლესიო წესის შედგენა და მისი მიწოგრაფიული შემოქმედება (შედეგობაში გვაქვს ბიპოპოლიზებული ცნობა მის მიერ „საწმიდა-წლო იადგარის“ შეთხვის შესახებ) ვთქვარობთ, ერთმანეთთან ღრმა კავშირშია. ისინი გვწმადევენ საფუძველს ხანძთელის სამწერლობო მოღვაწეობის უკეთ განაცხადებლად.



# ქართველები მონღოლთა კარზე

საქართველო, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, არაერთხელ აღმოჩენილა უცხო დამპყრობთა ბატონობაში. მათ შორის ერთ-ერთი ხანგრძლივი პერიოდი იყო მონღოლ-თათართა ბატონობის ხანა.

ქართველი ხალხი ძნელად ეგუებოდა დამპყრობლებს, თუ გარეგნულად, მოღვაწეებულნი ფიზიკური ძალის წინაშე, იგი იძულებული იყო, ამ ათ იმ ხნით და სახით, შორილგება გამოეხატა, წინაგანად ურევლავის შუად იყო და ბელსაყრელ მომენტს უცვლიდა უცხო „მერუტვითა“ „შუარველობისაგან“ თავის დასახსნელად.

ახტო მძიმე პერიოდებში, ამა თუ იმ მიზეზსა და გარემოების გამო, არა ერთი ქართველი აღმოჩენილა დამპყრობთა კარზე. შტრის კარზე მყოფმა ქართველებმა საქართველოს ბედ-იღბალში სხვადასხვაგვარი როლი შეასრულეს და ისტორიაში სხვადასხვა კვალი დატოვეს.

ამ მხრივ საშავალითა სელჩანთა ირანი, პარადოქსულია, რომ იქ, საქართველოს სახტეი და ვერაგი / შტრის — შახ ახას I (1587-1629) კარზე, ქართველ მოღვაწეთა მიღმა პლიდამ მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ უნდილაძეთა განთქმული გვარის წარმომადგენლები (აღავერდი-ხანი, იმამ უფლი-ხანი, დარუ-ხანი, სეფი უფლი-ხანი), უფლისწული ხოსრო შირაზი (შემდგომში ქაბლდის მეფე როსტომ ხანი — 1622-1658), დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, როსტომ-ხან სააკაძე და ა. შ.

საინტერესოა, რომ დიპლომატიისა და დემოგრაფიის დახვეწილი მეთოდების წყალობით, ახას I არწმუნებდა მთელ მაშინდელ კულტურულ სამყაროს, რომ მის კარზე ქართველების ყოფნა, ქართველებისა და, საერთოდ, კავასიელებისაღმა მისი შეტისმეტო „ეთილგანწყობით“ და „ეთილმოყვარობით“ იყო გამოწყვეტილი. სინამდვილეში, ერთი მხრივ, ახას I კარგად

იყენებდა თავისი შტრების წინააღმდეგ მასთან შეხიზნულ ქართველთა თავდადებებსა და ნიჭს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ხერხით იგი ცდილობდა ეფროსა და რომის პაპი თავის სახარტვლოდ განეწყო მომავალი ანტითურქული კოალიციის შექმნის საქმეში. მსგავსი მეთოდები უცხო არ იყო, რა თქმა უნდა, სხვა დამპყრობთათვისაც.

საინტერესოა ფაქტს წარმოადგენს, აგრეთვე, რომ, ახალი მახალების მიხედვით, XVII საუკუნეში, პოლონეთის სახელმწიფოს დიპლომატიურ ასპარეზე დიდ როლს თამაშობდა ვინე ქართველი დიდებული ზოგდან გურჯიაცა.

ბევრი სხვა ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება.

მსგავსი მდგომარეობა უნდა გვექნოდა მონღოლთა ბატონობის დროსაც. მონღოლები ხომ საქართველოში, სულ ცოტა, ერთი საუკუნე ბატონობდნენ. XIII ს. 80-იანი წლებიდან 1256 წლამდე, საქართველო უშუალოდ ყარაყორუმში მქოლმ დიდ ყაენს ემორჩილებოდა. 1256 წელს კი შეიქმნა ახალი მონღოლური გერტიანიება — მულაგუანთა სახელმწიფო ანუ საღლხანი<sup>1</sup> და საქართველოც 1257/58 წწ-მდე მას დაქვემდებარა. ამ სახელმწიფოს ცენტრი, ყარაყორუმთან შედარებით, თავის ქვეშევრდომ ქვეყნებთან, და მათ შორის საქართველოსთანაც, ბევრად ახლოს იქნა გადმოტანილი... იღლხანთა დედაქალაქი თავრიზში იყო, მაგრამ სხვადასხვა დროს მონღოლ-ღლხანებს სატატო ქალაქი გადამქონდათ სულთანთა და შარაღში (ახლანდ. ირანის აზერბაიჯანი).

ამ ახალ, სხელთაშუა ზღვიდან ამუ-დარიამდე გადამქონულ სახელმწიფოს, საქართველო ვინა-

<sup>1</sup> იღლხანი (მონღ.) — ხალხის რჩეული, ბელადი. ასე უწოდებდა დიდი ყაენი ყუბილია ახალი სახელმწიფოს დამარსებელ ზულაგუ ყაენს.

ლიტვის (უმაღლესი) პრინციბი დაემო-  
 რჩილა. მაგრამ ახლა, მადგადვიებული იმპე-  
 რიისათვის არა თუ საქართველო არ იყო ხა-  
 მარისი, მას, თურმე, თვით ზიანანთავე ჰქონ-  
 და პრეტენზიები. დამახასიათებელია, მონღო-  
 ლთა კარის ისტორიკოსის რაშიდ ად დინის ცრ-  
 თი ამბიციოზური ცნობა, რომელიც მის „მეტა-  
 ნეთა კრებულშია“ დაცული. შემატანე შედი-  
 დურად აცხადებს, რომ უაზან უაენის კარზე  
 (1286-1284) „მოვიდნენ ფასილიუსის (ბასილე-  
 სის, ვ. კ.), ისტამბულის ხელმწიფის შერაიე-  
 ნი, ძველთა და ხაჩუკრებით და აუწყეს (უ-  
 აზან, ვ. კ.), რომ ფასილიუსს სურს ისლამის  
 ხელმწიფის (ე. ი. უაზანის, ვ. კ.) ჩრდილოეთ  
 უფა და სურს მას შევლად გაუწავნოს თავისი  
 ქალიშვილი.“<sup>1</sup> თუნდაც ამ ცნობის გათვალისწი-  
 ნებით, ადვილი წარმოსადგინია რა პრეტენზი-  
 ბით იქნებოდნენ განწყობილი ილხანები ქარ-  
 თელთა მიმართ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო  
 ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იყო მონღო-  
 ლეთს დაქვემდებარებული, ამ დროს, და გან-  
 საკუთრებით მათი ბატონობის ბოლო პერიო-  
 დის შესახებ, სახუთები და მოგასურთა ჩანა-  
 წერები უკიდურესად მცირედაა შემორჩენილი.  
 ამან განაპირობა ის ვარაუდები, რომ ილხანთა  
 კარზე ქართველთა ყოფნის შესახებ ექამდე  
 თითქმის არაფერი არ დაწერილა. შედეგობა-  
 ში არა გვაქვს შედარებ და „გაგრძელები“  
 ეროვნების პარაფრაზი ხალხ მანაბერადელი.  
 იგი დიდ როლს თამაშობდა იმდროინდელი  
 როგორც საქართველოს, ისე საილხანოს სამე-  
 ფო კარზე. მის შესახებ ბევრი თქმულა და ამი-  
 ტომ სიტყვას არ ვაგაგრძელებთ. აღვნიშნავთ  
 მხოლოდ, რომ უკანასკნელი გამოკვლევა, რო-  
 მელიც მას ეხება, ეკუთვნის იაპონელ ქართვე-  
 ლოლოგს სეიჩი კიტავას.<sup>2</sup>

გენოვის საინტერესო სახუთების ხშირება  
 და ფრანგებტულობის მიუხედავად, მაინც შესა-  
 ძლებელი ვაზად აღმოსავლურ წყაროებში მი-  
 მოხვეული ცნობების მოძიება საილხანოში მო-  
 ღვაწე ქართველების შესახებ.

გენი უწრადღებდა, პირველ რიგში, შიამურს  
 სპარსი შემტანის მათეზე აბრუს ზოგიერთმა  
 ცნობამ. მათეზე აბრუს (გარდ. 1480/1 წ.), რო-  
 მელიც რაშიდ ად დინის „მეტანეთა კრებუ-  
 ლა“ გააგრძელა, დაუცავს ილხანთა ტახტის  
 მოცილების საინტერესო ეპიზოდთ, ვინმე ქა-  
 რთული ემირის — „ემირ გურჯის“ მონაწი-  
 ლეობით. ეს ემირი აქტიურ და, შეიძლება ით-  
 ქვას, გადამწყვეტ როლს ასრულებს ოლქათა  
 ხელაბანდას გაყენების საქმეში 1284 წლის 17  
 მაისსა და 19 ივლისს შორის. სპარსელი შემ-  
 ტანე მოვტობრობს: „თავისი უაენობის დროს,  
 სულთანმა უაზანმა, მას — ოლქათუს, ზორა-  
 ხანის განმგებლობა ჩააბარა. ამ უკანასკნელმა  
 კი, იცოდა რა უაენის ავადმყოფობისა და და-

ღლილობის ამბავი, ამოარჩია რამდენიმე თა-  
 ვისი ერთგული კაცი და უაენის კარზე მიავ-  
 ლინა ისინი. მათ ევალებოდათ თვალ-სურთი  
 ედევნებინათ უაენის ყველა საქმისა და გან-  
 ზრახვისათვის, იმ მიზნით, რომ შემდგომ, ოლ-  
 ქათუსთვის სასწრაფოდ შეტყობებინათ,  
 რაც თქ ხდებოდა. როცა ამ მიზნის შემსრუ-  
 ლებლებმა უაზან-უაენის სიკვდილი გაიგეს,  
 სწრაფად გახსნეს ხარხანდას (ოლქათუს,  
 ვ. კ.) სადგომისაკენ... უაენს (ივლისსხმება მო-  
 მავალი უაენი ოლქათუს) უნდაც ამ სახალის  
 გამოცხადება, მაგრამ ემირმა მულაიმ<sup>3</sup> გააფრ-  
 თობილი იგი თავი შეეკავებინა ასეთი სწრა-  
 ფი მოქმედებისაგან შემდეგი სიტყვებით:  
 „უპირველესად არსებობს უმნიშვნელოვანება  
 საკითხი — შტრების ამოცნობა; იმისთვის, რომ  
 საშუალება გვექონდეს ჩაახშოთ აქანდაცა, რო-  
 მელიც ყოველთვის არის მოსალოდნელი და  
 მოვსპობ ისინი (შტრები), სანამ ჩვენ ვაყვებ-  
 დნენ (რამეს); ეგებს ვარცხა, უფლისწულ ალა-  
 ფრანგის სახით ჩვენ გვაქვს შტერი, რომელ-  
 საც მზარს უმაგრებს ემირი ზორუსდაყან...“ უ-  
 აენმა (ოლქათუს, ვ. კ.) გადასწყვიტა, რომ ეს  
 ფრთად ბრძნული რჩევა იყო, მიიღო იგი და,  
 დიდი ხნის თათბირის შემდეგ, თავისი დაშქ-  
 რის სამ ძლიერ მეთაურს დაავალა, ჩამოეშო-  
 რებინათ მისთვის შტერი. საქმის აღსრულება  
 დაევალოთ: ემირ ისენ-უთლულს, უთლუ-  
 ბულასა (და ქართული ემირს),<sup>4</sup> უფლისწული  
 ალაფრანგის სრულიად არ მოელოდა ამ შეთქ-  
 მულასა და ისინი (ე. ი. ოლქათუს ემირები,  
 ვ. კ.) პატივით და კეთილგანწყობით მიიღო.  
 მაგრამ ერთ-ერთი ფარული შეხედრის დროს,  
 ქართული ემირმა მოკვლია. ამის შე-  
 მდეგ ოლქათუს, საშინი მოწინააღმდეგეები  
 აღარ აღარა“.

შემდეგ მოთხრობილია, რომ ოლქათუს გა-  
 დამწყვეტა, ყოველი შემთხვევისათვის, თავიდან  
 მოეშორებინა ემირი ზორუსდაყან. მართლაც,  
 მის წინააღმდეგ ჯარი გაიგზავნა. უთინასწრო  
 ბრძოლაში ემირ ზორუსდაყანს ხალხი დამარცხ-  
 და, მაგრამ ერთ-ერთი შეტაკებისას მოკლულ  
 იქნა „ქართული ემირი, უფლისწულ  
 ალაფრანგის შველილი“, გვამცნობს მათეზე  
 აბრუს და ამატებს: „სამართლიანად თქმულა:  
 რასაც დასთეს, იმას მოჰყოლია“.<sup>7</sup>

ასეთი ოლქათუს გამეფების წინა ისტო-  
 რია, რომელიც ქართველ ემირს მნიშვნელო-  
 ვანი ადგილი უკავია. სამწუხაროდ, სპარსელ  
 ისტორიკოსს მისი სახელი არ მოუხსენებია და  
 არცერთ სხვა წყაროში მის შესახებ არაფერია  
 ნათქვამი;

საინტერესოა, აგრეთვე, ცნობები ილხანთა  
 კარის მოტეხ — ქემლად ად დინ ომარ ტიფ-  
 ლისის შესახებ. ამ შემთხვევაშიც ძალაან ჭუ-  
 ნწი ცნობებია შემონახული. არაფერია მასზე  
 ნათქვამი არც „ილხანის ენციკლოპედიის“  
 მრავალტომეულში. მას, საერთოდ, სულ არ ახ-

სენებს რაშიდ ად დინი თავის დიდებულნიან „მითანეთა კრებულში“. თუმცა გერმანელი ორიენტალისტის — შპულერის მიხედვით, ერთგან, რაშიდ ად დინთან, ქემალ ად დინ ტიფლისი, დასახლებული არ არის, მაგრამ იგულისხმება. საქმე იცნება ზღუდავთ უაწინს მერს 1260 წ. დამასკოს აღებას. ბ. შპულერის მიხედვით, აქ, მოსამართლედ დანიშნა ქემალ ად დინ ტიფლისი და, მისთან ერთად, სამი სხვა სპარსელი მოხელე.<sup>8</sup>

ქემალ ად დინ ომარ ტიფლისის შესახებ ცოტად თუ ბევრად სასურაღებმო ცნობები შემოვლანებას XIV საუკუნის სპარსულ ისტორიკოსს ქერიმ ალ აღსარაის „შუბაშართ ალ ახბარ ვა შუბაშართ ალ-ახიარ“-ის ავტორს, რომლის შრომა, თავის მხრივ, დაუცავს XVII ს. ავტორს — მუნაქიმ-ბაში ახმედ ეფენდის („ახტარონომა უფროსი“). მუნაქიმ-ბაშისთან, ქემალ ად დინი დახასიათებულია როგორც ილხანთა სახელმწიფოს ორპირი ევზარი. ავტორი ამბობს, რომ მისი მშავკრული განზრახვანი მეგობრობის ნიღბის ქვეშ იმალებოდა.<sup>9</sup> მუნაქიმ-ბაში ქემალ ად დინ ტიფლისის კიდევ ერთედ იხსენიებს. აქ ავტორი დამარკობს 1295 წ. შემდგომ, მონღოლთა მიერ რუმის (ახლანდელი თურქეთი) ოსი საგამეგო პაროციად დაყოფის თაობაზე. კერძოდ, მუნაქიმ-ბაში აღნიშნავს, რომ მონღოლთა ბელისუფაღმა (უაწინ-უაწინმა) რუმი ჩააბარა — მოჰამედ ბეი ფერვანერს, ილხანთა ფინანსთა მინისტრს ანუ დეტერმინატორს შერეფ ად დინს, დიდ ევზირს ქემალ ად დინს და მის ნაიბს ან ქეთხულდს — ქემალ ად დინ ტიფლისის.<sup>10</sup> სამწუხაროდ, მეტი ცნობების მოგროვება ჩვენთვის საინტერესო პაროციებზე არ ხერხდება. უსიტკად არ დავით მისი ეროვნებაც. მაგრამ ერთი კი ცხადია: იგი წარმოშობით თბილისიდანაა.<sup>11</sup> ამ ასპექტში უფრადლებას იქცევს ქემალ ად დინის პაროციების მუნაქიმ-ბაშის წყაროებულთ შეესახება. მართალია, ეს წყარო განმეკიქებლად ახასიათებს ილხანთა სხვა მოხელეებსაც (მზედაართთავარ უფოლუმ-შახს, სამიბ დეფან სადრედ დინს და სხვა.) მაგრამ, ვიჭირობთ, შემთხვევითი არ არის ისინი სიტყვები ქემალ ად დინის შესახებ, როცა მის ორპირობა და, მეგობრობის ნიღბით, შტრობა მიეწერება. შეხამლებელია ასეთი დახასიათება (განსაკუთრებით შეფასების მერომ ნაწილი), მისი კაცობურ-ქართული წარმოშობის შედეგი იყოს. მითუმეტეს, რომ, ამავე ავტორის ცნობით, არღუნის უაწინობის (1284-1291) დროს რუმის განმეგებლად დანიშნულ ფაქრ ად დინ მუსტაოფი უაწინის (ისტორიკოს ჰამდალან უაწინის ბიძაშვილი) რუმში თან ჩაუყვანია ბევრი სპარსული-ამიერკავკასიული წარმოშობის ხალხი. რის გაზომც მუნაქიმ-ბაშის წყარო — ქერიმ ალ აღსარაი, თავის აღწერებებსა და უწყყოფილებას ვერ მალავს.<sup>12</sup>

ილხანთა სახელმწიფოში ქართველთა ცვალების ორიოდ შეგალითი კიდევ შევამეგებო დავსახელოთ.

რაშიდ ად დინის პირადი წერილებიდან ირკვევა, რომ უაწინ უაწინს დროს, თავროზთან რამდენიმე სოფელი დაუფურნებიათ ვაწინსა და ხილის მოსახუნებლად და არხების გასაყვანად. მათ შორის დასახლებულია „გორქების“ (გურჯების) სოფელიც, სადაც, როგორც სახელმინაც აშკარად ჩანს, ქართველებს უცხოვრობათ. დამახასიათებელია, რომ მათ შოვალეობას შეადგენდა ვაწინსა და ხეილის მოვლა.<sup>13</sup>

ილხანთა კარზე ქართველ დღღამთა (შახურთ, მონა) ეროფულეზაზე ლაპარაკი რამდენიმე სპარსელ მემატინესთან. ჩობან ნოინის ერთ-ერთი შვილიშვილი — მელიქ-აშრაფი, ჩობანინთა (ილხანთა მემეკიდრე) სახელმწიფოს მივედური, ჩრდილოეთიდან შემოიღებოდა ოქროს ურდოს უაწინა ქანი-ბეკმა სახტკავ დამარკება 1256/7 წწ... აშრაფმა დატოვა თავრონი და მარაღისკენ გაემართა, სადაც ოჯახი ჰყავდა. მემატინეთა ცნობით, სანამ ამ ქალაქს მიადრედა, იგი ყველას მოუტოვებია, ორი ქართველი დღღამის გარდა.<sup>14</sup>

ასეთია ეს ცნობები, რომელთა გამოვლენაც მოხერხდა მონღოლთა კარზე მყოფი ქართველების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ქართველებს მონღოლთა კარზე სრულიად არ ასახელებს ქართველი ისტორიკოსი ყაშიაღმწერელი. არადა, როგორც დავრწმუნდით, სხვა თუ არა, ერთი ქართველი იმირი საქმოდ ცნობილი უყოფოა ოღჯათო უაწინს კარზე. არ შეიძლება, რომ ამავე ხანში მოღვეწე ქართველ ისტორიკოსს, მის შესახებ არაფერი სცოდნოდა. ჩანს, საქმე ისაა, რომ მისი თბრობისათვის ისინი არაფეთარ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ. აი თვით თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსი ჰაფეზე აბრუ ირონოულად აღნიშნავს ამ ქართველი იმირის სიყვდილის შესახებ, რომ „რასაც დასთეს, იმავე მოიქიო“. ამ ფრაზით ისტორიკოსი გვაშცნობს, რომ ილხანთა კარზე არავის დანიშნავია იგი, არაფრად ჩაუგდია „უმირ გურჯის“ ეროფულეზა, თავდადება და აქტიურობა მომავალი უაწინის გამეფების საქმეში. მას საყუთარი სახელით მოხუნებუც კი არ აღიარეს. დავალებით კი, ყველაზე სახსუნისმეგებლო და უსიამოვნო საქმე დაიკისრეს. მაგრამ განა იგეფე მდღღამარობა არ გავქვს, როდესაც ქართველი მეფეები მონღოლთა ლაშქრის შემადგენლობაში თავდადებოთ და „უმეტეს სხუთა“ შემართებით იბრძვიან „მადლი“ უაწინის ინტერენისათვის სირია-პალესტინაში, გილანში და სხვაგან? ამ უკანასკნელის (გილანის) დამორჩილებისას ქართველებს ცოცხალი ძალის ისეთი ზარალი უნახავთ, რომ, ყაშია-

აღმწერლის სიტყვით, მრავალი წარჩინებულის ოჯახი დედაბუღიანად ამოწვეტილა.

მართალია, უშუალოდ თავის კარზე შეიზნული ქართველებისაგან განსხვავებით, ყაენი ქართველ მეფეებს ზოგჯერ, გარეგნულად მაინც, უფასებს ესოდენ თვედადებს. მაგალითად, 1808 წელს სახელმწიფო წვეულებაზე ყაზან ყაენის სტუმართა შორის, მონღოლ წარჩინებულთა შემდეგ, პირველ რიგში, საქართველოს მეფე იხსენიება. ერთი სპარსული წყარო გვამცნობს: „ჩვეულებისამებრ, წვეულება სამი დღე გაგრძელდა. მისი უმაღლესობის (ილხანთა ყაენის, ვ. კ.) ემირები, სახელ-

მწიფოს ვეზირები, საქართველო ოს. რაჟ. მის და სომხეთის ქვეყნის სულთანები, სხვადასხვა ქვეყნის წარგზავნილები... ქართველობა, თავისი წოდებისდა მიხედვით || მონღოლმეფემ (ყაენს) საჩუქრები... ო... როგორც წესი, ყაენთა „პატივი“ ამით ამოიწურებოდა.

ასეთია დამპყრობთა კარზე მოხვედრილ ქართველთა ბედი. ისინი იძულებულნი იყვნენ თავიანთი ნიჭი და შესაძლებლობანი მტრის სასარგებლოდ წარემართათ. მხოლოდ უდიდესი მსხვერპლის გაღებით თუ მოახერხებდა ზოგიერთი მათგანი სამშობლოსთვისაც სასარგებლო საქმე გაეეთებინა.

შენიშვნები

1 რაშიდ აღ დინი, ქაში ათ თავირი, ტ. III („მატიანეთა კრებული“). — სპარსული ტექსტი, რუსული თარგმანითურთ, ბაქო, 1959.

2. სეიფი კიტაგავა, არწრუნთა გვარის აღორძინება და ილხანთა გამგებლობა საქართველოში. იაბონის ისტორიული საზოგადოების გამომცემლობა, ტუვის უნივერსიტეტი, ტ. 87, № 6 (ივნისი), 1978 (იაბონურ ენაზე, ინგლისური რეზიუმეით). სტატია მოგვამოდა თეთი ავტორმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

3 მული — ცნობილი ემირი იყო ჯერ კიდევ ყაზან ყაენის კარზე. იხ. რაშიდ აღ დინი, გვ. 195 (აქ ნათქვამია, რომ დიარბექირში 1302 წ. მუღაის უნდა დაქვემდებარებოდა ქართული ჯარის ნაწილი).

4 ალაფრანგი (ან ალაფირენგი) — ქეღათუ ყაენის (1291-1295) უფროსი ძე იყო. იგი მოწინააღმდეგეობდა 1303 წ. ყაზან ყაენის საწინააღმდეგეო შეთქმულებაში, მაგრამ ყაზანში დანაშაული აპატია (იხ. რაშიდ აღ დინი, გვ. 132, 202-3).

5 მონღოლი ემირი, ჯერ კიდევ ქეღათუსა და ყაზანის დროს. რაშიდ აღ დინი, გვ. 157, 171-172.

6 წინა და შემდგომი ტექსტიდან ჩანს, რომ აქ მექანიკურადაა გამოტოვებული ფრაზა — „ქართული ემირი“, რაც ფრჩხილებში აღვადგიენთ (ნახე აქ და ქვემოთ ჩვენია).

7 ჰაფეზე აბრუ — მონღოლ მეფეთა ბატონობის ქრონიკა ირანში, პარიზი, 1936, თა-

რემანი სპარსულიდან და გამოცემა ხანბაბა ბაიანსა, გვ. 2-3; ასევე, დ'ოსონი, მონღოლთა ისტორია. ტ. IV, ამსტერდამი, 1835; გვ. 83. (ორივე ფრანგულ ენაზე).

8 ბ. შუღეი — მონღოლები ირანში, ბერლინი, 1955, გვ. 356 (გერმანულ ენაზე) შდრ.: რაშიდ აღ დინი, გვ. 50.

9. Бартольд В. В. — О некоторых восточных рукописях в библиотеках Константинополя и Капра, соч., т. VIII, М., 1973, с. 237—238.

10 დ'ოსონის — დასახელებ. შრომა, გვ. 204.

11 საინტერესოა, რომ მუსულმანური სამყაროს ისტორიაში ცნობილია კიდევ ერთი პიროვნება, რომელიც წარმოშობით, ავრეთვე, თბილისიდანაა (ჩანს თბილისელი მუსულმანია, საქმე ეხება შარაფ აღ დინ ქამიდ აღ დინ) აბულ-ფადლ ხუბაიშ ბ. იბრაჰიმ ბ. მუჰამად ქამიდ — ტფილისის. იგი XII ს. II ნახევარში მოღვაწეობდა და სხვადასხვა დარგის 30-მდე ნაშრომის ავტორად ითვლება.

12 ბარტოლდის დასახ. შრომა, გვ. 236.

13. კ. ტაბატაძე, რაშიდ აღ დინის ცნობები საქართველოს შესახებ („მოქალაქათუ რაშიდი“) ქართ. წყაროთმცოდნეობა, II, თბ. 1968, გვ. 79.

14. ჰაფეზე აბრუ; ზეინ აღ დინი; იხ. ა. ალი-ზადის შრ. „XIII-XIV სს. აზერბაიჯანის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორია“. ბაქო, 1956, გვ. 334. ავრეთვე დ'ოსონის დასახ. წიგნი, გვ. 741.

თითქოს შეგუებული ვიყავით, ველოდით ამ მძიმე დღეს. მაინც მოულოდნელი და თავზარდამცემი გამოდგა მისი სიკვდილი.

ამ ორიოდ წლის წინ საგურამოში ვინახულე. ვერ იყო კარგად. მაშინ ვუთხარი, თაობის მედროშე ხარ-მეთქი. ასეც იყო. ამიტომაცაა ტკივილი მძიმე.

როცა ეჭიმებმა ქალაქგარეთ ცხოვრება ურჩიეს, ერთი პატარა ქოხი საგურამოში მომიხერხეთო, გვთხოვა. მოგვიანებით გამომიტყდა: აქ დიდი ილიას აჩრდილს ვემუსაიფებო. მას ჰქონდა უფლება ილიასთან ელაპარაკნა.

კარგი კაცი რომ წავა ამ ქვეყნიდან, იტყვიან ხოლმე — ვალმოხდილიაო. მან კი ვალი ბოლომდე ვერ მოიხადა. წარმოიდგინეთ: გათეთრებული, ღრმად მოხუცი ნოდარ დუმბაძე. რამდენს შექმნიდა კიდევ კაცობრიობისათვის ეს უნიჭიერესი მწერალი და ბრძენი მოღვაწე!

საქართველოში კარგად იციან: არ არსებობს უბედურება, მას რომ არ დაატყდა თავს, ბავშვობიდან მოყოლებული. იყო უსამართლობაც, უკანონობაც, უახლოესთა დაკარგვაც, მოშურნე კაცის მიერ დაკოდლი გულის ტკივილიც და გაჭიანურებული უკურნებელი ავადმყოფობაც. თითქმის ოცდაათი წელია ვიცნობდი, ვმეგობრობდი. ერთი სიტყვა სამღურავი არ გამიგია არავის და არაფრის მიმართ. ზედამიანური, ზეციური სულგრძელობისა იყო.

ნოდარ დუმბაძის უკვდავება მისი გმირებია. მის საფლავს არ სჭირდება ადგილის ავტორიტეტის მოშველიება. საზოგადოებამ გადაწყვიტა და, მე მგონი, სწორადაც: ქალაქთა შორის უკეთილშობილეს, — ბავშვთა ქალაქში მიუჩინოს სამუ-

დამო ბინა. ამ ზღაპრულ ქალაქში დასახლებიან საქვეყნოდ ცნობილი მისი გმირები: ზურიცელა, ბეზია, ილიკო, ილარიონი, ხატია და სხვები და სხვები. ნოდარ ღუმბაძე, ამ საოცნებო ქალაქის დამაარსებელი, თავის პერსონაჟებთან ერთად, გარდაცვალების შემდეგაც იცხოვრებს, იბრძოლებს, იშრომებს მომავალ თაობათა საბედნიეროდ.

ძნელად თუ წარმოიდგენ ადამიანს, ნოდარს რომ გულწრფელად არ დაიტირებს. ყველაზე მეტად, მჭერა, ახალგაზრდობას ეტყინა გული. ყოველი სიტყვა მისი დიდი შემოქმედებიდან, მისი მღელვარე ცხოვრების ყოველი წუთი ახალგაზრდებისადმი იყო მიძღვნილი. ჩვენი საუბრებიც ამ თემით იწყებოდა და ამითვე მთავრდებოდა. ნოდარ ღუმბაძე უბრალოდ იწყებდა მათგან: როგორ უნდა გიყვარდეს თავდავიწყებით მშობელი ხალხი, როგორ უნდა განიმსჭვალო ღრმა პატივისცემით სხვა ხალხების მიმართ, როგორ უნდა იღვწოდე ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად.

ნოდარი მთაში ნაპოვნი კრისტალივით სუფთა პიროვნება იყო. მას ჰქონდა მორალური უფლება, მთელი თავისი მწერლური, პუბლიცისტური, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით კომუნისტური ზნეობის უმაღლესი პრინციპები ეჭადაგა და ემკვიდრებინა; გამოჩენილი, გამოჩენილი კომუნისტი გახლდათ და ჩვენ ვამაყობთ, რომ იგი ჩვენი თანამედროვე, თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო საკაცობრიო კომუნისტური იდეალებისათვის ბრძოლაში.

ამიტომაც მივმართავთ დღეს ჩვენს ახალგაზრდობას: ნოდარ ღუმბაძის ცხოვრება და შემოქმედება ხელთუქმნელი ძეგლია ნიჭიერებისა, შრომისა, შეუპოვარი ბრძოლისა, ჭეშმარიტი გმირობისა, ერთგულებისა და პატიოსნებისა, კაცურკაცობისა. იხელმძღვანელებთ ცხოვრების იმ კანონებით, რომლებმაც ნოდარ ღუმბაძე, ერთი უბრალო, ობოლი ბიჭი, თავისი ქვეყნის გამოჩენილ მოღვაწედ აქცია.

**ილუარდ შევარდნაძე,**

18.09.84 წელი,

თბილისი,

(„ლიბერატორული საქართველო“, 20.09.84 წ.).





## სიტყვა ძმებსა და მემობარზე

ჩაქრა ქართული მიწის მომღერალი ნოდარ ღუმბაძე, მაგრამ არ ჩამჭრალა მისი სიტყვა, რომელსაც შეიწოვა ჩვენი სულიერი გამოცდილება, ჩვენი გაშარჯვებები და მწუხარება. იგი იყო ომის შემდგომი თაობის ლიტერატურაში უდიდესი.

გადაეცით ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მისი სახელი, რომ ტიან-შანის მთებში მას ისე დასტირიან, როგორც ძმასა და მეგობარს.

### ჩინგი ათმაბოვი,

სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ღაურეატი.

## აუნაზღაურებელი დანაკლისი

ნოდარ ღუმბაძის სიკვდილი მძიმე დანაკლისია არა მხოლოდ თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის, არამედ მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურისათვის. დავეკარგეთ მხატვარი, რომლის შემოქმედებასაც იცნობს საზღვარგარეთის მრავალრიცხოვანი მკითხველი. არა მხოლოდ იცნობს, მისი წყალობით ისინი ჩაწვდნენ მშვენიერი საქართველოს პოეტურ სამყაროს, სადაც ცხოვრობს და შრომობს ლამაზი, ვაჟკაცი, მაღალი სულიერი მიზნების ხალხი.

ქურნალ „დრუება ნაროდოვის“ რედაქცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნოდარ ღუმბაძესთან. ჩვენი ქურნალის ფურცლებზე პირველად იხილა მზის სინათლე მისმა მრავალმა ნაწარმოებმა.

მოვიგონოთ დღეს ზოგი მათგანი: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „შინანი ლამე“, „ნუ გეშინია დედა“, „მე ვხედავ მზეს“, „მარადისობის კანონი“, „კუკარაჩა“. არსებითად ეს არის მთელი ბიბლიოთეკა, რომელიც ეძღვნება თანამედროვე ცხოვრებას, მის წინააღმდეგობებს და სირთულეებს, ეს არის კომუნისტი-მხატვრის შეხედულება მისი ხალხის, მისი სამშობლოს მომავალზე.

ამ ბიბლიოთეკის შემქმნელი განუყოფელია ჩვენი ლიტერატურისაგან.

მე აღამიანურად მიმძიმს ვილაპარაკო ნოდარის გარდაცვალებაზე. ის არ იყო ჩვენი ქურნალის მხოლოდ ავტორი, ჩვენ მრავალი წლის მანძილზე მეგობრებიც ვიყავით. სამწუხაროდ ნოდარმა ვერ მოასწრო ენახა „დრუება ნაროდოვის“ ბოლო ნომერი, სადაც გამოქვეყნდა მისი წერილი „ჩემი შემოქმედებითი კავშირი“, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის 50 წლისთავისადმი. აზრები, რომელსაც ნოდარ ღუმბაძე უზიარებს მკითხველებს ამ წერილით, საინტერესოა არა მხოლოდ ჩვენთვის, მისი კოლეგებისათვის, არამედ ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი უკვდავი ლიტერატურა, მისი მომავალი.

წავიდა ცხოვრებიდან ნოდარ დუმბაძე — ჩვენთან დარჩა მისი ადამიანური და მძაფრი, ჭკვიანური და ღრმაზროვანი წიგნები, რომლებიც იტოვებენ დიდხანს, გაახარებენ და ააღვლევებენ მილიონობით მკითხველს.

**სირაგი ბარუზდინი**

ერნალ „ღრუბა ნაროდვის“ მთავარი რედაქტორი, რსფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

**ნოდარ დუმბაძის მარადისობის კანონი**

მძიმეა, უაღრესად მძიმე მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის დანაკლისი — აღარ არის ნოდარ დუმბაძე, ვისი სახელიცა და შემოქმედებაც არამარტო ქართული, არამედ მთელი სამამულო მხატვრული სიტყვიერების დიდება და სიამაყე იყო. უზარმაზარი ნიჭის მხატვარი, იგი ღრმად შეიგრძნობდა ადამიანის სულიერ ცხოვრებას, მრავალმხრივად და რთულად წვდებოდა ხალხის ყოფას, რათა თავის ნაწარმოებებში დაემკვიდრებინა ხალხის მაღალი სული; დაემკვიდრებინა ყოველივე ის, რაც ჩვენთვის ძვირფასია და მარადიული, ურომლისოდაც საზოგადოებას არ ძალუძს წინსვლა.

იგი იყო ჭეშმარიტი მოქალაქე და პატრიოტი. ეს გახლდათ ბრძენი და გამჭირავი მხატვრის, ნოდარ დუმბაძის ცხოვრების არსი და წესი. იგი იყო ლიტერატურული პროცესის დაუღლეელი და ენერგიული ორგანიზატორი — ხალხის ნდობით აღჭურვილი, სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოს დებუტატი, თავის მიწის — მშობლიური საქართველოს ღვიძლი შვილი. მან თავის ქვეყანას განსაცვიფრებელი ძალისხმევით, სიყვითთა და სიყვარულით უმღერა: სწორედ ამიტომაც ცხოვრების წიაღიდან მოსული მისი გმირები კვლავ ცხოვრებას რომ დაუბრუნდნენ და ჩვენთან ერთად ცოცხლობენ...

და ჩვენს გულებში ყოველთვის იპოვიან თავის სავანეს ილიკო, ილარიონი და ბებია, მილიციელი კუქარაჩა, ჟურნალისტი ბაჩანა რამიშვილი — ისინი დღეს მრავალ ენაზე ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ აზერბაიჯანულადაც.

სამწუხარო ცნობა მივიღეთ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პელნუმი მიმდინარეობდა. მივაგებთ რა უკანასკნელ პატივს ჩვენს ძვირფას მეგობარს ნოდარ დუმბაძეს, ამ მძიმე წუთებში ვიზიარებთ ჩვენი ქართველი თანამოძემების დიდ დანაკლისს.

ნოდარ დუმბაძის გული, მთელ სამყაროს რომ იტევდა და ყოველთვის ფეთქავდა თავისი ხალხის გულთან ერთად — გაჩერდა. მაგრამ მწერლის წიგნებს, მწერლისა, რომელმაც შეიცნო მარადისობის კანონის — ხალხის მსახურების კანონის უზენაესი სიბრძნე, უკვდავება ელის.

**მირზა იბრაჰიმოვი**

აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, აზერბაიჯანის სახალხო მწერალი.



## ჩაუქრობელი ვარსკვლავი

მთლად ახალია სულის ჭრილობა, ჩვენი დიდი, გულითადი მეგობრის სიკვდილმა რომ მოგვყავინა; ძნელია, გრძნობებს მოერიო და კუთვნილი მიაგო ნოდარ ღუმბაძეს, მხატვრული სიტყვის თვალსაჩინო ოსტატს, რომლის სახელთან დაკავშირებულია ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში ბოლო ათწლეულების მანძილზე მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრები.

ნოდარ ღუმბაძე ლიტერატურაში როგორღაც ერთბაშად შემოიჭრა, როგორც ხანდახან ცისკიდურზე კაშკაშა, ჩაუქრობელი ვარსკვლავი აკიაფდება ხოლმე. მისი ჭეშმარიტად ხალხური, ხალასი და განუმეორებელი ნიჭი მოულოდნელად გადაიშალა მკითხველის წინაშე. მკითხველთა ფართო წრეში მისი პოპულარობა უპირველეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ მკითხველი ნოდარ ღუმბაძის ქმნილებებში საბჭოთა ადამიანის სიღამაზესა და კეთილშობილებას, მის დიდ ჰუმანიზმსა და პატრიოტიზმს ხედავს.

ნოდარ ღუმბაძეს ბავშვობიდანვე მრავალი განსაცდელი შეხვდა. მავანი ალბათ ვერც გაუძღებდა, ის კი ღირსეულად გაუმკლავდა ძნელბედობას. განსაცდელმა სიკეთე და გულუხვობა, ჭირთა თმენა და კეთილშობილება ასწავლა. ალბათ სიცოცხლის სიყვარული და მოქალაქეობრიობაც აქედან აღმოცენდა. როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის ის, რომ მთელი მისი ყურადღება მიჰყარობოდა იყო მღალა ზნეობრივი საწყისების დამკვიდრებისაკენ.

ნოდარ ღუმბაძის სიკვდილმა მტკივნეულად შესძრა აფხაზ მშრომელთა გულში.

აფხაზი მწერლები თავის მოძმებთან — ქართველ მწერლებთან ერთად მწვევედ განიცდიან ამ აუნაზღაურებელ დანაკლისს. ნოდარ ღუმბაძისათვის აფხაზეთი განსაკუთრებული მხარე იყო, წრფელად უყვარდა და იქ ყოფნისას ყოველთვის შთაგონებით წერდა. იქ, სოფელ გულრიფშში, ზედ ზღვის პირას დგას მისი დაობლებული სახლი. ბევრჯერ შეგვიღია ამ სახლის კარი, ყოველთვის ხალისით შემოგვეგებებოდა ხოლმე ჩვენი ძმა და მეგობარი, ნოდარ ღუმბაძე.

დიდხანს გრძელდებოდა გულითადი საუბრები ლიტერატურულ პრობლემებზე, ადამიანის მოვალეობასა და ჩვენს საზოგადოებრივ საქმიანობაზე. აქ მოდიოდნენ არა მარტო ლიტერატორები და სტუმართმოყვარე მასპინძლის ნათესავ-მეგობრები, არამედ ბევრი ჩვენებურიც, რომლებიც ნოდარს სხვადასხვა საკითხის გასარკვევად მიმართავდნენ. მათ იცოდნენ, რომ აქ ყოველთვის პოვებდნენ მხარდაჭერასა და დახმარებას, რადგან ნოდარ ღუმბაძე დიდი მოქალაქე იყო, იგი ხალხის, ქვეყნის, დროის სუნთქვით სუნთქავდა.

ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება ჩვენი მეგობრული შეხვედრები აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეში. ნოდარს ყველგან და ყოველთვის ისე ზედბოდნენ, როგორც თავისიანსა და უახლოეს ადამიანს. ეს ზედბოდა არა მარტო იმიტომ, რომ იგი აფხაზეთთან ნათესაური ძაფებით იყო დაკავშირებული, არამედ იმიტომაც, რომ გულლია და უბრალო ხასიათის წყალობით სრულიად უცხო ადამიანების გულეზსაც იოლად ინადირებდა.

მრავალწლოვანი აფხაზეთის მშრომელებმა მოძმე ქართველი ხალხის გამოჩენილი შვილისადმი სიყვარული იმით გამოხატეს, რომ იგი არაერთხელ არჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ნოდარ ღუმბაძის აქტიურ, მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე

ლაპარაკისას არ შემიძლია, არა ვთქვა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ და აფხაზური ლიტერატურის კომისიის თავმჯდომარედ ყოფნისას იგი აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციას დიდ ყურადღებას უთმობდა. აფხაზეთის ლიტერატურულ ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც მის წინაშე წამოიჭრებოდა, უყოყმანოდ და თანმიმდევრულად წყდებოდა. ძნელია ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების წარმოდგენა ნოდარ ღუმბაძის ცოცხალი, ყოველდღიური მონაწილეობის გარეშე, ის ხომ ყოველთვის გულწრფელი ინტერესით ეხმაურებოდა ჩვენი პოეზიისა და პროზის ყოველ კარგსა და მნიშვნელოვან მოვლენას.

ნოდარ ღუმბაძე დიდი და ძლიერი სულის მქონე ადამიანი იყო. მის დანატოვარს, მის მართალ წიგნებს დიდხანს და დიდხანს სიცოცხლე უწერიათ. მისი საუკეთესო ქმნილებები მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში დაიკავებენ ადგილს. ძნელია, შეეგუო იმ აზრს, რომ კეთილი, მხიარული, გონებაშახვილი ნოდარი ჩვენ შორის აღარ არის. ჩვენი ხალხი ამბობს:

„ვის სიტყვებსაც იხსენებენ, ის ყოველთვის ჩვენთანაა!“

ნოდარ ღუმბაძის შესანიშნავი ნაწარმოებები საბჭოთა ადამიანში პატრიოტულ და ინტერნაციონალურ გრძნობებს აღზრდიან, ქვეყნად მშვიდობის საქმეს მოემსახურებიან. მისი ნათელი სახე მართლ იცოცხლებს ჩვენს გულებში. მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო, მშვიდობით!

**ბაგრატ შინკუბა**

აფხაზეთის სახალხო პოეტი.

## შენი ნათელი სული

თბილისში ჩამოსული სომეხი მწერლები, მთელი ჩვენი ლიტერატურის სახელით თავს ხრიან დედა-საქართველოს წინაშე, ქართული ლიტერატურის წინაშე, რომელთაც დაკარგეს ღვიძლი შვილი, უსაზღვრო სიკეთითა და ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული მწერალი. დიახ, ნოდარ ღუმბაძე დიდი ქართული ლიტერატურის ღირსეული შვილი იყო. ეს უკვე დიდი პატივია, ხოლო იგი, კარგა ხანია, ამ ლიტერატურის ერთ-ერთი მამაც გახდა, ეს კი რჩეულთა ხვედრია, მრავალი დიდი ტალანტისთვის მიუღწეველი. ერთდროულად შეილიც იყო და მამაც, სულაც არ არის იოლი, რამეთუ შვილი დაუნდობელია, ხოლო მამა ყოვლისგამგები და მიმტევებელი. ასეთი რთული, ორმაგი მოვალეობა ეკისრებოდა სიცოცხლის ბოლომდე ნოდარ ღუმბაძეს.

მე, ნოდარ ღუმბაძის — ადამიანის უმცროს ძმასა და ნოდარ ღუმბაძის — მწერლის ძველ თაყვანისმცემელს უსაზღვროდ მიმიძმს ჩვენი დანაკარგის მტანჯველი რეალობის დაჭერება. და მე არ ძალმიძს დღეს მასზე წარსული დროით ვილაპარაკო.

ძვირფასო ნოდარ, შენი წიგნების კითხვისას და ხელახლა გადაკითხვისას, ყოველთვის მეხამრიდს გადარებდი, შენს სხეულში, შენს გულში, გონებასა და ნერვებში რომ გაატარებდი ადამიანური ტკივილების მაღალი ძაბვის დენს, ტკივილს თავად იტოვებდი, ხოლო ადამიანებს სინათლესა და სიხარულს ანიჭებდი, სიკეთესა და ლომობიერებას ასწავლიდი.

და შენ გეგონა გული ამას გაუძლებდა?

შენ იცოდი და კარგადაც იცოდი — ბოროტი ტალანტი არ არსებობს, კე-

შპარიტი ტალანტი საკუთარი ტანჯვის ფასად მხოლოდ სინათლესა და სიკეთეს შობს, ადამიანებს რწმენას ანიჭებს და აძლებინებს. შენი ხალხის წმიდათა წმიდა მცნებაც ეს იყო, ასე ფიქრობდა შენი მშობელი ხალხიც, ხალხი — რაინდი, ხალხი — მედგარი, მტკიცე და მყიდვე, ხალხი — ბრძენი და ხალხი — ყრმა, ეს იყო მარადისობის კანონი, რომელიც კიდევ ერთხელ აუწყე ხალხს, ძვირფასო ნოდარ!

ჩემი ბოლო წერილი უპასუხოდ დარჩა. მცირე ხნის წინ შენი „მარადისობის კანონი“ სომხურად გამოვიდა, დაუყოვნებლივ გამოგიგზავნე წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი, ხოლო წერილში იმედი გამოვთქვი, იქნებ ამ შემოდგომაზე მინც მოახერხო და ერთხელ კიდევ ჩამოხვიდე შენს სომეხ მკითხველებთან-მეთქი. ეს არც ზრდილობისათვის ნათქვამი სიტყვები იყო, არც მხოლოდ ღვიძლ ძმასთან კიდევ ერთხელ შეხვედრის სურვილი — შენ იცოდი, როგორ უყვარათ სომხეთში ნოდარ ღუმბაძე და თვითონაც გსურდა აქ ჩამოსვლა. „თეთრი ბაირალები“ რომ გამოვეცი, მაშინ აპირებდი ჩამოსვლას — ვერ მოხერხდა, შენი რომანის სატელევიზიო დადგმა რომ განხორციელდა, უკვე საავადმყოფოში იყავი...

შარშან — თბილისში, წელს კი — მოსკოვში, თვითონ მითხარი: „ისე მინდა კიდევ ვნახო სევანი...“

მაშ, ველარ ჩამოხვალ... მაშ, სევანიც ველარა ნახავს თავის შვილს.

ეკ, ნოდარ, ძვირფასო... შენ იცოდი, რომ ჩვენს მშფოთვარე დროში კაცობრიობას სწორედ სიკეთე აკლია, აკლია ქანგაბაღზე მეტად; ამიტომაც ამდენი ხალისი, სიცილი, სისუფთავე, ღმობიერება შენს წიგნებში. ამბობენ ყოველი კაცის სულში თავისი ხალხის მინიატურული პორტრეტი ჩანსო.

ეს სამგზის მართალია, თუ კაცს გულის სიკეთე და გონების სიბრძნე ახლავს. შენ შენი ხალხის კეთილშობილი თვისებები შეიწოვე და შენი მიწის ერთ-ერთი ცოცხალი სიმბოლოთაგანი გახდი, შენი წიგნების შემწეობით, შენი ადამიანური თვისებების შემწეობით, მე უკეთ გავიცანი საქართველო, უკეთ გაცნობა კი მეტად შეყვარებას ნიშნავს...

შენ — მძლავრი ქართული პროზის ახალი ტალღის ბრწყინვალე წარმომადგენელი — საკავშირო ლიტერატურული ცის კაბადონზე პირველი სიმძლავრის ვარსკვლავად ენთე, შენი წიგნების კაშკაშა ფერების გარეშე შეუძლებელია ჩვენი სამშობლოს მრავალენოვანი ლიტერატურის ფერადი ცისარტყელის წარმოდგენა.

შენს წიგნებს, შენს გასაოცარ გმირებს — რომანტიკოსებს, ახირებულებს, ბრძენ ბერეკაცებსა და ჭაბუკებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთაც მოელოდნენ, შენს წიგნებს თარგმნიდნენ, დგამდნენ სხვადასხვა ენაზე, როგორც საკუთარს, მშობლიურს. მჭერა, საწერ მაგიდასთან მუშაობისას ყოველთვის გრძობდი ამ მრავალსახოვანი, მრავალენოვანი მკითხველის ცოცხალ სუნთქვას. სარაინდო მთებიდან ჩამოსულმა მზიარულ-მწუხარე გურულმა მრავალმილიონიანი აუდიტორია ისე დაიბუყარი, მთელი სისრულით ვერც კი გაიაზრებდი მკითხველის სიყვარულის სიღრმეს.

ძვირფასო ნოდარ, გახსოვს შენი გასაოცარი გმირი — მოხუცი გუდული? იგი სიკვდილის წინ მადლობას უხდის მშეს, მამალს, ღვინოს, თავის გულს, მადლობას — ერთგულებისათვის. ნეტავ თუ გაგახსენდა შენი გმირი უკანასკნელ წუთებში! არ ვიცი, მაგრამ მჭერა, იმ წუთებში შენც ჩურჩულბდი მადლობის სიტყვებს, მადლობას უხდიდი ამ საოცარ ქვეყანას, ბუნებას, ადამიანებს, შენს ტანჯულ გულსაც, ვიცი, რამეთუ კაცი იყავი, ადამიანი, მიწის შვილი, მხატვარი.

მუდამ მიკვირდა — როგორ გამოაღწიე იმ შენი ძნელი ბავშვობიდან ისე, რომ ამდენი სინაზე და სიცილი, ამდენი სიკეთე და სიციცხლის სიყვარული შეინარჩუნე?

ძვირფასო ნოდარ, წინაპრებს უთქვამთ — კუბო მხოლოდ ნავია, ოდენ კაცის სხეულს რომ წარიტაცებს არყოფნის ზღვაში და ჩვენც ამ მძიმე წუთებში თავს იმიტოლა ვინუგეშებთ, რომ ჩვენთან რჩება შენი წიგნების გვერდებს მოფენილი შენი ნათელი სული.

ეს კეთილი და ბრძნული წიგნები შენი წასვლის შემდეგაც გაახარებენ ადამიანებს, ძმობისა და ურთიერთგაგებისკენ მოუწოდებენ, რამეთუ „ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავეყოთ ერთმანეთის სული“.

შენი წიგნები კიდევ დიდხანს დააფიქრებენ ადამიანებს მწარე სინამდვილეზე — რატომ არის ასე, რატომ კვდებიან ადამიანები უფრო ხშირად სიძულვილისგან, ვიდრე სიყვარულისგან.

და ასწავლიან ადამიანებს — სიყვარულსთვის ერთუბრთს მხოლოდ სიყვარული მიუზღონ, შენი წიგნები მარად იცოცხლებენ, რადგან მარადიულია მძლავრი და მთრთოლვარე ქართული ენა, რომელიც ერთხელ კიდევ ასახელე, რადგან მოძმე ხალხთა თანავარსკვლავედში მარად ჩაუქრობელია შენი მშვენიერი საქართველოს განუმეორებელი ვარსკვლავი, ძვირფასო ნოდარ.

#### პარღვას კებროსიანი

სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

### ხალხის სამსახურში დაფარვლილი სიცოცხლე

ამბობენ, ადამიანის სიცოცხლე განვილილ წელთა რაოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ იმ სასარგებლო და კეთილშობილური საქმეებით, რაც მან ხალხს მოუტანა. გამოჩენილი ქართველი მწერლის, ლენინური პრემიის ლაურეატის ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძის სიცოცხლე მთლიანად, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ხალხს ეკუთვნოდა. ხალხის სამსახურს მოახმარა მწერალმა თავისი მრავალმხრივი, ბრწყინვალე ნიჭი. ამიტომაცაა, რომ ყველა მისი ნაწარმოები, რომლებშიც ამ დიდი შემოქმედის მიერ ზუსტად და მწვავედ აისახა თანამედროვეობის საჭირობოროტო პრობლემები, ფართოდაა ცნობილი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ შორს, მის საზღვრებს იქითაც.

ბელორუსიაში, ი. კუპალას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე იდგმება ნ. დუმბაძის პიესები — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მარადისობის კანონი“. ამ სპექტაკლებს, რომლებიც დიდი წარმატებით მიმდინარეობს, ჩემ კოლეგებთან ერთად, ბევრჯერ დავსწრებივარ, დიდი სიამოვნებაც განმიცდია, ყოველი ნახვისას აღმომიჩენია ნათელი, თვითმყოფადი სახეები, ხასიათები, ცხოვრებისეულ სიმართლეს რომ ამკვიდრებენ.

ბედმა მარგუნა, რომ ნოდარ დუმბაძეს პირადად ვიცნობდი. ბევრჯერ შეხვედრებივარ მას მოსკოვში, თბილისში; მწერალთა კავშირის თათბირებსა და

თუ პლენუმებზე. მჭონდა ბედნიერება ვყოფილიყავი მის ოჯახშიც. ნოდარ დუმბაძე ყველგან და ყოველთვის იყო დიდსულოვანი, დიდბუნებოვანი ადამიანი. ნოდარ დუმბაძემ ნათელი კვალი დატოვა მთელს საბჭოთა ლიტერატურაში, მისი მაღალი ნიჭის თაყვანისმცემელთა მადლიერ გულებში.

### ივან ჩიგრინოვი

ბელორუსიის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ბელორუსიის სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

## უკვდავები

თქვენი ლიტერატურული ბედი მართლაც რომ იღბლიანი გამოდგა. ოცდაათი წელიც არ შეგსრულებოდათ რომ არა, მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არნახელი პოპულარობა მოიპოვეთ.

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და თქვენ, უკვე როგორც აღიარებული მხატვრული სიტყვის ოსტატი, ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვრებს გასცდით და მკითხველთა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მწერალი გახდით. აი ამიტომაც ეკუთვნით თქვენ არა მხოლოდ თქვენს მშობლიურ საქართველოს, რომლის წიაღშიც თქვენ აღიზარდეთ, არამედ მთელ ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანას, მასში შემავალ ყველა ეროვნების ხალხს, მთელს პროგრესულ კაცობრიობას. აი, რატომ განიცადა არა მარტო ქართულმა, არამედ მთელმა საბჭოთა ლიტერატურამ განუზომელი დანაკლისი.

თქვენ, ძვირფასო ნოდარ, იყავით ნათელი ნიჭით დაჯილდოებული დიდი მასშტაბის შემოქმედი და მით უფრო მძიმეა იმის შეგნება, რომ ტიტანური შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ასაკში ასე უღროოდ გამოაკლდით ჩვენი მწერლობის რიგებს. ვინ უწყის, რამდენი ფრთებშეუსხმელი შემოქმედებითი იდეა და ჩანაფიქრი დაგრჩათ განუზოცოციელებელი.

და ამავე დროს რა მძიმეა იმისი შეგნება, რომ ჩვენს შორის აღარ იქნება ასეთი სათნოებით აღსავსე, გულმხურვალე პატრიოტი თავისი ქვეყნისა, ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი, კეთილი სულის ადამიანი, მსუბუქი იუმორით დამშვენებული, მგრძნობიარე გულის პატრონი, კრისტალური სიწმინდის კომუნისტი.

თქვენ კარგად გიცნობენ ჩემს მშობლიურ ოსეთში. თქვენს შესანიშნავ ნაწარმოებებს — მოთხრობებსა და რომანებს ჩვენთან კითხულობენ არა მარტო რუსულ და მშობლიურ — ოსურ ენებზე, არამედ ორიგინალშიც — ქართულ ენაზედაც.

თქვენი ტალანტის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები ტკბებიან თქვენი დახვეწილი ოსტატობით, გამომსახველობითი ფორმების მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით, თქვენს მიერ შექმნილი ცოცხალი და შთამბეჭდავი თანამედროვეთა სახეებით.

აი, რატომ გამოიწვია ასეთი მწუხარება ოს მკითხველებსა და მეგობრებში თქვენი მოულოდნელი გარდაცვალების ამბავმა.

თქვენ, ბატონო ნოდარ, არა ერთხელ ბრძანებულხართ ჩვენთან ოსეთში.

გაინტერესებდათ ჩვენი კუთხის ცხოვრება, აქაური მშრომელთა საქმიანობა. ოსი მოსახლეობა ერთგულ მეგობარსა და ღვიძლ ძმასავით გზავდებოდნენ ყველგან.

დღეს კი ისინი ნალვლიანად იხსენებენ არც თუ შორეულ წარსულში თქვენთან შეხვედრის იმ ბედნიერ წუთებს.

ძვირფასო ნოდარ! თქვენ დღეს სამუდამოდ მიდიხართ ჩვენგან. მაგრამ ისეთი მწერლები, როგორც თქვენ ბრძანდებით, არა კვდებიან, ისინი რჩებიან თავიანთ წიგნებში, თავიანთ ნაწარმოებებში. ასეთია თქვენი ხვედარიც — თქვენი ბედნიერი ლიტერატურული იღბალიც!

მშვიდობით, ძმაო ნოდარ!

### კოსტა მარლივი

საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების მდივანი.

## სიმძიმელი დანაკარბისა

გამოჩენილი ქართველი მწერლის ნოდარ ღუმბაძის გარდაცვალების სამწუხარო ცნობამ ლატვიელ ლიტერატორებში უზომო მწუხარება და ტკივილის გრძნობა გამოიწვია. ნოდარ ღუმბაძის ნაწარმოებები ლატვიელ მკითხველებში დიდი მოწონებითა და პოპულარობით სარგებლობენ, რადგანაც მისი შემოქმედება საოცრად ეხმაურებოდა თანამედროვეობას, სადღეისო მწვავე პრობლემებს, ყოველი ჩვენთაგანის სატიკივარსა და გასახარებელს. მრავალი წლის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის სცენიდან გულმხურვალედ გვესაუბრებოდნენ მისი გმირები, გვასწავლიდნენ და ჩაგვაგონებდნენ სიკეთესა და სამართლიანობას, მოგვიწოდებდნენ მეგობრობისა და ძმობისაკენ.

განსაკუთრებით დიდი მოწონება დაიმსახურა მისმა რომანმა — „მარადისობის კანონი“, რომელიც ჩვენმა ეროვნულმა გამომცემლობა „ლისემამ“ მასობრივი ტირაჟით დასტამბა. ამ ნაწარმოებით ჩვენმა მეგობარმა საშუალება მოგვცა კიდევ უფრო ღრმად ჩაგვეხედა ქართველი ხალხის ცხოვრებასა და მის ხასიათში, თვითონ ავტორი კი თითოეული ჩვენთაგანისათვის კიდევ უფრო ახლობელი შეიქნა.

ჩვენ გვახსოვს ნოდარ ღუმბაძე, როგორც მეგობარი-თანამოაზრე და თანამზრახველი, რომელთანაც მთელი ღამეების განმავლობაში შეიძლებოდა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზებზე ბჭობა. იგი მართლაც მეტად საინტერესო თანამოსაუბრე გახლდათ, იგი იყო გულიანი და უშურველი მასპინძელი, არამარტო ლატვიელი კოლეგებისათვის, არამედ საერთოდ საქართველოში ჩამოსული ყველა მწერლისათვის.

სიკვდილმა საბჭოთა ლიტერატორების ოჯახს გამოაკლო ნიჭიერი სიტყვის ოსტატი, რომლის შემოქმედებაც ყოველთვის ჰპოვებს მაღლიერ გამოხმურებას ათასობით ადამიანის გულში.

### გუნარ კლიაფე

ლატვიის მწერალთა კავშირის პირველი მდივანი.



## მარადისობის ბინადარი

საქართველოს  
საბჭოთაო სოციალისტური  
რესპუბლიკის

დღეს ყველგან ჩვენს ლამაზ მამულში გლოვია, გულთა გლოვა. სამუდამოდ წავიდა ჩვენგან გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ყველა სიკეთით შემკული პიროვნება, სათნოებითა და კაცთმოყვარეობით აღვსილი დაუფიქსარი ადამიანი, ნოდარ დუმბაძე.

მართლაც გამორჩეული იყო იგი. გამორჩეული ახლობლობა, თანადგომა, ძმობა, მეგობრობა და სიყვარული შეეძლო.

მისი მომხიბვლელი ხასიათი, ელვარე ნიჭი და შემოქმედებითი ოსტატობა, მისი, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის მეთაურის ავტორიტეტი საოცრად გვაძალღებდა და სასიკეთო საქმეებისთვის გვრახმავდა ყველა ჩვენთაგანს.

ნოდარ დუმბაძე თანამედროვე ქართული მწერლობისათვის გულმისანდობი ნიშანსვეტი და სიამაყე იყო. და როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატს, ჭეშმარიტ ინტერნაციონალისტსა და საბჭოთა ქვეყნის პატრიოტს მას ასევე დიდად პატივს სცემდნენ და აფასებდნენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში არამედ მის ფარგლებს გარეთაც — მთელს მსოფლიოში.

ასე მგონია, რომ დღეს ნოდარს ყველაზე გუმბურავლედ აჭარის მშრომელები დასტირიან, ბათუმში ყოველ ჩამოსვლას იგი ზომ ცხოვრების ზეიმს ეძახდა. მწარედ მოსთქვამენ დამწუხრებული სარფელი დედები, სადაც ნოდარმა თავისი სამხედრო-შემოქმედებითი ცხოვრების მცირე ნაწილი გაატარა და სადაც დაწერა მან მშვენიერი რომანი — „ნუ გეშინია დედა“.

მაგრამ რა ქნას დედამ, როგორ არ იტიროს, როცა ასეთი შვილი გამოეცალა ხელიდან. დასტირიან ნოდარს სარფსგადაღმელი თანამემამულეებიც. დასტირის იქაური მამიდაჩემიც, რომელთან შეხვედრის დროს, ამ არც თუ ისე დიდი ხნის წინ, თვითონ ნოდარს რომ გული დაეწურა.

ნოდარ დუმბაძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში. იგი მარადისობაში დასახლდა, იმ მარადისობაში, სიციცხლეში რომ უმღერა მშვენიერი საგალობელი.

ძვირფასო ნოდარ, შენ ხარ ცოცხალი,  
სიკვდილი შენთან როგორ მოზედავს!  
შენ საქართველო კი არ გშორდება,  
შენ საქართველო გემშვიდობება!

## ზრიდონ ხალვაში

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების მდივანი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი.

● რედაქციის მისამართი:  
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

● ტელეფონები: რედაქციის — 98-55-11,  
მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, 3/შგ, მღაფ-  
ნის და გაყოფილებების — 98-55-16; 98-55-17,  
98-55-20.

საქ კა ც-ის გამოცემლობა, 1984.

გადაეცა ასაწყობად 10. 08. 84 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდად 10. 09. 84 წ. ანაწყობის ზომა  
71/4X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფო-  
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პარობითი ნა-  
ბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო  
თაბახი 16,58.

უე 08209. ტირაჟი 35.000. შეჯ. 1794. საქ. კა  
ც-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლე-  
ნინის ქ. № 14.

КОНТРОЛЬНЫЕ  
ЧИСЛА

3360 80 333.

57654

0600360

76128

საქართველოს  
საბჭოთავო კავშირი

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ